

სიძველეთა შესწავლის ცენტრი

ნათელა ჯაბუა

**სამნაგიანი ბაზილიკის
არქიტექტურული ტიპი
საქართველოში**

თბილისი
2009

UDC 726.5(479.22)(09)

ჰ-129

ნაშრომში განხილულია ქრისტიანული სუროთმოდვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ტიპის, სამნავიანი ბაზილიკის, არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლები, საქართველოში მისი გავრცელების თავისებურებანი და როლი საქართველოს შუა საუკუნეების სუროთმოდვრების ისტორიაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი:

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნ. დოქ. პროფ. **ზაზა სხირტლაძე**

რეცენზენტები:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **ნანა ბურჭულაძე**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **დინარა ვაჩნაძე**

ISBN 978-9941-0-1526-7

© ნ. ჯაბუა, 2009

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
ქრისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესახებ.....	7
საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების შედარებითი დახასიათება სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის საფუძველზე.....	30
ცხრილები საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების მონაცემების შესახებ.....	93
სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის ეტაპები საქართველოში.....	122
ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი ქრისტიანულ სამყაროსა და საქართველოში.....	148
სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპებთან ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ ხუროთმოძღვრებაში.....	169
დასკვნა.....	197
საქართველოს სამნავიანი ბაზილიკები.....	208
დამოწმებული ლიტერატურა.....	250
Summary.....	264

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრება არქიტექტურული ტიპების სიმრავლით ხასიათდება. თითოეულ ტიპს არქიტექტურულ-კონსტრუქციული სპეციფიკის, ძეგლების ხუროთმოძღვრული ღირებულების, გავრცელების ქრონოლოგიური და ტერიტორიული საზღვრების გათვალისწინებით განსხვავებული მნიშვნელობა და შესაბამისი ადგილი აქვს საქართველოს ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საკლესიო ხუროთმოძღვრებაში ქრონოლოგიურად ერთ-ერთ პირველ არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის აღიარების კვლადაკვალ გავრცელდა. ადრექრისტიანული სამყაროს ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში დამკვიდრებულმა ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა ქართულ ნიადაგზე ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციის ზეგავლენით გარკვეული სახეცვლილებები განიცადა.

ნაშრომის მიზანია საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ტიპოლოგიური თავისებურებების, გავრცელების ტერიტორიული და ქრონოლოგიური ფარგლების, საქართველოში ამ ტიპის არსებობის ეტაპობრივი სქემის დადგენა; ქრისტიანული სამყაროს ქვეყნების ბაზილიკებთან და საქართველოს სხვა არქიტექტურულ ტიპებთან მიმართების საკითხების კვლევა. ნაშრომს საფუძვლად ჩვენს მიერ წარმოებული გეგმაზომიერი საველე სამუშაოების, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალის კომპლექსური

კვლევის შედეგები უდევს. ფაქტობრივი მასალის მრავალფეროვნების და ძეგლების მრავალრიცხოვნების გათვალისწინებით, ისინი შეისწავლება სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვისა და ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი თითოეულ ძეგლის შესახებ არსებული მონაცემების სისტემური შესწავლის საფუძველზე საკვლევი ობიექტის სტრუქტურის კვლევას ითვალისწინებს, რაც მასალის ქრონოლოგიური ასპექტით განხილვის და არქიტექტურული ტიპის ეტაპობრივი სახეცვლის ნათლად წარმოჩენის პირობას ქმნის. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა არ იძლევა ყველა დასმულ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემის საშუალებას, რაც კონკრეტული ძეგლების შემდგომი შესწავლის აუცილებლობას ადასტურებს.

ქრისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესახებ

კონსტანტინე დიდის მიერ 313 წლის მილანის ედიქტით ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურ რელიგიად აღიარებით დაიწყო ახალი ერა ქრისტიანობის ისტორიაში. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ღვთისმსახურების ფორმირებისა და განვითარებისათვის. უპირველესად დადგა ქრისტიანული ტაძრის მშენებლობის საკითხი. ახ.წ. პირველ საუკუნეებში დევნის პირობებში ქრისტიანები სხვადასხვა დანიშნულების შენობებში (საცხოვრებელი სახლები, სინაგოგები, მიწისქვეშა ნაგებობები და სხვ.) იკრიბებოდნენ. ოფიციალური სტატუსის მიღებამ ხუროთმოძღვრების წინაშე ახალი რეალობის შესაბამისი ამოცანა დააყენა. ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპი, რომელიც ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ ეკლესიის მშენებლობისათვის გამოიყენა, იყო ბაზილიკა.

ქრისტიანული არქიტექტურის ფორმირების პროცესში გამოიკვეთა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული გადაწყვეტის სპეციფიკას განაპირობებს. ქრისტიანული ეკლესია უპირველესად ქრისტიანთა შესაკრები ადგილია, სადაც წმინდა ლიტურგია აღესრულება. ამდენად, მისი, როგორც არქიტექტურული ნაგებობის, სტრუქტურაში უმთავრესია ორი არსებითი ნაწილი – საკურთხეველი და დარბაზი მლოცველთათვის. პირველი ეკლესიის საკრალური, ხოლო მეორე მორწმუნეთა შესაკრები ადგილია. საკურთხეველი ორი სახისაა – სწორკუთხა და აფსიდის ფორმის. დარბაზს მლოცველთათვის სხვადასხვა კომპოზიციური გადაწყვეტა შეიძლება ჰქონდეს. ქრისტიანულ ტაძარში ამ არსებითი ნაწილების გარდა საკურთხევლის გვერდით გამოიყო საგანგებო სათავსები – პასტოფორიუმები. ისინი მართლმადიდებელ ქრისტიანულ სამყაროში კანონიკურ

ფორმად იქცა, თუმცა მათი არარსებობა დასაშვებია. ამას გარდა სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის საეკლესიო ნაგებობებში გამოიყენება განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების მქონე ნაწილები, როგორცაა სანათლაფი, ნართექსი, პატრონიკე, სტოა, გალერეა, გარშემოსავლელი, კარიბჭე და სხვა.

საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში არქიტექტურული ტიპის რაობას განსაზღვრავს ძირითადი მახასიათებელი. მაგალითად, ოთხი აფსიდა ტეტრაკონქის, სამი აფსიდა ტრიკონქის, ხუთზე მეტი აფსიდა მრავალაფსიდიანის, ნაგებობის ჯვრული კონფიგურაცია თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლებში. რაც შეეხება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპს, მისი არსებითი მახასიათებელია საყრდენების ლუწი რიგის მეშვეობით ნაგებად დაყოფილი მლოცველთა დარბაზი. გამოიყენება ნაგებობის პროპორციული ურთიერთდამოკიდებულების, მათი გადახურვის, საყრდენების ფორმისა და ურთიერთდაკავშირების სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა ინტერიერის ნაგებად დაყოფის პრინციპი ყველა ბაზილიკაში დაცულია.

ქრისტიანული ბაზილიკა გეგმაში წაგრძელებული, სწორკუთხა ფორმის ნაგებობაა, საყრდენების საშუალებით დაყოფილი კენტის რიცხვის (3-5) ნაგებად. შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია. საყრდენები ერთმანეთს უკავშირდება თაღების საშუალებით ან გამოყენებულია არქიტრავული სისტემა. ნაგებობის აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდაა, რომელიც გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი ან შვერილი ფორმისაა. ფართოდ გავრცელებულია ე.წ. სამნაწილიანი საკურთხეველი – აფსიდა და გვერდითი სათავსები, პასტოფორიუმები. საკურთხეველსა და ნაგებს შორის რიგ ძეგლებში გვხვდება ტრანსეპტი. ბაზილიკის გეგმაში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, მიმართული საკურთხევლისაკენ. ამ ტიპის ნაგებობაში ყველა არქიტექტურული

ელემენტი საკურთხეველთან მიმართებაში გაიაზრება და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება.

ბაზილიკის ნაგებობის გადახურვა შეიძლება იყოს კამაროვანი ან ხის კონსტრუქციებით შესრულებული. შუა ნავს ექსტერიერში უმეტესად დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი აქვს, ხოლო გვერდითებს ცალფერდა. ასეთ შემთხვევაში ნაგებობას გააჩნია ე.წ. ბაზილიკური ჭრილი და ექსტერიერში სახასიათო სილუეტი. ბაზილიკური ჭრილის ნაგებობებში შუა ნავის კედლებში სარკმლების მოთავსების შესაძლებლობა იქმნება. ეს არსებითად განსაზღვრავს როგორც ინტერიერის განათების ინტენსივობას, ასევე შიდა სივრცის ხასიათს. გვხვდება სამი ნავის ერთიანი ორფერდა სახურავით გადახურვის მაგალითებიც. ამგვარი ნაგებობები განსხვავებულია როგორც ექსტერიერის, ასევე ინტერიერის გადაწყვეტის და განათების მხრივ. ბაზილიკის დასავლეთ ნაწილში უმეტესად ნართექსი მდებარეობს. მის დასავლეთით ადრეული ხანის რიგ ძეგლებში ატრიუმიცაა.

ბაზილიკა, როგორც ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებული ხუროთმოძღვრული ტიპი, მთელ ადრექრისტიანულ სამყაროში გავრცელდა და არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში სახეცვლილებები განიცადა. ამ პროცესში ორი ძირითადი რეგიონი იკვეთება – ერთის მხრივ კონსტანტინოპოლისა და ხმელთაშუაზღვის ევროპული ნაწილის, მეორე მხრივ აღმოსავლეთის ქვეყნების სახით. აღსანიშნავია, რომ გეგმარების თუ რომელიმე არქიტექტურული ფორმის გადაწყვეტის თვალსაზრისით ცალკეულ ქვეყნებში ქრისტიანული ბაზილიკის თავისებური ვარიანტები დამუშავდა. ასე მაგალითად, ექსონართექსი და დასავლეთი ფასადის ორკოშკიანი მოტივი სირიაში, სამყურას მსგავსი გეგმარების საკურთხეველი ეგვიპტეში, სამეკლესიანი ბაზილიკები საქართველოში, ე.წ. ლატიტუდინალური ტაძრები სირიასა და მესოპოტამიაში.

ქრისტიანული რელიგიის მიერ ბაზილიკის დაკანონებას ფაქტობრივი მონაცემების გარდა IV-V საუკუნეების წერილობითი წყაროებიც ადასტურებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს კესარიის ეპისკოპოს ევსების 317 წლით დათარიღებული ტირის ეპისკოპოს პავლინისადმი მიძღვნილი პანეგერიკი, “წესნი მოციქულთანი” და Testamentum Domini.

“საეკლესიო ისტორიის მამად” წოდებულ კესარიის ეპისკოპოს ევსების პანეგერიკში [ევსები, 1858:514-524] ქრისტიანული რელიგიის განდიდებისა და ეპისკოპოს პავლინის საქმეთა ხოტბის შემდგომ ტირის ტაძრის აღწერისას იძლევა ტაძრის და მის ცალკეულ ნაწილთა ფორმის და სიმბოლური გააზრების ინტერპრეტაციას. გასათვალისწინებელია, რომ პანეგერიკი 317 წელს განეკუთვნება, და ვინაიდან 325 წლის ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებამდე ევსები არიოზულ მოძრაობას თანაუგრძნობდა [ლევბედევი, 1896:15-20], მის შეხედულებაზე ორიგენის და არიოზის პოზიციის ზეგავლენა აისახება.

“წესნი მოციქულთანი” მკვლევართა შეფასებით IV საუკუნის II ნახევარში [ფუნკი, 1905] ან V საუკუნის დასაწყისში [პოსნოვი, 1964:318-319] იქნა გადამუშავებული სირიაში და ეფუძნება უფრო ძველ წყაროებს, მათ შორის დიდასკალიას და დიდახეს. ”წესნი მოციქულთანი” შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ექვსი წიგნი წარმოადგენს დიდასკალიის გადამუშავებულ ვარიანტს. დიდასკალია უძველესი ქრისტიანული ძეგლია, რომლის 24-ე თავში აღნიშნულია, რომ ის მოციქულთა მიერ იერუსალიმის კრებაზეა (49-50წწ) შედგენილი. შემორჩენილი სირიული თარგმანის სახელწოდება ამგვარია –“დიდასკალია ანუ კათოლიკური (მსოფლიო) სწავლება თორმეტი მოციქულისა და წმინდა მოწაფისა

მხსნელისა ჩვენისა”. “წესნი მოციქულთანის” მეორე ნაწილი ანუ VII წიგნის პირველი ნახევარი დიდახეს პერიფრაზი და გავრცობაა, მეორე ნახევარი სზვადასზვა ლოცვის ფორმულებია, მესამე ნაწილი, VIII წიგნი, ა) ქარზმას, ბ) კურთხევის წესს, გ) კანონებს ეხება.

“წესნი მოციქულთანი” და Testamentum Domini-ს გარკვეული მონაკვეთები წარმოადგენს ერთგვარ მითითება-განმარტებას იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საეკლესიო ნაგებობა. (შემდგომში «წესნი მოციქულთანი» შემოკლებით აღინიშნება – წ.მ.; Testamentum Domini – T.D.; ევსევი – ევს.)

აღნიშნულ წერილობით წყაროებში ეკლესია შედარებულია გემს, მის მსგავსად წავრძელებული ფორმისაა (წ.მ.); ინტერიერში აქვს სვეტები (ევს.); არ მოიხსენიება გუმბათი. T.D.-ში მითითებულია, რომ ნაგებობას უნდა ჰქონდეს ორი პორტიკი მარჯვენა და მარცხენა მხარეს მამაკაცთა და ქალთათვის, რომლებსაც ს. მანგო ნაგებთან აიგივებს [მანგო, 1972:24]. საეკლესიო ნაგებობის ამგვარი მონაცემები IV-V სს-ის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წამყვან არქიტექტურულ ტიპს, ბაზილიკას მიესადაგება.

საგულისხმოა, რომ ნაგებობის აღმოსავლეთით მიმართება და ამ მხარეს საკურთხევლის მდებარეობა აღინიშნება სამივე დოკუმენტში. ამდენად, ეკლესიის აღმოსავლეთით ორიენტაციის დაკანონება IV-V სს-ში წერილობით არის დადასტურებული, თუმცა არაფერია თქმული საკურთხევლის ფორმის შესახებ (ავსილის ფორმისაა თუ სწორკუთხა). აღნიშნულია, რომ საკურთხეველი ტაძრის იატაკის დონიდან სამი საფეხურით არის ამაღლებული (T.D.) და გამოყოფილია “სუფთა, ულაქო ტილოს ფარდით” (T.D.) ან ხის ცხაურით (ევს.). სამღვდელოების ადგილი ფარდის იქით, წმიდათაწმიდას ახლოსაა (T.D.). საგანგებოდ აღნიშნულია ეპისკოპოსის და სამღვდელოების დასაჯდომი ადგილების შესახებ. ცენტრში დგას საკურთხეველი – ტრაპეზი (T.D.). მედავითნეს ად-

გილი (ამბიონი) საკურთხეველიდან ოდნავ მოშორებითაა (T.D.).

ტექსტებში მოიხსენიება პასტოფორია, სადიაკნე და სანათლავი. მითითებულია, რომ პასტოფორია ნაგებობის აღმოსავლეთით, ერთ მხარეს არის განთავსებული, ხოლო სადიაკვნე ტაძარში შესასვლელის მარჯვენა მხარესაა (T.D.). აღნიშნულია მისი ფუნქცია – შეწირულობათა შესაკრები ადგილი, რაც გასაგებს ხდის შესასვლელთან ახლოს სადიაკნეს მდებარეობის განსაზღვრას. T.D.-ს მიხედვით “არქიდიაკონმა უნდა ჩაიწეროს მათი სახელი, ვინც შესაწირს მოიტანს, ან მათი, ვისი სახელითაც შემოვა შესაწირი... დაასახელებს და ლოცვაში მოიხსენიებს მათ. იგივე იქნება უთუოდ ზეცაში.”

სანათლავი ეკლესიის ეზოს საზღვრებშია (T.D.). მითითებულია ზომებიც. სიგრძე 21 წყრთა წინასწარმეტყველთა რიცხვის და სიგანე 12 წყრთა მოციქულთა რიცხვის შესაბამისად. ნახსენებია ასევე ცალკე სადგომი კათაკმეველთათვის (T.D.). განმარტებულია, რომ ის ტაძრიდან განცალკევებით არ უნდა იყოს, რათა კათაკმეველებს და შეცდომილებს ფსალმუნების მოსმენის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

Testamentum Domini და ევსევი კესარიელი მოიხსენიებს პორტიკებით გარშემორტყმულ ეზოს და ეპისკოპოსის სახლს ტაძრის მახლობლად. ევსევი დეტალურად აღწერს ეკლესიის ეზოს და მიუთითებს, რომ ის გარშემორტყმულია სვეტებით, რომელთა შორის ცხაურებია. ევსევის მიხედვით ეზო ოთხკუთხა ფორმისაა, რათა “შეაგონოს მათ (ეზოში შესულთ, ნ.ჯ.) აზრი ოთხი სახარებისა.” ეზოშივეა განწმენდის სიმბოლო – წყაროები “ადამიანებისათვის, რომელნიც საჭიროებენ განწმენდას და განბანვას წყლითა და სულიწმიდით”. ევსევის მიხედვით ეზო ჭიშკარში შესულთათვის “პირველი თავშესაფარია, რომელიც მიჰგვრის ყოველს კეთილგანწყობას.” ამდენად, ნათელია, რომ ტაძრის წინ მდებარე ღია ეზოს მოწყობის ანტიკური ტრადიცია ქრისტიანულ არქიტექ-

ტურაში გრძელდება, რასაც IV-V სს-ის ძეგლებიც (მაგ.: წმ. პეტრეს და იოანე ლათერანელის ბაზილიკები რომში, აია სოფიის ბაზილიკა კონსტანტინეპოლში) ადასტურებს, თუმცა მას ახალი სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება.

ეკლესიის ეზოდან ტაძარში შესასვლელი სამი კარის არსებობა საგანგებოდ აღინიშნება და სამების განსახიერებად მოიაზრება (T.D.). ევსევი ზომით დიდ შუა კარს “უპირველეს მუუფეს”, ხოლო გვერდითებს— “შეორედ ნათებას” ქრისტეს და სულიწმიდას უკავშირებს. სამების ამგვარი ინტერპრეტაცია ევსევი კესარიელთან სუბორდინაციის და იერარქიის ორიგენისეული ხედვის და არიოზის ზეგავლენის კვალს ატარებს.

ტექსტებში ყურადღება გამახვილებულია ტაძრის ინტერიერის განათებაზე (ევს). T.D.-ში აღნიშნულია, რომ ყველა ადგილი უნდა იყოს განათებული, რასაც ენიჭება როგორც სიმბოლური, ასევე უტილიტარული მნიშვნელობა, კერძოდ, მითითებულია კითხვისათვის შესაფერისი განათების უზრუნველყოფაზე.

ევსევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტაძრის ადგილმდებარეობის შერჩევას. მისი აზრით ქრისტიანული ტაძარი თვალისმომჭრელი და დასამახსოვრებელი უნდა იყოს მისი მხილველებისათვის, მათ შორის არაქრისტიანთათვის, რათა მათ ქრისტესთან, ეკლესიასთან მისვლის სურვილი აღეძრათ. საფიქრებელია, რომ ეს პოზიცია IV საუკუნის დასაწყისში წარმართთა მოქცევის და მრევლის გაზრდის ქრისტიანული ეკლესიის ნებას ასახავს.

ტაძრის შენება ევსევისთან მორწმუნეთა სულების შეკრება-შეკავშირების დიდებულ ქმედებად მოიაზრება. იგი წერს: “შეკრება ყველგან და ყოველი მხრით ცოცხალი, მყარი და მტკიცე ქვანი სულისა... შექმნა მათგან დიდებული საუფლო სახლი... გააზრებული გამოხატულება იმისა, რაც არის უმაღლესი ცის კამარაზე.”

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მლოცველთა იერარქიული განაწილების პრინციპის განმარტებას. ტაძარი შედარებულია არა მხოლოდ გემს, არამედ ცხოველთა სადგომს (წ.მ.). ისევე, როგორც სადგომში სხვადასხვა ცხოველს, ასევე ტაძარში მორწმუნეთ მიჩენილი აქვს თავისი ადგილი დამსახურების, სქესის და ასაკის მიხედვით.

უპირველესად ზღვარი სამღვდელოებასა და საერო პირებს შორის ფიქსირდება. სასულიერო პირნი საკურთხეველში, ფარდის იქით არიან და მათ შორის დაცულია იერარქია. ეპისკოპოსის საგარბელი შუაშია (წ.მ.), მის მარჯვნივ უფრო ღირსეულნი და დამსახურებულნი, ხოლო “ვინც იღვაწა ამქვეყნად, მაგრამ ზომიერად”, მარცხენა მხარეს სხედან. დიაკვნები ფეხზე დგანან. ტაძარში შესულ მრევლს ისინი ეგებებიან და, მსგავსად გემის გამცილებლისა, მამაკაცებს და ქალებს, ცალ-ცალკე, მათთვის განკუთვნილ ადგილებთან მიაცილებენ (T.D.). ტაძარში მამაკაცები მარჯვენა, ქალები მარცხენა მხარეს არიან. “ღიაცნი სხედან სხვა მხარეს, განცალკევებით და იცავენ სიჩუმეს” (წ.მ.). კათაკმეველნი ტაძართან მდებარე სადგომში ისმენენ ფსალმუნებს, “ისინი უკვე შორს არ არიან ... ღვთიური საიდუმლოს ჭვრეტისაგან”(ევს).

ამრიგად, IV-V საუკუნეების ამ წყაროების მიხედვით წერილობით დასტურდება ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნა ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის შესახებ. საეკლესიო ნაგებობა მოიაზრება წაგრძელებული გეგმარების, სვეტებიან, უგუმბათო ნაგებობად, რაც ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მახასიათებლებს შეესაბამება. დადასტურებულია ნაგებობის ორიენტაცია აღმოსავლეთისაკენ. განიმარტება საკურთხეველის მოწყობის წესი (მდებარეობა ტაძრის აღმოსავლეთით, იატაკიდან სამი საფეხურით ამაღლება, ტრაპეზის ცენტრში განთავსება, სამღვდელოების ჩამოსაჯდომი რიგების მოწყობა, ფარდით ან ცხაურით გამოყოფა ტაძრის სივრციდან). განსაზღვრულია ტაძრის სხვადასხვა ნაწილის ფუნქცია

და ადგილმდებარეობა: პასტოფორია - სამკვეთლო საკურთხევლის რომელიმე მხარეს, სადიაკვნე ტაძრის შესასვლელის მარჯვნივ, ხოლო სანათლავე ეზოშია. ტაძართან კათაკმეველთა სპეციალური სადგომი იმგვარად არის მოწყობილი (სავარაუდოდ ღიობებით დაკავშირებული), რომ აქ მყოფთ ფსალმუნების მოსმენის შესაძლებლობა ეძლევათ. ტაძრის დასავლეთით პორტიკებიანი ოთხკუთხა ეზოა.

ტაძარში მლოცველთა დამსახურების, სქესის და ასაკის მიხედვით იერარქიული განაწილება საკურთხეველთან მიმართების და მარჯვენა მხარის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ხორციელდება.

ამგვარად, ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი ნაწილების რეგლამენტაცია, მათი ფუნქცია, მლოცველთა განაწილების წესი მკაფიოდ არის განსაზღვრული. ამავე დროს გაცხადებულია საუფლო სახლის საკრალური დანიშნულების სიმბოლური მნიშვნელობა, რომლის მიხედვით ტაძრის შიდა ეზოში შესვლა ოთხი სახარების შეგონებაა, ტაძრის სამი კარი - წმ. სამების აღიარება. თავად ტაძარი, საუფლო სახლი, მორწმუნეთა შესაკრები, კეთილი მწყემსის სამწყოსს - ცხვრების სადგომია. ტაძარი გემი - კიდობან - ხომალდია მორწმუნეთა სულების ზეციურ სასუფეველში გადასასვლელად აგებული. სასულიერო პირნი გემის გამცილებლებია, ვინც წარმართავს მრევლს ამ რთულ გზაზე. წმ. ნათლობის საიდუმლო ოცდაერთი წინასწარმეტყველის და თორმეტი მოციქულის თანადგომით ხორციელდება, რაც სანათლავის ზომებშია გაცხადებული.

წერილობითი წყაროების განხილვა ნათელყოფს, რომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების პირველ ეტაპზე, IV-V საუკუნეებში, ეკლესიის მოთხოვნა შეესაბამება ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპს და ეკლესიის მიერ მის დაკანონებას განაპირობებს, რასაც ფაქტობრივი მასალაც ადასტურებს. სიტუაცია იცვლება VI საუკუნიდან, როდესაც

იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქაში იგება მონუმენტური გუმბათიანი ნაგებობები, თუმცა ბაზილიკისათვის დამახასიათებელი წაგრძელებული გეგმარება და სამნაწილიანობა ძირითადად ძალაში რჩება (მაგ.: ე.წ. გუმბათიანი ბაზილიკის ტიპის ძეგლები). ამ დროიდანვე იწყება ტაძრის არქიტექტურულ სტრუქტურაში გუმბათის, როგორც შიდა სივრცის მთავარი მორგანიზებელი ელემენტის ფორმირების პროცესი (VI საუკუნის რუსაფა, ქასრ-იბნ-ვარდანი; VII საუკუნის დასასრულის ნიკეის მიძინების, VIII საუკუნის მირას წმ.ნიკოლოზის, IX საუკუნის ანკარის წმ. კლიმენტის ტაძრები). იკვეთება ტაძრის სტრუქტურის დახვეწა-გამარტივების ტენდენცია, რომელიც კონსტანტინეპოლში “ნეას” ტაძრის აგებით სრულდება. ახალი ე.წ. ჩახაზული ჯვრის ტიპი (იგივე cross domed, quincunx, cross in square) შემგომში გაბატონებულ ადგილს იმკვიდრებს აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში.

გუმბათიანი არქიტექტურის პრიორიტეტული მნიშვნელობა, უთუოდ, განპირობებული იყო ეკლესიის მიერ ღვთის სახლის მშენებლობის ახლებური გააზრებით, რაზეც მაქსიმე აღმსარებლის [ლოუტ, 1995; კეკელიძე, 1961:14-54; ავერინცივი, 1989:36-59] და გერმანე კონსტანტინეპოლელის [მანგო, 1972:141-143] ინტერპრეტაცია მეტყველებს, რომლის მიხედვით ეკლესია, ღვთის სახლი, განასახიერებს ზეციურ საუფლოს, კოსმოსს. მაქსიმე აღმსარებელთან ასევე ხილულ სამყარის და თვით ადამიანს, რომელიც საკრალური მნიშვნელობით მიკროკოსმოსს წარმოადგენს.

პატრიარქ გერმანესთან ეკლესია განასახიერებს ქრისტეს ჯვარცმას, მის საფლავს და აღდგომას; წინასწარმეტყველთა მიერ ნაწინასწარმეტყველები და თვით მოციქულთა დაარსებულისა; “მას უფრო მეტად ეთაყვანებიან ვიდრე მოსეს მოწმობის კიდობანს, რომელიც იყო მადლმოფენილი და წმიდა-თაწმიდა.”

ეკლესიის უმთავრესი წმინდა ადგილი, საკურთხეველი, მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით ადამიანის სულს, სამსხვერპლო ტრაპეზი – მის სულიერებას, ნაოსი სხეულს წარმოადგენს. გერმანეს მიხედვით საკურთხეველის აფსიდის კონქი განასახიერებს გამოქვაბულს, სადაც იშვა ქრისტე და იმავდროულად მაცხოვრის საფლავს – ანუ ქრისტეს ადამიანური ცხოვრების დასაბამსა და დასასრულს.

გერმანესთან საკურთხეველი ის წმინდა ადგილია, სადაც ქრისტე იყო დაკრძალული, “რომელზეც ძვეს ჭეშმარიტი პური ზეციური, მისტიკური და უსისხლო მსხვერპლი ანუ ქრისტე...” ამავე დროს ეს საიდუმლო სერობის მაგიდაა; “ტახტია, რომელზეც ღმერთი, ქერუბიმების მიერ ამალღებული განისვენებს.” ამგვარად, ტრაპეზი ქრისტეს წმინდა მსხვერპლშეწირვის იდეას განასახიერებს.

მაქსიმე აღმსარებელთან ეპისკოპოსის საკურთხეველში შებრძანება სიმბოლურად გაიაზრება ქრისტეს ზეცად ამალღებად, ეკლესიაში შებრძანება – ქრისტეს კაცად მოსვლად, ამბორი – სულის ღმერთთან შეერთებად.

კარნიზი სამყაროს წმინდა წესრიგის სიმბოლო და ჯვარცმული ქრისტეს გამოხატულებაა. ამბორი წმინდა საფლავის ქვაა, რომელზეც იჯდა ქრისტეს აღდგომის მაუწყებელი ანგელოზი და მენელსაცხებლე დედებს ამცნო ქრისტეს აღდგომა. ტაძრის გუმბათი ზეცას განასახიერებს და ზეციური საუფლოს სიმბოლოა.

ამრიგად, საეკლესიო ნაგებობის არქიტექტურული და სიმბოლური გააზრება IV-V საუკუნეებში საგრძნობლად განსხვავდება VII-VIII საუკუნეების ინტერპრეტაციისაგან. თუ ქრისტიანული ზუროთმოდგერების ფორმირების პირველ საუკუნეებში ის ძირითადად ტაძრის ცალკეულ ნაწილთა ფუნქციონალური დანიშნულების და მლოცველთა განაწილების რეგლამენტაციას ითვალისწინებს, ღვთის სახლს სამწყსოს სადგომად და ქრისტიანთა სულების სასუფეველში გადასასვ-

ლელ ხომალდად აღიქვამს; VII-VIII საუკუნეებში ამ პერიოდის თეოლოგიურ ხედვას ასახავს და რთულ, მრავალსახოვან ინტერპრეტაციას ეფუძნება. როგორც რ. კრაუტჰაიმერი მიუთითებს, სრულად ეს სიმბოლიკა, უთუოდ, მხოლოდ მცირერიცხოვან განსწავლულ პირთათვის იყო გასაგები, მაგრამ ძირითადი არსი ყველასათვის ნათელი იყო [კრაუტჰაიმერი, 1965:300]. IV-V საუკუნეებში სიმბოლური გააზრება ძირითადად საკრალური რიცხვების მნიშვნელობის განმარტებას ითვალისწინებს (სამი – სამების, ოთხი – ოთხი სახარების, თორმეტი – მოციქულთა და ოცდაერთი – წინასწარმეტყველთა რიცხვის მიხედვით). მაშინ, როდესაც VII-VIII საუკუნეებში საეკლესიო ნაგებობა სიმბოლური მნიშვნელობით კოსმოსს, ხილულ სამყაროს, ღვთის ხატს განასახიერებს და წმინდა მსხვერპლშეწირვის და ხსნის იდეას გამოხატავს [ჯაბუა, 2003:280-285]. შესაბამისად, IV-V საუკუნეებში გავრცელებული ბაზილიკის ნაცვლად, რომელიც იმ პერიოდის მოთხოვნებს მიესადაგებოდა, ბიზანტიისა და აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა გუმბათიან არქიტექტურას ენიჭება; გუმბათით დაგვირგვინებული ერთიანი ხალვათი სივრცე, უდაოდ, ბადებდა ეკლესიის ახალი მოთხოვნის, ქრისტეს მსხვერპლშეწირვის და ხსნის იდეით განმსჭვალული სამყაროს მთლიანობის განცდის შეგრძნებას.

წერილობითი წყაროების განხილვა ნათელყოფს, რომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირების საწყის ეტაპზე ეკლესიის მოთხოვნებს ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი შეესატყვისებოდა, რამაც განაპირობა მისი გავრცელება ადრექრისტიანული სამყაროს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანი მოღვაწეები ტერმინ ბაზილიკის ეტიმოლოგიის თავისებურ განმარტებას იძლევიან. სა-

ყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზილიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბაზილევსის ანუ მეფის სახლს. VII საუკუნის მოღვაწე ისიდორე ისპალინელი თხზულებაში “საწყისების და ეტიმოლოგიის შესახებ” განმარტავს, რომ ბაზილიკებს უწოდებენ ტაძრებს, რადგან აქ მსხვერპლს სწირავენ ყველას მეუფეს – ღმერთს. ამავე განმარტებას იზიარებენ შემდგომ საუკუნეებში ვალფრედ სტრაბონი (IX ს), ვინსენტი ბოვედან და დიურანტი (XIII ს) [პოკროვსკი,1880:3].

* * *

სამეცნიერო ლიტერატურაში ქრისტიანული ბაზილიკის წარმოშობის და მისი ფორმირების საკითხით დაინტერესება უკავშირდება ა. ცესტერმანის ნაშრომს “ანტიკური და ქრისტიანული ბაზილიკები” [ცესტერმანი, 1847], რომელმაც ქრისტიანული ბაზილიკის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით პოლემიკა გამოიწვია. მანამდე გაბატონებული აზრის [ალბერტი,1935] საპირისპიროდ, ცესტერმანი ქრისტიანულ ბაზილიკას დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს და ბერძნულ-რომაულ ბაზილიკებთან ყოველგვარ გენეტიკურ კავშირს გამორიცხავს. ავტორის აზრით ქრისტიანული ბაზილიკის ფორმა განსაზღვრა არა წარმართული ბაზილიკის მიბადვამ, არამედ, ქრისტიანული ღვთისმსახურების მოთხოვნებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული ბაზილიკის წინა პერიოდის არქიტექტურასთან გენეტიკური კავშირის მოძრე მეცნიერთა რიცხვი მეტი იყო. მათ შორისაა ი.მესმერი, რომელიც ნაშრომში “ბაზილიკის საწყისის განვითარებისა და მნიშვნელობის შესახებ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში” [მესმერი,1854], ქრისტიანულ ბაზილიკას წარმართულის ასლად განიხილავს. მისი აზრით პირველი ქრისტიანების მიერ შესაკრებად გამოყენებული რომაული სამოქალაქო ბაზილიკა

ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგომაც ტაძრის ფუნქციის შესასრულებლად სრულიად დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული.

ქრისტიანული ბაზილიკის გენეტიკური ფესვების ძიების თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა კრეიზერი [კრეიზერი,1859], რომელიც ეწინააღმდეგება ბაზილიკის ბერძნულ-რომაული არქიტექტურიდან წარმომავლობის იდეას და მას ეგვიპტისა და იუდეველთა ხუროთმოძღვრებას უკავშირებს. მისი მოსაზრებით ბაზილიკა ეგვიპტიდან იუდეველთა გავლით შემოვიდა ევროპაში და აქედან გამომდინარე ქრისტიანული ბაზილიკა ებრაულ-ეგვიპტურ ტიპს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე რომაულს.

ო. მოტესი ნაშრომში “ბაზილიკური ფორმა პირველი საუკუნეების ქრისტიანებთან, მისი პროტოტიპები და განვითარება” [მოტესი,1865] ბაზილიკას ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ფორმად მიიჩნევს და მაგალითად მოაქვს ისეთი განსხვავებული ხუროთმოძღვრული ტრადიციების ქვეყნების ძეგლები, როგორცაა ასურეთი, ფინიკია, ირანი, სირია (სასახლეები), ოსტ-ინდოეთი (კლდეში ნაკვეთი ტაძრები ე.წ. ვიგარები), იუდეა (სოლომონის სასახლე და ტაძარი, ჰეროდეს ტაძარი), საბერძნეთი (პართენონი), რომი და სხვ. ფაქტიურად, ბაზილიკის სახელით აერთიანებს სწორკუთხა გეგმარების სვეტებიან ნაგებობებს, რომლებთანაც, მისი აზრით, ქრისტიანული ბაზილიკის კავშირის მოძიება არის შესაძლებელი. თუმცა, თავად ქრისტიანულ ბაზილიკას ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მიერ შექმნილ ტიპად აღიარებს. ძირითადად იგივე აზრს იზიარებს ნ. კრასნოსელცევი [კრასნოსელცევი, 1874].

ქრისტიანული ბაზილიკის კონკრეტულ პროტოტიპებს ასახელებენ რებერი [რებერი,1859] და ვ.ვანგარტნერი [ვანგარტნერი,1858]. პირველი მათგანი, ძირითადად წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, რესპუბლიკის პერიოდის კერძო

სახლების ბაზილიკებს გამოყოფს, ხოლო მეორე იპეტრალურ ტაძრებს.

ქრისტიანული ბაზილიკის წარმოშობის საკითხს ეძღვნება ნ. პოკროვსკის მონოგრაფია [პოკროვსკი, 1880]. ავტორი ბაზილიკის სამშობლოდ მიიჩნევს საბერძნეთს და არა რომს, რაც უფრო მიღებული ითვლებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი აზრით თვით სახელწოდებაც ბაზილიკის ბერძნულ ფუძეზე მეტყველებს. თუმცა აღიარებს, რომ საბერძნეთთან შედარებით რომში მათი მშენებლობა უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. რაც შეეხება ქრისტიანული ტაძრის მშენებლობის საკითხს, ნ. პოკროვსკი მოიხსენიებს კარის ეკლესიებს, ანტიკურ საცხოვრებელ სახლს, რომელიც ქრისტიანთა დევნის პირობებში მათი შესაკრები ადგილი იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოიკოსზე, სახლის ყველაზე დიდ კოლონიებიან ოთახზე. საბოლოოდ კი დაასკვნის, რომ ქრისტიანული ბაზილიკა წარმოიშვა კარის ბაზილიკისაგან, ხოლო სამოქალაქო (forensis) ბაზილიკასთან, მხოლოდ მსგავსება აღინიშნება.

XX საუკუნეში ბაზილიკის წარმოშობის საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები ნაკლებად გვხვდება. აღსანიშნავია ფ. შმიდტის ნაშრომი [შმიდტი, 1933], სადაც ტერმინის ბერძნული წარმომავლობა დაფიქსირებული და განმარტებულია როგორც “სამეფო” (იგულისხმება დარბაზი). ბაზილიკა ავტორის მიერ გაიაზრება ნაგებობად, რომელიც აგებულია მეფის მიერ, მაგრამ არა მეფისათვის, არამედ მოქალაქეებისათვის და წარმოშობილია ანტიკური ქალაქის ქუჩისაგან, როგორც მისი უარყოფა. ფ. შმიდტის აზრით არ არსებობს წარმართული და ქრისტიანული ბაზილიკა, არსებობს საზოგადოებრივი ნაგებობის ტიპი, რომელიც ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურს ფორმათა დიალექტიკური განვითარებით პასუხობს.

ქრისტიანული ბაზილიკის გენეზისის საკითხის შესახებ თავის დამოკიდებულებას მეცნიერები ეხებიან ადრექრისტიანული არქიტექტურის განხილვისას. კ. ჰარტმანის აზრით [ჰარტმანი,1936] ქრისტიანული ბაზილიკა წარმოიშვა არქიტექტორთა წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტისას შეექმნათ ნაგებობა, რომელიც დაიტევდა მორწმუნეთა დიდ მასას და საშუალებას მისცემდა მრევლს თავისუფლად ეღვენებინათ თვალყური საეკლესიო ცერემონიალისთვის. მის საპირისპიროდ ო.შუაზი [შუაზი,1937], ჟ.ლასუსი [ლასუსი,1947] და ა.გრაბარი [გრაბარი,1946] ქრისტიანულ ბაზილიკას ანტიკურ არქიტექტურასთან კავშირში განიხილავენ. ჯ.ჟორდ პერკინსი [ჟორდ პერკინსი,1951: 69-90] იმპერატორის სასტუმრო დარბაზიდან ინსპირირებული ბაზილიკის ტიპის სტანდარტიზებას კონსტანტინე დიდის სახელს უკავშირებს.

გ. ჩუბინაშვილი გამოკვლევაში ბოლნისის სიონის შესახებ [ჩუბინაშვილი,1940] ანალიზებს რა ამ საკითხისადმი მიძღვნილ ზოგიერთ გამოკვლევას, აღნიშნავს ბევრ შემთხვევაში ქრისტიანული ბაზილიკის დამოუკიდებელ ტიპად აღიარების ფაქტს. ამასთან შეუძლებლად და უსარგებლოდ მიაჩნია ერთი ძირის ძიება, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი ტრადიციების თავისებურების პირობებში ქრისტიანული ტაძრის ტიპების ჩამოყალიბების პროცესი განსხვავებული გზით წარიმართა.

XX საუკუნის მეორე ნახევრის მკვლევართა ნაშრომებში ცალსახად აღარ დგას ქრისტიანული ბაზილიკის წინა პერიოდის არქიტექტურისაგან გამიჯვნისა თუ დაქვემდებარების საკითხი. ამასთან მრავალმხრივი ინფორმაციის, მეტი ფაქტობრივი მასალის ფლობის და მეცნიერული აზრის განვითარების პირობებში ხდება პრობლემის თავისებური გააზრება.

მ. გოუს [გოუს,1961] ქრისტიანული არქიტექტურის, ისევე როგორც ზოგიერთი ქრისტიანული წესის, წარმართული რელიგიიდან წარმომავლობა დასაშვებად მიაჩნია და ამ კონ-

ტექსტში საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული; მათ შორის ქრისტიანული ტაძრის ორიენტაციის შესახებ. მისი აზრით III საუკუნის დასასრულს ქრისტეს კულტი შეერწყა მზის კულტს, რომელიც თავის მხრივ იმპერატორის კულტს უკავშირდება. შესაბამისად, ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთისაკენ ორიენტაცია სწორედ ამ ტრადიციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

რ. კრაუტჰაიმერი [კრაუტჰაიმერი, 1965] ალადგენს ახ.წ. პირველ საუკუნეებში ქრისტიანთა კულტმსახურების და ყოფის სურათს. ქრისტიანული რიტუალის ჩამოყალიბებას II საუკუნეში ვარაუდობს, როცა შესაკრებ ადგილად გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულების შენობები: იუდეველთა სინაგოგები, დაქირავებული დარბაზები, კერძო სახლები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საგანგებოდ გამოყოფს სასადილო ოთახს – Triclinium-ს. III საუკუნის შუა წლებიდან, ქრისტიანების ქალაქთა მმართველობაში, იმპერატორის სასახლეში, სენატში შეღწევის შემდგომ, ვარაუდობს ე.წ. domus ecclesiae-თა მშენებლობას (მაგ.: დურა-ევროპოსის ეკლესია). კრაუტჰაიმერის აზრით, თანამედროვეთა თვალში ქრისტიანობის ოფიციალური აღიარების შემდეგ ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით აგებული ბაზილიკის სახით არ შექმნილა არაფერი ექსტრაორდინალური. თუმცა ის განიხილებოდა, როგორც სრულიად ახალი მონუმენტური შესაკრები დარბაზი, განკუთვნილი ქრისტიანული რელიგიის რიტუალისათვის.

ს. მანგო [მანგო, 1972, 1976] ბაზილიკას თვლის იმ არქიტექტურულ ტიპად, რომელიც სრულად პასუხობდა IV საუკუნის დასაწყისში არქიტექტორთა წინაშე დასმულ ამოცანას შეექმნათ პრივილეგირებული რელიგიის სტატუსში აყვანილი ქრისტიანული ეკლესიის მონუმენტური ტაძარი. ამდენად, ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მიერ საკუთარი მხატვრული ტრადიციების არარსებობის გამო ბუნებრივად მიაჩნია იმ დროს გავრცელებული ფორმების გამოყენება. ყუ-

რადღებას ამხავილებს იმ გარემოებაზეც, რომ ასეთი ნაგებობების მშენებლობის იმპულსი ცენტრალური მმართველობიდან მომდინარეობდა. ბაზილიკა, რომელიც ადრეც იყო გავრცელებული, განსაკუთრებით რომის დასავლეთ პროვინციებში, როგორც სამოქალაქო დანიშნულების საზოგადოებრივი შენობის ნაირსახეობა, არ გამოირჩეოდა დიდი სამშენებლო და კონსტრუქციული სირთულეებით, რამაც ახალ ვითარებაში მის ფართო გავრცელებას შეუწყო ხელი. იზიარებს რა პირველ ქრისტიანულ ბაზილიკად 313 წელს რომში აგებული ლათერანის წმ.იოანეს სახელობის ეკლესიის აღიარების მოსაზრებას, აღნიშნავს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს სახელთან ასოცირებული ერთადერთი შემორჩენილი ბაზილიკა 305-312 წლებში აგებული ტრირის ბაზილიკაა.

გ.ზარნეცკის [ზარნეცკი,1975] მიხედვით III საუკუნიდან ადრეული სატრაპეზო შეკრებები და ლოცვები გადაიზარდა რეგულარულ მსახურებაში, სადაც ეკქარისტიას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს გართულებული ცერემონიალი, რა თქმა უნდა, ვეღარ განხორციელდებოდა საცხოვრებელ სახლში. შესაბამისად, ჩნდება ე.წ. domus ecclesiae. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ დიდი სივრცის ნაგებობების აგების ტრადიციის უქონლობა არქიტექტორებს თავდაპირველად წარმართული ფორმებისაკენ უბიძგებს; თუმცა ხდება მათი შეთანხმება ახალ ქრისტიანულ კულტთან. შესაბამისად, რომაულ და ქრისტიანულ ბაზილიკებს შორის საერთო ნიშნების არსებობის მიუხედავად გ.ზარნეცკის ქრისტიანული ბაზილიკა თვისობრივად ახალ მოვლენად მიაჩნია.

ფ.დაიხმანი [დაიხმანი, 1982] კონსტანტინეს ხანის ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ-კონსტრუქციული წანამძღვრების წარმოჩენისას პრობლემების ფართო წრეს მიმოიხილავს. გაანალიზებულია რელიგიურ-იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური გარემო, რომელმაც ამ ეპოქის არქიტექტურული

ამოცანების ხასიათი განაპირობა. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით განსაზღვრულია ის არქიტექტურულ-კონსტრუქციული ფორმები და კომპოზიციური სქემები, მათ შორის ბაზილიკები, რომელთა ბაზაზე მოხდა ახალი მოთხოვნების მაღალმხატვრულ დონეზე განხორციელება. წარმოჩენილია კონსტანტინეს ეპოქის არქიტექტორთა დამსახურება, რომლებმაც მაქსიმალური სისრულით, დროის მცირე მონაკვეთში შეძლეს ამ ამოცანების ხორცშესხმა და საფუძველი ჩაუყარეს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარებას.

ე.ბადშტიუბნერი [ბადშტიუბნერი, 1978] ქრისტიანული საკულტო ნაგებობას ანტიკური ტაძრების საპირისპიროდ სივრცით არქიტექტურად გაიაზრებს. თუ წარმართული ტაძარი იყო ყველა მხრიდან აღსაქმელი პლასტიკური ფორმა, ღვთის სახლი, რომელშიც შესვლა იკრძალებოდა; ბაზილიკა, პირიქით, ქალაქის ნაგებობებს შორის მდგარ შესაკრებ სახლს წარმოადგენდა. რ. ჰამანის [ჰამანი, 1955] და ფ.კრაუსის [კრაუსი, 1967] დარად, ე.ბადშტიუბნერის აზრით, გვიანანტიკურ-რომაულ პერიოდში ამ არქიტექტურული ტიპის სწორედ ასეთმა აღქმამ განაპირობა მისი ქრისტიანული რელიგიისათვის გამოსადეგ, ღვთისმსახურების და მორწმუნეთა შესაკრებ ნაგებობად გააზრება. მკვლევარი უარყოფს საერო ხუროთმოძღვრებიდან ბაზილიკის წარმომავლობას და ეწინააღმდეგება ფ.დაიხმანისა და კ.ანდრეზენის [დაიხმანი, ანდრეზენი, 1974] ამ მოსაზრებას. იგი ისევე, როგორც ჰ.კელერი [კელერი, 1972], ყურადღებას ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურულ ნაწილთა სიმბოლურ გააზრებაზე ამახვილებს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილულ ნაშრომებში თითქმის ყველა მკვლევარი მიუთითებს რომაული და ქრისტიანული ბაზილიკების გენეტიკურ კავშირზე თუ არა მსგავსებაზე მანც. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ქრისტიანული, კერძოდ ბიზანტიის, არქიტექტურა, ტერიტორიული, ისტორიული თუ, საკუთრივ, სამშენებლო ტრადიციებით რომთან იყო

დაკავშირებული. რაც შეეხება ქრისტიანულ ბაზილიკას, ის, უპირველესად, სამწყსოს შესაკრები ადგილი, ე.ი. ხალხმრავალი აუდიტორიისათვის განკუთვნილი ნაგებობაა, ისევე, როგორც ძველი რომის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. მისგან განსხვავებით ანტიკურ ტაძარში ცერემონიალი არა შენობაში, არამედ ეზოში, ღია ცის ქვეშ იმართებოდა. ამ ნიშნით ქრისტიანულ ბაზილიკას მეტი საერთო რომის საერო და არა სატაძრო ხუროთმოძღვრებასთან ეძებნება.

ახალმა იდეოლოგიამ თვისობრივად ახალი ეტაპი შექმნა განსაკუთრებით საკულტო ხელოვნებასა და არქიტექტურაში. ბუნებრივია, ამ თავისებურებების ფორმირებას გარკვეული დრო დასჭირდა. ქრისტიანული ბაზილიკა ის არქიტექტურული ტიპი აღმოჩნდა, რომლის ჩამოყალიბება თვით ქრისტიანული ხელოვნების ფორმირების პროცესს დაემთხვა. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ამ არქიტექტურული ტიპის სტრუქტურაში ქრისტიანობამდელი არქიტექტურული ტრადიციების გავლენის არსებობა. ბაზილიკის, როგორც არქიტექტურული ტიპის სისადავე და ლაკონურობა, ამ სიმარტივეში დაფარული მრავალფეროვანი მხატვრული შესაძლებლობები, მის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს და ფართოდ გავრცელების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. ალბათ, ამ ფაქტორმა განაპირობა ბაზილიკის პროტოტიპების ძიება სხვადასხვა დროისა და ქვეყნის არქიტექტურაშიც. მართებული უნდა იყოს გ.ჩუბინაშვილის აზრი [ჩუბინაშვილი, 1940: 94-98] იმის შესახებ, რომ თავისი გავლენისა და ურთიერთკავშირის სფერო კონკრეტულ ძეგლს ან ძეგლთა ჯგუფს უნდა მოემდებნოს. თუმცა ზოგადად ქრისტიანული არქიტექტურისა და, კერძოდ, ქრისტიანული ბაზილიკის ბერძნულ-რომაულ ხუროთმოძღვრებასთან გარკვეული კავშირის არსებობა უდაოა.

ზემოთ აღნიშნული ნაშრომები აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ მათი ავტორების მიერ ქრისტიანული ბაზილიკის პროტოტიპების ძიებისას მოტანილ ფაქტობრივ მასალაში

უხვად ჩანს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურაში ქრისტიანობამდელი პერიოდის სწორკუთხა გეგმარების, სვეტებით დაყოფილი შიდა სივრცის მქონე ნაგებობები. ამგვარი არქიტექტურული კომპოზიციის, შესაბამისი სამშენებლო ტრადიციის არსებობა, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების პერიოდში ამ ქვეყნებში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის დამკვიდრების მყარ საფუძველს ქმნიდა.

საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები დღეისათვის განსხვავებულ სურათს იძლევა. ჯერჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობამდელი ხანის, ინტერიერში სვეტების მქონე რამდენიმე ნაგებობაა დადასტურებული, როგორცაა დედოფლის მინდორის ძვ.წ. II- I სს-ის სატაძრო კომპლექსი [გაგოშიძე, 1977:72-77], ვანის ძვ.წ. III- I სს-ის სატაძრო კომპლექსი [ლორთქიფანიძე, 1976:41-46], სადაც ტაძრის ინტერიერში *in situ* ორი ბაზა აღმოჩნდა. ყველაზე უკეთ სვეტებიანი ნაგებობის გეგმა იკითხება მცხეთის, არმაზის ციხის I საუკუნის ექვსსვეტიან ნაგებობაში [აფაქიძე, 1963:25]. განსაკუთებით საინტერესოა ჩვენს დრომდე კარგად შემორჩენილი ორსვეტიანი დარბაზი უფლისციხეში [ხახუტაიშვილი, 1965]. ამას გარდა სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია ოსტატურად შესრულებული კოლონათა ბაზები და კაპიტელები. ასეთია მაგალითად, ძალისას [ბოხოჩაძე, 1977:17], საირხის [ნადირაძე, 1975:95], შიომღვიმის [ლეჟავა, 1979:11], სარკინეთის [აფაქიძე, 1963: 39-40] და სხვა [ყიფიანი, 1987] გათხრებზე აღმოჩენილი მასალა. მაგრამ მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობა და იმ ნაგებობების გეგმა, რომლებსაც ისინი განეკუთვნებოდა, უმეტესად, უცნობია.

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა ამაგრებს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს [ჩუბინაშვილი, 1936: 23-24; ბერიძე, 1974:19; ციციშვილი, 1995:53] იმის შესახებ, რომ ქართულ არქიტექტურაში

ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი შემოტანილია. მთელი რივი ქრისტიანული ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში ბაზილიკის გავრცელებას ადგილობრივ არ დახვდა სწორკუთხა გეგმარების, მკაფიოდ გამოხატული სიგრძივი ღერძის მქონე სვეტებიანი ნაგებობის მშენებლობის ტრადიცია, რამაც, გარკვეულწილად, განსაზღვრა საქართველოში ბაზილიკის გავრცელებისა და ფორმირების პროცესის თავისებურება.

საქართველოში ბაზილიკების აქტიური მშენებლობის პერიოდი V-VI საუკუნეებია. ქართულ ხუროთმოძღვრებაში გუმბათიანი არქიტექტურის ფორმირების შემდეგ ბაზილიკის ტიპი კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას, რაც ოფიციალური რელიგიის მიერ ქრისტიანობის მიღების პირველ საუკუნეებში ჰქონდა მინიჭებული. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისაგან განსხვავებით გუმბათიანი არქიტექტურა ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებთან ორგანულ კავშირშია, რამაც ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მისი პრიორიტეტი და მნიშვნელობა განაპირობა. საქართველოში გუმბათიანი ეკლესიები რაოდენობრივადც ბევრად სჭარბობს ბაზილიკებს. თუ ბაზილიკების მშენებლობა ძირითადად XI საუკუნემდე გრძელდება, გუმბათიანი არქიტექტურა შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმთავრეს თემას წარმოადგენს და ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო შესაძლებლობების, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის არსებით საშუალებად გვევლინება.

ადგილობრივ არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებთან დაკავშირებული გუმბათიანი ხუროთმოძღვრებისაგან განსხვავებით ბაზილიკის, როგორც არქიტექტურული ტიპის, დამახასიათებელი ნიშნები არსებულ ტრადიციებს დაუპირისპირდა, რაც საქართველოში ბაზილიკის არსებობის ყველა ეტაპზე გამოვლინდა და მისი თავისებურებები განაპირობა. ამდენად, სწორედ ბაზილიკის, მთელ ძველ ქრისტიანულ სამ-

ყაროში გავრცელებული არქიტექტურული ტიპის, ადგილობრივ ნიადაგზე თავისებური გააზრების, ტიპის კონსტრუქციული თუ მხატვრული შესაძლებლობების ახლებურად გამოვლენის, დაკანონებული სქემიდან ყოველგვარი გადახრის წარმოჩენა იძლევა საშუალებას უკეთ დავინახოთ ქართული ხუროთმოძღვრების არსებითი თავისებურებანი.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების შედარებითი დანასიათება სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის საფუძველზე

ქართულ ხუროთმოძღვრებაში სამოცდაათამდე სამნავიანი ბაზილიკაა ცნობილი. გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალა, უთუოდ, არასრულია. შესაძლებელია ჯერაც უცნობი ძეგლების მიკვლევა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ახალი ბაზილიკების აღმოჩენა და რიგ ტაძრებში აღრეული სამშენებლო პერიოდის ბაზილიკის ნაშთების გამოვლენა.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების შესახებ არსებული მასალის სისტემური კვლევა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით განვახორციელებთ. საკვლევი სტრუქტურის რაობისა და ეტაპობრივი ცვლილების სათანადოდ წარმოსახენად ეს მეთოდი თითოეული ძეგლის შესახებ მონაცემების გარკვეული რაოდენობითა და სისრულით არსებობას ითვალისწინებს. ამასთან, აუცილებელი თუ არა სასურველია ყველა მონაცემი ფაქტობრივ-დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული. ამ მომენტის გათვალისწინებით, რიგი ძეგლების ცუდი დაცულობის, საფუძვლიანი გადაკეთების და მათ შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების სიმცირის გამო სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვა ორმოცდაორ ძეგლზე ჩატარდა. ამავე დროს შევეცადეთ კვლევის პროცესში კონკრეტული საკითხებისა თუ ტიპის ეტაპობრივი სქემის შედგენისას შეძლებისდაგვარად გაგვეთვალისწინებია დანარჩენი ძეგლების მონაცემები.

სტატისტიკურ-სტრუქტურალური აღრიცხვა ჩატარდა შემდეგ ძეგლებზე: ბიჭვინტა, ბოლნისი, მატანი, ნოქალაქევი, სეფიეთი, ციხისძირი, ძველი შუამთა, ნასტაკისი, ხაშში, ანჩისხატი, ალაჰაძე, ახშანი, განთიადი, ვაზისუბანი, ვაშნარი,

კონდოლი, ნატკორა, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა /ცხრილებში მოხსენიებულია სახელწოდებით – ორმოცმოწამეთა/, ურბნისი, უფლისციხე, ზირსა, რკონი, ზედაზენი, ალვანი, თიანეთის სიონი, რევაზაშენი, აკურა, ბოლბე, ქვაბისხევი, ჟალეთი, ყაზბეგის ახალციხე, ყველაანთუბანი, ხევის სიონი, ოთხთაეკლესია, პარხალი, ურთა, სანაგირე, კვირიკეწმინდა, ქლივანა, ჭარები, იტრია. ცხრილებში ძეგლების თანმიმდევრობა მოცემულია ქრონოლოგიის დაცვით. ერთსა და იმავე საუკუნეში აგებული ბაზილიკები ანბანის მიხედვით არის დალაგებული. თითოეულ ძეგლზე შედგა ბარათი საკითხთა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ძეგლის მდებარეობა.
2. ძეგლის თარიღი.
3. ძეგლის დაცულობა.
4. სამშენებლო პერიოდები. შეკეთება-გადაკეთების დრო და ხასიათი.
5. XX-XXI სს-ის რესტავრაცია.
6. ა/სამშენებლო მასალა. ბ/კედლის სისქე.
7. ძეგლის ზომები: სიგრძე-სიგანის მონაცემი და შეფარდება ექსტერიერსა და ინტერიერში. სიმაღლესთან შეფარდება.
8. შუა და გვერდითი ნაგებობის ურთიერთდამოკიდებულება /სიმაღლის და სიგანის შეფარდება/.
9. საყრდენები და თაღები. ა/რაოდენობა და ფორმა. ბ/თაღის და საყრდენის ზომების შეფარდება. გ/თაღის და საყრდენის სიმაღლეთა შეფარდება.
10. ნაგებობის გადახურვა. ა/კამარები. ბ/გამბრჯენი თაღები.
11. საკურთხეველის აფსიდა. ა/ფორმა. ბ/სატრიუმფო თაღის ფორმა და ზომები/. გ/შუბლი. დ/ბემა. ე/საკურთხეველსა და ტაძრის იატაკის დონეთა შორის სხვაობა, საფე-

- ზურების რაოდენობა. ვ/სამღვდელოების ჩამოსაჯდომი ქვის რივი. ზ/ქვის ტრაპეზე. თ/ნიშა.
12. პასტოფორიუმები. ა/გეგმარება. ბ/ შესასვლელის რაოდენობა.. გ/სათავსი მეორე სართულზე
 13. ბაზილიკაში შესასვლელი. ა/რაოდენობა, განლაგება. ბ/ფორმა. გ/მთავარი შესასვლელი.
 14. გალერეა, გარშემოსავლელი, კარიბჭე.
 15. სარკმლების რაოდენობა, განლაგება და ფორმა.
 16. ინტერიერის განათების ინტენსივობა და ხასიათი. ღიაღების და ინტერიერის ფართობთა შეფარდება.
 17. ა/სვეტიცთავი. ბ/იმპოსტი. გ/ბაზა. დ/ინტერიერის მორთულობის ელემენტები.
 18. შიდა სივრცის გადაწყვეტის ხასიათი.
 19. ინტერიერის და ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულება.
 20. სხვა ბაზილიკებისაგან განმასხვავებელი თავისებურებები.

სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვა ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო არ ჩატარებულა შემდეგ ძეგლებზე: არეში [ჭილაშვილი,1991], ერუშეთი [თაყაიშვილი, 1902], მცხეთის სვეტიცხოველი [ცინცაძე,1987:15-26], ნიქოზი [მეფისაშვილი, ცინცაძე,1975:11-13], ცაიში [ზაქარაია,1956], აკაურთა [რჩეულიშვილი,1943:27-46], ნუნისი, წყაროსთავი [თაყაიშვილი,1902:45-51;ბერიძე,1981:183-185], წილკანი [ჩუბინაშვილი ნ.,1972:70-75], თელავის ღვთაება [ჩუბინაშვილი, 1959:67], ზღუდერი [რჩეულიშვილი, 1943:27-46; ნუცუბიძე, 1987:20-23] კურდღელაური, თი-ქილისა [თაყაიშვილი,1913; ჩიქოვანი,1976] მოსაბრუნე, კორინთა, ლოპოტისხევი (ამ ხუთი ძეგლის პასპორტი ინახება საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდში), ესბეკი [ჯობაძე,1992:47-48], პარეხთა [ჯობაძე,1992:49-53], ქობთავი [ციციშვი-

ლი,1982:55], ზედა თმოგვი [გვერდწითელი,1947;ჩუბინაშვილი ნ.,1976:59-60], სვეტი [ხოშტარია, 1994:51-53], ილემი [ბერიძე,1994:166-168], ნოსტე [ბერიძე,1994:123-124], მუკუზანის სვეტიცხოველი, სიფთაქშენი, (ამ ორი ძეგლის პასპორტი ინახება საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდში), ღრმაღლე [სადრაძე,2003; ჯაბუა,2007]. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ბაზილიკის არსებობა ივარაუდება ატენის სიონის და სამთავროს ტაძრებში [ყიფიანი, 2003:21-37]. შესაძლებელია ამგვარი ვითარება სხვა ძეგლებშიც დადასტურდეს.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით მოძიებული მასალა თანმიმდევრულად განიხილება ჩამოთვლილი საკითხების მიხედვით. მასალის სისტემური კვლევის და თვალსაჩინოების მიზნით შედგენილია თოთხმეტი ცხრილი. თითოეული საკითხის შესახებ მონაცემების გაანალიზება საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის რაობის, მისი მახასიათებლების, ხუროთმოძღვრული ფორმების თუ პროპორციების სახეცვლის ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

1. სამნავიანი ბაზილიკების ადგილმდებარეობა.

აღრიცხული 42 სამნავიანი ბაზილიკიდან 31 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. კახეთის რაიონებშია 13 ძეგლი – ძველი შუამთა, კონდოლი, ნატკორა (თელავის რ-ნი), ვაზისუბანი, სანავირე (გურჯაანის რ-ნი), მატანის ცხრაკარა, ალვანი, ახშანი (ახმეტის რ-ნი), ხაშმი, აკურა (საგარეჯოს რ-ნი), ხირსა, ბოდბე (სიღნაღის რ-ნი). ქართლში 10 ბაზილიკაა – ურბნისი, უფლისციხე, ყვალაანთუბანი, ვერე (გორის რ-ნი), ნასტაკისი, ზედაზენი (მცხეთის რ-ნი), ბოლნისის სიონი (ბოლნისის რ-ნი), რევაზაშენი (ღმანისის

რ-ნი), რკონი (კასპის რ-ნი), იტრია (ხაშურის რ-ნი), ანჩის-ხატი (თბილისი). შიდა ქართლშია ჭარები და ქლივანა (ცხინვალის რ-ნი). ამას გარდა მთიან რეგიონებშია თიანეთის სიონი (გადმოტანილია თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში), ჟაღეთი (თიანეთის რ-ნი), ხევის სიონი, ყაზბეგის ახალციხე (ყაზბეგის რ-ნი). ისტორიულ თორში, ბორჯომის რაიონში მდებარეობს ქვაბისხევის ბაზილიკა.

დასავლეთ საქართველოში 9 ბაზილიკაა: ბიჭვინტა, განთიადი, ალაჰაძე (გაგრის რ-ნი), ციხისძირი (ქობულეთის რ-ნი), სეფიათი (აბაშის რ-ნი), ნოქალაქევის ორი ბაზილიკა (სენაკის რ-ნი), ვაშნარი (ოზურგეთის რ-ნი), კვირიკეწმინდა (ამბროლაურის რ-ნი).

თურქეთის ტერიტორიაზეა ურთას, ოთხთაეკლესიის და პარხალის ბაზილიკები.

25 ბაზილიკიდან, რომელთა სტატიისტიკურ-სტრუქტურალური აღრიცხვა არ მოხერხდა, აღმოსავლეთ საქართველოში 16 ძეგლია: კახეთში – არეში (ყვარლის რ-ნი), თელავის ღვთაება, ლოპოტისხევი, კურდღელაური (თელავის რ-ნი), ქობთავი (საგარეჯოს რ-ნი), მუკუზანის სვეტიცხოველი (გურჯაანის რ-ნი); ქართლში – მცხეთის სვეტიცხოველი, წილკანი (მცხეთის რ-ნი), აკაურთა (ბოლნისის რ-ნი), ნიქოზი (ცხინვალის რ-ნი) მოსაბრუნე, კორინთა (ახალგორის რ-ნი), ზღუდერი, ნოსტე (კასპის რ-ნი), სიფთაქმენი, (მარნეულის რ-ნი), თი-ქილისა (წალკის რ-ნი).

სამხრეთ საქართველოში, ასპინძის რაიონშია ზედა თმოგვი. დასავლეთ საქართველოშია ნუნისი (ხარაგოულის რ-ნი), ღრმაღელე (ლანჩხუთის რ-ნი), ილეში (ზესტაფონის რ-ნი).

თურქეთის ტერიტორიაზეა ერუშეთის, წყაროსთავის, ესბეკის, პარეხთას, სვეტის ბაზილიკები.



შავი
 ზღვა

ამრიგად, ჩვენთვის ცნობილი 68 ბაზილიკიდან აღმოსავლეთ საქართველოში 46 ძეგლია, ხოლო დასავლეთ საქართველოში 12. ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოში სამნავიანი ბაზილიკები თითქმის ოთხჯერ სჭარბობს დასავლეთისას. ამას გარდა თორ-მესხეთში 2 და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე 8 ბაზილიკაა. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტად არის გავრცელებული.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების ადგილმდებარეობის შესახებ ნათელ წარმოდგენას ქმნის რუკა, რომელზეც აღრიცხული ორმოცდაორი სამნავიანი ბაზილიკაა აღნიშნული.

2. სამნავიანი ბაზილიკების ქრონოლოგიური მონაცემები.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის ქრონოლოგიური მონაცემები პირველ ცხრილშია წარმოდგენილი (იხ. ცხრილი №1). V-VII საუკუნეებს განეკუთვნება 36 ბაზილიკა, ხოლო მომდევნო საუკუნეებში 32 ძეგლი აიგო. ამათგან XI საუკუნის შემდგომი ხანისაა 7 ბაზილიკა.

საქართველოში ბაზილიკების მშენებლობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძირითადად V-X საუკუნეებით შემოისაზღვრება. X საუკუნის შემდგომ ერთეული ძეგლები იგება. ქრონოლოგიური ცხრილი ცხადყოფს, რომ სამნავიანი ბაზილიკების აქტიური მშენებლობის პერიოდი V-VI საუკუნეებია. თუ გავითვალისწინებთ ატენის სიონსა და სამთავისში ბაზილიკების არსებობის ვარაუდს, აგრეთვე ადრეული სამშენებლო ფენების გამოვლენის შესაძლებლობას სხვა ძეგლებშიც, დასაშვებია ამ პერიოდის ბაზილიკების რიცხვი მეტი იყოს.

სამნავიანი ბაზილიკების ქრონოლოგიური და ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი მონაცემების შეჯერება წარმოაჩენს, რომ ქართლ-კახეთის ძეგლების უმრავლესობა VII საუ-

კუნემდეა აგებული, ხოლო მთიანი მხარის (თიანეთის, ყაზბეგის, ცხინვალის რაიონის) ძეგლები მომდევნო ხანისაა. დასავლეთ საქართველოს ყველა ძეგლი V-VI სს განეკუთვნება. გამონაკლისია რაჭაში მდებარე XI-ის კვირიკეწმინდა და XVI-XVII სს ილემი, რომელიც ზესტაფონის რაიონში მდებარეობს.

ამრიგად, შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ადრეულ ეტაპზე ბაზილიკების მშენებლობა ცენტრალურ რეგიონებში მიმდინარეობდა, ხოლო VIII საუკუნიდან პერიფერიებისაკენ იშლება. VII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძეგლები ერთეული გამონაკლისის გარდა აღარ იგება.

3. ძეგლების დაცულობა.

აღრიცხული სამნავიანი ბაზილიკების დაცულობის შესახებ ინფორმაცია №2 ცხრილშია მოცემული. დაცულობის დონის დასაფიქსირებლად გამოყენებულია მოკლე პირობითი აღნიშვნა (ცუდი, კარგი, გეგმა იკითხება, ნაწილობრივი დაზიანება, კამარებჩამოქცეული), რაც მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს ძეგლების მდგომარეობას. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ვინაიდან ამ შემთხვევაში გვანტერესებს ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის დადგენა, დაფიქსირებულია ძეგლების დღევანდელი არქიტექტურული სახის დაცულობის დონე. შესაბამისად, გადაკეთებულ ბაზილიკებში აღნიშნულია ნაგებობის ახლანდელი მდგომარეობა და არა თავდაპირველი ფორმების დაცულობის ხარისხი.

ორმოცდამეორი ძეგლიდან, რომლებზეც ჩატარდა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვა, შვიდი არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის გამოვლენილი და მათი მხოლოდ გეგმა იკითხება. კედლის სიმაღლე ცალკეულ შემთხვევაში 0,5-დან 1 მეტრამდე აღწევს. ამ ძეგლებიდან დასავლეთ სა-

ქართველოშია ხუთი – ბიჭვინტა (გაითხარა 1952 წელს ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმ. ააფაქიძე), ნოქალაქევი (გაითხარა ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1975-77წწ, ხელმ. პ.ზაქარაია), ციხისძირი (გაითხარა 1961-62წწ. საქ. მეცნ. აკადემიის აჭარის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ), ვაშნარი (გაითხარა 1949 წელს საქ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმ. გ.გობეჯიშვილი), ალაჰაძე (გაითხარა 1970-71წწ. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმ. ააფაქიძე), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოშია ორი – ნასტაკისი (გაითხარა 1980-82 წწ. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმ. აღ.ბოხოჩაძე) და უფლისციხე (გაითხარა 1957 წელს საქ, მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ხელმ. ნ. ჩუბინაშვილი).

დანარჩენი 35 ბაზილიკიდან 19 ძეგლი (ბოლნისის სიონი, ძეგლი შუამთა, მატანი, ანჩისხატი, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, ურბნისი, ხირსა, რკონი, ზედაზენი, აკურა, ბოლბე, ქვაბისხევი, რევაზაშენი, ყაზბეგის ახალციხე, ხევის სიონი, ოთხთაეკლესია, პარხალი, ურთა, იტრია) შედარებით კარგად არის დაცული. აღსანიშნავია, რომ დღეს ყაზბეგის ახალციხის და ურთას ბაზილიკებში შუა ნავს ხის მასალით შესრულებული გადახურვა აქვს. ნაწილობრივი დაზიანება აღინიშნება შვიდ ძეგლზე. ესენია: სეფიეთი, ხაშმი, ახშანი, ვაზისუბანი, კონდოლი, ალვანი, სანაგირე. დანარჩენი ბაზილიკები ცუდად არის შემორჩენილი, თუმცა მათი მდგომარეობაც განსხვავებულია. უმეტეს ძეგლებში დაზიანებულია გადახურვის სისტემა, კამარები და თაღები, რაც ნაგებობების შემდგომი ნგრევის უპირველესი მიზეზი გახდა. კამარები ჩამოქვეულია შვიდ ბაზილიკაში (განთიადი, თიანეთის სიონი, ჟალეთი, ვე-

რე, კვირიკეწმინდა, ქლივანა, ჭარები). ამიტომ ამ ძეგლების ინტერიერის თავისებურების და ზოგიერთი არქიტექტურული ფორმის ზუსტად დადგენა ძნელია და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელი. გამონაკლისია კვირიკეწმინდა, რომელიც 1990 წლის მიწისძვრის დროს დაინგრა, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია არსებობს. აღნიშნულ ძეგლებში შედარებით უფრო დაზიანებული სახითაა შემორჩენილი ნატკორას, ყველაანთუბნის ბაზილიკები.

ამრიგად, საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების დაცულობის დონე უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა ძეგლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რაც ართულებს ბაზილიკების არქიტექტურული გადაწყვეტის თავისებურებათა გამოვლენას და შესწავლას.

4. სამშენებლო პერიოდები. გადაკეთება-შეკეთების დრო და ხასიათი.

სამნავიანმა ბაზილიკებმა დროთა ვითარებაში ცვლილებები განიცადა არა მხოლოდ დაზიანების, არამედ გადაკეთებისა და შეკეთების შედეგად. (იხ. ცხრილი №2).

ძეგლის გადაკეთება ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული მიზეზებით იყო განპირობებული. ზოგადად შეიძლება სამი ძირითადი მიზეზი დავასახელოთ: 1. ძეგლის დანრევის შემდგომ მისი აღდგენა-გადაკეთება. 2. დამატებითი სათავსების მიშენება. 3. შიდა სივრცის დანაწევრება ახალი კედლის აგების ან თაღების ამოშენების გზით.

შეკეთების კვალი ჩვენს მიერ აღრიცხულ თითქმის ყველა ძეგლზე ჩანს. შეკეთება ზოგჯერ სცილდება უბრალო რემონტის ფარგლებს და ნაგებობას სახეს უცვლის. ზოგადად ეს ცვლილებები სამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ: 1. ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის გაძლიერებისათვის წარმოებული სამუშაოები (კედლების, საყრდენების, თაღების

გამაგრება და სხვ.) 2. ღიობების ზომის და მათი რაოდენობის შეცვლა. 3. ინტერიერში ახალი მცირე არქიტექტურული ფორმის აგება (კანკელი, სახატე და სხვ.).

თავდაპირველად განვიხილოთ ბაზილიკის გადაკეთების მაგალითები.

ხუროთმოძღვრული ძეგლის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაკეთება მისი პირვანდელი არქიტექტურული ტიპის შეცვლაა. დადასტურებულია ბაზილიკის გუმბათიან ეკლესიად გადაკეთების რამდენიმე მაგალითი: მცხეთის სვეტიცხოველი, ნიქოზი, ცაიში, წილკანი, წყაროსთავი, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, ხირსა. სავარაუდოდ, ატენის სიონი და სამთავრო. გეზვდება ბაზილიკის არაგუმბათიან ტიპებად გადაკეთების მაგალითებიც: ნასტაკისი, ზღუდერი, აკაურთა, მუკუზანის სვეტიცხოველი. პირველი ორი სამეკლესიოან ბაზილიკად, ხოლო დანარჩენი ორი დარბაზულ ეკლესიად იყო გადაკეთებული. ჩვენთვის ცნობილ ყველა სხვა შემთხვევაში ბაზილიკის დანგრევა-დაზიანების შემდეგ მისი აღდგენა თავდაპირველი არქიტექტურული ტიპის ფარგლებში მოხდა.

გადახურვის სისტემის (კამარები, საყრდენები, თაღები) დაზიანების შემდეგ აღდგენილია ბოლნისის სიონი, სეფიეთი, ანჩისხატი (შეცვლილია საყრდენების რაოდენობა), ურბნისი, რკონი, ბოდბე, ყაზბევის ახალციხე. ამათგან ოთხ ძეგლში (ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ურბნისი, ბოდბე) აღდგენა-გადაკეთება XVII საუკუნეში განხორციელდა, რაც ნათლად ვლინდება როგორც მასალის (აგური), ასევე არქიტექტურული ფორმების (შეისრული) გადაწყვეტაში. როგორც ჩანს XVI-XVIIსს-ში აღადგინეს კურდღელაურის ეკლესიაც, რომელსაც სარემონტო სამუშაოები XIX საუკუნეშიც ჩაუტარდა. ამ დროს მოხდა ღიობების გაფართოება. XIX საუკუნეშივე აღდგენილი თი-ქილისას ბაზილიკა. ამავე საუკუნეში ჩატარდა სამუშაოები ანჩისხატის, ბოდბის და იტრიის ბაზილიკებში.

საქართველოში დადასტურებულია გუმბათიანი ეკლესიის ბაზილიკად გადაკეთების შემთხვევებიც; მაგალითად, ვალეს [მეფისაშვილი,1950:25-52], შიომღვიმის მიძინების სახელობის ტაძრის [ჩუბინაშვილი,1970:51-80], ლურჯი მონასტრის [ბერიძე,1948] ეკლესიებში. მრავალჯერადი გადაკეთების, შემდეგ ასევე ბაზილიკის სახე მიიღო დერჩის [ბერძენიშვილი,... 1983,55-58] და შემოქმედის მაცხოვრის სახელობის [ბერიძე,1994,172-176] ეკლესიებმა.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით მინაშენები 14 ბაზილიკასთან აიგო. აქედან 10 ბაზილიკას (ძველი შუამთა, მატანი, სეფიეთი, ხაშმი, განთიადი, რკონი, აკურა, თიანეთის სიონი, ზედაზენი, პარხალი) IX-XVI სს-ში კარიბჭე მიაშენეს. ახშანის, არემის ბაზილიკებში გარშემოსავლელი აიგო. მცირე სამლოცველოები აშენდა ბოლნისის აღმოსავლეთ და ნოქალაქევის ორმოცმოწამეთას ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მინაშენების კვალი გამოვლინდა ანჩისხატის, ნასტაკისის, ურბნისის, ნატკორას,ხევის სიონის ბაზილიკებში, რომელთა ნაწილი, უთუოდ, თავდაპირველი სამშენებლო პერიოდისაა. ამგვარად, უმეტეს სამნავიანი ბაზილიკებში ეკლესიაში შესასვლელის წინ სპეციალური სადგომის მოწყობის საკითხი ძველის აგების თანადროულად ან შემდგომ ხანაში გადაწყდა.

შიდა სივრცის დანაწევრება რამდენიმე ბაზილიკაში განხორციელდა. პასტოფორიუმები ძველის აგების შემდგომ მოეწყო ორ ძველში – ხაშმის ბაზილიკაში VII-VIII სს-ში, ხოლო ახშანის ბაზილიკაში მხოლოდ XV-XVI სს-ში. თავდაპირველი თაღები ამოაშენეს სეფიეთის (ორ სართულად განლაგებული თაღების უმრავლესობა), ახშანის (აღმოსავლეთი კიდურა თაღები), კონდოლის (სამხრეთ ნაპი გამავალი თაღები, რის გამოც ეს ნაპი მთლიანად იზოლირებულია), ნატკორას (დასავლეთი კიდურა თაღი) ბაზილიკებში. ამგვარად, ბაზილიკის ერთიანი, მხოლოდ საყრდენებით გაყოფილი სივ-

რცე ამ ძეგლებში თაღების ამოშენებისას კედლებით დანაწევრდა, რამაც შეცვალა ინტერიერის გადაწყვეტის ხასიათი.

რაც შეეხება ძეგლების შეკეთებისას განხორციელებულ არსებით ცვლილებებს, აღსანიშნავია ხაშმის ბაზილიკაში ნაწილობრივ დადაბლებული თაღები, თუმცა მათი თავდაპირველი ფორმა ნათლად იკითხება. განთიადის ბაზილიკაში შუა ნავის კამარის აღდგენისას საყრდენების გასამაგრებლად პილასტრებია მიშენებული. ხევის სიონში დავიწროვებულია კიდურა დასავლეთი თაღები. უმეტეს ბაზილიკებში საყრდენის და თაღის პირვანდელი ფორმა შენარჩუნებულია.

თავდაპირველი სახით ყველა ღიობი თითქმის არც ერთ ძეგლში არ არის შემორჩენილი. ხშირ შემთხვევაში სარკმლების ფორმა და რაოდენობა შეცვლილია ან ისინი გადაკეთების დროსაა გაჭრილი. XVII საუკუნის ხანის სარკმლებია ბოლნისის სიონის, ნაწილობრივ ანჩისხატის, ურბნისის, ბოდბეს ბაზილიკებში. გადაკეთების კვალი ეტყობა სეფიეთის, ხაშმის, კონდოლის, რკონის, ალვანის სარკმლებს. შესასვლელის პირვანდელი სახეც უმეტესად შეცვლილია. ზოგიერთ ძეგლში ახალი კარია გაჭრილი (მაგალითად ბოლნისის სიონის და ზედაზენის დასავლეთი შესასვლელი, მატანის ჩრდილოეთი სათავსიდან საკურთხეველში გამავალი კარი, ახმანის სამმაგი თაღედის ამოშენებისას გაჭრილი შესასვლელი). ძველი ფორმა, უმეტესად, საკურთხევლის სარკმელს აქვს შენარჩუნებული. ამგვარად, სამნავიან ბაზილიკებში ღიობების თავდაპირველი ფორმის და რაოდენობის გარკვევა საკმაოდ რთულია. თავისთავად ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ღიობების საკითხი შეკეთება-გადაკეთების დროს აქტუალური იყო.

ძეგლის აგების შემდგომი პერიოდის კანკელი და სახატეები რამდენიმე ბაზილიკაშია დადასტურებული. კანკელი შემორჩენილია ძვ. შუამთის, მატანის, აკურას, ალვანის და ზედაზენის ეკლესიებში. ნაშთები სხვა ძეგლებშიც არის და-

დასტურებული. ეს კანკელები XV-XVI საუკუნეებისაა. მხატვრული დონით გამოირჩევა ნატკორას და ზედაზნის კანკელები. პირველი მათგანის ფრაგმენტები გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოჩნდა და გამოთქმულია ვარაუდი, რომ შეიძლება ძველის თანადროული იყოს [გაგანიძე, 2005:394]. რაც შეეხება ზედაზნის კანკელს, ის თარიღდება X-XI სს-ით და ქვაზე კვეთის მაღალმხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს. XVIII საუკუნის სახატეები და სალხინობელია დაცული ხაშმის ბაზილიკაში.

ამრიგად, სამნავიანი ბაზილიკები უცვლელი სახით ფაქტიურად არ არის შემორჩენილი; საუკუნეების განმავლობაში მათ გადაკეთებისა თუ შეკეთების შედეგად სხვადასხვა სახის ცვლილება განიცადეს.

5. XX-XXI საუკუნეების რესტავრაციები.

აღრიცხული ორმოცდარი ბაზილიკიდან თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებზე XX-XXI საუკუნეებში რესტავრაცია არ ჩატარებულა. დანარჩენი 39 ბაზილიკიდან სა-რესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა (იხ. ცხრილი №2) 21 ძეგლზე: ბოლნისის სიონი, ძველი შუამთა, მატანი, სეფიეთი, ანჩისხატი, განთიადი, ვაზისუბანი, ორმოცმოწამეთა, ურბნისი, ხირსა, რკონი, ზედაზენი, ალვანი, რევაზაშენი, ბოდბე, ქვაბისხევი, აკურა, ბოდბე, ჟალეთი, ხევის სიონი, კვირიკეწმინდა. უნდა ითქვას, რომ ამათგან ზოგიერთი ისევ მოითხოვს გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას, ხოლო კვირიკეწმინდა 1991 წლის მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ბიჭვინტის, ნოქალაქევის, ვაშნარის, ცინისძირის, ალაჰადის, ნასტაკისის, უფლისციხის ბაზილიკებში არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის პერიოდში ჩატარდა საკონსერვაციო სამუშაოები.

თიანეთის სიონი გადმოტანილია თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში. გაიწმინდა ვერეს ბაზილიკა, თუმცა საჭიროებს გამაგრებას. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ შედგენილი რესტავრაციის პროექტებით დაწყებული იყო სამუშაოები ხაშმის და სანაგირეს ბაზილიკებში, რომლებიც აღარ გაგრძელებულა. ნატკორა 2002 წელს გაიწმინდა. ახშანი, კონდოლი, ყველაანთუბანი, ყაზბეგის სიონი, კვირიკეწმინდა, ქლივანა, ჭარები გაწმენდასა და გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს.

6. ა/სამშენებლო მასალა. ბ/კედლის სისქე.

ა/საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების ძირითადი საშენი მასალა არის ქვა. გამოიყენება როგორც კარგად გათლილი, ასევე უხეშად დამუშავებული ქვა; გარდა ამისა რიყის ქვა და აგური. გამონაკლისია ნასტაკისის ბაზილიკა, რომელიც ალიზით არის ნაგები.

აღრიცხული ორმოცდარი ბაზილიკიდან კარგად გათლილი ქვის კვადრებით ნაგებია 11 ძეგლი – ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ურბნისი, რკონი, თიანეთის სიონი, ხევის სიონი, ვერე, ოთხთაეკლესია, პარხალი, ურთა, იტრია. უხეშად დამუშავებული ქვით ნაგებია 6 ძეგლი – ბიჭვინტა, ქვაბისხევი, რევაზაშენი, ყაზბეგის ახალციხე, ყველაანთუბანი, ქლივანა. ორი სახის საშენი მასალა გამოიყენება 17 ბაზილიკაში: ქვა და აგური 7 ძეგლში (ნოქალაქევი, ციხისძირი, სეფიეთი, განთიადი, ვაშნარი, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, ალაჰადე); რიყის ქვა და შირიმის 7 ბაზილიკაში (ძველი შუამთა, ახშანი, ვაზისუბანი, კონდოლი, ნატკორა, ხირსა, ჟალეთი, სანაგირე); კირქვა და შირიმის კვირიკეწმინდაში. სამი სახის საშენი მასალა – ფლეთილი ქვა, რიყის ქვა და თლილი ქვა 4 ბაზილიკაში (მატანი, ხაშმი, ალვანი, ჭარები); ხოლო რიყის ქვა,

შირიმი და აგური – 2 ძეგლში (სანაგირე, აკურა). საშენი მასალის მრავალფეროვნებით გამოირჩევა ზედაზენის ბაზილიკა, რომელიც ნაგებია რიყის ქვით, შირიმით, ფლეთილი ქვით და აგურით. აღსანიშნავია, რომ უახლესი სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა, რომ IX საუკუნის ბოლოს ბაზილიკა “აგურის არქიტექტურის” ნიმუშს წარმოადგენდა. აგებულია 27X27X6, 26X26X6, 24X24X6 ზომის აგურით. შირიმის ქვა სარკმელთა თაღებზეა ნახმარი [ჩაჩხუ-ნაშვილი, 2005:68].

საქართველოს ბაზილიკების მშენებლობისას გამოყენებული აგური, ისევე როგორც ბოღბეში, დიდი ზომისაა (მაგ.: 28X28X5). სხვადასხვა ზომის და ფორმის აგურია ნახმარი აკურას ბაზილიკაში (38X26X10, 29X29X8, 34X26X8). XV-XVI საუკუნეების და განსაკუთრებით XVII საუკუნის რემონტისას აგური უფრო მომცრო ზომისაა (მაგ.: 23X23X4). სხვა პერიოდებში ბაზილიკების შეკეთების დროს უფრო ხშირად იმავე მასალას იყენებდნენ, რითაც ძეგლი იყო აგებული.

ერთი რეგიონის ბაზილიკები საშენი მასალის მხრივ მსგავსებას ამჟღავნებს. ეს ბუნებრივია, რადგან ქვის საბადოს ან საშენი მასალის ტრანსპორტირების ერთნაირი პირობები გარკვეული მასალის პრიორიტეტს და სამშენებლო ტრადიციის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

კახეთის ბაზილიკებში, ისევე, როგორც საერთოდ კახეთის არქიტექტურაში, რიყის ქვა ძირითადი საშენი მასალაა. მასთან ერთად თაღის, იმპოსტის, პილასტრის და სხვა არქიტექტურული დეტალებისათვის უმეტესად შირიმი გამოიყენება. ამას გარდა, ზოგიერთ ძეგლში ფლეთილი ქვაა ნახმარი. ამდენად, რიყის ქვის, როგორც ძირითადი საშენი მასალის, სპეციფიკიდან გამომდინარე, კახეთის ძეგლებს მასალის მრავალგვარობა ახასიათებს.

ქართლის ბაზილიკები ქვის კვადრებით არის ნაგები. უმეტესად გამოიყენება კირქვა, ქვიშაქვა და ტუფი. VIII საუ-

კუნიდან უფრო ხშირად იხმარება უხეშად გათლილი ქვები. მთიანი რეგიონის ძეგლები ქვით ან შერეული მასალითაა ნაგები.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების მშენებლობისას შერეული მასალა – ქვა და აგური გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ რიგ ძეგლებში გვხვდება ე.წ. opus mixtum წყობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის არ არის დამახასიათებელი. გამონაკლისია სანაგირეს აღმოსავლეთი ფასადი.

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ბაზილიკები კარგად გათლილი ქვის კვადრებით არის მოპირკეთებული. საგულისხმოა, რომ ოთხთაეკლესიაში დადასტურებული opus mixtum წყობა.

ბ/ ბაზილიკების კედლის სისქის მონაცემები №3 ცხრილშია მოცემული. მონაცემების გაცნობა ნათელყოფს, რომ კედლები საკმაოდ სქელი, საშუალოდ 1 მეტრის (0,75-1,30მ) სიგანისაა. ამასთან, ბაზილიკებში ქრონოლოგიურად კედლის სისქის შემცირების ტენდენცია აღინიშნება, რაც ძეგლების ზომების შემცირებას ემთხვევა. თუმცა გვხვდება ზოგიერთი გამონაკლისი.

7. ძეგლების ზომები. სიგრძე-სიგანის შეფარდება ექსტერიერში და ინტერიერში, სიმაღლესთან შეფარდება.

№3 ცხრილში მოცემულია აღრიცხული ბაზილიკების ზომები როგორც ექსტერიერში, ასევე ინტერიერში. შვერილ-ლაფსიდიანი ძეგლების სიგრძე ექსტერიერში მოცემულია აფსიდის ჩათვლით, ინტერიერში საკურთხეველის აფსიდამდე. ასევე აღნიშნულია სიგრძე-სიგანის და სიგრძე-სიმაღლის შეფარდება. ეს მონაცემები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სამნავიანი ბაზილიკების მასშტაბს და პროპორციულ თანაფარდობას.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში ყველაზე გრძელია ალაჰადის (37,40მ), ხოლო მოკლე – ქვაბისხევის ბაზილიკა (8,80მ). თავისი მაშტაბურობით გამოირჩევა V-VI საუკუნეების ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფი: ურბნისი (32მ), ხირსა (31მ), ბოლნისის სიონი (27,80მ), ხაშმი (25,20მ), ნატკორა (22მ), ანჩისხატი (21,50მ), კონდოლი (19,30მ), ვაზისუბანი (18,70მ). ამ ძეგლებს უტოლდება და ზოგ შემთხვევაში სჭარბობს დასავლეთ საქართველოს რიგი ბაზილიკები – ალაჰადე, ციხისძირი (33მ), ნოქალაქევი (26,60მ), ვაშნარი (21,20მ), განთიადი (20,10მ). ამავე ეპოქაში იგება შედარებით მომცრო ზომის ძეგლებიც. მათ შორის ყველაზე მოკლეა ძველი შუამთა (10,80მ) და მატანი (9,60მ). ცხრილის მონაცემები ნათელყოფს, რომ ამ ეპოქაში რაოდენობრივად სჭარბობს დიდი ზომის ბაზილიკები, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე ხანას განეკუთვნება ისეთი მასშტაბური ბაზილიკები, როგორცაა იყო მცხეთის სვეტიცხოველი, არეში, წყაროსთავი, წილკანი. VII საუკუნიდან წინა პერიოდთან შედარებით ბაზილიკების ზომები მცირდება. მხოლოდ X საუკუნეში იგება დიდი ზომის ნაგებობები – ოთხთაეკლესია (28,50მ), პარხალი (27მ) და მათთან შედარებით მომცრო XI საუკუნის დასაწყისის სანაგირე (20,40მ).

ზემოთ განხილული მონაცემები გარკვეული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, ის ფაქტი, რომ აღრე შუა საუკუნეების ბაზილიკები დიდი ზომით გამოირჩევა, უთუოდ, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ამ პერიოდში ბაზილიკა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წამყვან ტიპს წარმოადგენდა და მრავალრიცხოვანი მრევლისათვის განკუთვნილი ეკლესიების ასაგებად სწორედ სამნავიან ბაზილიკებს იყენებდნენ. VI საუკუნიდან ეს ფუნქცია ძირითადად გუმბათიანმა არქიტექტურამ იტვირთა და სამნავიანი ბაზილიკის ტიპს მომცრო ზომის ეკლესიების ასაგებად მიმართავდნენ. რაც შეეხება ოთხთაეკლესიას და პარხალს, ამ ბაზი-

ლიკების მასშტაბურობა, უთუოდ, დამკვეთის ნებამ განაპირობა.

მართალია, ბაზილიკების სიგრძის მონაცემთა შეჯერება გარკვეული კანონზომიერების დადგენაში გვეხმარება, მაგრამ არქიტექტურული ტიპის სტრუქტურის სახეცვლის წარმოსაჩინად, უფრო თვალსაჩინოა სიგრძე-სიგანის შეფარდებათა მონაცემები, რომლებიც №3 ცხრილის შესაბამის გრაფაშია მითითებული.

ამ მონაცემთა შეჯერება გვიჩვენებს, რომ სიგანეზე ორჯერ მეტი სიგრძის მქონე ბაზილიკა ხუთია – V-VI სს-ის ალაჰადე (2,6), ხირსა (2,6), ურბნისი (2,1), ბიჭვინტა (2,08), კონდოლი (2). სიგრძის სიგანესთან შეფარდება 1,5-დან 2-მდე 13 ძეგლშია. ამათგან უმეტესობა (9 ძეგლი) V-VI საუკუნეებს განეკუთვნება; ხოლო ორი, ოთხთაეკლესია და პარხალი, X საუკუნეს. 11 ძეგლში სიგრძე ოდნავ აღემატება სიგანეს (შეფარდება 1,4-1,2), ხოლო 8 ბაზილიკაში გეგმა კვადრატს უახლოვდება. ეს ძეგლები ძირითადად VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. მხოლოდ ორი, ძველი შუამთა და მატანია V საუკუნის ბაზილიკები.

ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკას ამ არქიტექტურული ტიპისათვის დამახასიათებელი ძლიერ წაგრძელებული გეგმარება არ ახასიათებს. პირიქით, ქართულ ხუროთმოძღვრებაში საუკუნეების განმავლობაში ბაზილიკის გეგმის კვადრატთან მიახლოების ტენდენცია იჩენს თავს. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ტოლი სიგრძე-სიგანის მქონე ბაზილიკები V საუკუნეშივე იგება. თუმცა V-VI საუკუნეების ძეგლებისათვის ზოგადად ნიშანდობლივია გამოკვეთილი დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი და შედარებით დიდი მასშტაბი. VII საუკუნიდან ძეგლების ზომები მცირდება და მათი გეგმა კვადრატს უახლოვდება. მხოლოდ X საუკუნის რამდენიმე ძეგლი გამოირჩევა მონუმენტურობით და წაგრძელებული გეგმარებით.

ბაზილიკის ინტერიერში სიგრძე-სიგანის შეფარდება ექსტერიერის მონაცემებზე ნაკლებია (იხ. ცხრილი №3), რადგან აღმოსავლეთ მხარეს საკურთხევლის აფსიდის და პასტოფორიუმების არსებობა სიგრძივ ღერძს ამოკლებს, რის გამოც ინტერიერში ცენტრულობის ტენდენცია უფრო საგრძნობია. გამოკვეთილი აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძის მქონე ინტერიერი, როცა სიგრძე 1,5-ჯერ და მეტად სჭარბობს სიგანეს სულ 11 ძეგლშია. ყველა ეს ბაზილიკა V-VI საუკუნეებს განეკუთვნება. დანარჩენ ბაზილიკებში კვადრატს მიახლოებული (8 ძეგლი) ან ოდნავ წაგრძელებული (10 ძეგლი) შიდა სივრცეა. 12 ბაზილიკაში დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი ჩრდილო-სამხრეთისაზე ნაკლებია. ესენი ძირითადად VIII, IX და IX-X საუკუნეების ბაზილიკებია. მხოლოდ 5 ძეგლი განეკუთვნება V-VI საუკუნეებს. აღსანიშნავია, რომ ექსტერიერში საკმაოდ წაგრძელებული გეგმარების X საუკუნის ძეგლებშიც ინტერიერში სიგრძე-სიგანის შეფარდება დიდი არ არის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს სამნავიანი ბაზილიკის ინტერიერს ძლიერ წაგრძელებული გეგმარება არ ახასიათებს. V-VI საუკუნეების ძეგლების ნაწილს (ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფი და დასავლეთ საქართველოს რიგი ძეგლები) აქვს ინტერიერში სიგანეზე საგრძნობლად მეტი სიგრძე. V-VI საუკუნეების დანარჩენ და VII საუკუნიდან ყველა ბაზილიკაში შიდა სივრცის სიგრძე-სიგანის შორის დიდი სხვაობა არ აღინიშნება.

რაც შეეხება ბაზილიკებში სიმაღლე-სიგრძის და სიმაღლე-სიგანის შეფარდების მონაცემებს, ისინი არასრულია (იხ. ცხრილი №3), ვინაიდან სიმაღლის გარკვევა ბევრ ძეგლში არ ხერხდება. არსებული მონაცემების მიხედვით ინტერიერში სიმაღლე-სიგანის (h/L) შეფარდება 0,5-დან 1,3-მდეა. ყველაზე გავრცელებულია შეფარდება 1:1. სიმაღლე-სიგანის შეფარდება (h/S) 0,8-დან 1,2-მდეა. უმეტეს შემთხვევაში შეფარდებაა 0,9. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მი-

ხედვით საქართველოს ბაზილიკებში უფრო მეტად გავრცელებულია ისეთი პროპორციული თანაფარდობა, როდესაც ნაგებობის სიმაღლე სიგრძეს უტოლდება და ოდნავ სჭარბობს სიგანეს.

ამრიგად, საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების ზემოთ განხილული მონაცემების შეჯგერებისას ვლინდება, რომ ბაზილიკების ზომები და მათი პროპორციული ურთიერთშეთანხმება გაწონასწორებული, ერთიანი, შეკრული შიდა სივრცის შექმნას უწყობს ხელს.

8. შუა და გვერდითი ნაგებობის ურთიერთდამოკიდებულება (სიმაღლის და სიგანის შეფარდება).

შუა და გვერდითი ნაგებობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სამნავიანი ბაზილიკის ტიპოლოგიური თავისებურების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების შუა და გვერდითი ნაგებობის ზომები და მათი შეფარდების ამსახველი მონაცემები №4 ცხრილშია მოცემული. ყველა ძეგლის მონაცემი არ გაგვანჩნია, რაც განპირობებულია ნაგებობათა ცუდი დაცულობით. ზოგიერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა მონაცემების მოპოვება. მასალის განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ რიგ ძეგლებში (ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ურბნისი, ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, ხირსა, ბოლბე) შემორჩენილია არა თავდაპირველი, არამედ გვიანი გადაკეთების ხანის გადახურვის სისტემა.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში შუა ნავი ყველაზე განიერია ვაშნარის (8,5მ), ხოლო ვიწროა მატანის (2,9მ) ტაძრებში. გავრცელებულია დაახლოებით 4-5 მეტრის სიგანის შუა ნავის მქონე ძეგლები. №4 ცხრილის მონაცემების ქრონოლოგიური ასპექტით განხილვა ნათელყოფს, რომ

ადრეული, V-VI საუკუნეების, ძეგლებს განიერი შუა ნავი აქვს. თუმცა არის რიგი ძეგლები მცირე სიგანის შუა ნავით. შემდგომ პერიოდში შუა ნავის სიგანე მცირდება, რაც შეესაბამება ძეგლების მასშტაბს. განიერი შუა ნავი ისევ გვხვდება X საუკუნის ძეგლებში.

ბაზილიკებში შუა ნავი ყოველთვის განიერია გვერდითებზე. ნაგების თანაფარდობა სხვადასხვა ძეგლში განსხვავებულია. გვერდითი ნაგები ქართულ ძეგლებში დაახლოებით ტოლია. მათ შორის საგრძნობი განსხვავება მხოლოდ მატანის, ანჩისხატის, თიანეთის სიონის და სანაგირეს ბაზილიკებში აღნიშნება. შუა და გვერდითი ნაგების სიგანეთა შეფარდება №4 ცხრილის მიხედვით 1,7-დან 3,4-მდეა. ყველაზე გავრცელებულია გვერდით ნაგებზე ორჯერ განიერი შუა ნავის მქონე ბაზილიკები. ასეთი თანაფარდობა უმეტესად V-VI საუკუნეების ძეგლებს ახასიათებს. შემდგომ პერიოდში შეფარდება იზრდება, რაც შუა ნავის მნიშვნელობის გაზრდის და ინტერიერში ცენტრულობის პრინციპის დამკვიდრებას ემსახურება.

ჩვენს ხელთ არსებული არასრული მონაცემების მიხედვით სიმაღლით ყველას სჭარბობს პარხალის (19,5მ) და ოთხათაეკლესიის (19მ) ბაზილიკები. 10 მეტრზე მაღალია 7 ბაზილიკა: ურბნისი (14,3მ), ბოლნისის სიონი (11მ), ბოდბე (11მ), სანაგირე (10,8მ), აკურა (10,7მ), ხაშში (10,6მ), რკონი (10მ). ამათგან ბოლნისის სიონის, ურბნისის და ბოდბის ტაძრების ზომები ასახავს გადაკეთების ხანის და არა თავდაპირველ სიმაღლეს. ყველაზე დაბალია მატანის (6,8მ) და ძველი შუამთის (6,3მ) მცირე ზომის ეკლესიები. დანარჩენი ბაზილიკების სიმაღლე 7 მეტრიდან 10 მეტრამდეა.

ბაზილიკებში ნაგებობის სიმაღლის მონაცემები შეესაბამება შუა ნავის სიმაღლეს, რომელიც, როგორც წესი, გვერდით ნაგებზე მაღალია. ნაგების სიმაღლეთა შეფარდება საქართველოს ბაზილიკებში 1,4-დან 2,1-მდეა. შუა და გვერდი-

თი ნაგებობის სიმაღლეთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული თანაფარდობა 1,5-1,6-ია. ამ მხრივ გამოირჩევა ბოლნისის სიონი, სადაც შეფარდება 1,1-ია. ეს განპირობებულია XVII საუკუნის გადაკეთების დროინდელი ორკალთა გადახურვის არსებობით, რის გამოც ნაგებს შორის განსხვავება სიმაღლეში მცირეა. აღსანიშნავია ასევე სეფიეთის ბაზილიკა, სადაც გვერდითი ნაგები მცირე სიმაღლის მიუხედავად (5,75მ) ორსართულიანია. რაც შეეხება აკურას, მისი ჩრდილოეთი ნაგის თავზე, მთელ სიგრძეზე სამალავია მოწყობილი. ამიტომ ჩრდილოეთი ნავი სამხრეთისაზე დაბალია. ყველა სხვა შემთხვევაში გვერდითი ნაგები დაახლოებით ტოლი სიმაღლისაა.

ნაგების სიმაღლის მონაცემების შეჯერება გვიჩვენებს, რომ გავრცელებულია შუა და გვერდითი ნაგების ისეთი პროპორციული ურთიერთდამოკიდებულება, როცა შუა ნავი სიმაღლეში ერთნახევარჯერ მეტია გვერდითებზე, რაც ინტერიერის ერთიანობას, ნაგების ორგანულ კავშირს განაპირობებს.

ბაზილიკაში შუა ნავის პროპორციები შიდა სივრცის არქიტექტონიკის განმსაზღვრელია. ამდენად, მისი სიმაღლესიგანის თანაფარდების დადგენა ინტერიერის სივრცული გადაწყვეტის ხასიათს წარმოაჩენს. მოპოვებული მასალის მიხედვით, რომელიც №4 ცხრილის შესაბამის გრაფაშია მოცემული, შუა ნავის სიმაღლის სიგანესთან შეფარდება 1,8-დან (ზედაზენი) 2,6-მდეა (პარხალი). შეფარდება 2,8-ბოდბეში და 1,7-სეფიეთში გადაკეთების ხანის გადახურვის მონაცემს წარმოადგენს; ისევე როგორც ურბნისის და ბოლნისის სიონის. ფართოდ გავრცელებულია ძეგლები, სადაც შუა ნავის სიმაღლე ორჯერ სჭარბობს მის სიგანეს. ე.ი. არქიტექტურული მასების განაწილებაში ვერტიკალი გამოკვეთილია, მაგრამ მისი განსაკუთრებული ხაზგასმა არ ხდება. ამდენად შუა ნავი შეკრულ, მონოლითურ სივრცეს ქმნის.

ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში შუა ნავის პროპორციები და მისი გვერდით ნავებთან ურთიერთდამოკიდებულება არქიტექტურული ფორმების გაწონასწორებულნი, ჰარმონიული ურთიერთშეთანხმების და ზომიერების პრინციპს ეფუძნება.

9. საყრდენები და თალები. ა/რაოდენობა და ფორმა. ბ/თაღისა და საყრდენის ზომის შეფარდება. გ/ თაღის და საყრდენის სიმაღლეთა შეფარდება.

სამნავიანი ბაზილიკის ინტერიერის ძირითადი არქიტექტურული ელემენტებია საყრდენი და თაღი. მათი ფორმა, ზომა და პროპორციული თანაფარდობა შიდა სივრცის თავისებურებას განაპირობებს. აღრიცხული სამნავიანი ბაზილიკების საყრდენების და თაღების რაოდენობა, ფორმა, ზომა და შეფარდება №5 ცხრილშია აღნიშნული.

მოძიებული მასალის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში საყრდენების მცირე რიცხვი გამოიყენება, რაც ძეგლების მასშტაბით და გეგმარების სპეციფიკით არის განპირობებული. გვხვდება 1-2-3-4-5 წყვილი საყრდენის მქონე ბაზილიკები. ყველაზე გავრცელებულია ორი წყვილი საყრდენის მქონე ძეგლები. ისინი V საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით, ე.ი. ბაზილიკების მშენებლობის ყველა პერიოდში იგება. ძეგლები ხუთი, ოთხი და სამი წყვილი საყრდენით ქრონოლოგიურად ადრეულ V-VI საუკუნეებში გვხვდება. ოთხი წყვილი საყრდენი აქვს ასევე X საუკუნის პარხალსა და ოთხთაეკლესიას, ხოლო სამი წყვილი – ურთას. ერთი წყვილი საყრდენი სხვადასვა დროის მომცრო ზომის ხუთ ძეგლში (ძველი შუამთა-Vს, რევაზაშენი-VIII-IXსს, ქვაბისხევი-VIII-IXსს, ბოდბე-IXს, კვირიკეწმინდა-XI) და შედარებით დიდი ზომის სანავიერეს ბაზილიკაშია. ინტერიერის ორგანიზაციის თავისებურებით გამოირჩევა

IX საუკუნის აკურას ბაზილიკა. აქ ცალკე მდგომი მხოლოდ ერთი საყრდენი გამოიყენება, რომელიც შუა ნავს სამხრეთი ნავისაგან მიჯნავს. რაც შეეხება ჩრდილოეთ ნავს, ის კედლით ორ ტოლ ნაწილად არის გაყოფილი. V საუკუნის მატანის ცხრაკარაშიც მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთი საყრდენია, ხოლო სამხრეთი ნავი შუა ნავისაგან კედლით არის გამოიჯნული.

აღრიცხული ძეგლებიდან ხუთ ბაზილიკაში (ბიჭვინტა, ნოქალაქევი, ციხისძირი, ალაჰაძე, ჟალეთი) საყრდენები არ არის შემორჩენილი, ხოლო ანჩისხატსა და ახშანში საყრდენები მთლიანად შეცვლილია. ამასთან, ანჩისხატში დადასტურებულია თავდაპირველი ჯვრული ფორმა. როგორც №5 ცხრილიდან ჩანს, გვხვდება ექვსი სახის საყრდენი: გეგმაში კვადრატული, ჯვრის და T-ს ფორმის, სწორკუთხა, წრიული და რვაწახნაგა. გამონაკლისია მარმარილოს კოლონის ფრაგმენტები IV საუკუნის ბიჭვინტის ბაზილიკიდან. უპირატესად გამოიყენება კვადრატული, ჯვრის და T-ს ფორმის საყრდენები. კვადრატული საყრდენი ყველა პერიოდის ბაზილიკებში გვხვდება VI-დან XVI საუკუნის ჩათვლით; ჯვრის ფორმის V-XI საუკუნეებში, T-ს ფორმის – V-IX საუკუნეებში; სწორკუთხა – VI-ის სამ ბაზილიკაშია (ხაშმი, ალაჰაძე, კონდოლი). სწორკუთხა საყრდენი პილასტრით IX საუკუნის ბოლებშია. წრიული ფორმა გვხვდება თიანეთის სიონში, ხოლო რვაწახნაგა ვერეში. როგორც წესი, ბაზილიკებში ყველა საყრდენს ერთნაირი ფორმა აქვს, თუ გადაკეთების დროს არ არის სახეშეცვლილი. გამონაკლისია ურთას და ჭარების ბაზილიკები. ურთაში ერთი რიგი წრიული, ხოლო მეორე რვაწახნაგა საყრდენებია; ჭარებში კი წრიული და კვადრატული საყრდენებია გამოყენებული.

საყრდენის ზომას, ცხადია, მისი ფორმა და მთლიანად ნაგებობის მასშტაბი განსაზღვრავს. სამნავიან ბაზილიკებში საყრდენის ზომა 0,75 მეტრიდან 1,80 მეტრადეა. გამოირჩევა

ალაჰადე, სადაც ეს მონაცემი 3მეტრს აღწევს; ასევე ქვაბის-ხევი (0,40მ) და ჭარების საყრდენების ერთი წყვილი (0,45მ).

საქართველოს ბაზილიკებში თაღის ფორმის შესახებ მონაცემები არასრულია. რვა ბაზილიკაში (ბიჭვინტა, ნოქა-ლაქევი, ციხისძირი, ნასტაკისი, ვაშნარი, ალაჰადე, უფლისციხე, თიანეთის სიონი, ჟალეთი) თაღები არ არის შემორჩენილი. შეკეთების შედაგად ზოგიერთ ძეგლში ფორმა შეცვლილია, ხოლო ანჩისხატის, ორმოცმოწამეთას, ხირსას და ბოდბეს ბაზილიკებში გვიანი გადაკეთების პერიოდის თაღებია. არსებული მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრილი №5) გვხვდება სამი სახის თაღი: ნალისებური, ნახევარწრიული და შეისრული. უფრო გავრცელებულია ნახევარწრიული თაღები, რომლებიც ყველა პერიოდის ბაზილიკებში გამოიყენება. ნალისებური თაღები V-VII საუკუნეების ძეგლებში გვხვდება, ასევე VIII-IX სს-ის ზედაზენსა და აკურაში. შეისრული თაღები მხოლოდ X საუკუნის ორ ძეგლში, ოთხთაეკლესიასა და პარხალშია.

საქართველოს ბაზილიკებში №5 ცხრილის მიხედვით თაღის სიგანე 1,3 მეტრიდან 4,3 მეტრამდეა. ყველაზე მცირეა სეფიეთის და მატანის, ხოლო განიერი – უფლისციხის თაღი. გავრცელებულია 2,5-3 მეტრი სიგანის თაღები. როგორც წესი, ბაზილიკებში თაღები ტოლი სიდიდისაა. ამ მხრივ გამოირჩევა უფლისციხის, ყაზბეგის ახალციხის, სანაგირეს, ოთხთაეკლესიისა და პარხალის ბაზილიკები. აქ თაღები სხვადასხვა სიგანისაა, რაც გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ყაზბეგის ახალციხესა და სანაგირეში უფრო დიდია აღმოსავლეთი კიდეურა თაღები, ხოლო ოთხთაეკლესიასა და პარხალში აღმოსავლეთიდან მეორე წყვილი. ასეთი გადაწყვეტა ინტერიერში ცენტრალური სივრცის ხაზგასმას ემორჩილება.

თაღისა და საყრდენის ზომების შეფარდების №5 ცხრილში აღნიშნული მონაცემები 1,1-დან 4,3-მდე მერყეობს. ე.ი. სხვადასხვა ძეგლში ძლიერ განსხვავებული პროპორციული თანაფარდობა აღინიშნება. ამ მონაცემების ქრონოლოგიური პრინციპით განიღვა ნათელყოფს, რომ ადრეული, V-VII საუკუნეების ბაზილიკებში რამდენიმე გამონაკლისის გარდა თაღის საყრდენის ზომასთან შეფარდება მცირეა, ხოლო მომდევნო ხანის ძეგლებში მატულობს. IX საუკუნის შემდგომ აგებულ ბაზილიკებში შეფარდება დიდია. ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში თაღის საყრდენის ზომასთან შეფარდება ქრონოლოგიურად იზრდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაბამისად მცირდება საყრდენების რაოდენობა, ნათელი გახდება, რომ ამკარად ვლინდება შიდა სივრცის ერთიანობისაკენ სწრაფვის ტენდენცია. სახეზეა ბაზილიკის არქიტექტურული სტრუქტურის იმგვარი გადაწყვეტა, როცა სამივე ნავი განიერი თაღებით უკავშირდება ერთმანეთს, ხოლო მათი გამმიჯნავი არქიტექტურული ფორმის, საყრდენის, მხოლოდ ორი წყვილი გამოიყენება.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში საყრდენისა და თაღის სიმაღლის დადგენა ბევრ ძეგლში ცუდი დაცულობის ან გადაკეთების გამო შეუძლებელია. ჩვენთვის ცნობილი მონაცემები №5 ცხრილშია მოცემული, რომელთა მიხედვით ყველაზე დაბალი საყრდენი (1,25მ) ქვაბისხევში, ხოლო მაღალი – ოთხთაეკლესიაშია (6,7მ). ყველაზე მცირე სიმაღლის თაღი მატანის (2,4მ) და მაღალი – ოთხთაეკლესიაშია (9,4მ). ცხადია, თაღისა და საყრდენის სიმაღლეს უპიველესად თავად ნაგებობის სიმაღლე და მასშტაბი განსაზღვრავს. უფრო გავრცელებულია დაახლოებით 2-3 მეტრი სიმაღლის საყრდენისა და 5-6 მეტრი სიმაღლის თაღის მქონე ბაზილიკები. თაღისა და საყრდენის სიმაღლეთა შეფარდება ბაზილიკებში 1,3-დან 2,1-მდეა. ე.ი. ცალკეულ ძეგლებს შორის არც

ისე დიდი განსხვავებაა და ამ ნიშნით ძეგლების მკვეთრად გამოიჯნული ჯგუფები არ გამოიყოფა.

ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში საყდენისა და თალის სიმაღლე, მათი პროპორციული ურთიერთმომართება, ძირითადად, ზომიერებით ხასიათდება.

10. ნაგებობის გადახურვა. ა/კამარები. ბ/გამბრჯენი თაღები.

საზოგადოდ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში სამნავიანი ბაზილიკის ნაგებობის გადახურვის რამდენიმე ხერხი გამოიყენება: ა/კამაროვანი გადახურვა, რომელიც უფრო მეტად ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებშია გავრცელებული. ბ/ხის ძელებიანი გადახურვა, რომელიც ძირითადად ადრექრისტიანული დასავლეთის და, ასევე, სირიის ბაზილიკებში გამოიყენება. გ/ ქვის ფილებით შესრულებული ბრტყელი გადახურვა, რომელიც სირიული ბაზილიკების გვერდით ნაგებობებში გვხვდება.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში გავრცელებულია კამაროვანი გადახურვა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ბაზილიკაში ხის კონსტრუქციებით შესრულებული გადახურვის არსებობის შესახებ (ლეჟენაძე, 1973). ამ ძეგლებიდან ბიჭვინთაში ასეთი გადაწყვეტის არსებობა ეჭვს არ იწვევს. აღრიცხული ბაზილიკებიდან 10 ძეგლში (ბიჭვინთა, ნოქალაქევი, ციხისძირი, ნასტაკისი, განთიადი, ვაშნარი, ნატკორა, თიანეთის სიონი, ქვაბისხევი, ჟალეთი) გადახურვა არ არის შემორჩენილი. ორმოცმეორეამეტას და ხირსას ბაზილიკები გუმბათიან ეკლესიებად არის გადაკეთებული. უფლისციხის, ვერეს, ქლივანას და ჭარების ბაზილიკებში ნაწილობრივ შემორჩენილია მხოლოდ გვერდითი ნაგებობის კამარები. სამივე ნავის კამარა მხოლოდ ოცდაორ ბაზილიკაშია დაცული. ამათგან შვი-

დი (ბოლნისის სიონი, სეფიათი, ანჩისხატი, ურბნისი, რკონი, ბოდბე, ყაზბეგის ახალციხე) გვიანი გადაკეთების ხანისაა.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში სხვადასხვა ფორმის კამარა გვხვდება, ძირითადად გამოყენებულია ნახევარწრიული (ცილინდრული), ელიფსური და შეისრული. მონაცემები გადახურვის არსებობის და კამარის ფორმის შესახებ №6 ცხრილშია მოცემული. გადაკეთებული გადახურვის სისტემის მქონე ძეგლებში გამოყენებულია შეისრული (სეფიეთი, ანჩისხატი, ბოდბე), ნახევარწრიული (ურბნისი), ელიფსური (რკონი) კამარა. ყაზბეგის ახალციხესა და ურთაში გადაკეთებისას ხის მასალით შესრულებული კამარაა.

ბაზილიკებში შუა და გვერდითი ნაგების გადახურვისას უმეტესად ერთნაირი ფორმის კამარები გამოიყენება. თავისებურებით გამოირჩევა ვერეს ბაზილიკის გვერდითი ნაგები. აქ ელიფსური ფორმის კამარები შუა ნავის პერპენდიკულარულად არის განლაგებული. განსხვავებულია ასევე აკურას ჩრდილოეთი ნავი, რომლის კედლით გამიჯნული კვადრატული სივრცეები ჯვრული კამარებით არის გადახურული. ჯვრული კამარის ნაშთებია დადასტურებული ასევე უფლისციხის ბაზილიკის ჩრდილოეთ ნავში. აღსანიშნავია, რომ გადაკეთებულ ბოლნისის სიონის, ურბნისის, რკონის, ურთას ბაზილიკების გვერდითი ნაგები წრის მეოთხედი ფორმის კამარებითაა გადახურული, ხოლო სეფიეთში ჯვრული კამარით. როგორც რ. გვერდწითელი ასაბუთებს (გვერდწითელი, 1983,4-5), ნახევარკამარები იქნებოდა გამოყენებული ბოლნისის, ხაშმის და ანჩისხატის ბაზილიკების გვერდით ნაგებში.

ძეგლების ცუდი დაცულობის და შეკეთების გამო ჩვენს ხელთ არსებული არასრული მონაცემების მიხედვით საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში გავრცელებულია ელიფსური და ნახევარწრიული ფორმის კამარა. შეისრულ ფორმა მხოლოდ X საუკუნის ორ ძეგლშია (იხ. ცხრილი №6). გვიან გადაკეთებულ ძეგლებში სხვადასხვა ფორმის (შეისრული, ნა-

ხევარწრიული, ჯვრული, ელიფსური, წრის მეოთხედი ფორმის, გუმბათიანი) კამარები გამოიყენება. შემორჩენილი მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ცენტრალური ნავი მთელ სიგრძეზე მიმართული ერთიანი კამარით არის გადახურული. (გამონაკლესია ბოლნისის სიონის XVII საუკუნის დროინდელი ე.წ. ვარცლების სისტემა.) გვერდით ნაკვებშიც უძეტესად იგივე წესია. გამონაკლისია ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ბაზილიკა, სადაც სხვადასხვა სახის კამარის ან მათი პერპენდიკულარული განლაგების გზით ხდება ნავის ერთიანი გადახურვის დანაწევრება.

სამნავიან ბაზილიკებში კამაროვანი სისტემა გამბრჯენ თაღებს ეფუძნება. ძეგლების მასშტაბის, საყრდენების რიცხვის გათვალისწინებით მათი რაოდენობა ცალკეულ ძეგლებში განსხვავებულია. გამბრჯენი თაღები როგორც წესი საყრდენებს შეესაბამება. ამას გარდა ისინი ზოგჯერ ნავის დასავლეთ ან აღმოსავლეთ კედელსაც უკავშირდება. მონაცემები გამბრჯენი თაღების რაოდენობისა და ფორმის შესახებ მოცემულია №6 ცხრილის შესაბამის გრაფაში, რომლის მიხედვით საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში გამოიყენება 1-2-3-4-5-6 გამბრჯენი თაღი. უფრო მეტად გავრცელებულია 2-3 გამბრჯენი თაღის მქონე ძეგლები.

იმის მიხედვით თუ რას ეყრდნობა გამბრჯენი თაღი გამოიყოფა ძეგლების სამი ჯგუფი: 1. ბაზილიკები, სადაც გამბრჯენი თაღი პილასტრს ეყრდნობა. 2. ბაზილიკები, სადაც გამბრჯენი თაღი კონსოლს ეყრდნობა. 3. ბაზილიკები, სადაც გამოიყენებულია როგორც პილასტრი, ასევე კონსოლი. ამასთან, პილასტრი შუა, ხოლო კონსოლი გვერდით ნაკვებშია. გამონაკლისია ქლივანა, სადაც შუა ნაკვებში კონსოლები, ხოლო გვერდით ნაკვებში პილასტრებია. პირველი და მეორე ჯგუფის ბაზილიკები ინტერიერის განსხვავებული გადაწყვეტით ხასიათდება. პირველ შემთხვევაში კედლის მასივი დანაწევრებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში სადაა, რაც განსხ-

ვაკებულ არქიტექტურულ გადაწყვეტას ქმნის. მესამე, შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფის ბაზილიკებში, ვიწრო და დაბალ გვერდით ნაგებში თაღები კონსოლებს ეყრდნობა, ხოლო მაღალ და განიერ შუა ნავში პილასტრი არქიტექტურული ფორმების ვერტიკალური განვითარების ხაზგასმას ემსახურება. ასეთი გადაწყვეტა სრულად შეესაბამება შიდა სივრცის ორგანიზაციის ლოგიკურ სქემას.

11. საკურთხეველის აფსიდა. ა/ფორმა. ბ/სატრიუმფო თაღის ფორმა და ზომები. გ/შუბლი. დ/ბემა. ე/აფსიდის ამალღება, საფეხურების რაოდენობა. ვ/სამღვდელოების ჩამოსაჯდომი ქვის რიგი. ზ/ქვის ტრაპეზი. თ/ნიშების რაოდენობა.

ბაზილიკის, როგორც ქრისტიანული ტაძრის, უმნიშვნელოვანეს საკრალურ სივრცეს საკურთხეველი წარმოადგენს. საკურთხეველს იდეური დანიშნულების შესაბამისად ბაზილიკის გადაწყვეტაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. ინტერიერის განაწილების სქემა, არქიტექტურული ფორმების დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე განლაგება მისი მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება. შესაბამისად, საკურთხეველის ფორმა და პროპორციები ბაზილიკის ინტერიერის არქიტექტონიკის განსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში საკურთხეველს აფსიდის ფორმა აქვს. №7 ცხრილში აღნიშნულია აღრიცხულ ძეგლებში საკურთხეველის აფსიდის ძირითადი მონაცემები, რომლის მიხედვით აფსიდა უმეტესად ნახევარწრიული და ნალისებური მონახულობისაა. დეტალური განხილვისას რამდენიმე სახესხვაობა განიჩევა: ნალისებური, წაგრძელებული ნალის ფორმის, ნახევარწრიული, წაგრძელებული ნახევარწრის და პარალელურგვერდებიანი ნახევარწრის ფორმის. აღრიცხული ძეგლებიდან ნალისებური აფსიდა ადრეულ, V-VII

საუკუნეების ძეგლებშია გავრცელებული და მომდევნო საუკუნეების მხოლოდ ორ, VIII-IX საუკუნეების თიანეთის სიონსა და აკურას ბაზილიკებში გვხვდება. ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდა V საუკუნიდან XVI საუკუნემდეა გავრცელებული.

სატრიუმფო თალი საქართველოს ბაზილიკებში ნახევარწრიული, ნალისებური და შეისრული ფორმისაა (იხ. ცხრილი №7). ყველაზე გავრცელებულია ნახევარწრიული მოხაზულობის სატრიუმფო თალი, რომელიც V საუკუნიდან XVI საუკუნემდე გვხვდება. ნალისებური ფორმის სატრიუმფო თალი შეიძლება ბაზილიკაშია, რომელთაგან ოთხი V-VI საუკუნეებს განეკუთვნება. შეისრული თალი მხოლოდ X საუკუნის ოთხთაეკლესიასა და პარხალშია. რაც შეეხება ურბნისის შეისრულ თალს, ის XVII საუკუნის გადაკეთების პერიოდისაა.

ინტერიერის ცენტრალური სივრცის ორგანიზებაში სატრიუმფო თალი მნიშველოვან როლს ასრულებს. ამდენად, მრავლისმეტყველია სატრიუმფო თალის სიმაღლის სიგანესთან შეფარდების მონაცემები (იხ. ცხრილი №7). არსებული მასალის მიხედვით სატრიუმფო თალის სიმაღლის სიგანესთან შეფარდება ყველაზე დიდია ვაზისუბნის ბაზილიკაში – 3,7; ხოლო მცირე განთიადში – 1,2. 2-ზე ნაკლები შეფარდებაა იმ ძეგლებში, სადაც აფსიდის კონქს ზევით შუბლია (იხ. ცხრილი №7). ყველაზე გავრცელებულია 2-2,5 მონაცემის მქონე ბაზილიკები. ეს შეფარდება დიდი არ არის, თუმცა ვერტიკალის ხაზგასმის შესაძლებლობას იძლევა. სატრიუმფო თალის ამგვარი პროპორციები შეესაბამება ნაგების, მთლიანად შიდა სივრცის ხასიათს და მასთან ჰარმონიულ ერთიანობაში აღიქმება.

იმ ბაზილიკებში, სადაც შესაძლებელია საკურთხევლის აფსიდის კონქს ზევით შუბლის არსებობის გარკვევა, შუბლი 12 ძეგლშია: ბოლნისის სიონი, სეფიეთი, ხაშში, ანჩისხატი, ახშანი, ურბნისი, რკონი, ბოლბე, სანაგირე, კვირიკეწმინდა,

ქლივანა, ჭარები. აქედან ექვს ძეგლს (ბოლნისის სიონი, სეფიეთი, ბოლბე, სანაგირე, კვირიკეწმინდა, ჭარები) შვერილი აფსიდები აქვს, რაც შუბლის არსებობას განაპირობებს. დანარჩენ ძეგლებში კონქს ზევით სათავსი – სამალავია. გამოვნაკლისია ახშანი, სადაც შუბლი დაბალია. აღსანიშნავია, რომ ურბნისის, ბოლბეს სამალავები გადაკეთების ხანისაა. დანარჩენ ძეგლებში, რომლებიც აღრიცხულ ბაზილიკათა უმრავლესობას წარმოადგენს, შუბლი არ არის. ამდენად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებს შუა ნავის მთელ სიმაღლეზე ამართული საკურთხევლის აფსიდა ახასიათებს, რაც ხალვათი სივრცის შექმნას უწყობს ხელს.

აღრიცხული ორმოცდაორი ბაზილიკიდან ოცდაერთ ძეგლში საკურთხევლის წინ ბემაა (იხ.ცხრილი №7). უნდა აღინიშნოს, რომ ბემის არმქონე ძეგლებიდან თერთმეტი, V-VII საუკუნეების ბაზილიკებია. ე.ი. ადრეული ძეგლები უფრო ხშირად ბემის გარეშე იგება, ხოლო VII საუკუნიდან უმეტეს შემთხვევაში აფსიდის წინ ბემაა. ეს საკითხი გარკვეულწილად პასტოფორიუმების გამოყოფას უკავშირდება, რადგან საკურთხევლის წინ ბემის არსებობა გვერდითი სათავსებისათვის აუცილებელი ფართობის შექმნის შესაძლებლობას ქმნის. ბემა თითოეულ ძეგლში განსხვავებული სიდიდისაა. VIII-IX საუკუნეების ძეგლებისათვის უფრო მეტად ღრმა ბემა არის დამახასიათებელი.

ისევე, როგორც ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის სხვა ტიპის ძეგლების, ასევე სამნავიანი ბაზილიკის, საკურთხევლის აფსიდა ნაგებობის საერთო ღონიდან ამალღებულია. თავდაპირველი იატაკის ღონე განათხარი ძეგლების გარდა სხვა ბაზილიკებში ფაქტობრივად არ არის შემორჩენილი. ამიტომ არსებული მონაცემები მხოლოდ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ტრადიციის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. რიგ ძეგლებში მიწაყრილის არსებობის ან სხვა მიზეზის გამო იატაკის ღონეთა შორის განსხვავება

არ ირკვევა. არსებული მონაცემების მიხედვით საკუთხეველი ერთი, ორი, იშვიათად სამი საფეხურით არის ამალღებული (იხ.ცხრილი №7), რაც, თავისთავად, საკუთხეველის გამოყოფის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს.

საკუთხეველის აფსიდას ზოგიერთ შემთხვევაში სასულიერო პირთა ჩამოსაჯდომი ნახევარწრიული ქვის რიგი შემოჰყვება, რომლის ცენტრში ხშირად ამალღებული ადგილია გამოყოფილი (იხ.ცხრილი №7). უფლისციხესა და ოთხთაეკლესიის ბაზილიკებში ორ რიგია. ბაჭვინტის, ხაშმის. ვაშნარის. ურბნისის. რკონის, ზედაზენის, აკურას, სანავირეს, ხევის ხიონის, პარხალის ბაზილიკებში რიგის ცენტრში დამატებითი საფეხურია გამოყოფილი. დანარჩენ ძეგლებში სასულიერო პირთა დასაჯდომი ნახევარწრიული რიგი არ არის დადასტურებული. ამრიგად, აღრიცხული ბაზილიკების მესამედზე მეტს საკუთხეველის აფსიდაში ჩამოსაჯდომი ქვის რიგი აქვს. ამათგან ათ ბაზილიკაში მღვდელმთავრის ადგილი ცალკეა გამოყოფილი, რაც საკუთრივ ეკლესიის სტატუსთან (მაგ.: საეპისკოპოსო, სამონასტრო) უნდა იყოს დაკავშირებული.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში საკუთხეველში ქვის ტრაპეზი ჩვიდმეტ ძეგლშია დადასტურებული (იხ.ცხრილი №7). ისინი აფსიდის ცენტრში ან კედელთან არის მოთავსებული. ქვის ტრაპეზის თარიღის გარკვევა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე გამოკვლევას საჭიროებს. არქაული ფორმა აქვს ძვ. შუამთის და ხაშმის ტრაპეზს, რომელთა აღმოსავლეთ მხარეს ნიშაა მოთავსებული. ურბნისში მას ტრაპეციის ფორმა აქვს, ხოლო ხევის ხიონში და ყაზბეგის ახალციხეში წრიული ქვაა დადასტურებული. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ის კუბის ფორმისაა ან ძალზე დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. ამრიგად, საქართველოს ბაზილიკების დიდ ნაწილში ქვის ტრაპეზი არ არის. იმ ძეგლებში, სადაც ტრაპეზია, ადრეული ხანის ბაზილიკებში ხშირად კე-

დელთან არის მიდგმული, ხოლო შემდეგ პერიოდში ცენტრშია მოთავსებული.

საკურთხევლის აფსიდის კედლებში რიგ ძეგლებში ნიშებია. ნიშების რიცხვი უმეტესად ლუწია და ისინი სიმეტრიულადაა განლაგებული. იშვიათად ნიშა აფსიდის მხოლოდ ერთ მხარეს არის მოთავსებული. ბაზილიკებში მათი რაოდენობა არის ერთი, ორი, სამი ან ოთხი. ცხრილი №7 ნათელყოფს, რომ IX საუკუნემდე ნიშები არ არის ან მხოლოდ ერთია (გამონაკლისია სეფიეთი სამი ნიშით). ნიშა თაღოვანი, სწორკუთხა ან კვადრატული ფორმისაა. ისინი უმეტესად მცირე ზომისაა. დიდი ზომით გამოირჩევა სეფიეთის და იტრიის ცენტრალური, ასევე აკურას განაპირა ნიშები.

12. პასტოფორიუმები. ა/გეგმარება. ბ/შესასვლელის რაოდენობა. გ/სათავსი მეორე სართულზე.

ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების ადრეულ ეტაპზე მიმდინარეობდა ქრისტიანული ტაძრის, როგორც არქიტექტურული ნაგებობის, ფორმირების რთული პროცესი. კარდინალურ ხაზს განსაზღვრავდა, უპირველესად, ეკლესიის მოთხოვნები, რომლებიც ამ ეტაპზე ჩამოყალიბების სტადიაში იყო. ამასთან, ბუნებრივია, გარკვეულ მნიშვნელობა ჰქონდა არსებულ არქიტექტურულ ფორმებს და კომპოზიციურ სქემებს. კულტმსახურებისა და ხუროთმოძღვრების განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმოსავლეთ საქრისტიანოში ჩამოყალიბდა ე.წ. სამნაწილიანი საკურთხეველი – აფსიდა გვერდითი სადგომებით, პასტოფორიუმებით. მ.გოუს მოსაზრებით (გოუ, 1961:142), ისინი პირველად სირიაში გამოიყო V საუკუნეში და შემდგომ სხვა ქვეყნებში გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ პასტოფორიუმების თავდაპირველი ფუნქციონალური დანიშნულების საკითხი, რომლის მიხედვით ჩრდილოეთი სათავსი სამკვეთლო, ხოლო სამხრეთი – სადიაკვნა,

ჟ. დეკაუდრის [დეკაუდრი, 1983] მიერ ეჭვქვეშ იქნა დაყენებული.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში პასტოფორიუმების საკითხის კვლევისას შევეცდებით შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვაჩინოთ ფაქტობრივი მასალა, არქიტექტურული გადაწყვეტის სახესხვაობები და საკუროთხევლის გვერდითი სადგომების არსებობების ქრონოლოგიური სურათი.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში პასტოფორიუმების არსებობის და მათი ფორმის შესახებ მონაცემები №8 ცხრილშია მოცემული. აღრიცხული ძეგლებიდან 13 ბაზილიკაში პასტოფორიუმები არ არის გამოყოფილი. მათგან 10 ძეგლი V-VI საუკუნეებს, 2 – VIII-IX საუკუნეებს და 1 – XI საუკუნეს განეკუთვნება. თავდაპირველად ეს სათავსები არ ჰქონდა ასევე ძვ.შუამთის, ხაშმის და ახშანის ბაზილიკებს.

პასტოფორიუმების მქონე ძეგლებიდან რიგ ბაზილიკებში მხოლოდ ერთი სათავსია. V საუკუნის მატანის და XIII-XIV სს-ის ჭარების ბაზილიკებში ჩრდილოეთი, ხოლო VIII-IX სს-ის ზედაზენისა და ქვაბისხევის ბაზილიკებში სამხრეთი სათავსია გამოყოფილი.

პასტოფორიუმები სხვადასხვა გეგმარებისაა: აღმოსავლეთ-დასავლეთ წაგრძელებული სწორკუთხა, ჩრდილო-სამხრეთ მიმართული სწორკუთხა და კვადრატული. ამას გარდა პასტოფორიუმები არის აღმოსავლეთ მხარეს აფსიდით და აფსიდის გარეშე. ე.ი. სულ ექვსი სახესხვაობა განირჩევა. ცალკე უნდა აღინიშნოს ჭარების ჩრდილოეთი სათავსის შესახებ, რომელსაც ირეგულარული ფორმა აქვს. გეგმაში აღმოსავლეთ-დასავლეთ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის პასტოფორიუმები V-X საუკუნეების 10 ბაზილიკაშია. ამავე ფორმის აფსიდიანი პასტოფორიუმებია V-XVI საუკუნეების 8 ბაზილიკაში. ჩრდილო-სამხრეთით მიმართული სწორკუთხედის ფორმისა VI საუკუნის ანჩისხატის ჩრდილოეთი (ანჩისხატში სათავსებს თავდაპირველად აღმოსავლეთიდან

ჰქონდა კარი, რაც სათუოს ხდის მათ პასტოფორიუმის ფუნქციით გამოყენებას) და IX-X სს-ის ყაზბეგის ახალციხის სათავსები. იგივე ფორმის აფსიდიანი პასტოფორიუმებია IX საუკუნის ბოლის და Xსაუკუნის ვერეს ბაზილიკებში. გეგმაში კვადრატულია VII საუკუნის რკონის და VIII-IX სს-ის ალვანის, ხოლო აფსიდიანი კვადრატის ფორმისაა XI საუკუნის დასაწყისის სანაგირეს პასტოფორიუმები. ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში უფრო მეტად გავრცელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წავრძელებული ფორმის პასტოფორიუმები.

ჩრდილოეთი და სამხრეთი სათავსი თითოეულ ძეგლში დაახლოებით ერთნაირი ფორმისაა. ამ მხრივ გამონაკლისია ანჩისხატისა და ურბნისის ბაზილიკები (იხ. ცხრილი №8). ასევე გამოირჩევა ოთხთაეკლესიისა და პარხალის პასტოფორიუმები, რომლებიც კედლით ორ ნაწილად არის გაყოფილი.

პასტოფორიუმების კედლებში ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა ზომის ნიშებია მოთავსებული, რომლებიც ასიმეტრიულადაა განლაგებული. ყველაზე მეტი, ხუთი ნიშაა ანჩისხატის სამხრეთ სადგომში. ერთი, ორი ან სამი ნიშაა ანჩისხატის ჩრდილოეთი სათავსის, ვაზისუბნის, უფლისციხის, რკონის, აკურას, ჟალეთის, ყაზბეგის ახალციხის, ოთხთაეკლესიის და პარხალის პასტოფორიუმებში.

კედელთან მდგარი ქვის ტრაპეზი დადასტურებულია ვაზისუბნის, ურბნისის, ალვანის, სანაგირეს სამხრეთ სათავსებში. ჩრდილოეთ სათავსში ქვის ტრაპეზი არის ნასტაკისა და სანაგირეში. ტრაპეზი ძირითადად კუბის ფორმისაა. ურბნისში მას ტრაპეციის მოყვანილობა აქვს.

პასტოფორიუმებში შესასვლელი, როგორც წესი, გვერდითი ნაპებიდან არის გაჭრილი. ცხრა ბაზილიკაში (იხ. ცხრილი №8) ჩრდილოეთ სათავსში მეორე, საკურთხეველთან დამაკავშირებელი, კარიც არის გაჭრილი, რაც სამკვეთ-

ლოს რიტუალურ-ფუნქციონალური დანიშნულებით არის განპირობებული.

რვა ბაზილიკაში პასტოფორიუმების მეორე სართულზე სამალავია მოწყობილი (იხ. ცხრილი №8). ამათგან ხაშშიში პასტოფორიუმები და, შესაბამისად, სამალავიც არ არის თავდაპირველი ხანის. დანარჩენი ძეგლები IX-XVI საუკუნეებს განეკუთვნება. ე.ი.სამალავები IX საუკუნიდან გვხვდება. სამალავში ასავლელი უმთავრესად ნავის მხრიდან არის მოწყობილი. გამოირჩევა ოთხთაეკლესიის მეორე სართულის ოთახები, რომელთა ორი ნაწილი ერთმანეთს თალებით უკავშირდება და გეგმაში მსხლის ფორმის ნიშები აქვს.

ამრიგად, საქართველოს V-VI საუკუნეების უმეტეს ბაზილიკებში პასტოფორიუმები არ არის, ხოლო VI საუკუნის შემდეგ ეს სათავსები სამის გარდა ყველა ძეგლს აქვს. აღრიცხული ძეგლებიდან პასტოფორიუმის გამოყოფის უადრესი მაგალითია V საუკუნის მატანი, რომელშიც მხოლოდ ჩრდილოეთი სათავსია. ორივე სათავსია ჩვენთვის ცნობილ V საუკუნის არეშის ბაზილიკაშიც. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში პასტოფორიუმების მოწყობა V საუკუნიდან დაიწყო, ხოლო VI საუკუნიდან დაკანონებულ წესად იქცა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო, როგორც ადრექრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, აქტიურად იყო ჩართული ადრექრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებში და ეკლესიის ახალ მოთხოვნებს თანადროულად პასუხობდა.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში პასტოფორიუმები ფორმის მიხედვით ექვსი სახისაა. გვხვდება სათავსები აფსიდით და მის გარეშე. ყველაზე გავრცელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის სათავსები. ბაზილიკებში ორივე სათავსი ძირითადად ერთნაირი ფორმისაა. გვხვდება მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთი ან სამხრეთი სადგომის გამოყოფის მაგალითებიც. პასტოფორიაში

შესასვლელი ყოველთვის გვერდითი ნაგების მხრიდან არის გაჭრილი. რიგ ძეგლებში, ძირითადად VIII საუკუნიდან, ჩრდილოეთ სათავეს მეორე კარი საკურთხეველთან აკავშირებს. IX საუკუნიდან ზოგიერთ ძეგლში პასტოფორიუმების მეორე სართულზე სამალავებია მოწყობილი.

13. ბაზილიკაში შესასვლელი. ა/რაოდენობა, განლაგება. ბ/ფორმა. გ/მთავარი შესასვლელი.

ნაგებობის ინტერიერის აღქმისას შესასვლელს, მის მდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შიდა სივრცე, მისი ცალკეული არქიტექტურული დეტალი სხვადასხვა რაკურსში განსხვავებულ მხატვრულ ეფექტს ქმნის. ამდენად, ხეღვის წერტილების შერჩევა ხუროთმოძღვრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. საზოგადოდ, ბაზილიკაში, სადაც შიდა სივრცე დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზეა მიმართული, განსაკუთრებული მნიშვნელობა დასავლეთ შესასვლელს ენიჭება. მონაცემები საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში შესასვლელების და მათი განლაგების შესახებ №9 ცხრილშია წარმოდგენილი.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში შესასვლელი განლაგებულია ნაგებობის სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში. შესასვლელი შეიძლება იყოს სამივე, ორი ან ერთი მხრიდან. თითოეულ მხარეს, ძირითადად, თითო კარია. ერთ ფასადზე ორი კარი მხოლოდ მატანის, ბოლნისის სიონის, ნოქალაქევის, ვაშნარის და სანაგირეს ბაზილიკებშია. ამასთან, ისინი ყოველთვის გრძივ კედლებშია გაჭრილი.

აღრიცხული ძეგლებიდან სამი მხრიდან შესასვლელი აქვს V-XIV საუკუნეების ცხრამეტ ბაზილიკას (იხ. ცხრილი №9). ორ მხარეს შესასვლელია V-XVI საუკუნეების თექვსმეტ ბაზილიკაში. აქედან თორმეტ ძეგლში კარი დასავლეთ და სამხრეთ მხარეს არის გაჭრილი (იხ. ცხრილი №9). და-

სავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს კარია განთიადის ბაზილიკაში, ხოლო გრძივ კედლებში შესასვლელია ბოლნისის სიონის (დასავლეთი კარი XVII საუკუნის რემონტის დროინდელია) და ხევის სიონის ბაზილიკებში. ერთი შესასვლელია შვიდ ძეგლში. ამათგან სამხრეთ მხარეს კარი აქვს უფლისციხის, ზედაზენის, ალვანის, რევაზაშენის, ურთას ბაზილიკებს, ხოლო დასავლეთ მხარეს – ნასტაკისის (არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეულია მხოლოდ დასავლეთი შესასვლელი), ქვაბისხევის, ყაზბეგის ახალციხის ბაზილიკებს.

ორი ან სამი მხრიდან შესასვლელის მქონე ძეგლებში ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მთავარი შესასვლელის გამოყოფა. უმეტესად მისი მნიშვნელობა თავდაპირველადვე იყო განსაზღვრული ან დროთა ვითარებაში სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძინა. ამ დროს გარკვეულ როლს ასრულებს ძეგლის მდებარეობა, რელიეფი, მისასვლელი გზა, კარიბჭის მიშენება, რაც თავისთავად შესასვლელის მნიშვნელობას წარმოაჩენს. დასავლეთი მხრიდან არსებული შესასვლელის პრიორიტეტი აღინიშნება ბიჭვინტის, სეფიეთის, ალაჰადის, განთიადის, ურბნისის, რკონის, ბოდბის, სანაგირეს, ოთხთაეკლესიის, იტრიის ბაზილიკებში. სამხრეთი შესასვლელი მთავარია ძვ.შუამთის, მატანის, ახშანის, ორმოცმოწამეთას, ყალეთის, პარხალის, ჭარების ბაზილიკებში. ამდენად, ჩრდილოეთი კარი მხოლოდ სამი მხრიდან შესასვლელის მქონე ძეგლებს აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სეფიეთის, ხაშმის, ურბნისის და თიანეთის სიონის ბაზილიკებში ჩრდილოეთი კარი არა სამხრეთის პირდაპირ, არამედ უფრო აღმოსავლეთით არის გაჭრილი. კარის ასეთი მდებარეობა შესაძლოა მისი დანიშნულებით განისაზღვრებოდა, გამოიყენებოდა რა არა მრევლის, არამედ ეკლესიის მსახურთა შესასვლელად.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში კარს ხშირად ფორმა შეცვლილი აქვს. 9 ბაზილიკაში ცუდი დაცულობის

გამო მისი მოხაზულობა საერთოდ არ ირკვევა. დანარჩენ ძეგლებში ფორმის მიხედვით ოთხი სახის კარი გამოიყენება: გარედან სწორკუთხა და ინტერიერის მხრიდან თაღოვანი, ორივე მხრიდან სწორკუთხა, თაღოვანი და კარი ლუნეტით (იხ. ცხრილი №9). პირველი სახის კარი ბაზილიკების მშენებლობის ყველა ეტაპზე გამოიყენება და 17 ძეგლშია დადასტურებული. სწორკუთხა კარია მატანის, თაინეთის სიონის, ჟალეთის, ყაზბეგის ახალციხის, კვირიკეწმინდას ე.ი. მთიანი რეგიონის ძეგლებში. თაღოვანია განთიადის, კონდოლის, ალვანის, ვერეს ბაზილიკების კარი. თაღოვანია ასევე ზადაზენის კარი, მაგრამ შუა ნაწილი ნახევარწრიულად ამოშენებულია. ლუნეტის კარია ბოლნისის სიონის და ანჩისხატის ბაზილიკებში. შესაძლოა ლუნეტი ადრეული ხანის სხვა ბაზილიკებშიც იყო, მაგალითად ურბნისში. აღსანიშნავია, რომ ბოდბეში რესტავრაციის დროს გამოვლინდა შესასვლელის თავდაპირველი ფორმა – სწორკუთხა კარი ტიმპანით [ჩაჩხუნაშვილი, 2005:79].

ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში სამი მხრიდან შესასვლელის მქონე ძეგლები ყველაზე გავრცელებულია. ორი მხრიდან შესასვლელის მქონე ძეგლები უფრო ცოტაა, მაგრამ ქრონოლოგიურად ყველა პერიოდში გვხვდება. ერთი კარი VIII-IX საუკუნეების მომცრო ზომის ეკლესიებშია. გამონაკლესია V საუკუნის უფლისციხის ბაზილიკა, რომელიც კლდეშია ნაგები და შესასვლელი ერთი მხრიდან აქვს. ასე რომ იქ, სადაც ამის შესაძლებლობას ნაგებობის მასშტაბი და მისი ადგილმდებარეობა იძლევა, ბაზილიკებში შესასვლელი სამი მხრიდან არის. ეს დაკავშირებული უნდა იყოს როგორც იდეოლოგიურ-სიმბოლურ გაგებასთან (სამი კარი სამების სიმბოლო—*Testamentum Domini*), ფუნქციონალურ საკითხთან (მაგ.: ეკლესიის მსახურთა, მამაკაცებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე შესასვლელის მოწყობა), ასევე არქიტექტურულ ასპექტთან (ხედვის განსხვავებული წერ-

ტილებიდან ინტერიერის უკეთ წარმოჩენის შესაძლებლობა). ამასთან, უპირატესობა ენიჭება დასავლეთის და სამხრეთ შესასვლელს. აღსანიშნავია, რომ დროთა ვითარებაში მეტმნიშვნელობას იძენს სამხრეთი შესასვლელი, რაც ინტერიერის აღქმის ცენტრულობის პრინციპის წარმოჩენას ემსახურება და გარკვეულად ეწინააღმდეგება ბაზილიკის, როგორც არქიტექტურული ტიპის, ტრადიციულ სქემას და ძირითად კონცეფციას.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში რამდენიმე დამონაკლესის გარდა თითოეულ მხარეს თითო კარია. უფრო გავრცელებულია ინტერიერის მხარეს თაღოვანი და გარედან სწორკუთხა ფორმის კარი. ის ყველა პერიოდის ძეგლებში გამოიყენება. სწორკუთხა და თაღოვანი შესასვლელები V-XI საუკუნეების ძეგლებში გვხვდება. ლუნეტის კარი V-VI საუკუნეების მხოლოდ ორ ბაზილიკაშია შემორჩენილი. ეს ფორმა საქართველოში სირიიდან უნდა იყოს გავრცელებული, სადაც ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი ხანის სასახლეებში გამოიყენებოდა. მას შემდგომ ვხვდებით სირიისა და პალესტინის, ასევე მცირე აზიის, მესოპოტამიის და ჩრდილოეთ აფრიკის, კერძოდ ალჟირის ძეგლებში. აქ ლუნეტები ძირითადად ნახევარწრიული მონახულობისაა. ნალისებური ლუნეტი, რომელიც გ.ჩუბინაშვილის აზრით მხატვრული სრულყოფით გამოირჩევა, ნაკლებად გვხვდება (ჩუბინაშვილი, 1940:142). საგულისხმოა, რომ ქართულ ძეგლებში სწორედ ნალისებური ლუნეტებია დადასტურებული.

14. ნარტექსი, გალერეა, გარშემოსავლელი, კარიბჭე.

ბაზილიკაში, უშუალოდ სამლოცველო დარბაზში, შესასვლელის წინ, უმეტესად, სხვადასხვა არქიტექტურულ-მოცულობითი ფორმა გამოიყენება. საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში გვხვდება ნარტექსი, გალერეა, გარშემოსავლელი

და კარიბჭე. ისინი ძეგლის თანადროულია ან მოგვიანო ხანაშია მიშენებული (იხ. ცხრილი №9).

აღრიცხულ ბაზილიკებში ნარტექსი აქვს V-VI საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ბიჭვინტის, ნოქალაქევის, ციხისძირის, განთიადის ტაძრებს, IX საუკუნის ბოდბის და XI საუკუნის დასაწყისის სანაგირეს ბაზილიკებს. დასავლეთ საქართველოს ძეგლებში ნარტექსის მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ ბიჭვინტის და ნოქალაქევის ნარტექსის სამხრეთ ნაწილში სანათლავი იყო მოწყობილი [ციციშვილი, 1977:100; კაპანაძე, 1987:95]. ბიჭვინტის, ციხისძირის და განთიადის ბაზილიკებში ნარტექსი სამი კარით სამივე ნავს უკავშირდებოდა. ასევეა ბოდბესა და სანაგირეშიც, მაგრამ აქ ნარტექსი ორი გამბრჯენი თაღით სამ ნაწილად არის გაყოფილი. სანაგირეში ცენტრალური სივრცე ჯვრული კამარითაა გადახურული. ნარტექსში შესასვლელი ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან არის გაჭრილი. მის მეორე სართულზე პატრონიკეა. ზედა სართულზე ასასვლელი კიბე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია. აღსანიშნავია, რომ, როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა, ნარტექსი და გალერეები ჰქონდა მცხეთის სვეტიცხოვლის ბაზილიკას [ცინცაძე, 1987:15-26].

ღია გალერეები აქვს ბოლნისის სიონს. მისი ჩრდილოეთი გალერეა ნაგებობის მთელ სიგრძეზეა და აღმოსავლეთით აფსიდით მთავრდება. სამხრეთი გალერეა მოკლეა. მის აღმოსავლეთით ორაფსიდიანი სანათლავი მდებარეობს. ღია გალერეები ჰქონდა ასევე წყაროსთავის ბაზილიკას.

გარშემოსავლელი აქვს ახშანის, ვაზისუბნის და ვაშნარის ბაზილიკებს. ახშანის ბაზილიკის გარშემოსავლელი ძეგლის აგების შემდგომი ხანისაა. მას თითოეულ მხარეს სამთაღიანი შესასვლელი აქვს. გადახურულია ელიფსური კამარით, რომელიც ნაგებობის პერპენდიკულარულად არის მიმართული. კამარები პილასტრებსა და კონსოლებს ეყრდნობა. გარ-

შემოსავლების აღმოსავლეთ ნაწილში აფსიდებია. ვაზისუბნის ბაზილიკის გარშემოსავლელი ძეგლის თანადროულია. აქაც სამთალიანი შესასვლელია, მაგრამ მხოლოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს. დასავლეთით ერთი განიერი თალია. გარშემოსავლელი გადასურულია კამარით, რომელიც კედლის მხარეს თაღებს, ხოლო მეორე მხარეს კონსოლებს ეყრდნობა. აღმოსავლეთით აქაც აფსიდებია, მაგრამ ახშანისაგან განსხვავებით სარკმელები არ არის. ვაშნარის ბაზილიკაში ძეგლის აგების თანადროული გარშემოსავლელის ნაშთები შემორჩა. გარშემოსავლელის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთ მხარეს სწორკუთხა სათავსი, სავარაუდოდ, სანათლავე იყო, რომელიც ერთი კარით ნავს, ხოლო მეორე კარით გარშემოსავლელს უკავშირდებოდა. X საუკუნეში გარშემოსავლელი აიგო V საუკუნის არეშის ბაზილიკაშიც [ჭილაშვილი, 1991].

კარიბჭე საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში VIII-IX საუკუნეებიდან გვხვდება და უმეტესად ძეგლის აგების შემდგომ ხანას განეკუთვნება. ტაძრის აგებასა და კარიბჭის მიშენებას შორის განვლილი დროის მონაკვეთი სხვადასხვა ძეგლში განსხვავებულია. მაგალითად, VIII საუკუნის ზედაზენის ეკლესიაში კარიბჭე ერთი საუკუნის შემდეგ აიგო, ხოლო VI საუკუნის ხაშში რვა საუკუნის შემდგომ (იხ. ცხრილი №9).

კარიბჭე თავისი გეგმარებით ორგვარია: კვადრატული და სწორკუთხა. გეგმაში კვადრატული კარიბჭე გახსნილი არის ერთი (ძვ. შუამთა, ხაშში, ორმოცმოწამეთა, რკონი, აკურა), ორი (ზედაზენი) ან სამი (აღვანი, ჭარები) მხრიდან. სწორკუთხა ფორმისაა სეფიეთის, ბოდბის, ოთხთაეკლესიის კარიბჭეები. საყურადღებოა, რომ ზედაზენის და აღვანის კარიბჭეების მეორე სართულზე სამრეკლოა. (ზედაზენში XVIII საუკუნეში დააშენეს.) აღსანიშნავია, რომ კარიბჭეები ნაგებობის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს იგება (გამონაკლისია ძვ. შუამთა), რაც ადასტურებს ამ ფასადების შესასვლელების მნიშვნელობას.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში მინაშენების კვალი ირკვევა ძვ.შუამთის, ნოქალაქევის, ნასტაკისის, ანჩისხატის, ურბნისის, აკურას, ჟალეთის, ვერეს, ქლივანას ბაზილიკებში.

ამრიგად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში ნარტექსი, გალერეა და გარშემოსავლელი ფართოდ გავრცელებული არ ჩანს და ძირითადად V-VI საუკუნეების ძეგლებში გვხვდება. ნარტექსი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებშია, ხოლო გალერეა და გარშემოსავლელი მხოლოდ რამდენიმე ძეგლშია დადასტურებული. საგულისხმოა, რომ მინაშენების კვალი ჩანს მთელ რიგ ბაზილიკებში, მაგრამ მათი არქიტექტურული ფორმისა და დანიშნულების ზუსტად დადგენა ძნელია. შესასვლელის წინ გარკვეული არქიტექტურული ფორმის არსებობა, მართალია, რამდენიმე ძეგლშია დადასტურებული, მაგრამ ასეთი ძეგლების რიცხვი, უთუოდ, მეტი იქნებოდა. სავარაუდოა, რომ ეს სადგომები ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნის მიხედვით კათაკმეველებისა და განკიცხულთათვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება კარიბჭეს, ის თავისი მასშტაბით და გეგმარებით ნაგებობაში შესასვლელის წინ ერთგვარი მოსამზადებელი საფეხურის, წინკარის, ფუნქციას ასრულებს და VIII-IX საუკუნეებიდან გვხვდება. რიგ შემთხვევებში კარიბჭე ადრეულ ბაზილიკებზეც იქნა მიშენებული.

15. სარკმლები. ა/რაოდენობა. ბ/განლაგება. გ/ფორმა.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში სარკმლების თავდაპირველი რაოდენობა და ფორმა უმეტეს ძეგლებში ძნელი დასადგენია. ბიჭვინტის, ნოქალევის, ციხისძირის, ნასტაკისის, განთიადის, ვაშნარის, ნატკორას, უფლისციხის, თიანეთის სიონის, ჟალეთის, ვერეს ბაზილიკებში სარკმლები სა-

ერთოდ არ არის შემორჩენილი ან მცირე ნაწილია დაცული. ორმოცმეოთხამეტასა და ხირსაში გუმბათიან ტაძრად გადაკეთების გამო სარკმლების განლაგება მთლიანად შეცვლილია. ბოლნისის სიონის, სეფიეთის, ანჩისხატის, ურბნისის, რკონის, ბოდბეს ბაზილიკებში ნაწილობრივ შეცვლილია ღიადების რაოდენობა, მათი ფორმა და მდებარეობა. სარკმლები დანარჩენ ძეგლებშიც მეტ-ნაკლებად სახეცვლილი სახით შემორჩა. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები №10 და №11 ცხრილებშია ასახული. აქ მოტანილია როგორც სარკმლების საერთო რაოდენობა, ასევე მათი რიცხვი გრძივ და განივ კედლებზე, შუა და გვერდით ნაგებში, პასტოფორიუმებში. აღნიშნულია ასევე იმ ძეგლების მონაცემები, რომელთა სარკმლების რაოდენობა გადაკეთების დროს შეცვლილია და ამდენად ასახავს არა თავდაპირველ, არამედ დღევანდელ მდგომარეობას, რაც მითითებულია შესაბამის გრაფაში.

არსებული მასალის გაცნობა გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში სარკმლების რიცხვი დიდი არ არის (4-23). გამონაკლისია მხოლოდ ოთხთაეკლესია (68) და პარხალი (52). სარკმელები ძირითადად ნაგებობის ოთხივე მხარეს არის გაჭრილი. ისინი შუა და გვერდითი ნაგების, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე ერთ იარუსად არის განლაგებული. გამონაკლისია განთიადის გრძივი, ოთხთაეკლესიის და პარხალის ოთხივე და სანაგირეს დასავლეთი კედლები. სარკმლების რაოდენობა შუა ნავის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში უმეტესად თანაბარია. მათი რიცხვი 1-დან 5-მდეა. აღსანიშნავია, რომ შუა ნავის კედლებში სარკმლები არ არის მხოლოდ გვიან გადაკეთებულ ბოლნისის სიონსა და რკონში.

გვერდითი ნაგების გრძივ კედლებში სარკმლების რაოდენობა 1-დან 6-მდეა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე სარკმლების რაოდენობა ხშირად არ ემთხვევა, სამხრეთით

მეტია. ბაზილიკის აღმოსავლეთ მხარეს 2-დან 7-მდე სარკმელი გვხვდება. მხოლოდ ოთხთაეკლესიასა და პარხალშია შესაბამისად 15 და 12. როგორც აღინიშნა, ეს ძეგლები სარკმელების რაოდენობით და მათი იარუსებად განაწილების მხრივ, უდაოდ, გამოირჩევა (იხ.ცხრილი №10-11).

საკურთხევლის აფსიდას ერთი სარკმელი ანათებს. გამონაკლესია განთიადის, ბოდბის, სანაგირეს და იტრიის ბაზილიკები, სადაც 3 სარკმელია. სეფიეთში გადაკეთების შედეგად ორი სარკმელია.

სარკმლები თაღოვანი და სწორკუთხა მოხაზულობისაა. წრიული სარკმელი გვხვდება მხოლოდ X-XI საუკუნეების სანაგირეს, ოთხთაეკლესიის, პარხალის და ურთას ბაზილიკებში. სწორკუთხა სარკმლებია ქვაბისხევის ბაზილიკაში. ერთდროულად თაღოვანი და სწორკუთხა სარკმელი გვხვდება ბოლნისის, ანჩისხატის, ურბნისის, ალვანის, ხევის სიონის ბაზილიკებში და გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. ყველა სხვა ბაზილიკაში თაღოვანი სარკმლებია. უმეტეს შემთხვევაში სარკმლის გვერდები ინტერიერის მხარეს განივდება, რაც სინათლის სხივების უკეთ გაბნევას უწყობს ხელს. V-VI საუკუნეების ძველი შუამთის, ხაშმის, ანჩისხატის, განთიადის, ურბნისის ბაზილიკებში შემორჩენილია პარალელურგვერდებიანი სარკმლები. როგორც წესი, ნაგებობის სხვა სარკმელებთან შედარებით დიდი ზომით გამოირჩევა საკურთხევლის აფსიდის სარკმელი. განსაკუთრებით დიდი ზომისაა პარალელურგვერდებიანი, ნალისებური მოხაზულობის სარკმლები ხაშმის და ანჩისხატის ბაზილიკებში.

ამრიგად, საქართველოს სამნავიანი ბაზილიკებისათვის მრავალრიცხოვანი სარკმლები არ არის დამახასიათებელი. გამონაკლისია Xსაუკუნის ოთხთაეკლესია და პარხალი, რომლებშიც ისინი რამდენიმე იარუსად არის განლაგებული. ბაზილიკებში სარკმლები ოთხივე მხარეს არის გაჭრილი. იშვიათია, როცა რომელიმე მხარეს (უმეტესად ჩრდილოეთით)

სარკმელი არ იყოს. სარკმლები კედელზე, ძირითადად, ერთ რიგად არის განლაგებული. საკუროტხეველის აფსიდაში, უმეტესად, სხვებთან შედარებით დიდი ზომის ერთი სარკმელია. სარკმლები თაღოვანი მოხაზულობისაა. სწორკუთხა და წრიული ფორმა ნაკლებად გამოიყენება. ადრეულ პერიოდში გავრცელებულია დიდი ზომის პარალელურგვერდებიანი სარკმლები, შემორჩენილია ნალისებური მოხაზულობის ღიაღებიც. შემდგომ სარკმლების ზომა მცირდება. თუმცა მათი გვერდები ინტერიერისკენ განივრდება და ისინი კედლის ზედა ნაწილში თავსდება, რაც სინათლის უკეთ განაწილებას უწყობს ხელს.

16. ინტერიერის განათების ინტენსივობა და ხასიათი.

ინტერიერის გადაწყვეტაში განათების საკითხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. შიდა სივრცის, თითოეული არქიტექტურული ფორმის, მორთულობის აღქმას სათანადო განათება ესაჭიროება. ამასთან, განათების საშუალებით ხდება არა მხოლოდ ცალკეული დეტალისა და ნაწილის წარმოჩენა, არამედ ნაგებობის საერთო არქიტექტურული კონცეფციის გამოვლენა. ამდენად, შიდა სივრცის პრობლემის კვლევა ინტერიერის განათების ინტენსივობის და მისი ხასიათის განსაზღვრას საჭიროებს.

ამ საკითხის სრულყოფილად შესწავლა საქართველოს ყველა სამნავიან ბაზილიკაში არ ხერხდება მათი ცუდი დაცულობის გამო. ამას გარდა გადაკეთებული ბაზილიკებიც არ გვაძლევს განათების თავდაპირველ ხასიათზე სრულ წარმოდგენას. არსებული მონაცემების მიხედვით განათების ინტენსივობა ბაზილიკებში განსხვავებულია. შედარებით კარგად განათებული ინტერიერია ანჩისხატის, ვაზისუბნის, ურბნისის, სანაგირეს, ოთხთაეკლესიის, პარხალის, იტრიის ბაზილიკებში. ე.ი. ვაზისუბნის გარდა VIII საუკუნის შემდგომ აგებულ ან

გადაკეთებულ ძეგლებში. სუსტად განათებული ინტერიერია ძველი შუამთის, მატანის, ხაშმის, კონდოლის, ალვანის, აკურას, ყაზბეგის ახალციხის V-IX საუკუნეების ბაზილიკებში. გამოიყოფა ძეგლები, სადაც უკეთ განათებული მხოლოდ ტაძრის ცენტრალური სივრცე, შუა ნაწილია. გვერდითი ნაწილები აქ ჩაბნელებულია. ესენია: სეფიეთი (გადაკეთებულია), ახშანი, ბოდბე, ზედაზენი, ხევის სიონი. საპირისპიროდ, ბოლნისის სიონსა და რკონის ბაზილიკებში უკეთ განათებული გვერდითი ნაწილებია; ვინაიდან შუა ნაწილში სარკმელები არ არის, რაც გადაკეთების შედეგია. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ბოლნისის სიონში, სადაც არსებობს აფსიდისპირა სვეტიცხოვების განათების პრობლემა.

შიდა სივრცის განათების საკითხის შესწავლისას საყურადღებოა ბაზილიკის ინტერიერის ფართობის ღიადების ფართობთან შეფარდებათა შეჯერება. მონაცემები №11 ცხრილის შესაბამის გრაფაშია (S1:S2) აღნიშნული და 7,2-დან (სეფიეთი) 30,7-ს (ყაზბეგის ახალციხე) აღწევს. ინტერიერის ფართობი (S1) პასტოფორიუმებისა და სხვა დამოუკიდებელი სათავსების გარეშე განისაზღვრავს; შესაბამისად აღებულია იმ შესასვლელებისა და სარკმელების ფართობი (S2), რომლებიც ტაძრის ერთიან სივრცეს და არა იზოლირებულ სათავსებს (პასტოფორიუმები, სამალავი, სანათლავი) ანათებს. ეს მონაცემები მიახლოებითია, მაგრამ შედარებითი კვლევის შესაძლებლობას იძლევა და ძირითადად ემთხვევა აღრიცხული ბაზილიკების ინტერიერის განათების ინტენსივობის სურათს.

ბაზილიკის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფცია ტაძრის უმნიშვნელოვანესი საკრალური ადგილის, საკურთხევლის, წარმოჩენას ითვალისწინებს. შესაბამისად, აქცენტირებულია მისკენ მიმართული შუა ნაწილი, რაც ინტერიერის განათებაშიც ვლინდება. საქართველოს ბაზილიკებში საკურთხევლის სარკმლის დიდი ზომა და შუა ნაწილის განათების

ოთხივე მხრიდან უზრუნველყოფა, შიდა სივრცის ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციის გათვალისწინებით, ამ იდეას ემსახურება.

17. ა/სვეტისთავი, იმპოსტი. ბ/ბაზა. გ/ინტერიერის მორთულობის ელემენტები.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკის ინტერიერის გადაწყვეტას სისადავე ახასიათებს. ძირითად მხატვრულ-დეკორაციულ აქცენტს სვეტისთავი, იმპოსტი და ბაზა ქმნის. დეკორაციული მორთულობის სხვა საშუალებები იშვიათად გამოიყენება. ამ საკითხის შესახებ არსებული მონაცემები №12 ცხრილშია მოტანილი. შესაბამის გრაფაში მინიშნებულია თითოეულ ბაზილიკაში სვეტისთავის, იმპოსტის და ბაზის არსებობა, მათი ფორმა. ცალკე გრაფაში აღნიშნულია დადასტურებული დეკორაციული მორთულობის ელემენტების არსებობის ფაქტობრივი მონაცემები.

აღრიცხულ ბაზილიკებში სვეტისთავი 10 ძეგლშია დაცული. თითოეული მათგანი ფორმით და მხატვრული გადაწყვეტით განსხვავებულია. გვხვდება როგორც კლასიკური კაპიტელების მაგალითები (ბიჭვინტა, ვაშნარი), ასევე რელიეფური გამოსახულებებით და მოტივებით შემკული (ბოლნისის სიონი, ხაშმი, თიანეთის სიონი, ურთა) და სადა პროფილიანი სვეტისთავები (ქვაბისხევი, ვერე, ჭარები). ბიჭვინტაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ სვეტისთავს აკანტის ფოთლიანი კაპიტელის ფორმა აქვს. როგორც ირკვევა ის ჩვენს მიერ აღიციხულ ბაზილიკაზე ადრეულს ამკობდა. ვაშნარის ბაზილიკაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად იონური კაპიტელია გამოვლენილი. ბოლნისის სიონში აღმოსავლეთ წყვილ საყრდენზე და სატრიუმფო თაღზე რელიეფებით შემკული სვეტისთავებია, რომლებშიც ზოომორფული, მცენარეული და გეომეტრიული მოტივებია გამოყენე-

ბული. აღსანიშნავია, ასევე ხარის თავისა და ფარშევანგების გამოსახულებები, რომლებიც სანათლავის პილასტრს ამკობს. სტილისტურად ბოლნისის სიონის მორთულობას უახლოვდება ხაშმის რელიეფებით შემკული სვეტისთავები, რომლებიც აღმოსავლეთ წყვილ საყრდენს და სატრიუმფო თაღს ამკობს. უფლისციხის ბაზილიკაში კლდეში ნაკვეთი ჩრდილოეთი კედლის პილასტრზე დეკორაციული მორთულობის მქონე სვეტისთავის ფრაგმენტია დადასტურებული. თაინეთის სიონში რელიეფებით შემკულ სვეტისთავს წაკვეტილი პირამიდის ფორმა აქვს, რომლის განიერ ზედა ნაწილზე თაროა მოთავსებული. რელიეფებით არის შემკული სატრიუმფო თაღის სვეტისთავებიც. ქვაბისხევის ბაზილიკაში სვეტს ირიბვერდიანი ოთხკუთხა ფილა აგვირგვინებს. ვერეს ბაზილიკაში გეგმაში რვაწახნაგა სვეტისთავია. მის ქვედა ლილვებსა და ზედა თაროს შორის წიბოა. ურთას ბაზილიკაში ვარდულეობით შემკული სხვადასხვა ფორმის სვეტისთავებია. ჭარების ბაზილიკაში სვეტისთავს წაკვეტილი პირამიდის ფორმა აქვს, რომლის განიერ ნაწილზე კადრატული ფილაა მოთავსებული. სვეტისთავები გვერდითი ნავის მხარეს მომრგვალებულია.

როგორც აღვნიშნეთ, თითოეულ ძეგლში სვეტისთავები თავისებურად არის გადაწყვეტილი. ამას, გარკვეულწილად, ძეგლების ქრონოლოგიური და რეგიონალური განსხვავებაც განაპირობებს. მაშინ, როდესაც ეს ორი ფაქტორი თანხვედრა, ადგილი აქვს გარკვეულ მსგავსებას. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ადრეშუასაუკუნეების ბიჭვინტის და ვაშნარის ბაზილიკებში კლასიკური ტიპის სვეტისთავები გამოიყენება; აღმოსავლეთ საქართველოს ბოლნისის სიონისა და ხაშმის სვეტისთავები სტილისტურ მსგავსებას ამჟღავნებს.

აღრიცხულ ბაზილიკებში იმპოსტი საყრდენებზე 25 ბაზილიკაშია (იხ. ცხრილი №12). ამას გარდა, იმპოსტები არის გამბრჯენი თაღის ქუსლის დონეზე. აღსანიშნავია, რომ ეს იმ-

პოსტები ყველა ბაზილიკაშია. ისინი, უმეტესად, საყრდენის იმპოსტის მსგავსია. განსხვავების შემთხვევაში, საყრდენის იმპოსტი უფრო რთული ფორმისაა, ხოლო გამბრჯენი თაღის სადაა. იმპოსტი მოთავსებულია ასევე სატრიუმფო თარის ფუძესთან. ის ძირითადად საყრდენის იმპოსტის ფორმას იმეორებს.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში იმპოსტს, ძირითადად, ცერობზე დაფუძნებული თაროს ფორმა აქვს. ცერობი შეიძლება იყოს სწორხაზოვანი და მრუდწირული. სწორხაზოვანცერობიანია მატანის, სეფიეთის, ხაშმის, ნატკორას, ზედაზენის, რევაზაშენის, აკურას, ჟალეთის, ყაზბეგის ახალციხის, ხევის სიონის, ოთხთაეკლესიის, ქლივანას იმპოსტები. მრუდხაზოვან ცერობზე დაფუძნებული თაროს ფორმა აქვს ძველი შუამთის, ახშანის, პარხალის იმპოსტებს. ბოლნისის სიონში იმპოსტი მრუდხაზოვანი ცერობის ფორმისაა თაროს გარეშე, ხოლო ვაზისუბანში თაროა ცერობის გარეშე. რკონის, ურბნისის, სანაგირეს და იტრიის ბაზილიკებში იმპოსტი განსხვავებული ფორმით გამოირჩევა. რკონში ის ოთხი ნაწილისაგან შედგება. ორ თაროს შორის ორი ლილვისებური რიგია. თაროები ნახევარწრეების მოტივით არის შემკული. ურბნისში იმპოსტის ოთხი ნაწილიდან ქვედა დაბალ სწორკუთხა თაროს ორი, შედარებით მაღალი და განიერი, თარო ებჯინება, რომელთა შორის შეზნექილი მრუდწირია. სანაგირეში იმპოსტს აგურის სამი რიგი ქმნის, ხოლო საყრდენის დასავლეთ მხარეს შირიმის ლილვია. იტრიის ბაზილიკაში კვადრატულ, პროფილში მომრგვალებულ თაროზე გეგმაში ჯვრის ფორმის ცერობია მოთავსებული. ბაზილიკებში იმპოსტი, უმეტესად, საყრდენს ოთხივე მხრიდან გარს უვლის, ზოგჯერ კი შუა ნავის პილასტრთან წყდება. რიგ ძეგლებში იმპოსტი საყრდენის მხოლოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს არის მოთავსებული. აღრიცხულ ბაზილიკებში იმპოსტი ან სვეტისთავი არ არის მხოლოდ კონდოლის, ალვანის

და ყველაანთუბნის ბაზილიკებში. ამას გარდა ისინი არ შემორჩა ან გვიანი გადაკეთების ხანისაა ნოქავაქევის, ციხისძირის, ნასტაკისის, ალაჰადის, ანჩისხატის, ორმოცმოწამეთას, ხირსას, ბოდბეს ბაზილიკებში.

უმეტეს აღრიცხულ ბაზილიკებში საყრდენს ბაზა არ აქვს (იხ. ცხრილი №12). რიგ ძეგლებში მათი არსებობის და ფორმის გარკვევა არ ხერხდება. დადასტურებულია სამი სახის ბაზა: კვადრატული, ჯვრის ფორმის და წრიული. კვადრატული ბაზაა ვაშნარის, ორმოცმოწამეთას, ქვაბისხევის, ჟალეთის, ჭარების (დასავლეთი წყვილი), იტრიის ბაზილიკებში. ამათგან ორმოცმოწამეთას და იტრიის ტაძრებში ორსაფეხურიანი ბაზებია. გეგმაში ჯვრის ფორმისაა ბოლნისის სიონის, ანჩისხატის, ურბნისის, უფლისციხის, რკონის; წრიული ფორმისაა თაინეთის სიონის (სამსაფეხურიანი), პარხალის და ჭარების (აღმოსავლეთი წყვილი) ბაზები. ამდენად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში საყრდენი უმეტესად ბაზის გარეშეა. კვადრატული ბაზა ყველა პერიოდის ძეგლებში გვხვდება. ჯვრული ფორმა V-VII საუკუნეების ბაზილიკებში გამოიყენება, ხოლო წრიული ბაზა VIII საუკუნის შემდგომი ხანის რამდენიმე ძეგლშია.

ამრიგად, აღრიცხულ ბაზილიკებში სვეტისთავი V-XIII საუკუნეების 10 ძეგლშია. ორნამენტული მოტივით შემკული სვეტისთავები და ბაზებია დადასტურებული ასევე სვეტიცხოვლის (ბაზები), წილკანის და აკაურთას (სვეტისთავები) ბაზილიკებში. სვეტისთავები ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება. სვეტისთავის ერთი, გავრცელებული ტიპი არ შემუშავებულა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი მხატვრული სახეა შექმნილი. ადრეული პერიოდის სვეტისთავები უფრო რთული ფორმისაა. დასავლეთ საქართველოს ძეგლებში გვხვდება კლასიკური კაპიტელები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში რელიეფებით შემკული სვეტისთავები, რომლებიც თავისი მხატვრული გადაწყვეტით სასა-

ნური ირანის ხელოვნებასთან კავშირს ამჟღავნებს. შემდგომ პერიოდში სვეტიცთავეები განსხვავებული, უფრო სადა ფორმისაა. გვხვდება როგორც რელიეფებით შემკული, ასევე მარტივპროფილიანი სვეტიცთავეები. ე.ი. ქრონოლოდიურად სვეტიცთავეების მხატვრულ გადაწყვეტაში ფორმისა და მორთულობის გამარტივების ტენდენცია იჩენს თავს.

საქართველოს ბაზილიკებში იმპოსტს, ძირითადად, ცერობზე დაფუძნებული თაროს ფორმა აქვს. ამგვარი ფორმა ზედმიწევნით პასუხობს კონსტრუქციულ და მხატვრულ ამოცანას, ამავე დროს სიმარტივითა და კომპაქტურობით ხასიათდება, რაც მის ფართოდ გავრცელებას განაპირობებს. იმპოსტი მოთავსებულია საყრდენზე, გამბრჯენი და სატრიუმფო თაღის ქუსლის დონეზე. იმპოსტი გარს უვლის საყრდენს ან მის მხოლოდ აღმასავლეთ და დასავლეთ მხარესაა. ბაზილიკებში საყრდენი უმეტესად ბაზის გარეშეა. გამოიყენება გეგმაში კვადრატული, ჯვრული და წრიული ფორმის ბაზები.

მორთულობის სხვა ელემენტები მხოლოდ ცალკეულ ბაზილიკებშია დადასტურებული (იხ.ცხრილი №12). თითოეული მათგანი კონკრეტული ძეგლის მახასიათებელს წარმოადგენს და საქართველოს სამნავიანი ბაზილიკის ინტერიერის მორთულობის ზოგადი სქემის ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლევა.

18. შიდა სივრცის გადაწყვეტა.

სამნავიანი ბაზილიკის შიდა სივრცის გადაწყვეტის თავისებურებაზე მსჯელობა, ცხადია, მხოლოდ იმ ძეგლების საფუძველზე არის შესაძლებელი, რომელთა დაცულობა ამის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს სამნავიან ბაზილიკეში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხალვათი, ერთიანი სივრცის შექმნის, დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის მეტ-ნეკლებად ხაზგასმის, საკურთხევლისაკენ მიმართული შუა ნავის მნიშვნე-

ნელობის წარმოჩენის, არქიტექტურული მასების განაწილებისას ვერტიკალის ხაზგასმის საკითხებს.

წაგრძელებული გეგმარება და გამოკვეთილი დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი აქვს ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის და რიგ დასავლეთ საქართველოს ძეგლებს. მათ საპირისპიროდ VIII-IX საუკუნეების ძეგლებში გეგმის კვადრატთან დაახლოვების ტენდენცია იკვეთება და სამი ნავის მჭიდრო ურთიერთკავშირის, ერთიანობის პრინციპი ბატონობს. შუა ნავი შიდა სივრცის ორგანიზაციაში განსაკუთრებულად გამოკვეთილია სეფიეთის (გვერდითი ნავეები ორსართულიანია), კონდოლის (გვერდითი ნავეები ძალზე ვიწროა), ვერეს (გვერდითი ნავეების კამარები შუა ნავის პერპენდიკულარულია) ბაზილიკებში. ზეაწეული პროპორციები, მასშტაბურობა გამოარჩევს ოთხთაეკლესიის და პარხალის ინტერიერს.

გამოიყოფა რამდენიმე ბაზილიკა, რომელთაც ინტერიერის სივრცობრივი გადაწყვეტის თავისებურება გამოარჩევს. ესენია – ძველი შუამთა, მატანი და აკურა. პირველ ორ ძეგლში შუა ნავს გვერდითი ნავეები სამი მხრით შემოჰყვება. უადრესი ხანის ეს ბაზილიკები ამგვარი გადაწყვეტით გარკვეულწილად წინასწარმეტყველებენ იმ არქიტექტურული ფორმების და ვარიანტების შემუშავებას, რაც ქართულმა ხუროთმოძღვრებამ უგუმბათო არქიტექტურის განვითარების პროცესში მოგვცა. რაც შეეხება აკურას, აქ ჩრდილოეთი ნავის თავისებური გადაწყვეტა (კედლით შუაზე გაყოფილი ჩრდილოეთი ნავი შუა ნავს მისკენ პერპენდიკულარულად მიმართული კამარებით უკავშირდება) დამკვეთის კონკრეტულ მოთხოვნასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მას საქართველოს ბაზილიკებში პარალელი არ ეძებნება. თუმცა შუა ნავის პერპენდიკულარულად განლაგებული კამარები გარკვეული მსგავსებას ვერეს გვერდითი ნავეების გადახურვასთან აქვდავენებს.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში შიდა სივრცის გადაწყვეტისას გამოყოფილია მთავარი (ღერძი, შუა ნავი) და დაქვემდებარებული ნაწილები. აღსანიშნავია, რომ მთავარისა და დაქვემდებარებულის წარმოჩენა, მათი ორგანული ურთიერთშეთანხმება ზოგადად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის დამახასიათებელი ნიშანია და საქართველოს ძეგლებშიც ნათლად არის გამოვლენილი. ეს პრინციპი ცალკეული დეტალების გადაწყვეტაშიც ვლინდება, მაგრამ უმთავრესი სწორედ შუა და გვერდითი ნაგებობის ურთიერთმიმართების საკითხია. ზოგიერთ შემთხვევაში მთავარის ხაზგასმა უფრო მეტად, ზოგჯერ კი ნაკლებად ხორციელდება. ძირითადი საშუალება, რითაც ურთიერთმიმართების რეგულირება ხდება არის მათი მასშტაბი-ზომა, პროპორციები და განათება.

ბაზილიკის შიდა სივრცის გააზრებაში ნათლად იკვეთება ცალკეული არქიტექტურული ფორმების რიტმული განაწილების წესი. საქართველოს სამნავიანი ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი სისადავის პირობებში ის უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად გვევლინება. არქიტექტურული ფორმების (საყრდენი, პილასტრი, თალი, გამბრჯენი თალი) რიტმული მონაცვლეობა ქმნის თავისებურ სქემას, რომელიც ისევე, როგორც სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს ბაზილიკებში, ზომიერების პრინციპს ეფუძნება. ერთი და იგივე ფორმის მრავალჯერად განმეორებას ადგილი არ აქვს. ამით იქმნება შეკრული, ერთიანი, ფორმათა რიტმული ურთიერთშეთანხმებით აგებული კომპოზიცია. როგორც აღვნიშნეთ, ბაზილიკებში განმეორებადი არქიტექტურული ფორმა რამდენიმეა – საყრდენი, თალი, გამბრჯენი თალი და პილასტრი. თუ პირველი სამი ყველა ბაზილიკაში გამოიყენება, პილასტრი შემდეგ ბაზილიკებშია დადასტურებული – ძველი შუამთა, ბოლნისის სიონი, ახმანი, ვაზისუბანი, ნატკორა, ურბნისი, ალვანი, აკურა, ბოდბე, სანაგირე, ყაზბეგის ახალ-

ციხე, ხევის სიონი, ვერე, ოთხთაეკლესია, პარხალი, ქლივანა, იტრია. ყველა ეს ძეგლი აღმოსავლეთ საქართველოშია. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში პილასტრი არ გვხვდება. როგორც ვხედავთ, პილასტრი ჯერ კიდევ V-VI საუკუნეების ძეგლებში გამოიყენება და მომდევნო ხანებშიც ფართოდ არის გავრცელებული. პილასტრს აქვს როგორც კონსტრუქციული, ასევე მხატვრული ფუნქცია და ინტერიერში ვერტიკალის ხაზგასმას უწყობს ხელს. პილასტრები უმეტესად შუა ნავში, საყრდენებსა და შუა ნავის კედლებზეა. ამდენად, ამ ბაზილიკებში საყრდენს გვემაში I-ს ან ჯვრის ფორმა აქვს. გამონაკლესია სანაგირეს, ვერეს, იტრიის ბაზილიკები, სადაც პილასტრი საყრდენის იმპოსტიდან იწყება. გვერდით ნაევებში პილასტრი ურბნისის, ოთხთაეკლესიის და პარხალის ბაზილიკებშია, სადაც ისინი ერთმანეთს თაღებით უკავშირდება.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში ცალკეულ ძეგლებში გამოიყენება სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტი, როგორცაა დეკორაციული თაღედი, დეკორაციული ნახევარკოლონა და ლავგარდანი. პირველი მათგანი გვხვდება მატანის (არათავდაპირველი), ზედაზენის ბაზილიკების შუა ნავში. აკურას ბაზილიკაში აგურის ნახევარკოლონები პილასტრის ორივე მხარეს არის მოთავსებული. ლავგარდანი გამოყენებულია სეფიეტის ბაზილიკაში, სადაც ის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებს ორ რიგად, ხოლო საკურთხევლის აფსიდას ერთ რიგად შემოჰყვება. საგულისხმოა, რომ ინტერიერში ჰორიზონტალის ხაზგასმა საქართველოს ძეგლებისათვის არ არის დამახასიათებელი და სეფიეთი ამ მხრივ გამონაკლისია. თუმცა ლავგარდანი განთიადის და უფლისციხის ბაზილიკებშიც გვხვდება, მაგრამ მხოლოდ აფსიდის კონქის ფუძესთან.

ამრიგად, საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების ინტერიერი ძირითადად ხალვათი, ერთიანი სივრცის შექმნის, ვერ-

ტიკალური ფორმების ხაზგასმის, მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების ურთიერთშეთანხმების პრინციპზეა აგებული. მას სისადავე და ლაკონურობა ახასიათებს. შიდა სივრცის მხატვრულ სახეს, უმთავრესად, არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტების პლასტიკური გამომსახველობა და მათი რიტმული განაწილების წესი განსაზღვრავს.

19. ინტერიერის და ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულება.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში ინტერიერის და ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულების განხილვისას შევეხებით რამდენიმე საკითხს: ა/შიდა სივრცის სამ ნავად დანაწევრების ასახვა გარე მასებში. ბ/საკურთხევლის აფსიდა – აღმოსავლეთ ფასადი. გ/დამატებითი სივრცობრივ-მოცულობითი ფორმები ექსტერიერში. დ/ექსტერიერის ხასიათი. ე/ინტერიერისა და ექსტერიერის ურთიერთშესაბამისობა.

ა/საქართველოს იმ სამნავიან ბაზილიკებში, სადაც გადახურვა შემორჩენილია, გამოიყენება ოთხფერდა სახურავი (იხ. ცხრილი №13). შუა ნავს ორფერდა, ხოლო გვერდითებს ცალფერდა სახურავი აქვს. ერთადერთი გამონაკლისია ბონისის სიონი, სადაც სამივე ნავი ორფერდა სახურავის ქვეშ არის მოქცეული. გადახურვის ასეთი გადაწყვეტა XVII საუკუნის რემონტის დროინდელია. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ გალერეებს დამოუკიდებელი ცალფერდა სახურავი აქვს. ამიტომ ექსტერიერში მაინც იქმნება ოთხფერდა ნაგებობის სილუეტი.

ამდენად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში ინტერიერში სამ ნავად დაყოფა გარე მასებში ოთხფერდა გადახურვაში აისახება. ამასთან განირჩევა როგორც შიდა სივრცის შემადგენელი სამი ძირითადი ნაწილი (სამი ნავი), ასევე მათი პროპორციული ურთიერთდამოკიდებულება.

ბ/საკუთრებელის აფსიდა აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის ან სარკმლების საშუალებით იხსნება. ამას გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში მოცულობითი ფორმით გამოიყოფა ნიშების ან შვერილის სახით (იხ. ცხრილი №13). აღრიცხული ბაზილიკებიდან 27 ძეგლში აფსიდა გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი. ამათგან სამ, რკონის, ვერეს და იტრიის ბაზილიკებში ნიშებით გამოიყოფა. შვერილი აფსიდა 14 ბაზილიკაშია. ბოლნისის სიონის, სეფეთის ბოღბის და სანაგირეს აფსიდები ნახევარწრიული, დანარჩენი ხუთწახნაგა ფორმისაა (იხ. ცხრილი №13). გამორჩეულია ალაჰადე, სადაც აფსიდა შვიდწახნაგაა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა ბაზილიკა შვერილაფსიდიანია.

გ/პასტოფორიუმები ბაზილიკებში უმეტესად გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი. აღმოსავლეთ ფასადზე შვერილი სახით გამოდის მხოლოდ განთიადის, ბოღბის და სანაგირეს პასტოფორიუმები. იშვიათად ეს სათავსები გრძივ ფასადებზეც არის გამოწეული. ამის მაგალითია ანჩისხატის ჩრდილოეთი და განთიადის ორივე სათავსი. აღსანიშნავია ჭარების ბაზილიკის ირეგულარული ფორმის ჩრდილოეთი სათავსი, რომლის მოხაზულობა ექსტერიერშიც არის გამოვლენილი. პასტოფორიუმების სარკმლები, როგორც წესი, აღმოსავლეთ ფასადზეა გაჭრილი. რიგ შემთხვევებში პასტოფორიუმის სარკმლები ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადზეც გადის.

ზოგიერთი ბაზილიკის ექსტერიერში დამოუკიდებელი გადახურვის მქონე მოცულობითი ფორმაა (იხ. ცხრილი №13), როგორცაა დასავლეთი ნავი ძველ შუამთასა და მატანში, გარშემოსავლელი ვაზისუბანსა და ახმანში, ღია გალერეები და სანათლავე ბოლნისის სიონში, ასევე ძეგლის თანადროული ან შემდგომი ხანის კარიბჭეები.

აღნიშნული ძეგლების ექსტერიერში სამი ნავით შექმნილ ერთიან სტრუქტურას ერწყმის დამატებითი მოცულობითი ფორმა (შვერილი აფსიდა და პასტოფორიუმები, დასავ-

ლეთი ნავი, გალერეა, გარშემოსავლელი, კარიბჭე), რომელიც კონკრეტული ძეგლის გარე მასების თავისებურ გადაწყვეტას განაპირობებს.

დ/საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში ექსტერიერი, ისევე როგორც ინტერიერი, სისადავით ხასიათდება. მარტივი რელიეფური მორთულობის მოტივები ამკობს სარკმლის და შესასლელის საპირეებს. ზოგიერთ ძეგლში მორთულობის ეს ელემენტებიც არ არის დადასტურებული. თავისი გაფორმებით გამოირჩევა ბოლნისის სიონი, რომლის გალერეების სვეტისთავები რელიეფებით არის შემკული. გამორჩეულია ოთხთაეკლესია და პარხალი, სადაც რელიეფური მორთულობის გარდა გამოყენებულია თაღედი, რომელიც ანაწევრებს კედლის სიბრტყეს, გარკვეულ რიტმს ქმნის და ექსტერიერის მხატვრული სახის შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. აღსანიშნავია, რომ ამ სამ ძეგლში ექსტერიერში გამოყენებული ელემენტები (სვეტისთავები, თაღედი) ნაგებობის ინტერიერშიც გვხვდება. შემკულია ასევე ვერეს და სანაგირეს ფასადები. X და XI საუკუნის დასაწყისის ბაზილიკებში ფასადების გაფორმებისადმი მეტი ყურადღება, უთუოდ, ეპოქის დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ე/აღრიცხულ ბაზილიკებში ინტერიერსა და ექსტერიერს შორის, ძირითადად, ორგანული კავშირი და არქიტექტურულ ფორმათა ურთიერთშეთანხმება აღინიშნება. საერთო ხასიათი როგორც ინტერიერში, ასევე ფასადების გადაწყვეტისას სისადავის, ლაკონიზმის, ზომიერების, კონსტრუქციული ფორმების გამომსახველობის პრინციპს ეფუძნება. V-VII საუკუნეების რიგ ძეგლებში შიდა სივრცე ექსტერიერთან შედარებით არქიტექტურული ფორმების ორგანიზაციის და მორთულობის მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ზოგადად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკების გარე მასების სიმეტრიულობისა და ცალკეულ ნაწილთა გაწონასწორების პრინციპი დაცუ-

ლია. ამ მხრივ ჭარების ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ასიმეტრიულობა გამონაკლისად აღიქმება.

ამრიგად, საქართველოს სამნავინ ბაზილიკებში შიდა სივრცის და გარე მასების გადაწყვეტაში მჭიდრო ურთიერთ-კავშირი აღინიშნება. ბაზილიკის სამივე ნავი, რიგ ძეგლებში დასავლეთი ნავი, გალერეა, გარშემოსავლელი ექსტერიერში სივრცობრივ-მოცულობით ასახვას ჰპოვებს. საკუთხეველის აფსიდა და პასტოფორიუმები ექსტერიერში ზოგიერთ შემთხვევაში შვერილის სახით იკითხება, ხოლო პატრონიკე და სამალავები გარე მასებში დამოუკიდებელ მოცულობით ფორმას არ ქმნის. ამდენად, საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში შიდა სივრცის და გარე მასების გადაწყვეტა სრულ შესაბამისობაშია. ინტერიერის და ექსტერიერის აგების პრინციპი ერთიან არქიტექტურულ კონცეფციას ემორჩილება, რაც ვლინდება როგორც ფორმათა შესატყვისობაში, ასევე მათი მხატვრული სახის მთლიანობაში.

20. სხვა ბაზილიკებისაგან განმასხვავებელი თავისებურებები.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის დროს შევეცადეთ გამოგვეყო თითოეული ძეგლისათვის დამახასიათებელი გეგმარების, არქიტექტურული ფორმის გადაწყვეტის თუ მორთულობის ის თავისებურებები, რომლებიც მათ სხვა ბაზილიკებისაგან გამოარჩევს. №14 ცხრილი მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს ამ ინფორმაციას. ამდენად მათი განხილვისას ძირითად მახასიათებლებს შევეხებით.

№14 ცხრილის მიხედვით გეგმარების თვალსაზრისით გამოირჩევა: ერთიანი აფსიდით დაბოლოებული სამი ნავი ალაჰაძეში; დასავლეთი ნავი ნოქალაქევის, ძველი შუამთის, მატანის, ვაშნარის, ორმოცმოწამეთას ბაზილიკებში; ნარტექსი განთიადსა და ბოდბეში; გალერეები ბოლნისის სიონში;

გარშემოსავლელი ვაზისუბანსა და ახშანში; კედლით გამიჯ-
ნული სამხრეთი ნავი მატანში; სანათლავისათვის ცალკე
სათავსის გამოყოფა ბოლნისის სიონის, ვაშნარის, ჟაღეთის
ბაზილიკებში (სანათლავი უნდა იყოს არქეოლოგიური გათხ-
რების შედეგად გამოვლენილი ანჩისხატის სამხრეთ-და-
სავლეთი სათავსიც. იხ. გვერდწითელი, 1966:37-42); გეგმის
სწორკუთხედიდან გრძივი ფასადების მხარეს გამოწეული ან-
ჩისხატის ჩრდილოეთი და განთიადის ორივე სათავსი.

შიდა სივრცის გადაწყვეტაში აღინიშნება შემდეგი თავი-
სებურებები: ორსართულიანი გვერდითი ნავეები სეფიეთში,
კედლით ორ ნაწილად გაყოფილი ჩრდილოეთი ნავი და მის
მეორე სართულზე მოწყობილი სამალავი აკურაში, პატრონი-
კე სანაგირეში, ოთხთაეკლესიასა და პარხალში, ორნაწილიანი
პასტოფორიუმები ოთხთაეკლესიასა და პარხალში, შუა ნავის
მიმართ პერპენდიკულარული კამარებიანი გავერდითი ნავეები
ვერეში.

მორთულობის მხრივ გამორჩეულია ბიჭვინტის, ბოლნი-
სის სიონის, ხაშმის, ვაშნარის, თიანეთის სიონის, ჟაღეთის
ბაზილიკები. აღსანიშნავია ყრუ თაღების გამოყენება მატანის,
ურბნისის (გვიანდელია), ზედაზენის, ოთხთაეკლესიის და
პარხალის ინტერიერში. ოთხთაეკლესია და პარხალი გამორ-
ჩეულია ფასადების თაღებით შემკობით. ინტერიერში ლავ-
გარდანი გამოიყენება სეფიეთის განთიადის და ერთადერთ
კლდეში ნაკვეთ უფლისციხის ბაზილიკაში.

აღსანიშნავია, რომ სამ ბაზილიკაში წმინდანთა საძვალე-
ებია. ხირსაში სტეფან ხირსელის, ზედაზენში იოანე ზედაზ-
ნელის, ბოდბეში წმინდა ნინოს განსასვენებელია.

ამრიგად, ბაზილიკების გეგმარებაში თავისებურებები ძი-
რითადად V-VI საუკუნეების ძეგლებში აღინიშნება. შემდგომ
ბაზილიკის უკვე დამკვიდრებული ტიპი გეგმარების მხრივ
ცვლილებებს აღარ განიცდის. შიდა სივრცის გადაწყვეტაში
აღნიშნული თავისებურებები მხატვრული თუ არქიტექტურუ-

ლი თვალსაზრისით მეტ-ნაკლები მნიშვნელობისაა და ლოკ-
ლურ ხასიათს ატარებს. საგულისხმოა, რომ ბევრ შემთხვევა-
ში აღნიშნული თავისებურებები გამონაკლისად ბაზილიკებთან
მიმართებაში აღიქმება (მაგ.: გალერეა, გარშემოსავლელი,
პატრონიკე, წრიული სარკმელი), ხოლო საქართველოს ხუ-
როთმოდღვრების სხვა არქიტექტურულ ტიპებთან შედარები-
სას ბევრი პარალელი ეძებნება.

**ცხრილები საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების
მონაცემების შესახებ**

ცხრილი № 1

Vს.	V-VIსს.	VIს.	VIII-IXსს.	IXს.	IX-Xსს.	X-XIსს.	XIII-XVIIIსს.
<p>1.ბიჭვინტა 2.ბოლნისი 3.მატანი 4.ნოქალაქევი 5.სეფეთი 6.ციხისბერი 7.თე.შუამთა</p>	<p>1.ნასტაკისი 2.ხაშნი 3.ალაპაძე 4.განთიადი 5.ვახსუბანი 6.ვაშნარი 7.კონდოლი 8.ნატკორა 9.ორმოცმოწამეთა 10.ურბნისი 11.უფლისციხე 12.ხორსა</p>	<p>1.ანისატი 2.ასშანი 3.ალაპაძე 4.განთიადი 5.ვახსუბანი 6.ვაშნარი 7.კონდოლი 8.ნატკორა 9.ორმოცმოწამეთა 10.ურბნისი 11.უფლისციხე 12.ხორსა</p>	<p>1. ზედაზენი 2. ალაფანი 3. თიანეთი 4. რევაზაშენი</p>	<p>1. აკურა 2. ბოდბე 3. ქვაბიხევი</p>	<p>1. ჟალეთი 2. ქაზბეგისახალციხე 3. ყველაანთუბანი 4. ხევისსიონი</p>	<p>1. ვერე 2. თხოამელისა 3. კარხალი 4. ურთა 5. სანაგირე 6. კვირიკეწმინდა</p>	<p>1. ქლიფანა 2. ჭარები 3. იტრია</p>
		<p>1. რკინი (VIIს.)</p>					

8.არეში 9.ერეშეთი 10.ნიქოზი 11.სემტო-ცხოველი 12.ცაიში	3.აკაურთა	13.ხდუდერი 14.თელავის დედაქალაქი 15.თი-ქიდი-სა 16.კურდღელი 17.გუნი 18.წიფიანი 19.წიფიანთა	5.ქაბუჯი 6.კორინთის 7.ლოპოტის-სეგი 8.მოსაბრუნო	4.პარესთა 5.ქობთაგი	7.ზედათი 8.სემტი	4.ილი 5.მუკუხანის 6.სემტი 7.სოფთაქუნი
---	-----------	---	---	------------------------	---------------------	--

ცხრილი № 2

№	ძეგლი	თარიღი	დაცულობის დონე	სამშენებლო პერიოდები	XX ს-ის რესტავრაცია
1	ბიჭვინტა	V ს.	გვგმა იკითხება	–	არქ.გ. 1952-73წწ, 1982-84წწ
2	ბოლნისი	478-493წწ	კარგი	VIII, XIV, XVII	1936-40წწ, 1970-86წწ
3	მატანი	V ს. შუა	კარგი	VIII-IX, XV-XVII	1986-87წწ
4	ნოქალაქევი	V ს. შუა	გვგმა იკითხება	–	არქ.გ. 1975-77წწ
5	სეფიეთი	V ს. II ნახ	ნაწილობრ. დაზიანება	რამდენიმე	1971 გადაიხურა 1987 გაიწმინ.
6	ციხისძირი	V ს.	გვგმა იკითხება	–	არქ.გ. 1961-62წწ, 1982წ.
7	ძველი შუამთა	V ს.	კარგი	მოგვიან. მინასმენი	1971-76
8	ნასტაკისი	V-VI სს.	ცუდი, VIII ს-დაინერა	VI-VII სამეკლ.	არქ.გ. 1980-82, კონს. 1985-86
9	ხაშში	V-VI სს.	ნაწილობრ. დაზიანება	VII-VIII, IX, XIV-XV, XVI, XVIII	1982წ.
10	ანისხატი	V ს. დასწ.	კარგი	XVII, XIX	1958-74წწ, 1986-87წწ.
11	აღაპაქე	V ს.	გვგმა იკითხება	–	არქ.გ. 1970-71წწ.
12	ასშანი	V ს. II ნახ.	ნაწილობრ. დაზიანება	XI-XIII, XV-XVI	–
13	განთიადი	V ს. II ნახ.	კამარქანამოქცეულია	IX	1971წ., 198081წწ.
14	ვაზისუბანი	V ს. II ნახ.	ნაწილობრ. დაზიანება	XIX	1951-52წწ- გადახურვა
15	ვაშნარი	V ს.	ცუდი	–	არქ.გ. 1949
16	კონდოლი	V ს. დასწ.	ნაწილობრ. დაზიანება	XVII, XIX	–
17	ნატკორა	V ს.	ცუდი	X, XII, XIV	–
18	ორმოცმოწამათა	V ს. II ნახ.	კარგი	VIII-IX, XVI-XVII	1977წ.
19	ურბნისი	V ს.	კარგი	IX-X, XVII	1953-66წწ, 1981-81წწ
20	უფლისციხე	V ს.	ცუდი	–	არქ.გ. 1957წ., 1974-75, 1987წწ.

21	ხირსა	VII ს.	ნაწილობრ.დაზიანება	VIII-IX, XI, XVI	1950-53წწ
22	რკინი	VIII ს.	კარგი	XIII-კარიბჭე	1972-75წწ, 1986წ გაიწმინდა
23	ზედაზეი	VIII ს., II ს.	კარგი	IX კარიბჭე, XVIII	1938წ, 1950-53წწ, 1972-80-82წწ
24	აღვანი	VIII-IX სს.	ნაწილობრ.დაზიანება	XVI	1971-74-75წწ
25	თიანეთი	VIII-IX სს.	კამარქვანამოქცეულია	-	არქ.კ. 1951წ, 1967წ-ღია ცის ქვეშ მუზეუმში
26	რეგაზაშენი	VIII-IX სს.	ცუდი	-	-
27	აკურა	855წ.	კარგი	XVI	1970-76წწ.
28	ბოდბე	IX ს.	კარგი	XVII, XIX	1995წ.
29	ქვაბოსეკი	IX ს.	კარგი	-	1986-87წწ
30	ქაღეთი	IX-X სს.	კამარქვანამოქცეულია	-	1958წ. 1961-62წწ.
31	ყაზბეგი	IX-X სს.	კარგი	-	-
32	ყველანთუბანი	IX-X სს.	ცუდი	-	-
33	ხევის სონი	IX-X სს.	კარგი	-	1968წ.
34	ვერე	X ს.	ცუდი	XI	60-იანი წწ, 1990-91-გაიწმინ.
35	თხოთაეკლესია	X ს., II ს.	კარგი	-	-
36	პარხალი	X ს., II ს.	კარგი	XV-XVI	-
37	ურთა	X ს.	ნაწილობრ.დაზიანება	-	-
38	სანაბრე	XI ს., დასწ.	ნაწილობრ.დაზიანება	XIII	შეღებულის პროექტი
39	ძვითი კეწმინ-და	XI ს.	კამარქვანამოქცეულია	XVII	1991წ. მიწისძვრით დაზიანდა
40	ქილახა	XIII-XIV სს	კამარქვანამოქცეულია	-	-
41	ჭარბი	XIII-XIV სს	კამარქვანამოქცეულია	-	-
42	იჭრია	XVI ს.	კარგი	XIX	1980-81წწ გაიწმინდა

№	ძეგლი	თარიღი	აგდლის სიმაღლე (სმ)	ექსტერიერი			ინტერიერი			h L	h S
				სიგრძე S1 (მ)	სიგანე S2 (მ)	SI S2	სიგრძე S1 (მ)	სიგანე S2 (მ)	SI S2		
1	ბოჭვიცა	Vს.	90-110	28,30	13,60მ	2,08	18	12	1,5		
2	ბოლნისი	478-493წწ	130-160	27,80	24,50მ	1,13	21,50	13,50	1,6		
3	მატანი	Vს. შუა	80	9,60	8,80	1,09	6	7,20	0,8	1,1	0,9
4	ნოქალაქევი	Vს. შუა	110	26,60	14,6	1,8	20	13	1,2		
5	სევიკი	Vს. II6სხ	110	14,60	12,40	1,2	8,80	10,20	0,8	1	0,8
6	ციხისძირი	Vს.	110-120	33	17,80	1,8	26	16	1,6		
7	ძეგლი შუამთა	Vს.	70	10,8	8,90	1,1	7,40	7,20	1,02	0,9	0,9
8	ნასტაკისი	V-VIსხ.	100	16,67	10	1,6	9,60	8	1,2		
9	საშში	V-VIსხ.	130-140	25,20	14	1,8	19,50	11,30	1,7	0,5	0,9
10	ანისხატი	VIს.დასწ.	115	21,50	13,60	1,5	16	10	1,6		
11	აღაპაძე	VIს.	150-180	37,40	14,20	2,6	27	11,20	2,4		
12	ასშანი	VIს.II6სხ.	70	13,80	10,40	1,3	8,80	9	0,9	0,9	0,9
13	განთიდი	VIს.II6სხ.	95	20,10	15,30	1,3	12,50	13,20	0,9		
14	ვახისუბანი	VIს.II6სხ.	105	18,70	10,50	1,75	13	8,80	1,4		
15	ვაშნარი	VIს.	130	21,2	16,20	1,3	15,40	14,40	1,05		
16	კონდოლი	VIს.დასწ.	70-130	19,30	9,60	2	14	7,80	1,8	0,5	1
17	ნატკორა	VIს.	100	22	14,20	1,5	16,50	9,30	1,8		
18	ორმოცმოწმთა	VIს.Iმკოთ.	100	17,9	12	1,5	13	10	1,3		
19	ურბნისი	VIს.	110	32	15	2,1	25	12,80	1,96	0,57	1,1
20	უფლისციხე	VIს.	120	-	-	-	12,80	17	0,7		

21	ბირსა	VIIb.	100	31	11,80	2,60	25	10	2,5		
22	რკონი	VIIIb.	80	18,50	12	1,5	13,20	10,5	1,2	0,7	1
23	ხედახეი	VIIIb,IIb,ს.ს.	80-100	13	13	1	8,30	11,50	0,7	1,2	0,8
24	აღვანი	VIII-IXს.ს.	90	14	12,50	1,15	9,20	10,50	0,8	0,9	0,8
25	თიანეთი	VIII-IXს.ს.	105-120	14,30	9,80	1,4	8,50	7,50	1,1		
26	რევაზაშენი	VIII-IXს.ს.	80								
27	აკურა	855წ.	110	17	12,70	1,3	10,25	10,70	1	1	1
28	ბოდბე	IXს.	80	11,50	11,70	1	8	10	0,8	1,3	1,1
29	ქვაბისხევი	IXს.	75-90	9,50	8,80	0,9	5,20	7,20	0,7		
30	ვალოთი	IX-Xს.ს.	90	17	11	1,5	11,80	8,40	1,4		
31	ვაზბეგი	IX-Xს.ს.	100	12	12,10	1	8	10	0,8		
32	ვევლანთუბანი	IX-Xს.ს.	80								
33	ხევის სოფი	IX-Xს.ს.	90	14,20	12	1,1	8,60	10,20	0,8		
34	ვერე	Xს.	100	16	11,50	1,4	--	--	1,23		
35	თბილისკლესია	Xს,IIb,ს.ს.	75-95	28,50	18	1,5	19,50	15	1,3	1	1,2
36	პარხალი	Xს,IIb,ს.ს.	80	27	17	1,6	20	15	1,3	1	1,2
37	ურთა	Xს.	--	15,65	10,31	1,5					
38	სანაგორე	XIს,დასწ.	100-120	20,40	13,70	1,4	12,50	11,30	1,1	0,8	0,9
39	კვირიკეშინდა	XIს.	75	10,75	8,10	1,3	6,80	6,50	1	1	0,9
40	ქლივანა	XIII- XIVსს	110	14	9,8	1,4	10,60	7,80	1,3		
41	ჭარები	XIII- XIVსს	90	14	9,60	1,4	9,80	8	1,2		
42	იჭრია	XVIIს.	140	18,70	13,40	1,3	10,70	10,75	1		

ცხრილი № 4

№	ძეგლი	თარიღი	ნაგებობის სიგანე (მ) - L				ნაგებობის სიმაღლე (მ) - h				შენიშვნა	
			შუას L1	ბგერდო- თი L2	L2 L2	L	შუას h1	ბგერდო- თი h2	h1 h2	h L1		
1	ბიჭვინტა	Vს.	6,20	2,30-ჩრ. 2,39-სამ.	2,7	—	—	—	—	—	—	
2	ბოდინი	478-493წწ	5,9	2 ,95	2	11	9,4	1,1	1,8	1,8	1,8	ჩმუცკელიის
3	მატანი	Vს. შუას	2,9	1,35-ჩრ. 1,7-სამ.	2,1 1,7	6,8	3,2	2,1	2,3	2,3	2,3	დას.ნაგის L-28
4	ნოქალაქევი	Vს. შუას	6,8	2	3,4	—	—	—	—	—	—	დას.ნაგ. L-3,88
5	სეფიეთი	Vს. IIსახ	4,8	1,7	2,8	8,35	5,75	1,4	1,7	1,7	1,7	გვ.ნაგე2სართ.
6	ციხისძირი	Vს.	8	2,75	2,9	—	—	—	—	—	—	
7	ძეგლი შუამთის	Vს.	3	1,4	2,1	6,3	3,75	1,7	2,1	2,1	2,1	
8	ნაბჭაგისი	V-VIსს.	3,15	1,5	2,1	—	—	—	—	—	—	
9	საშში	V-VIსს.	4,3	2,15	2	10,6	6,6	1,6	2,4	2,4	2,4	ჩმუცკელიის
10	ანჩისხატი	VIს.დასწ.	4,38	1,77-ჩრ. 2,04-სამ.	2,5 2,14	—	—	—	—	—	—	ჩმუცკელიის
11	აღაბაქე	VIს.	3,5	2,2	1,59	—	—	—	—	—	—	
12	ახშანი	VIს.IIსახ.	3,8	1,8	2,1	8	5	1,6	2,1	2,1	2,1	
13	ბანთიადი	VIს.IIსახ.	6,8	2,5	2,7	—	—	—	—	—	—	
14	ვახისუბანი	VIს.IIსახ.	4,45	1,4	3,1	—	—	—	—	—	—	
15	ვაშნარი	VIს.	8,5	2,3	3,7	—	—	—	—	—	—	
16	კონდოლი	VIს.დასწ.	3,5	1,15	3,1	7,75	4,9	1,5	2,2	2,2	2,2	
17	ნატკორა	VIს.	3,5	1,4	2,5	—	—	—	—	—	—	
18	ორმოცმოწამათა	VIს.Iმყოფ.				—	—	—	—	—	—	ზომებიმუცკელ.
19	ურბნისი	VIს.	6,2	2,	2,2	14,3	7,5	1,9	2,3	2,3	2,3	ჩმუცკელიის

ცხრილი № 5

№	ძველი	თარიღი	საყრდენი		თადის ფორმა	სივანე-L		სიმაღლე-ი				შენიშვნა
			რაოდენ.	ფორმა		ფაქტორი	ფაქტორი	ფაქტორი	ფაქტორი	ფაქტორი	ფაქტორი	
1	ბიკვინტა	Vს.	5წყ	-	-	2,18	0,88	2,6	-	-	-	
2	ბოღინი	478-493წწ	5წყ	ჯვრისებ	ნადისებ	2,48	1,358	1,77	8,58	6,58	1,3	
3	მატანი	Vს. შუა	1წყ	კვადრატ	ნახევარწ	1,38	0,88	1,6	2,48	1,758	1,4	
4	ნოქალაქვე	Vს. შუა	2წყ	კვადრატ	-	48	18	4	-	-	-	
5	სეფიეთი	Vს. II ნახ	3წყ	კვადრატ	ნახევარწ	1,258	1,18	1,1	2,58	1,78	1,4	I სართ
6	ციხისბირი	Vს.	-	-	-	-	-	-	-	-	-	II სართ
7	ძველი შუამთა	Vს.	1წყ	T-ს	ნახევარწ	1,48	1,28	1,17	2,68	1,58	1,7	
8	ნახტაკისი	V-VI სს.	3წყ	ჯვრისებ	-	1,68	1,38		-	-	-	
9	საშში	V-VI სს.	4წყ	სწორ-კუთხა	ნადისებ	2,458	1,758	1,4	-	-	-	თადები დადაბლებ.
10	ანოსხატი	VII სს. დასწ.	3წყ	ჯვრისებ	-	2,88	1,48	2	-	-	-	2 წყ. წითელ
11	ალაბაქე	VII სს.	5წყ	სწორკ	-	28	38	0,6	-	-	-	
12	საშში	VIII სს.	2წყ	T-ს	ნადისებ	2,48	18	2,4	3,58	1,88	2	I წყ. ჯვრის
13	განთავი	VIII სს.	4წყ	კვადრატ	ნახევარწ	1,68	0,88	2	2,28	1,58	1,4	
14	ვახისუბანი	VIII სს.	2წყ	T-ს	ნადისებ	3,38	1,48	2,3	-	-	-	
15	ვაშნარი	VIII სს.	3წყ	კვადრატ	-	1,88	0,78	2,4	-	-	-	
16	კონდოლი	VIII სს. დასწ.	2წყ	სწორკ	ნახევარწ	2,68	1,58	1,7	-	-	-	სამთადები ამოშენებ.
17	ნატკორა	VIII სს.	3წყ	ჯვრისებ	ნადისებ	3,158	1,58	2,1	-	-	-	
18	ორმოცმოწამათა	VIII სს. მეთ.	2,563	-	-	-	-	-	-	-	-	
19	ურბნისი	VIII სს.	4წყ	ჯვრისებ	ნადისებ	3,38	1,88	1,8	6,68	4,38	1,5	
20	შუგლისციხე	VIII სს.	2წყ	ჯვრისებ	ნადისებ	3,48	18	3,4	-	-	-	
						4,38		4,3				

21	ხორსა	VII.	4 ^წ ე	T-ს		3,58	1,78	2	–	–	–	
22	რკინი	VIII.	2 ^წ ე	ჯვრისებ	ნახევარწ	3,48	1,28	2,8	58	2,758	1,8	1-სწორკ.
23	ზედაზენი	VIII.იწახ.	2 ^წ ე	კვადრატ	ნახევარწ	1,88	1,18	1,6	3,48	2,18	1,6	
24	აფიანი	VIII-IX.სს.	2 ^წ ე	ჯვრისებ	ნახევარწ	2,258	1,48	1,6	48	2,88	1,4	
25	თიანეთი	VIII-IX.სს.	2 ^წ ე	წრიული	–	2,58	0,758	3,3	–	–	–	
26	რევაზშენი	VIII-IX.სს.	1 ^წ ე			1,88	0,68	3				
27	აკურა	855 ^წ .	I	კვადრატ	ნახევარწ	38	1,68	1,8	6,28	3,78	1,7	
28	ბოდბე	IX.ს.	1 ^წ ე	T-ს	–	1,88	1,38	1,4	–	–	–	
29	ქვაბისხევი	IX.ს.	1 ^წ ე	კვადრატ	ნახევარწ	1,758	0,48	4,3	2,38	1,258	1,8	
30	ქალქი	IX-X.სს.	–	–	–	–	–	–	–	–	–	
31	ვახტანგი	IX-X.სს.	2 ^წ ე	T-ს	ნახევარწ	28	0,88	2,5	–	–	–	
32	ქველანოვანი	IX-X.სს.	2 ^წ ე	სწორკ	ნახევარწ	–	–	–	–	–	–	
33	ხევის სორი	IX-X.სს.	2 ^წ ე	T-ს	ნახევარწ	2,58	18	2,5	3,68	2,48	1,5	
34	კვე	X.ს.	2 ^წ ე	რეწახნ	ნახევარწ	–	–	–	–	–	–	
35	თითაიკლესია	X.ს.იწახ.	4 ^წ ე	კვადრატ	შეისრ.	0,78	1,68	0,04	9,378	6,78	1,4	
36	პარსალი	X.ს.იწახ.	4 ^წ ე	კვადრატ	შეისრ.	4,38	2,7	8,948	1,3	8,948	1,3	
37	უთა	X.ს.	3 ^წ ე	წრიული, რეწახნ.	ნახევარწ	2,68	1,5	8,838	1,3	8,838	1,3	
38	სანაგორე	XI.ს.დასწ.	1 ^წ ე	ჯვრისებ	ნახევარწ	0,78	1,58	0,04	8,118	–	–	ორი სახის საქრდენი
39	კვითიკვეთინდა	XI.ს.	1 ^წ ე	ჯვრისებ	ნახევარწ	48	2,7	–	–	–	–	
40	ქლიფანა	XIII-XIV.სს.	2 ^წ ე	კვადრატ	–	3,48	1,28	2,8	–	–	–	
41	ჭარები	XIII-XIV.სს.	2 ^წ ე	აღ-კვად. დ-წრ.	ნახევარწ	2,68	0,88	3,2	4,48	2,78	1,6	ორი სახის საქრდენი
42	იბრია	XVII.ს.	2 ^წ ე	კვადრატ	ნახევარწ	0,458	7,2	–	–	–	–	
						38	0	758	4			

ცხრილი № 6

№	ძეგლი	თარიღი	გადასურვა	გადაკეთება	კამარის ფორმა		გამზადებული თარიღი	პილასტრი კონსოლი
					შუა ნაგი	გვერდ. ნაგი		
1	ბიჭვინტა	Vს.	არ არის					
2	პოდნისი	478-493წწ	არის	XVIII	ჯვრულ.თ.ადი	წრის მქოთხ	5	პილასტრი კონსოლი
3	მატანი	Vს. შუა	არის		კლიფსური	კლიფსური სამხავის ცენტში გუმბ.	3 ჩრ-2 სამ-2 დას-3	
4	ნოქალაქევი	Vს. შუა	არ არის					
5	სეფიეთი	Vს. IIსახ	არის	აღდგმ. ნიღაა	შქისრული	ნახევარწრ. ჯვრული	2, ჩ-1 ს-3	კონსოლი
6	ციხისიბირი	Vს.	არ არის					
7	ძეგლი შუამთა	Vს.	არის		ნახევარწრ.	ნახევარწრ.	1	შ-პილასტ. გ-კონსოლი
8	ნახტაკისი	V-VIსს.	არ არის					
9	საშმი	V-VIსს.	არის		კლიფსური	კლიფსური	6, სამ-4 ჩრ-გუმბ.	კონსოლი
10	ანჩისხატი	Vს.დასწ.	არის	XVIII	შქისრული	შქისრული		კონსოლი
11	აღაპაძე	Vს.	არ არის					
12	ახშანი	Vს. IIსახ.	არის		კლიფსური	კლიფსური	2-1-1	
13	განთიადი	Vს. IIსახ.	ჩამოქც.					
14	ვაზისუბანი	Vს. IIსახ.	არის		ნახევარწრ.	ნახევარწრ.		შ-პილასტ. გ-კონსოლი
15	ვაშნარი	Vს.	არ არის					
16	კონდოლი	Vს.დასწ.	არის		კლიფსური	კლიფსური	3ჩ-2, ს-3	კონსოლი
17	ნატკორა	Vს.	არ არის					
18	ორმოცმოწამათა	Vს. Iმეთ.	არის	ბუმბო.				
19	ურბნისი	Vს.	არის	XVIII	ნახევარწრ.	წრის მქოთხ	4- 4- 4	პილასტრი

20	უფლისციხე	V სს.	არ არის	დუმბთ									
21	ხირსა	V სს.	არის	გადაკ.					ნრ-3 ჯგერულ				
22	რკინი	V სს.	არის		ნახევარწრ.	წრის მართხ	5		წრის მართხ				კონსოლი
23	ზუგდიდის ხეივანი	VIII სს. II ნაბ.	არის		ნახევარწრ.	ნახევარწრ.	3-3		ნახევარწრ.				მ-პილასტ.
24	აღვანი	VIII-IX სს.	არის	შეკეთ.		ტახილი	2		ირვერულარ.				ტ-კონსოლი
25	თიანეთი	VIII-IX სს.	ნამოქც.										
26	რკინი ბაშენი	VIII-IX სს.	არის		ნახევარწრ.	ნახევარწრ.	3 -2 -2		ნახევარწრ.				მ-პილასტ.
27	აკურა	855 წ.	არის		კლიფური	კლიფური	3		ნრ-2 ჯგერულ.				ტ-კონსოლი
28	ბიძიბე	IX სს.	არის	XVIII		შისრული	2		კლიფური				მ-პილასტ.
29	ქვაბისწყვი	IX სს.	ნამოქც.				3- 3- 3						ტ-კონსოლი
30	ქალეთი	IX-X სს.	არ არის										
31	ვახტანგი	IX-X სს.	არის	გადაკ.		ხის გადახ.	2		კლიფური				
32	ყველაწინაშანი	IX-X სს.	ნამოქც.										
33	სეფის სოფი	IX-X სს.	არის			ნახევარწრ.			ნახევარწრ.				პილასტრი
34	ვერე	X სს.	ნამოქც.				2		კლიფური				პილასტრი
35	ოთხთაძვალისია	X სს. II ნაბ.	არის			ოდნავ მუხრ.	4- 4- 4		ოდნავ მუხრ.				პილასტრი
36	პარსაღლი	X სს. II ნაბ.	არის			ნახევარწრ.	5- 5- 5		ოდნავ მუხრ.				პილასტრი
37	ურთა	X სს.	არის				2- 1- 1		წრის მართხ				კონსოლი
38	სანავთი	XI სს. დასწ.	არის			კლიფური	2- 1- 1		კლიფური				პილასტრი
39	კვირიკეშინისა	XI სს.	ნამოქც.				3						მ-პილასტ.
40	კლიფანა	XIII-XIV სს.	ნამოქც.				2 -2 -2						ტ-კონსოლი
41	ჭარბი	XIII-XIV სს.	ნამოქც.				2 -2 -2						კონსოლი
42	იჭრია	XVII სს.	არის			ნახევარწრ.	2 -2 -2		ნახევარწრ.				მ-პილასტ.

№	ძეგლი	თარიღი	აფსიდის ფორმა	სატრიუმბოლ თაღი				ფენი	იპსელენი	იზიდა დიპიჯ ჯიღაღი	ქვის ტრაპეზი	ფიცი
				ფორმა	სიმაღლე h	სიგანე L	ჩი:L					
1	ბიჭვინტა	VI ს.	ნახევარწ	-	-	-	-	0	2	1	-	-
2	ბოლნისი	478-493წწ	ნახევარწ	9,25მ	4,85მ	1,9	+	0	1	0	0	1
3	მატანი	VI ს. შუა	ნახევარწ	6,2მ	2,2მ	2,8	0	+	1	0	კვლედი.	0
4	როქალაქევი	VI ს. შუა	ნაღისებ	-	-	-	-	0	1	-	-	-
5	სეფიეთი	VI ს. II ნახ	ნახევარწ	6,6მ	4,7მ	1,4	+	0	1	0	ცაღკე	3
6	ციხისბიბრი	VI ს.	ნაღისებ	-	-	-	-	+	-	-	-	-
7	ძეგლი შუამთა	VI ს.	ნახევარწ	5,8მ	2,5მ	2,3	0	+	2	0	ცაღკე	0
8	ნასტაკიხი	V-VI ს.	ნახევარწ	-	-	-	-	+	-	0	0	-
9	ხაშვი	V-VI ს.	ნაღისებ	7,2მ	4 45მ	1,6	+	0	3	1	ცაღკე	0
10	ანისხატი	VI ს. დასწ.	ნაღისებ	9,8მ	3,85მ	2,54	+	0	2	0	ცაღკე	0
11	ალაბამე	VI ს.	ნახევარწ	-	-	-	-	0	2	2	ცაღკე	-
12	ახაშნი	VI ს. II ნახ.	ნაღისებ	5,8მ	3,7მ	1,5	+	+	2	0	-	1
13	განთიადი	VI ს. II ნახ.	ნახევარწ	6,5მ	5,4მ	1,2	-	+	-	0	0	0
14	ვაზისუბანი	VI ს. II ნახ.	ნახევარწ	11,7მ	3,16მ	3,7	0	+	1	0	0	0
15	ვაშნარი	VI ს.	ნახევარწ	-	-	-	-	0	-	1	0	-
16	კონდოლი	VI ს. დასწ.	ნაღისებ	7,2მ	3მ	2,4	0	+	1	0	ცაღკე	1
17	ნატკორა	VI ს.	ნაღისებ	-	-	-	-	0	-	0	0	0

20	უფლისციხე	Vსს.	ნაღისებ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-	კმდეღ.	0
21	ხორხა	Vსს.	ნაღისებ	ნაღისებ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0	-	-	0
22	რკინი	Vთს.	ნაღისებ	ნახევარწ	7მ	3,2მ	2,1	+ 0	0	1	3,2მ	2,1	+ 0	1	1	ცალკე	0	
23	ზედაზენი	Vთს.თსს.	ნახევარწ	ნახევარწ	9,5მ	3,5მ	2,7	0 +	2	1	3,5მ	2,7	0 +	2	1	0	0	
24	აღვანი	Vთს-IXსს.	ნახევარწ	ნახევარწ	8,8მ	4მ	2,2	0 +	2	0	4მ	2,2	0 +	2	0	ცალკე	0	
25	თიანეთი	Vთს-IXსს.	ნაღისებ	ნაღისებ	9,7მ	3მ	3,2	- 0	1	0	3მ	3,2	- 0	1	0	0	1	
26	რევაზაშენი	Vთს-IXსს.	ნახევარწ	-	-	-	-	- 0	1	-	-	-	- 0	1	-	0	1	
27	აკურა	855წ.	ნაღისებ	ნაღისებ	10,75	4,1მ	2,7	0 +	2	1	4,1მ	2,7	0 +	2	1	ცალკე	4	
28	ბოდბე	IXს	ნახევარწ	უქორულ				+ 1	0	+			+ 1	0	+		0	
29	კვაბისხევი	IXს.	ნახევარწ	ნახევარწ	6მ	3მ	2	- 0	-	-	3მ	2	- 0	-	-	კმდეღ.	2	
30	კაღეთი	IX-Xსს.	ნახევარწ	ნახევარწ	8,5მ	3მ	2,8	0 +	3	1	3მ	2,8	0 +	3	1	0	1	
31	კაზბეგი	IX-Xსს.	ნახევარწ	ნახევარწ				0 0	1	0			0 0	1	0	ცალკე	0	
32	კველანოუბანი	IX-Xსს.	ნახევარწ	ნახევარწ				0 0	-	-			0 0	-	-	0	2	
33	ხევის ხონი	IX-Xსს.	ნახევარწ	ნახევარწ	8,8მ	3,6მ	2,4	0 0	1	0	3,6მ	2,4	0 0	1	0	0	0	
34	კერე	Xს.	ნახევარწ	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	+	-	-	-	-
35	თხოთაკლეხია	Xს.თსს.	ნახევარწ	უქორულ	18მ	6,5	2,7	0 +	1	2	6,5	2,7	0 +	1	2	0	4	4
36	პარხალი	Xს.თსს.	ნახევარწ	უქორულ	17,5მ	6,5მ	2,6	0 +	1	1	6,5მ	2,6	0 +	1	1	0	4	4
37	ურთა	Xს.	ნახევარწ						0	-				0	-			
38	სანაგორე	Xს.დასწ.	ნახევარწ	ნაღისებ	8მ	4მ	2	+ 1	1	1	4მ	2	+ 1	1	1	ცალკე	2	2
39	კვორიკეშინდა	Xს.	ნახევარწ	ნახევარწ	5მ	2,8მ	1,7	+ 1	0	+	2,8მ	1,7	+ 1	0	+	0	1	1
40	კლივანა	XIII-XIVსს	ნახევარწ	ნახევარწ				+ 0	-	-			+ 0	-	-			
41	ჭარები	XIII-XIVსს	ნახევარწ	ნახევარწ	6,6მ	4მ	1,6	+ 1	0	+	4მ	1,6	+ 1	0	+	0	2	2
42	იჭრია	XVსს.	ნახევარწ	ნახევარწ				0 +	1	1			0 +	1	1	0	2	2

ცხრილი № 8

№	ძეგლი	თარიღი	იგნოსტანსაძერე	ფორმა		სადაცადადეგა II იგნოსტანსაძერე	კარი		შენიშვნა
				ჩრდილოეთი სადაცადადეგა	სამხრეთი სადაცადადეგა		იგნოსტანსაძერე	იგნოსტანსაძერე	
1	ბიჭვინტა	Vს.	0						
2	ბოლნისი	478-493წწ	0						
3	მატანი	Vს. შუა	+	ვესტორკუთხა		0	ჩრ.		საკურთკარი გვიანდელია
4	ნოქალაქეგი	Vს. შუა	0						
5	სეფეთი	Vს. IIსახ	0						
6	ციხისძირი	Vს.	0						
7	ძველი შუამთა	Vს.	+	სისწორკუთხა		0	ჩრ		სამკვეთლო არათავდავ.
8	ნასტაკი	V-VIს.	+	ვესტორკუთხა	ვესტორკუთხა		ჩ-ს		
9	საშმი	V-VIს.	+	ვესტორკუთხა	ვესტორკუთხა	ჩ-0 ს-+	ჩ-ს		პატარაფორ. VII-VIIIს.
10	ანისხატი	VIს.დასწ.	+	სისწორკუთხა	კვადრატული	0	ჩ-ს		კარი იყო აღმ-ით
11	ალაბძე	VIIს.	0						
12	ასშანი	VIს.IIსახ.	+	ვესტორკუთხა	ვესტორკუთხა	0	ჩ-ს		არათავდავ.
13	ბანთაღი	VIს.IIსახ.	0						
14	ვაზისუბანი	VIს.IIსახ.	+	ვესტორკუთხა	ვესტორკუთხა	0	ჩ-ს		
15	ვაშნარი	VIIს.	0						
16	კონდოლი	VIს.დასწ.	0						
17	ნატკორა	VIIს.	0						

18	ორმოცმოწამათა	VIს.ჩეთთ.	+										
19	ურბნისი	VIს.	+	კვადრატული	weსწორკუთხა							ჩ-ს	
20	უფლისციხე	VIს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				-			ჩ-ს	ჩრ.
21	ხირსა	VIს.											
22	რკინი	VIIIს.	+	კვადრატული	კვადრატული				0			ჩ-ს	
23	ზედაზენი	VIIIს.ჩინს.	+	0	weსწორკუთხა				0			სმ.	
24	აღგანი	VIII-IXსს.	+	კვადრატული	კვადრატული				0			ჩ-ს	
25	თიანეთი	VIII-IXსს.	0										
26	რეკვაზაშენი	VIII-IXსს.	0										
27	აკურა	855წ.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				+			ჩ-ს	ჩრ.
28	ბოდბე	IXს.	+	სწორკუთხა	სწორკუთხა				0			ჩ-ს	ჩრ.
29	ქვაბისხევი	IXს.	+	0	weსწორკუთხა				0			ს.	
30	ფალეთი	IX-XXსს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				0			ჩ-ს	
31	ვახტანგი	IX-XXსს.	+	სწორკუთხა	სწორკუთხა				0			ჩ-ს	
32	ვეკლანთობანი	IX-XXსს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				0			ჩ-ს	
33	სევის სოფი	IX-XXსს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				0			ჩ-ს	
34	ვერე	Xს.	+	სწორკუთხა	სწორკუთხა				0			ჩ-ს	
35	თხოთაგლეხია	Xს.ჩინს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				+			ჩ-ს	ორნაწილ.
36	პარხალი	Xს.ჩინს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				+			ჩ-ს	ორნაწილ.
37	ურთა	Xს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				+			ჩ-ს	
38	სანაგირე	XIს.დასწ.	+	კვადრატული	კვადრატული				+			ჩ-ს	ჩრ.
39	კვირიკეწმინდა	XIს.	0										
40	ქლივანა	XIII-XIVსს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				+			ჩ-ს	
41	ჭარებო	XIII-XIVსს.	+	ორკუთხა	weსწორკუთხა				0			ჩრ.	ჩრ.
42	იჭრია	XVIს.	+	weსწორკუთხა	weსწორკუთხა				+			ჩ-ს	ჩრ.

ცხრილი №9

№	ძეგლი	თარიღი	შესასვლელი			კარის ფორმა (ა/თაღოვანი, ბ/თაღოვანი, გ/პარკიდან სწორკუთხა გ/სწორკუთხა)	შესასვლელის წინ არქ.ფორმა	შენიშვნა
			ფენი	ა/დასავლ. ბ/ჩრდილ. გ/სამხრ.	ფენი			
1	ბიჭვინტა	Vს.	2	დას.სამ.	დ.	ნარტეკი	ჩრ.სავარაუდ	
2	ბოდინი	478-493წწ	2	ჩრ.სამ.	ჩრ	კარი ლუწკით	ჩრ-2,დ-გვეანი	
3	მატანი	Vს. შუა	4	დას.ჩრ.სამ	ს.	სწორკუთხა	სამ-2 კარი	
4	ნოქალაქევი	Vს. შუა	4	დას.ჩრ.სამ	დ.	–	დას.კარბეჭე	
5	სეფიეთი	Vს. IIსხ	4	დას.ჩრ.სამ	ს-ჩ	–	დას.მინაშენი	
6	კინისირი	Vს.	2	დას.სამ.	–	–	დას.გვეანძინ	
7	ძეგლი შუამთა	Vს.	3	დას.ჩრ.სამ	ს-ჩ	–	ნარტეკი	
8	ნასტაკისი	V-VIსს.	1	დასავლ.	–	–	ს-მინ.ჩრ- კარბეჭე	
9	ხაშში	V-VIსს.	2	დას.სამ	ს.	–	ჩრ.სამ-მინაშ.	
10	ანისხატი	Vს.დასწ.	3	დას.ჩრ.სამ	დ.	–	XIV-XV სს.სამ	
11	ალაბაქე	VIს.	3	დას.ჩრ.სამ	დ.	–	კარბეჭე	
12	ახმანი	VIს.IIსხ.	3	დას.ჩრ.სამ	ს.	–	სამ.მინაშენი	
13	განთადი	VIს.IIსხ.	2	დას.სამ.	დ.	–	გვე.გარეშემოს.	
14	ვახისუბანი	VIს.IIსხ.	3	დას.ჩრ.სამ	დს	–	ნარტეკი	
15	ვაშნარი	VIს.	5	დას.ჩრ.სამ	–	–	გარეშემოსავ.	
16	კინდოლი	VIს.დასწ.	2	დას.სამ.	დ.	–	გარეშემოსავ.	
17	ნატიკორა	VIს.	–	–	–	–	არ არის	
18	ორმოცმოწამთა	VIს.ძეგლი.	2	დას.სამ.	ს.	–	გვე.სამ.კარბეჭე	

19	უძრავი	Vიხ.	3	დას.ჩრ.სამ	დ.	თად.გარ.ს.ს.ს	ჩრ.კედ.ძინაშ.		
20	უფლისციხე	Vიხ.	2	სამხრეთი	ს	-	არ არის	სამ-2 კარი	
21	ხორსა	Vიხ.	3	დას.ჩრ.სამ	-	-	-		
22	რკინი	Vიიხ.	2	დას.სამ.	დ.	თად.გარ.ს.ს.ს	XIII დას.კარბ		
23	ზედაზენი	VIII ს. II ნახ.	1	სამხრეთი	ს.	თადიფანი	IX ს. სამ. კარიბ	დას. კარი	
24	აღვანი	VIII-IX სს.	1	სამხრეთი	ს.	-	XVII ს. სამ. კარი-ბჭკე	სამხრეთი	ქვითი
25	თიანეთი	VIII-IX სს.	3	დას.ჩრ.სამ	-	ს.ს.ს.ს.ს	-		
26	რეკასაშენი	VIII-IX სს.	1	სამხრეთი	ს.	ს.ს.ს.ს.ს	არ არის		
27	აკურა	855წ.	2	დას.სამ.	ს.	თად.გარ.ს.ს.ს	დას. და სამხ. კარიბჭეები	ქვითი	XVII ს. სამ. კარი
28	ბოდბე	IX ს.	3	დას.ჩრ.სამ	დ.	-	დას.გარ.ძინაშ.		
29	ქვამთხევი	IX ს.	1	დას.სამ.	დ.	თად.გარ.ს.ს.ს	არ არის		
30	ქალეთი	IX-X სს.	2	დას.სამ.	ს.	თად.გარ.ს.ს.ს	სამ დას.ძინაშ		
31	ყაზბეგი	IX-X სს.	1	დას.სამ.	დ.	ს.ს.ს.ს.ს	არ არის		
32	ქველანთუბანი	IX-X სს.	2	დას.სამ.	ს.	ს.ს.ს.ს.ს	სამ ს.ს.ს.ს		
33	ხევის სიონი	IX-X სს.	2	ჩრ.სამ.	ფ.	თად.გარ.ს.ს.ს	ჩრ.სამ.ძინაშ.		სამ. კარიბჭე
34	ვერე	X ს.	3	დას.ჩრ.სამ	დ.	თადიფანი	დას. კარიბჭე.		
35	თითხაგელქეთა	X ს. II ნახ.	3	დას.ჩრ.სამ	დ.	ს.ს.ს.ს.ს	დას. კარიბჭე.		
36	პარსაღი	X ს. II ნახ.	3	დას.ჩრ.სამ	ს.	ს.ს.ს.ს.ს	დას. და სამხ. კარიბჭეები		
37	ურთა	X ს.	1	სამხრეთი	ს.	-	დას.სამ.გვიან.		სამ. კარიბჭე
38	სანაგირე	XI ს. დას.ს.ს.	5	დას.ჩრ.სამ	დ.	თად.გარ.ს.ს.ს	ნათქვამი	ჩრ.სამ. 2-2 კარი	
39	კვირიკეშინდა	XI ს.	2	დას.სამ.	-	ს.ს.ს.ს.ს	პატრონი, ქე		
40	ქლოვანა	XIII-XIV სს	2	დას.სამ.	-	ს.ს.ს.ს.ს	დას.სამ.ძინაშ		
41	ჭარები	XIII-XIV სს	3	დას.ჩრ.სამ	ს.	თად.გარ.ს.ს.ს	სამ. კარიბჭე		
42	იჭრია	XVII ს.	2	დას.სამ.	დ.	თად.გარ.ს.ს.ს	არ არის		

ცხრილი № 10

№	ქველი	თარიღი	სარკმლების რაოდენობა								სარკმლის ფორმა			
			გროვივ კედლებში				განივ კედლებში							
			(იგნივ დედი)	(იგნივ დედი)	(იგნივ დედი)	(იგნივ დედი)	სიქი	სიქი	სიქი	სიქი				
			ადიქი											
1	ბიჭვინტა	Vs.												
2	ბოლნი სი	478-493წწ	20											თადლოვანი
3	მარტანი	Vs. შუა	3	1						1				
4	ნოქალაქკვი	Vs. შუა												
5	სუფიეთი	Vs. IIნახ	8		1					2	2	5		
6	ციხისძირი	Vs.												
7	ქველი შუამთა	Vs.	5							3	1			
8	ნასტაკისი	V-VIსს.												
9	საშმი	V-VIსს.	21	5	3	5	1	1	5	1	3			ნალისკეპარადლეურგვერდებიანი თადლოვსორკუთხ.
10	ანისხატი	VIსდასწ.	14											
11	აღაპაქი	VIს.												
12	ახმანი	VIს.IIნახ.	8	1		3	2	3	1					თადლოვანი
13	განთიადი	VIს.IIნახ.						5	3	3				თადლოვანი, პარადლეურგვერდებიანი
14	გაბისუბანი	VIს.IIნახ.	18	3	3	3	3	3	1	3				თადლოვანი
15	გაშნარი	VIს.												
16	კონდოლი	VIსდასწ.	8	2	2					3	1	1		თადლოვანი, გადაკ.
17	ნატკორა	VIს.												
18	ორმოცმოწამათა	VIს.Iმეთ.												

19	ურბნისი	VIIb.	26							3	1	3	თადღვანი
20	უფლისციხე	VIIb.											
21	სირსა	VIIb.											
22	რქინი	VIIIb.	6							3	1	3	თადღვანი
23	ზედაზუკნი	VIIIb. II ნაბ.	5	1						3	1	1	თადღვანი
24	აღვანი	VIII-IX სს.	7		1				2	3	1	1	თადღვ. სწორკუთხ.
25	თიანეთი	VIII-IX სს.											
26	რევაზაშენი	VIII-IX სს.								3	1	3	
27	აკურა	855წ.	13	2	3	2				4	1		
28	ბოდბე	IX ს.	8							3	1		
29	კვაბისხევი	IX ს.	10	2	2					3	1	3	სწორკუთხა
30	უღლეი	IX-X სს.								3	1		თადღვანი
31	ვაზბეგი	IX-X სს.	4			1				3	1		თადღვანი
32	ქველანთუბანი	IX-X სს.		2						3	1		თადღვანი
33	სეგის სიონი	IX-X სს.	6	1		1				3	1	1	თადღვ. სწორკუთხ.
34	ვერე	X ს.		2		2				3	1	1	თადღვანი
35	ოთხთაგვერდისა	XI ს. II ნაბ.	68	5	5	5			5	13-3	1	10-1	თადღვანი, წრიული
					7	7			7	6	3		
									4	4	6		
36	პარსადი	XI ს. II ნაბ.	52	12	7	5			7	12-1	1	5-3	თადღვანი, წრიული
					5	5			6	2	2		
37	ურთა	XI ს.	4										თადღვანი, წრიული
38	სანაგორე	XI ს. დასწ.	23	3	2	3			2	7	3	6	თადღვანი, წრიული
39	კვირიკაშენი	XI ს.	6	1						4	1	1	თადღვ. სწორკუთხ.
40	ქლოვანა	XIII-XIV სს	8	2					1	3	1	1	თადღვანი
41	კარები	XIII-XIV სს	11	3	2					4	1	2	თადღვანი
42	იტრია	XV ს.	19	3	3	3			3	6	3	1	თადღვანი

№	ძეგლი	თარიღი	სარკმლები რაოდენობა					S1:S2	შენიშვნა
			ფენი ფენი	ფენი ფენი	ფენი ფენი	ფენი ფენი	ფენი ფენი		
1	ბიკინტა	Vs.							
2	ბოლნისი	478-493წწ					10,6	შეცვლილია XVIII-ში	
3	მატანი	Vს. შუა	2			1	8,2		
4	ნოქალაქევი	Vს. შუა							
5	სეფიეთი	Vს. II სს	5	1	2		7 2	ნაწილობრივ შეცვლ.	
6	ციხისძირი	Vს.							
7	ძეგლი შუამთა	Vს.	3	1	1		8,8		
8	ნასტაკისი	V-VI სს.							
9	ხაშვი	V-VI სს.	10	4	2	1	11	სამაღლებში 1-1 სარკ ნაწილობრივ შეცვლ.	
10	ანისხატი	VI ს. დასწ.							
11	ალაბაქე	VI ს.							
12	ასშანი	VI ს. II სს.	4		2	1	1		
13	განთიადი	VI ს. II სს.						გვანაგებში 2 იარუსად	
14	ვახისუბანი	VI ს. II სს.	10	3	3	1	1	3 სარკ. ამოშენებული	
15	ვაშნარი	VI ს.							
16	კონდოლი	VI ს. დასწ.	4	3	1		29,8		
17	ნატკორა	VI ს.							
18	ორმოცმოწამათა	VI ს. მკით.							
19	ურბნისი	VI ს.				1	11,5	შეცვლილია XVIII-ში	

ცხრილი № 12

№	ძეგლი	თარიღი	სვეტიხთაგი	იმპოსტი	ბაზა	დეკორაციული მორთულობა
1	ბიჭვინტა	V ს.	კაპიტელი		კვადრატული	იატაკის მოზაიკის, მარმარილოს ინკრუსტაციის ფრაგმენტები.
2	ბოლნისი	478-493წწ	რელიეფიანი	ცერობი	ჯვრულ.	ჯვრების გამოსახულებები
3	მატანი	V ს. შუა		თარ. ცვრ.		
4	ნოქალაქევი	V ს. შუა				კვადრ. სვეტის ძირის ნაშთი
5	სეფიფი	V ს. II ნახ		თარ. ცვრ.		
6	ცხიხსირი	V ს.				
7	ძველი შუამთა	V ს.		თარ. ცვრ.		
8	ნასტაკისი	V-VI სს.				
9	ხაშში	V-VI სს.	რელიეფიანი	თარ. ცვრ.		XVIII ს სახატეკები, ხალხინობელი
10	ანისხატი	V ს. დასწ.			კვადრ.	
11	ალაბაქე	V ს.				
12	ახშნი	V ს. II ნახ.		ცერობი		
13	განთიადი	V ს. II ნახ.		ცერობი		მარმარილოს დეკორის ფრაგმ.
14	ვაზისუბანი	V ს. II ნახ.		თარო		
15	ვაშნარი	V ს.	იონური		კვადრ.	
16	კონდოლი	V ს. დასწ.		ცერობი		
17	ნატკორა	V ს.		თარ. ცვრ.		
18	ორმოცმოწამთა	V ს. II ნახ.			კვადრ.	აფხიდაში 4 ფერწ. ჯვარი
19	ურბნისი	V ს.		თარო	ჯვრულ.	
20	უფლისციხე	V ს.	პილასტრის კაპიტ. ფრაგმ.		ჯვრულ.	ვარდული
21	ხირსა	V ს.				
22	რკინი	VIII ს.		პრიოფილ.	ჯვრულ.	რელიეფური ფილები ფიგურალური გამოხატულებით
23	ზედაზენი	VIII ს. II ნახ.		თარ. ცვრ.		
24	აღგანი	VIII-IX სს.				

25	თიანეთი	VIII-IX სს.	რელიეფიანი		წრიული	რელიეფებით შემკული ფილები
26	რევაზაშენი	VIII-IX სს.		თარ. ცეგრ.		
27	აკურა	855წ.		თარ. ცეგრ.		აკურის დეკორატივები
28	ბოდბე	IX ს.				
29	ქაბისხევი	IX ს.	ირიბგვერდ.	თარ. ცეგრ.	სწორკ.	
30	ქალკეთი	IX-X სს.		თარო ცერობზე	კუბის ფორმის	რელიეფ. ფილა წმ. სტეფანეს გა მოსახულებით. ქვის ხანათლაგი რელიეფებით.
31	ყაზბეგი	IX-X სს.		თარ. ცეგრ.		
32	ყველანოუბანი	IX-X სს.				რელიეფიანი ფილა სამხ. შესაქ- ლეფის თავზე. დიდიკუბიანი სვეტი სამხ. სტოაში.
33	სევის ხონი	IX-X სს.		თარ. ცეგრ.		
34	ვერე	X ს.	რეწახნაგა			გომტ. ხაზულიანი რელიეფურ რი ფილა წიობაში.
35	ოთხოაკლესია	X ს. II ნახ.		თარო ცერობზე		საკურთხ. ნიშნის წყურთმიანი საპირები. გვიანი სახატები.
36	პარხალი	X ს. II ნახ.		რთულ პროფი- ლიანი	წრიული	საკურთხ. ნიშნის წყურთმაში სურათების და სომონ მესვეტის გამოსახულ. გვიანი სახატები, ქვისკოპოსის სავარძელი.
37	ურთა	X ს.	ვარდულეკ.			წყურთმიანი სახატები
38	სანაგორე	X ს. დასწ.		დიდიანი.		გვიანი სახატები
39	კეთიკეწმინდა	X ს.		პროფილ		3 რელიეფური ჯგირი აფსიდაში
40	კლოფანა	XIII-XIV სს		თარ. ცეგრ.	აღწრ.	დას. კვადრატული
41	ჭარები	XIII-XIV სს	პროფილ.			
42	იტრია	XVII ს.		პროფილ.		სახატები

№	ძეგლი	თარიღი	ბადახურვა	საკუთრებელის აფსიდა (შეკრიბი, ბეჭმის სწორ-კუთხედში)	დამოუკიდებელი ბადახურვა	შენიშვნა
1	ბიჭვინჭა	Vს.	-	შვერ.ნახევარწ.		
2	ბოლნისი	478-493წწ	ორკალთა	შვერ.ნახევარწ.	აფსიდას, ბაღურეკებს	ბადახურვა – XVIII.
3	მაღანი	Vს. შუა	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში	დას.ნავს	ბეჭიანი დას.კარობ.ბადახ
4	ნოქალაქი	Vს. შუა	-	შვერ.ხუთწახნ.		
5	სეფიეთი	Vს. IIსახ	ოთხკალთა	შვერ.ნახევარწ.		ბეჭიანი დას.მინშ.ბადახ.
6	ცისისიერი	Vს.	-	შვერ.ხუთწახნ.		
7	ძეგელი შუამთა	Vს.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში	დას.ნავს	ბეჭიანი ჩრ.კარობ. ბადახ
8	ნასტაკისი	V-VIსს.	-	ბეჭმ. სწორ-ში		
9	ხაშში	V-VIსს.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში		
10	ანჩისხატი	Vს.დასწ.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში	სამკენაწლ	ბეჭიანი სამ.კარობ.ბადახ
11	ალაჰაძე	Vს.	-	შვერ.შვიდწახნ.		ბადახურვა – XVIII.
12	ანშანი	Vს.IIსახ.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში		ბეჭიანი ბარშემოს.ბადახ
13	ბანთიანი	Vს.IIსახ.	-	შვერ.ხუთწახნ.	ბარშემოს.	
14	ვაზისუბანი	Vს.IIსახ.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში.		
15	ვაშნარი	Vს.	-	შვერ.ხუთწახნ.		
16	კონდოლი	Vს.დასწ.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში.		
17	ნატკორა	Vს.	-	ბეჭმ. სწორ-ში		
18	ორმოცმოწამათა	Vს.Iმკოთ.	-	შვერ.ხუთწახნ.		ბადახურვა.ბეჭმ.ათონად
19	ურბნისი	Vს.	ოთხკალთა	ბეჭმ. სწორ-ში		ბადახურვა – XVIII.

20	უფლისციხე	Vლს.	-	-	-	კლდეში ნაკვეთი
21	ხირსა	Vლს.	-	ბეძმ. სწორ-ში		გადაკეთებულია თიანად
22	რკონი	Vლს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		აღფასადზე 2 ნიშა
23	ზედაზენი	VIII ს. II ნახ.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		ბეძმ. კარბი. სამრეკლო
24	აღვანი	VIII-IX სს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		ბეძმ. კარბი. სამრეკლო
25	თიანეთი	VIII-IX სს.	-	შეკრ. ხუთწახნ.		
26	რევაზაშენი	VIII-IX სს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		
27	აკურა	855წ.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		ბეძიანი დას. სამკარბი. ჭე
28	ბოდბე	IX ს.	ოთხკალთა	შეკრ. ნახევარწ.	3 შუკერილს	გადახურვა - XVIII ს.
29	ქვიბისხევი	IX ს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში.		
30	ქაღვლი	IX-X სს.	-	ბეძმ. სწორ-ში		
31	ვაზბეგი	IX-X სს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		
32	ყველაანთუბანი	IX-X სს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		
33	ხევის ხოთი	IX-X სს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		
34	ვერე	X ს.	-	ბეძმ. სწორ-ში		აღფასადზე 2 ნიშა
35	ოთხთაგელქისა	X ს. II ნახ.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		ბეძ. დას. კარბი. გადახ.
36	პარხაღი	X ს. II ნახ.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		ბეძ. დას. სამ. კარბი. გადახ
37	ურთა	X ს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		
38	სანაგორე	XII ს. დას. წ.	ოთხკალთა	შეკრ. ნახევარწ.	3 შუკერილს	პასტოფ-შეკრ. ნახევარწ.
39	კვირიკეშინდა	XII ს.	ოთხკალთა	შეკრ. ხუთწახნ.		
40	ქლივანა	XIII-XIV სს	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		
41	ჭარები	XIII-XIV სს	ოთხკალთა	შეკრ. ხუთწახნ.	აფს. სამ. კვ.	
42	იჭრია	XVII ს.	ოთხკალთა	ბეძმ. სწორ-ში		აღფასადზე 2 ნიშა

№	ძეგლი	თარიღი	სხვა ძეგლებისგან განსხვავებული თავისებურებები	შენიშვნა
1	ბიჭვინტა	Vს.	სანათლაგო ემბაზი, იტაკის მოზაიკა, მარმარილოს ინკრუსტაციის	
2	ბოლნისი	478-493წწ	სანათლაგო, გალერეები, რელიეფებიანი სვეტისთავები,	ასომთავრული წარწერები
3	მატანი	Vს. შუა	დას.ნაგო, ჩრ. და დას.ნაგების კვლით გამოჯკვა	VIII-IXსსკრუ თადეი შუა ნაგში, სამ-გუმბთკამარა
4	ნოქალაქი	Vს. შუა	დას.ნაგო, სანათლაგოს ნაშთები	
5	სეფიეთი	Vს. IIნახ	2სართ.გვერდ.ნაგები, ლავგარდანი	
6	ციხისბირი	Vს.	დასავლეთი ნაგო	
7	ძეგლი შუამთა	Vს.		
8	ნასტაკისი	V-VIსს.		
9	ხაშში	V-VIსს.	რელიეფებიანი სვეტისთავები	
10	ანისხატი	Vს.დასწ.	სამკვეთლო გამოწკული ჩრ.ფასადზე	სამ.მინამ.შესად.სანათლაგო
11	ალაპაძე	Vს.	სამიგე ნაგს აღ-ით 1 განიერი აფსიდა	
12	ახშანი	Vს. IIნახ.		გვიანი გარშემოსავლელი
13	განთიადი	Vს. IIნახ.	ნარტექსი, აფს-ში ლავგარდანი, სარკმლები 2 რიგად	
14	ვაზისუბანი	Vს. IIნახ.	გარშემოსავლელი	
15	ვაშნარი	Vს.	დას.ნაგო, სანათლაგო, იონური კაპიტელი	VII-VIIIსს. ბერძნ. წარწერა
16	კონდოლი	Vს. დასწ.		
17	ნატკორა	Vს.		
18	ორმოცმოწამათა	Vს. IIმეთ.	დას.ნაგო, საკურთხ-ში 4 ფერწკარი	
19	ურბნისი	Vს.	კლდეში ნაკვეთი, აფს-ში ლავგარდანი	გვიან. კრუ თადეი გე. ნაგ.
20	უფლისციხე	Vს.		
21	ხირსა	Vს.		ჩრ.-სტეფან ხირსელის სამკაულე

22	რკონი	VIII.	გვერდით ნაგებში I საფ.ქვის რიგი	გადატუსარკმლო გვ.კვდ.
23	ზედაზენი	VIII. II ს.ს.	შუა ნაგში დეკორატიული	ჩრ.-ითანე ზედაზენელი ს
				საძეაღე. წყალხაჯაგი
24	აღაინი	VIII-IX ს.ს.	შუა ნაგის კედლები-უსარკმლო	
25	თიანეთი	VIII-IX ს.ს.	რელიეფებიანი სვეტისთავები, ფილები	
26	რევაზაშენი	VIII-IX ს.ს.		
27	აკურა	855წ.	ორნაწილიანი ჩრ.ნაგი, II სართ.სამაღაგი.	
			აკურის დეკორატიულები	
28	ბოდბე	IX ს.		სამხ.-წმინოს საძეაღე
29	ქვამისხევი	IX ს.		
30	ქალაქი	IX-X ს.ს.	რელიეფებიანი ქვის სანათლაგი	
31	ვაზბეგი	IX-X ს.ს.		
32	გველანოუბანი	IX-X ს.ს.		
33	ხევის სოფი	IX-X ს.ს.		
34	ვერე	X ს.	შუა ნაგის პერპენდიკულარული გვ.ნაკვების კამარები	
35	ოთხთაქალქისა	X ს. II ს.ს.	თაღი ექსტერიორსა და ინტერიორში. 2ნაწ. პასტოფორ. სარკმლები-2იარუსად	
36	პარსალი	X ს. II ს.ს.	თაღი ექსტერიორსა და ინტერიორში. 2ნაწ. პასტოფორ. სარკმლები-2იარუსად	
37	ურთა	X ს.		
38	სანაირე	XI ს. დასწ.	პატრონიკი	
39	კვირიკაშინდა	XI ს.	აფსიდის შუბლზე-სარკმელი, სამ.შესვლელის წინ კვირის გამოსახულება	წარწერა სამხ. შესახველის თავზე
40	ქლივანა	XIII-XIV ს.ს.	პილასტრები გვერდით ნაგებში	
41	ჭარები	XIII-XIV ს.ს.	აფსიდის შუბლზე-სარკმელი	
42	იჭრია	XVII ს.	სახატეები აფსიდის ორივე მხარეს	

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის ეტაპები საქართველოში

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით შესწავლის საფუძველზე მოძიებული მონაცემების შეჯერება საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მახასიათებლების წარმოჩენის, სხვადასხვა პერიოდში გავრცელების ინტენსივობის და სახეცვლის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ამ მასალის ქართული არქიტექტურის განვითარების საერთო პროცესთან მიმართებაში განხილვა სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის ეტაპების განსაზღვრის პირობას ქმნის.

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ გავრცელდა. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წინაშე დასახული ახალი ამოცანების გადაწყვეტა, ცხადია, ქვეყანაში არსებული არქიტექტურული პოტენციალის გამოყენებით განხორციელდა. ქრისტიანული ტაძრის აგების რეგლამენტირებული მოთხოვნის პირობებში, ძირითადად, სწორედ ადგილობრივი სამშენებლო პოტენციალი განაპირობებდა საქართველოში საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფორმირებისა და განვითარების თავისებურებებს, რაც ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გააზრებაშიც აისახა.

საზოგადოდ, არქიტექტურული პოტენციალის რაობას, ჩვენი თვალთახედვით, ძირითადად აპირობებს ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებები (ლანდშაფტის სპეციფიკა, ადგილობრივი სამშენებლო მასალების ნაირგვარობა, გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული კულტურული ურთიერთობების ინტენსივობა), სამშენებლო საქმის განვითარების დონე, ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოტიპის თავისებურება და იდეოლოგია. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს

გეოგრაფიული თავისებურებანი და გეოპოლიტიკური მდებარეობა, უდაოდ, განაპირობებდა სამშენებლო საქმის უძველესი დროიდან განვითარებას. ხელსაყრელი, მრავალფეროვანი ლანდშაფტური და კლიმატური პირობები უხსოვარი დროიდან მოსახლეობის არსებობის და შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს ქმნიდა. ამასთან, ძველი ცივილიზაციის კერებთან სიახლოვე ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას იძლეოდა, რაც ხელს უწყობდა არქიტექტურული თუ კონსტრუქციული მიღწევების თანადროულად ათვისებას და, შედეგად, ხუროთმოძღვრების განვითარების სტიმულირებას.

საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული არქიტექტურული ძეგლების სიმრავლე და მათი ქრონოლოგიური პარამეტრები, დაწყებული ძვ.წ. V-IV ათასწლეულების უძველესი ნამოსახლარებიდან (მაგ.:შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა), [საქართველოს არქეოლოგია, II:35,48] ვიდრე წინარექრისტიანული ხანის ქალაქური ტიპის დასახლებამდე (მაგ.: მცხეთა, ვანი, უფლისციხე და სხვა) [აფაქიძე, 1963] უტყუარად ადასტურებს ქრისტიანობის მიღების ხანისათვის სამშენებლო ხელოვნების მრავალათასწლიანი გამოცდილების არსებობას და საგულისხმო ფაქტობრივ მასალას წარმოადგენს არქიტექტურული მემკვიდრეობითობის თუ ინოვაციების გამოვლენის თვალსაზრისით.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპისათვის არსებული არქიტექტურული პოტენციალის რაობის წარმოსაჩენად, უდაოდ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაგებობათა გეგმარებისა და კომპოზიციური გადაწყვეტის მთლიანი რეპერტუარის გამოვლენას. სამწუხაროდ, ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლების დაცულობის დონე, უმეტეს შემთხვევაში, არ იძლევა ამ საკითხების დადგენის შესაძლებლობას. შესაბამისად, ნაგებობათა ფუნ-

ქციონალური იდენტიფიცირების და რეკონსტრუქციის ცდას, ხშირად, ჰიპოტეტიური ხასიათი გააჩნია. ამ თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ისეთი ძეგლები, როგორცაა ციხიაგორა- ძვ.წ. IV-IIIსს [ცქიტიშვილი, 2003:11-25], დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსი- ძვ.წ. II-Isს [გაგოშიძე, 1981:102-116], ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასის სატაძრო ნაგებობა —ძვ.წ. II-I სს. [მათიაშვილი, 2005:44-45], არმაზციხის სვეტებიანი დარბაზი- ძვ.წ. I-ახ.წ. I სს [აფაქიძე, 1963:25-27], მცხეთის აკლდემა- I ს. [აფაქიძე, 1963:105-108], ბაგინეთის ექვსაფსიდიანი ნაგებობა- II-IIIსს [ნიკოლაიშვილი, 1996:23-25], უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის სამნავიანი ბაზილიკის თავდაპირველი წინარექრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობა [ხახუტაიშვილი, 1989].

ქრონოლოგიური, ფუნქციონალური და სტილისტური სხვაობის მიუხედავად აღნიშნულ ძეგლებს არქიტექტურული გადაწყვეტის საერთო მახასიათებელი გააჩნია, რაც გეგმარებისა და შიდა სივრცის ცენტრულ გააზრებაში ვლინდება. ციხიაგორასა და დედოფლის მინდორის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის ტაძრებში გამოყენებულია ე.წ. კვადრატი კვადრატში კომპოზიციური სქემა. ოთხკუთხა გარშემოწერილობის ბაგინეთის მრავალაფსიდიან ნაგებობაში ექვსი ნახევარწრიული აფსიდა ცენტრთან მიმართებაში რადიალურად არის განლაგებული. ოთხი საყრდენი და კვადრატს მიახლოებული გეგმა გააჩნია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასის სატაძრო ნაგებობის დარბაზს, ასევე უფლისციხის ბაზილიკის თავდაპირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობას. განსხვავებულია არმაზციხის ექვსსვეტიანი დარბაზი. მას წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს, მაგრამ შესასვლელი გრძივი ფასადის შუა ნაწილშია გაჭრილი. ამგვარი გადაწყვეტა ინტერიერის აღქმისას არა სიგრძივი ღერძის, არამედ ცენტრის ხაზგასმას ემსახურებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში უძველესი სამოსახლოებიდან დაწყებული გლეხური დარბაზით

დამთავრებული საცხოვრისების გეგმის და შიდა სივრცის გააზრება, ძირითადად, ცენტრული გადაწყვეტის პრინციპს ემორჩილება, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ძეგლები ეხმიანება მრავალსაუკუნოვან ადგილობრივ ტრადიციას. შესაბამისად, ხუროთმოძღვრული ნაგებობის ამგვარი კომპოზიციური გააზრება წარმოადგენს ქრისტიანობის საწყისი პერიოდისათვის საქართველოს ხუროთმოძღვრების არქიტექტურული პოტენციალის რაობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული საეკლესიო არქიტექტურის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებაზე.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპისათვის არსებულ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე არქიტექტურული პოტენციალის რაობას სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობებდა მრავალფეროვანი სამშენებლო მასალის და შესაბამისი სამშენებლო ხერხების ფლობის, ნაირგვარი კონსტრუქციული ფორმებისა და საშუალებების გამოყენების გამოცდილება; ნაგებობის კომპოზიციისა და შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე დაფუძნებული მდგრადი ტრადიცია; არქიტექტურულ ფორმათა მრავალფეროვანი მხატვრულ-სტილისტური რეპერტუარი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოწინავე კულტურის ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გამოიშვა არქიტექტურული, კონსტრუქციული თუ სტილისტური ინოვაციების თანადროულად შეთვისების და თავისებურად გააზრების უნარი.

საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების ხანაში ამგვარი სამშენებლო პოტენციალის არსებობამ ხუროთმოძღვრების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა განაპირობა. საუკუნეების განმავლობაში გამოიშვა ვებულმა ინოვაციების შეთვისების უნარმა ხელი შეუწყო

ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნებთან სწრაფ ადაპტირებას და შესაბამისად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გავრცელებას. თუმცა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტიპებისა და ფორმების გავრცელება ადგილობრივ ტრადიციების გათვალისწინებით განხორციელდა. შედეგად, ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გააზრებამ საქართველოში შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე დაფუძნებული ტრადიციის ზეგავლენით თავისებური სახე მიიღო. ბაზილიკისთვის დამახასიათებელი ძლიერ წაგრძელებული გეგმარება და დასავლეთი შესასვლელის პრიორიტი საქართველოში კვადრატს მიახლოვებულმა გეგმარებამ შეცვალა, ხოლო უპირატესი მნიშვნელობა გრძივი ფასადების შესასვლელებს მიენიჭა. მაგალითად, ბოლნისის სიონში ჩრდილოეთი და სამხრეთი შესასვლელები შიდა სივრცის აღქმისას დაახლოებით იმავე ეფექტს ქმნის, რაც არმაზციხის ექვსსვეტიან დარბაზში იყო განხილული. წინაქრისტიანულ ხანაში დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციის ცენტრებთან ურთიერთობების ბაზაზე შექმნილმა მრავალფეროვანმა მხატვრულ-სტილისტურმა რეპერტუარმა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში განსხვავებული დეკორატიული ფორმების გამოყენება განაპირობა. ამ პერიოდის ბაზილიკებში გვხვდება როგორც კლასიკური კაპიტელების, მარმარილოს ინკრუსტაციის, იატაკის მოზაიკის (მაგ.: ბიჭვინტა, ვაშნარი) მაგალითები, ასევე სასანური ირანის ხელოვნების გარკვეული გავლენით შექმნილი რელიეფური კომპოზიციები (მაგ.: ბოლნისის სიონი, ხაშმი).

ამრიგად, წინარექრისტიანული ხანის არქიტექტურულმა პოტენციალმა დიდწილად განსაზღვრა საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების და, კერძოდ, სამწავიანი ბაზილიკის გავრცელების, მისი არქიტექტურული სახის გადაწყვეტის თავისებურებანი.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის პირველი ეტაპი V, VI, VII საუკუნეებს მოიცავს და თანხვედრა ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს. ამ დროს აგებული ჩვენთვის ცნობილი 35 ძეგლიდან სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით შესწავლილია 22 (იხ. ცხრილი №1). ეს ბაზილიკები მდებარეობს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პირველი ეტაპის სამნავიანი ბაზილიკების დიდი ნაწილი ძალზე ცუდად არის შემორჩენილი, ზოგიერთი გადაკეთებულია. ამდენად, მთელ რიგ ძეგლებში ნაგებობის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა ძნელია. არსებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს პირველი ეტაპის ბაზილიკებში რამდენიმე ჯგუფი გამოვყოთ.

პირველი ეტაპის ერთგვარ საწყის საფეხურს წარმოადგენს V საუკუნის ორი ძეგლი – ძველი შუამთა და მატანის ცხრაკარა. ეს ბაზილიკები მომცრო ზომისაა და თავისებური გადაწყვეტით ხასიათდება. უმთავრესია ცენტრულობის პრინციპის დომინირება, რაც მიიღწევა ნაგებობის პროპორციულ თანაფარდობით (სივრძე-სიგანის შეფარდების სიმცირე), არქიტექტურულ სტრუქტურაში დასავლეთი ნავის არსებობით და მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენის გამოყენებით. სამნავიანი ბაზილიკისათვის ტრადიციული სამი ნავის გარდა დასავლეთი ნავის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამგვარ კომპოზიციურ სქემას, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს საქართველოში დადასტურებულ ქრიატიანობამდელი ხანის ცენტრული გეგმარების ნაგებობებთან (მაგ.: ციხიაგორა, დედოფლის მინდორი), უნდა უკავშირდებოდეს გარშემოსავლელის წარმოშობა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული სამეკლესიიან ბაზილიკებში და გვხვდება სამნავიან ბაზილიკებშიც. ძველი შუამთისა და მატანის ცხრაკარას

გეგმისა და ინტერიერის გადაწყვეტის ძირითადი თავისებურებანი განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომელიც საქართველოს ხუროთმოძღვრულ ტრადიციებსა და ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს შორის წარმოიშვა. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მახასიათებლები პირველი ეტაპის საწყისი პერიოდის შემდგომ ძეგლებში უფრო ნათლად წარმოჩინდა; თუმცა ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციამ გარკვეულად მაინც თავი იჩენა, ხოლო მეორე ეტაპის ბაზილიკებში მკაფიო გამოვლინება ჰპოვა.

მატანის ცხრაკარა ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი გარემოების გამო. ეს ძეგლი პასტოფორიის მქონე (გამოყოფილია ჩრდილოეთი სათავსი) უადრესი ბაზილიკაა.

ამრიგად, ძველი შუამთისა და მატანის ბაზილიკების მნიშვნელობას განსაზღვრავს არა მხოლოდ მათი სიძველე (V ს.), არამედ არქიტექტურული გადაწყვეტის თავისებურება. ამ ძეგლებში განირჩევა როგორც ბაზილიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები (სამი ნავი, მათი პროპორციული თანაფარდობა, ნავების საყრდენებით გამიჯვნა [მატანში მხოლოდ ჩრდილოეთი ნავის] ე.წ. ბაზილიკური ჭრილის არსებობა, ასევე ამ არქიტექტურული ტიპისათვის უცხო ტენდენციები (სივრდივი ღერძის სიმოკლე, ცენტრულობის პრინციპი). ამას გარდა აქ გამოიკვეთა ისეთი კომპოზიციური სქემა, რომელმაც შემდგომში ქართულ არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული გარშემოსავლელის წარმოშობა განაპირობა.

სამწავიანი ბაზილიკების პირველი ეტაპის საწყისი პერიოდის ძეგლების შემდგომ ჯგუფს ქმნის თავისი მასშტაბით და არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის [ჩუბინაშვილი, 1936: 32-50] ძეგლები: ბოლნისის სიონი, წყაროსთავი, ურბნისი, ხაშში, ანჩისხატი, კონდოლი, ნატკორა, ხირსა, ვაზისუბანი. თავისი პარამეტრებით ამ ჯგუფს უახლოვდება ნასტაკისის ბაზილიკა, რომლის მხოლოდ გეგმა იკითხება, სვეტიცხოველის და სავარაუდოდ

წილკანის ბაზილიკა. ამ ძეგლებში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მთავარი კონცეფცია უკვე ნათლად არის გამოკვეთილი. ნაგებობებში ხაზგასმულია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექტურული ფორმების განმეორებით მიღწეული რიტმი განსაზღვრავს. ნათლად განირჩევა შიდა სივრცის მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიული წონასწორობის პრინციპს ეფუძნება. სამწუხაროდ, ამ ძეგლების დიდი ნაწილის ცუდი დაცულობის ან საფუძვლიანი გადაკეთების გამო, ძნელია მათი თავდაპირველი სახის სრულად აღდგენა, რაც მკვლევართა შორის ცალკეული ძეგლების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს. მაგალითად, ბოლნისის სიონის გადახურვის შესახებ ორი საპირისპირო აზრია გამოთქმული. როგორც ცნობილია, ბოლნისის სიონის გადახურვა XVII საუკუნის რემონტის ხანისაა და სამი ნავი ორკალთა სახურავის ქვეშ არის მოქცეული. გ. ჩუბინაშვილის აზრით [ჩუბინაშვილი, 1940: 148] XVII საუკუნეში განმეორებულია ძეგლის თავდაპირველი გადახურვის ფორმა და გამოთქმულია ვარაუდი ორკალთა გადახურვის არსებობის შესახებ ასევე ურბნისის, ხაშმის და ანჩისხატის ბაზილიკებში. ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. ცინცაძე [ცინცაძე, 1969], რომელიც ორკალთა გადახურვას V საუკუნის სვეტიცხოვლის ბაზილიკაშიც ვარაუდობს [ცინცაძე, 1987; 15-25]. საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს ბოლნისის სიონის და ანჩისხატის ბაზილიკების სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი რ. გვერდწითელი. იგი ძეგლებზე მუშაობის და პარალელურ მასალასთან შეჯერების საფუძველზე ასაბუთებს ამ ბაზილიკებში ოთხკალთა გადახურვის არსებობას [გვერდწითელი, 1989]. ძეგლების ნატურალში კვლევის პროცესში მოპოვებული მასალის გაანალიზების საფუძველზე დამყარებული რ. გვერდწითელის მოსაზრება, უთუოდ, ანგარიშგასაწევია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქრის-

ტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ძველი ტრადიციების ქვეყანაში, როგორც საქართველოა, საკვებით შესაძლებელია ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთ ქვეყნებში გავრცელებული არქაული სახესხვაობის, ორკალთა გადახურვის მქონე ბაზილიკის, არსებობა.

როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლები გამოირჩევა დიდი ზომით (იხ. ცხრილი №3) და ამ არქიტექტურული ტიპისათვის დამახასიათებელი ნათლად გამოვლენილი ნიშნებით. უმთავრესია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის ხაზგასმა, რაც ნაგებობის პროპორციული განაწილებით და საყრდენების სიმრავლით მიიღწევა (მაქსიმუმი 5წყ). იმ ძეგლებში, სადაც საყრდენების რაოდენობა ნაკლებია, გრძივი ღერძის პრიორიტეტი თაღების ზომის გაზრდით არის შენარჩუნებული. საყრდენი და თალი ქმნის ერთინ მოდულს, რომლის განმეორებადი გამოყენებით ყალიბდება ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა.

ე.წ. დიდი ბაზილიკების გეგმა და სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა პროპორციულობისა და არქიტექტურული ნაწილების ურთიერთშეთანხმების პრინციპზეა აგებული. თავისი ზომითა და მდებარეობით გამოირჩევა საკურთხეველის აფსიდისაკენ მიმართული მთავარი შუა ნავი. გვერდითი ნაგები დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, თუმცა მათი პროპორციები და არქიტექტურული გადაწყვეტა ნაგებობის საერთო წყობაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ამდენად, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების მხატვრულ-არქიტექტურული სახე თანაბრად არის გამოვლენილი და ინტერიერის საერთო გადაწყვეტას მათი ორგანული კავშირი განსაზღვრავს. ამ ნაგებობებში იქმნება ერთიანი, ხალვათი სივრცე. არქიტექტურული ფორმების პროპორციები, საყრდენების რიგი, ზოგ შემთხვევაში საყრდენის ფორმა (ჯვრული, T-ს ფორმის), მასების ვერტიკალურ განვითარე-

ბას უწყობს ხელს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინტერიერში სივრცის შეგრძნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლების გეგმარება, სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა (ინტერიერი და ექსტერიერი) არქიტექტურული ტიპის ძირითად მოთხოვნებს პასუხობს, ცენტრულობის ტენდენცია ზოგ შემთხვევაში გარკვეულწილად მაინც ვლინდება. ეს უპირველეს ყოვლისა შესასვლელების პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხს ეხება. საზოგადოდ, ბაზილიკაში მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან არის და ინტერიერის აღქმის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. რაც შეეხება ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებს (ბოლნისის სიონი, ხაშში), აქ უპირატესობა გრძივი ფასადის შესასვლელს ენიჭება. ეს არღვევს არქიტექტურული ტიპის ლოგიკურ სქემას და მასში სივრცის აღქმის სრულიად განსხვავებული, ცენტრული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ელემენტი შემოაქვს. ამდენად, ამ ძეგლებში ხუროთმოძღვრული ფორმები მთლიანად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესატყვისია, მაგრამ მათი აღქმა ცენტრული ნაგებობის პრინციპით ხორციელდება.

პასტოფორიუმები ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის უმეტეს ბაზილიკებში საკურთხევლის ორივე მხარეს არის გამოყოფილი, თუმცა ზოგიერთი, ძირითადად V საუკუნის და VI საუკუნის დასაწყისის ძეგლი, პასტოფორიუმების გარეშეა.

მინაშენების კვალი ამ ჯგუფის უმრავლეს ძეგლშია დადასტურებული. ამგვარი არქიტექტურული ფორმების არსებობა, უთუოდ, გარკვეული ფუნქციონალური დანიშნულებით იყო ნაკარნახევი. შესაძლოა, კათაკმეველთა ან საეკლესიო წესებით მათთან გათანაბრებულ პირთა სადგომად იყო გამოყენებული. მეტ-ნაკლებად სრული სახით შემორჩენილია ბოლნისის სიონის გალერეები და ვაზისუბნის გარშემოსავლელი. ამ ძეგლებში მაღალმხატვრულ დონეზეა გააზრებული

როგორც მათი არქიტექტურული სახის გადაწყვეტის, ასევე ნაგებობის ძირითად ნაწილთან მიბმის პრობლემა; გათვალისწინებულია ძირითად მასასთან პროპორციული ურთიერთდამოკიდებულების, ნაგებობის სილუეტის გამომსახველობის საკითხი.

საქართველოს ბაზილიკების პირველი ეტაპის ამ ჯგუფის ძეგლების, ისევე როგორც საწყისი პერიოდის ბაზილიკების, მხატვრულ-დეკორაციული გადაწყვეტა, ძირითადად, სისადავით ხასიათდება. გასათვალისწინებელია, რომ უმეტესი ძეგლები კახეთში მდებარეობს, ხოლო ამ რეგიონის არქიტექტურულ ძეგლებს მორთულობა არ ახასიათებს. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში გამორჩეულია ბოლნისის სიონის და ხაშმის რელიეფები. მხატვრული და იკონოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ბოლნისის სიონის სვეტისთავები.

ქრონოლოგიურად და ნაგებობათა მასშტაბით ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებს უახლოვდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები [ზაქარაია,1983], რომელთაც რიგი თავისებურებანი ახასიათებს. ეს ბაზილიკებია: ბიჭვინტა, ნოქალაქევი, სეფიეთი, ალაჰაძე, ციხისძირი, განთიადი, ვაშნარი, ნოქალაქევის ორმოცმოდმეთა, ცაიში. აღნიშნული ძეგლები ცუდად არის შემორჩენილი. უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ გეგმა იკითხება და ამიტომ რიგი საკითხების კვლევა ფაქტიურად შეუძლებელია. მეტ-ნაკლებად ნათელი სურათის შექმნის შესაძლებლობას მათი აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებთან მიმართებაში განხილვა იძლევა. ამასთან, განსახილველი საკითხების რაოდენობა და ხასიათი დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების მონაცემების არსებობაზეა დამოკიდებული.

ა/ დასავლეთ საქართველოში თლილი ქვით ნაგები ძეგლების გარდა გვხვდება კედლის წყობაში ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობა – ე.წ. opus mixtum წყობა, რაც აღ-

მოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი და ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს.

ბ/დასავლეთ საქართველოში შვერილაფსიდიანი ძეგლებია გავრცელებული, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე გამონაკლესის გარდა გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდებია.

გ/დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში პასტოფორიუმები არ არის (გამონაკლესია ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, რომელიც გუმბათიანად არის გადაკეთებული), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ისინი არ აქვს მხოლოდ V-VI საუკუნეების რიგ ძეგლებს.

დ/შვერილაფსიდიანი გეგმარება და პასტოფორიუმების უქონლობა დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში აფსიდის წინ ბემის არარსებობას განაპირობებს. (ბემა მხოლოდ განთიადის ბაზილიკაშია).

ე/ბიჭვინტის, ნოქალაქევის, განთიადის ბაზილიკებში სანათლავის ნაშთებია დადასტურებული. სავარაუდოა, რომ ვაშნარის სამხრეთ-აღმოსავლეთი სათავესიც სანათლავს წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს ამ ძეგლებში, ისევე როგორც ბოლნისის სიონში, სანათლავის არსებობას ქრონოლოგიური ფაქტორიც განსაზღვრავს, რადგან VI საუკუნიდან ტაძარში მისი ცალკე გამოყოფის საჭიროება აღარ იყო. [ბერიძე, 1974: 27]. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებს დასავლეთით ნარტექსი აქვს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი.

ვ/ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების დიდი ნაწილი წაგრძელებული გეგმარების, მრავალსაყრდენიანი (მაქსიმუმ 5 წყ.), მასშტაბური ნაგებობებია. ამ ძეგლების შუა ნავის გვერდითებთან შეფარდება სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესაბამის მონაცემს. დასავლეთ საქართველოს ძეგლების შუა ნავის სიგანე (გამონაკლესია ალაჰაძე)

ასევე აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესაბამის მონაცემს [იხ. ცხრილი 4]. ეს გარემოება სხვა ფაქტორებთან ერთად (მაგ.:საყრდენებად კოლონის გამოყენება), უთუოდ, გასათვალისწინებელია ამ ბაზილიკების გადახურვის რეკონსტრუქციის დროს. სავარაუდოა კამარების გარდა ხის ძელოვანი გადახურვის არსებობა.

ზ/დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების ცუდი დაცულობის გამო ინტერიერის სივრცითი ორგანიზაციის საკითხის გარკვევა ძნელია. ერთადერთი მეტ-ნაკლებად უკეთ შემორჩენილი ძეგლი სეფიეთის ბაზილიკაა, რომელიც ამ მხრივ ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მისი გვერდითი ნაგებობა ორსართულიანია, რაც საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი.

თ/ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებში სხვადასხვა ფორმის საყრდენი გამოიყენება, დასავლეთ საქართველოში ძირითადად გვეგმაში კვადრატული საყრდენია დადასტურებული. სწორკუთხა ფორმაა ალაჰადის ბაზილიკაში. ამასთან გამოვლენილია მარმარილოს კოლონის, აკანთის ფოთლიანი კაპიტელის (ბიჭვინტა), იონური კაპიტელის (ვამნარი) ფრაგმენტები, რაც ბიზანტიის ხუროთმოძღვრებასთან კავშირზე მიუთითებს. დასავლეთ საქართველოს ძეგლებში აღმოსავლეთისაგან განსხვავებით პილასტრები არ გვხვდება.

ი/დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში სხვადასხვა სახის მორთულობის ელემენტების ფრაგმენტებია დადასტურებული – კლასილური კაპიტელეები, იატაკის მოზაიკა, მარმარილოს ინკრუსტაცია, რაც ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებში პასტოფორიუმების, პილასტრების უქონლობა, სანათლავის მოწყობა გარკვეულწილად მათ ადრეულ თარიღს უკავშირდება. რაც შეეხება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებს შორ-

რის აღნიშნულ ზოგიერთ განსხვავებას, ეს გავლენის სხვადასხვა სფეროს არსებობით უნდა აიხსნას.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში ე.წ. opus mixtum წყობის, შვერილი აფსიდის, ნარტექსის, ინტერიერის მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებების, კლასიკური კაპიტელების გამოყენება ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეიძლება გამოიყოს რიგი ძეგლები (ბიჭვინტა, ციხისძირი, ვაშნარი), რომლებშიც ბიზანტიური გავლენა უფრო თვალსაჩინო და არსებითია; რაც, უთუოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად შავიზღვისპირა ამ ცენტრებში ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სიძლიერით უნდა აიხსნას.

აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკები მეტ სიახლოვეს აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს, კერძოდ, სირიის, სომხეთის ძეგლებთან ამჟღავნებს, ვიდრე ბაზანტიის ხუროთმოძღვრულ ნიმუშებთან. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში (მაგ.: ბოლნისის სიონის სვეტისთავები) სასაანური ირანის ხელოვნების ერთგვარი გავლენაც აღინიშნება.

ამრიგად, ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გააზრება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მსგავსი მასშტაბისა და პროპორციების ნაგებობების სახით განხორციელდა. რაც შეეხება განსხვავების არსებობას, ეს სხვადასხვა კულტურული კავშირების არსებობით განპირობებული საქართველოს ხუროთმოძღვრების მრავალმხრივობის გამოხატულებად გვესახება.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესახებ არსებული მონაცემები ანგარიშგასაწევია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის – დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების საკითხთან დაკავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების თარიღად 523 წელი იყო მიჩნეული [ჯანაშია, 1949: 230-

235]. მეორე მოსაზრების მოხედვით აქ ქრისტიანობა ქართლის მსგავსად IV საუკუნეში გამოცხადდა. [საქართველოს ისტ.ნარკ, 1973: 188]. ამ მოსაზრებას ეხმიანება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესახებ შემდეგი მონაცემები: 1. არქეოლოგიური და არქიტექტურული შესწავლის საფუძველზე დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები V-VI საუკუნეებით თარიღდება. ე.ი. ეს ძეგლები 523 წელზე ადრეული ან თანადროული ხანისაა. 2. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ბაზილიკების რაოდენობა და მათი სხვადასხვა მხარეში მდებარეობა ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე მიანიშნებს. 3. ბაზილიკების ზომები და მართულობის მრავალფეროვნება იმაზე მეტყველებს, რომ მრავალრიცხოვანი მრევლისთვის აგებულ ამ ეკლესიებს ოფიციალური სტატუსი უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, V-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ასეთი საკულტო ნაგებობების მშენებლობა იმ მოსაზრებას ამავრებს, რომელიც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას 523 წელზე ადრეულ ხანაში ასაბუთებს.

ქრონოლოგიურად პირველი ეტაპს განეკუთვნება აგრეთვე უფლისციხის და რკონის ბაზილიკები. პირველი მათგანი კლდეში ნაკვეთი ძეგლია და ამდენად გამოირჩევა სხვა ბაზილიკებისაგან. მის არქიტექტურულ სახეს უპირატესად სწორედ სამშენებლო სპეციფიკა განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით [ხახუტაიშვილი, 1989: 38-39; სანიკიძე, 1987; ხიმშიაშვილი, 1988; ყიფიანი, 1990; გაგოშიძე, 1983: 5-6], ის თავდაპირველად წარმართულ ტაძარს წარმოადგენდა და ქრისტიანულ ეკლესიად VI საუკუნეში გადაკეთდა. ეს ორი ფაქტორი, უთუოდ, გამსაზღვრავს უფლისციხის ბაზილიკის თავისებურებას და ართულებს სხვა ბაზილიკებთან სტილისტურ-არქიტექტურული მიმართების საკითხის გარკვევას. თავისთავად ამგვარი ძეგლის არსებობა ქართული არქი-

ტექტურის ისტორიაში მრავლისმეტყველია. უფლისციხის ბაზილიკა ძალზე ცუდად არის შემორჩენილი, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ინტერიერის ორგანიზაციის სრული სურათის აღდგენას; და უნდა ვაღიაროთ, რომ ძეგლის არქიტექტურული გადაწყვეტის ყველა ასპექტი ბოლომდე გარკვეულად არ გვესახება. არსებული მონაცემების მიხედვით ეს არის დიდი ზომის ნაგებობა, ორი წყვილი გეგმაში ჯვრული საყრდენით და სამნაწილიანი საკურთხევლით აღმოსავლეთ მხარეს. დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი არ არის გამოკვეთილი. პირიქით, დარბაზის (საკურთხევლის გარეშე) ჩრდილო-სამხრეთი მიმართულება სჭარბობს დასავლეთ-აღმოსავლეთისას. შესასვლელი მხოლოდ ერთი, სამხრეთი მხრიდან არის გაჭრილი, რადგან დანარჩენი მხარე კლდეშია ნაკვეთი. ამდენად, უფლისციხის ბაზილიკის პროპორციები არ შეესაბამება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს, თუმცა გეგმაში ამ ტიპის შემადგენელი ნაწილები სრულადაა წარმოდგენილი – საყრდენებით გამიჯნული სამი ნავი, სამნაწილიანი საკურთხეველი. ამგვარი პროპორციული გადაწყვეტა ზემოთ აღნიშნულ ორ ფაქტორთან უნდა იყოს დაკავშირებული. მითუმეტეს, რომ სიგრძრე-სიგანის ასეთი შეფარდება პირველი ეტაპის ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი.

VII საუკუნის რკონის ბაზილიკა გადაკეთების შედეგად სახეშეცვლილია როგორც სივრცის ორგანიზების, ასევე არქიტექტურული ფორმების მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით. რკონის ბაზილიკა ორი წყვილი საყრდენის მქონე, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებთან შედარებით მომცრო ზომის ნაგებობაა (იხ. ცხრილი 3). არქიტექტურული ფორმების თუ ცალკეული დეტალების გადაწყვეტის მხრის პირველი ეტაპის ძეგლებს ენათესავენ, მაგრამ სიგრძე-სიგანის შეფარდებით, ზომით, მეტ მსგავსებას VIII-IX საუკუნეების ბაზილიკებთან ამჟღავნებს. უნდა აღინიშნოს, რომ

ძეგლის საფუძვლიანი კვლევისას არ არის გამორიცხული მისი დათარიღების გადასინჯვა.

ამრიგად, პირველი ეტაპის ბაზილიკებში ძეგლების რამდენიმე ჯგუფი განირჩევა. საწყის საფეხურს ქმნის ძველი შუამთის და მატანის ბაზილიკები. ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანია ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლები. რიგი თავისებურებებით ხასიათდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები. ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნის რკონის ბაზილიკა. ქრონოლოგიურად ამ ეტაპს მიეკუთვნება სპეციფიკური ნიშან-თვისებებით გამორჩეული უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ბაზილიკა. სტატისტიკურ-ტიპოლოგიური მეთოდით შესწავლილი ძეგლების გარდა ქრონოლოგიური თვალსაზრისით ამ ეტაპს განეკუთვნება არემის, ერუმეთის, აკაურთას, სვეტიცხოველის, ნიქოზის, ცაიშის, ნუნისის, წყაროსთავის, წილკანის, თელავის ღვთაების, ზღუდერის, კურდღელაურის, თი-ქილისას ბაზილიკები. აღსანიშნავია, რომ დეკორაციული მორთულობით გამოირჩევა სვეტიცხოველის, წილკანის და აკაურთას ძეგლები. ეს ფაქტი ანგარიშგასაწევია პირველი ეტაპის ბაზილიკებში მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებების საერთო სურათის შესავსებად. სამწუხაროდ ზემოთ ჩამოთვლილი ბაზილიკების დაცულობის დონე და რიგ შემთხვევაში საფუძვლიანი გადაკეთება სივრცობრივ-მოცულობითი, მხატვრულ-არქიტექტურული საკითხების, ცალკეულ ძეგლებში კი თავდაპირველი გეგმარების აღდგენის საშუალებასაც არ იძლევა.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების მეორე ეტაპი მოიცავს VIII, IX და IX-X საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებს და ქრონოლოგიურად თანხვედება ქართული არქიტექტურის გარდამავალ ხანას. სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით შესწავლილია მეორე ეტაპის თერთმეტი ძეგლი: ზედაზენი, ალვანი, თიანეთის სიონი, რევაზაშენი, ქვაბისხევი, აკურა, ბოდბე, ჟალეთი, ყაზბეგის ახალციხე,

ყველაანთუბანი, ხევის სიონი. მათ გარდა VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება მოსაბრუნის, კორინთას, ლოპოტის ხევის, ესბეკის, პარეხთას, ქობთავის ბაზილიკები.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში გარდამავალი ხანა საინტერესო, ძიებებით აღსავსე პერიოდია. ამ დროს მრავლად იგება თავისებური, ორიგინალური გადაწყვეტით გამორჩეული ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ეპოქის ეს ნიშანი გარკვეულწილად სამნავიანი ბაზილიკის ტიპზეც ვრცელდება. ამ პერიოდის რიგ ბაზილიკებში აღინიშნება ისეთი არქიტექტურული ფორმები და კომპოზიციური სქემები, რომლებსაც პარალელი არ ეძებნება. ამდენად მეორე ეტაპის სამნავიან ბაზილიკებში ძეგლთა ცალკეული ჯგუფების გამოყოფა არ ხერხდება. ამასთან ნათლად იკვეთება საერთო ნიშან-თვისებები, რაც ამ ეტაპის ძეგლების არქიტექტურული სახის განმსაზღვრელად გვევლინება.

მეორე ეტაპის სამნავიანი ბაზილიკების უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს გრძივი ღერძის დამოკლება და გეგმის კვადრატთან მიახლოება; შესაბამისად საყრდენების რიცხვის შემცირება ორ და ზოგიერთ შემთხვევაში (რევაზაშენი, ქვაბისხევი, აკურა) ერთ წყვილამდე. სამი ან მეტი წყვილი აღრიცხულ ძეგლებში საერთოდ არ გვხვდება. ამდენად ამ პერიოდის ბაზილიკები სიგრძე-სიგანის პროპორციული თანაფარდობით სრულიად აღარ შეესაბამება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს და ცენტრული ნაგებობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს. ინტერიერში აღარ ხორციელდება საყრდენისა და თაღის განმეორებით შექმნილი რიტმული მონაცვლეობა, რაც ასე დამახასიათებელია ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისათვის. შუა და გვერდითი ნაგებობის გამმიჯნავი საყრდენების სიმცირის გამო იკვეთება მათი ერთიან სივრცედ ჩამოყალიბების ტენდენცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაგებობაში მთავარი შესავლელი უმეტესად სამხრეთი მხრიდან არის და ინტერიერის აღ-

ქმაც შესაბამისად ხორციელდება, ნათელი ხდება, რომ მეორე ეტაპის ძეგლების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა ფაქტიურად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძირითადი ნიშნების უგულებელყოფის შედეგია.

როგორც პირველი ეტაპის ძეგლების განხილვამ ცხადყო, ცენტრულობის ტენდენციის ნიშნები ადრეული ხანის ძეგლებშიც აღინიშნებოდა, მაგრამ მეორე ეტაპის ბაზილიკებში ამგვარი მიდგომა ნათლად გამოიკვეთა. შედეგად შეიქმნა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი ცენტრული ნაგებობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. მეორე ეტაპის ბაზილიკა აღარ არის წაგრძელებული გეგმარების, საყრდენების რამდენიმე წყვილის მქონე ნაგებობა, სადაც ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექტურული ფორმების (საყრდენი, თალი) მრავალჯერადი მონაცვლეობის პრინციპი განსაზღვრავს. ამ ძეგლებს ახასიათებს კვადრატს მიახლოებული გეგმა, საყრდენების მინიმალური როდენობა, ერთიანი, ნაკლებად დანაწევრებული სივრცე. მეორე ეტაპის ძეგლები სარკმელების რაოდენობის სიმცირის მიუხედავად ძირითადად საკმაოდ კარგად განათებულია (გამონაკლისია ქობთავი), რაც განპირობებულია შედარებით მომცრო ზომის ნაგებობათა კვადრატს მიახლოებული გეგმარებით, როცა ოთხი მხრით, კედლის ზედა ნაწილში განლაგებული სარკმელებიდან შემოსული სინათლის სხივი ცენტრში იყრის თავს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპის რიგ ბაზილიკებში ვლინდება მხოლოდ ერთი კონკრეტული ძეგლისთვის დამახასიათებელი თავისებურება, რისი მაგალითია ზედაზნის და აკურას ბაზილიკები. ზედაზნის ბაზილიკა იოანე ზედაზნელის საფლავზე აგებული მცირე სამლოცველოს ადგილზეა აგებული, რაც ძეგლის ზოგიერთ თავისებურებას განაპირობებს. კერძოდ, მისი ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთი ნაწილის ფორმების არქაულობა დაკავშირებულია სამლოცველოსთან, რომელიც ბაზილიკის საერთო გეგმაშია ჩართული. აღსანიშ-

ნავია ასევე ზედაზნის ბაზილიკის ინტერიერში გამოყენებული თაღების სასტემა, რომელიც ქართულ ბაზილიკებში არ არის გავრცელებული.

აკურას ბაზილიკა მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. საინტერესოა მისი ჩრდილოეთი ნავის არქიტექტურული გადაწყვეტა. ნავის მეორე სართულზე სამალავია მოწყობილი, ხოლო პირველი სართული არა წესისამებრ დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზეა მიმართული, არამედ კედლით ორ ნაწილად იყოფა. ორივე ნაწილი შუა ნავის მხარეს იხსნება და ჯვრული კამართაა გადახურული. ამასთან დასავლეთ მონაკვეთს აღმოსავლეთ კედელში აფსიდალური ნიშა აქვს. გ.ჩუბინაშვილის აზრით ამგვარი სქემა ტაძრის ქტიტორ ილარიონ ქართველის დაკვეთას უნდა უკავშირდებოდეს [გ.ჩუბინაშვილი, 1959: 110-123]. აღსანიშნავია ასევე, აკურას ბაზილიკის შუა ნავსა და პასტოფორიუმებში გამოყენებული დეკორაციული თაღები და ნახევარკოლონები, რაც ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებას განაპირობებს. საყურადღებოა, რომ აკურას აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადზე შემორჩენილია კედლის მხატვრობის ნაშთები.

ამრიგად, მეორე ეტაპის სამნავიან ბაზილიკებში ნათლად არის გამოვლენილი ცენტრულ კომპოზიციასთან დაახლოვების და საკუთრივ ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის რიგი მახასიათებლების უარყოფის ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქის ბაზილიკები თავისი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით და მნიშვნელობით ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ვერ უტოლდება პირველი ეტაპის ძეგლებს, მაგრამ აღნიშნული თავისებურებების გამო სამნავიანი ბაზილიკის ტიპის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების მესამე ეტაპს განეკუთვნება სტატიისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით შესწავლილი X და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლები – ვერე, ოთხთაეკლესია, პარხალი, ურთა, სანაგირე, კვირი-

კეწმინდა. X საუკუნეს განეკუთვნება ასევე ზედა თმოგვის და სვეტის ბაზილიკები. ამ ეტაპის მნიშვნელობის განმსაზღვრელია ისეთი ძეგლები, როგორცაა ოთხთაეკლესია და პარხალი. მათთან გარკვეულ სიახლოვეს აქვდავენებს, თუმცა სრულიად განსხვავებული გეგმისაა სანაგირეს ბაზილიკა. რაც შეეხება ურთას ბაზილიკას, ის ძლიერ გადაკეთებულია. ვერე რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. კვირიკეწმინდა, რომელიც რაჭაში მდებარეობს, აღსანიშნავია იმით, რომ დასავლეთ საქართველოში VI საუკუნის შედგომ აგებულ სამნავიანი ბაზილიკის ნიმუშს წარმოადგენს.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების ბოლო, მესამე ეტაპის მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლები ოთხთაეკლესია და პარხალი თავისი მასშტაბით და არქიტექტურული ღირებულებით ისევე მნიშვნელოვანია ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის, როგორც ადრეული ბაზილიკები. ამ ძეგლებში მეორე ეტაპის ძეგლებისაგან განსხვავებით ნათლად არის გამოვლენილი არქიტექტურული ტიპის სახასიათო ნიშნები – გრძივი ღერძი, საყრდენების რამდენიმე, ამ შემთხვევაში ოთხი წყვილი. ამდენად, ეს ნაგებობები ზომით და სიგრძესიგანის პროპორციებით ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებს მოგვაგონებს, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით მათგან განსხვავებულ არქიტექტურულ სახეს ქმნის.

მესამე ეტაპის ამ ძეგლებს და პირველი ეტაპის ბაზილიკებს შორის ძირითადი განსხვავება საყრდენების განაწილების პრინციპშია. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში საყრდენებს შორის მანძილი და თაღების სიმაღლე თანაბარია. ასეთი გადაწყვეტა ტრადიციულია სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისათვის და მისი არქიტექტონიკის განმსაზღვრელია. რაც შეეხება ოთხთაეკლესიასა და პარხალს, აქ კიდურა აღმოსავლეთი თაღები ზომით ბევრად მცირეა და ნარჩენებზე, ხოლო მისი მომღვებო თაღი ერთნახევარჯერ მეტი სიგანისაა დასავლეთის თანაბარი ზომის თაღებზე. ამას

გარდა ოთხაეკლესიაში განსხვავებულია თაღების სიმაღლეც, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მატულობს. საყრდენების და თაღების ასეთი განაწილება ინტერიერში სრულიად განსხვავებულ სურათს ქმნის და აფსიდის წინა სივრცის განსაკუთრებულ ხაზგასმას ემსახურება. ამგვარი გადაწყვეტა თავისთავად გუმბათიანი ნაგებობის სტრუქტურას ეხმიანება და მისი გავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ ეპოქაში წამყვან თემას გუმბათიანი არქიტექტურა წარმოადგენს. განსხვავება აღინიშნება თაღების ფორმაშიც. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში ნალისებური და ნახევარწრიული თაღებია. ოთხთაეკლესიასა და პარხალში ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი შეისრული ფორმა გამოყენებული, რაც ამ ძეგლებში ისედაც მაღალი პროპორციების არქიტექტურულ ფორმების ვერტიკალურ მიმართულებას აძლიერებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბაზილიკების ერთ-ერთი მახასიათებელი ექსტერიერსა და ინტერიერში არქიტექტურული ფორმებისა და მასების ზეაწეული პროპორციებია.

პირველი ეტაპის ძეგლებისაგან განსხვავებით ოთხთაეკლესიასა და პარხალში პატრონიკა მოწყობილი, რაც საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი და გუმბათიან ნაგებობებში გვხვდება. ამ ძეგლებში პასტოფორიუმებსაც გართულებული ფორმა აქვს. ისინი ორ ნაწილადაა გაყოფილი და თავისებური ფორმის ნიშები აქვთ.

მესამე ეტაპის ამ ძეგლებში მრავალრიცხოვანი სარკმლები ორ და სამ რიგად არის განლაგებული. შესაბამისად შიდა სივრცე ინტენსიურად ნათდება. განათების სისტემის ამგვარი გადაწყვეტა სხვა ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი არ არის.

ოთხთაეკლესიასა და პარხალში დეკორაციული თაღები ამკობს როგორც ფასადებს, ასევე ინტერიერს. საგულისხმოა, რომ თაღედი, რომელიც პირველად თელოვანის VIII-IX საუ-

კუნეების ეკლესიის გუმბათის ყელზე იყო გამოყენებული [ცინცაძე, 1959], ნაგებობის ფასადებზე პირველად X საუკუნის ოშკში, ოთხთაეკლესიასა და პარხაკში გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თაღებს ფასადების გაფორმებისას მომდევნო საუკუნეების არქიტექტურაში. ამდენად, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ფასადების თაღებით მორთვის სისტემა ქართულ ხუროთმოძღვრებაში ოშკთან ერთად სწორედ სამნავიან ბაზილიკებში, ოთხთაეკლესიასა და პარხალში, იქნა შემუშავებული.

ამრიგად, მესამე ეტაპის ძეგლები ოთხთაეკლესია და პარხალი საქართველოში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენს. მათი არქიტექტურული სახის თავისებურებას განსაზღვრავს ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები და გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა გეგმარებასა თუ შიდა სივრცის გააზრებაში.

მესამე ეტაპის მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია სანაგირეს ბაზილიკა. მის გეგმაში დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი ნათლად არის გამოვლენილი მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენია გამოყენებული. სანაგირეს ბაზილიკის თავისებურებას აპირობებს საყრდენების იმგვარი განლაგება, რომ აღმოსავლეთი წყვილი თაღი ორჯერ სჭარბობს დასავლეთისას. შედეგად ინტერიერში იქმნება ბაზილიკისათვის უჩვეულო თანაფარდობა. აფსიდის წინა, გეგმით კვადრატს მიახლოებული საყრდენებამდე მოქცეული არე გუმბათიანი ნაგებობის გუმბათქვეშა სივრცის ასოციაციას ბადებს. ამ მსგავსებას აძლიერებს დასავლეთით, ნარტექსის თავზე, პატრონიკეს არსებობა, რომელიც ასევე არა ბაზილიკების, არამედ გუმბათიანი ტაძრებისთვის არის დამახასიათებელი. სანაგირეს ბაზილიკაში აღსანიშნავია აღმოსავლეთ ფასადზე *opus mixtum* წყობის გამოყენება. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი წყობა ოთხთაეკლესიაშიც გვხვდება.

მესამე ეტაპის აღნიშნულ ძეგლებთან შედარებით მომცრო ზომისაა ურთას და ვერეს ბაზილიკები, თუმცა დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი ნათლად იკვეთება. საყრდენების რაოდენობა ურთაში სამი, ვერეში ორი წყვილია. ყურადღებას იმსახურებს ვერეს ბაზილიკაში გვერდითი ნაგების კამარების შუა ნავის პერპენდიკულარულად განაწილების წესი, რაც ჯვარგუმბათიან ტაძარებში მკლავების ცენტრალური სივრცისკენ მიმართებას მოგვაგონებს. ინტერიერის მორთულობაში გარკვეული მხატვრული აქცენტები (წრიული ვარდულები ურთას კაპიტელებზე, გეომეტრიულ ხაზულებიანი რვაწახნაგა კაპიტელები ვერეში), ძეგლების კომპოზიციური გადაწყვეტა ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების შესატყვისია და საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელ იერსახეს ქმნის.

ამრიგად, საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მესამე ეტაპი ხასიათდება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძირითადი ნიშნების (წაგრძელებული გეგმარება, საყრდენების რამდენიმე რიგი) ხელახალი წარმოჩენით. იმავდროულად რიგი არქიტექტურული ფორმების და კომპოზიციური სქემების თავისებურებაში ვლინდება თანადროული ეპოქის, ასევე გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა.

XI საუკუნის შემდგომ საქართველოში იგება ცალკეული ძეგლები, რომლებიც უკვე არსებული არქიტექტურული სქემების მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მხატვრულ დონეზე განხორციელების შედეგს წარმოადგენს და სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის თვისობრივად ახალ ეტაპს აღარ ქმნის. სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის მეთოდით შესწავლილია XIII-XIV საუკუნეების ქლივანა, ჭარები და XVI საუკუნის იტრია. ეს ძეგლები საშუალო ზომის, ორი წყვილი საყრდენის მქონე ბაზილიკებია. ერთგვარი ასიმეტრიულობით გამოირჩევა ჭარები, რომელსაც ირეგულარუ-

რი ფორმის ჩრდილოეთი სათავსი აქვს. მათ გარდა XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება ილემი და ნოსტე.

ამრიგად, საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის სამი ეტაპი გამოიყოფა.

პირველი ეტაპი V-VII საუკუნეების არქიტექტურული ღირებულებით უმნიშვნელოვანეს ძეგლებს აერთიანებს და ქართული ხუროთმოძღვრების ადრემუასაუკუნეების პერიოდს ესადაგება. ეს ეტაპი ძეგლების რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე მრავალრიცხოვანია. ბაზილიკები აგებულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. განირჩევა რამდენიმე ჯგუფი – საწყისი პერიოდის ძეგლები, ე.წ. დიდი ბაზილიკები, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები. ქრონოლოგიურად ამ ეტაპს მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთი უფლისციხის ბაზილიკა და რკონი.

მეორე ეტაპი VIII, IX და IX-X საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებს აერთიანებს და თანხვდება ქართული არქიტექტურის ე.წ. გარდამავალ ხანას. ეს ძეგლები მკვეთრად გამოხატული ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციით ხასიათდება. პირველი ეტაპისაგან განსხვავებით ამ პერიოდში ბაზილიკები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იგება და მის მთიან რეგიონშიც ვრცელდება.

მესამე ეტაპი X და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებს აერთიანებს. ამ ეტაპის ძეგლებს შორის გამორჩეულია ტაოში აგებული ოთხთაეკლესია და პარხალი. მესამე ეტაპის ძეგლების არქიტექტურულ გადაწყვეტაში თვალსაჩინოა გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა.

ამგვარად, საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ძირითადად V-XI საუკუნეებს მოიცავს. შემდგომ საუკუნეებში მხოლოდ რამდენიმე ძეგლია აგებული. სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის სამივე ეტაპი წარმოაჩენს ამ ტიპზე ცენტრული კომპოზიციის აშკარა გავ-

ლენას, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული სიძლიერით თუ სახით ვლინდება და საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის თავისებურებათა განმსაზღვრელ არსებით ფაქტორად გვევლინება.

ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი ქრისტიანულ სამყაროსა და საქართველოში

ბაზილიკა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ პირველ არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს. ქვეყნებში, რომლებიც ადრეულ ხანაში ეზიარა ქრიატიანობას, ის ახალ რელიგიასთან ერთად გავრცელდა. დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში ბაზილიკა საუკუნეების განმავლობაში წამყვან არქიტექტურულ ტიპად დარჩა, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ადრეშუასაუკუნეების ბოლო პერიოდიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა გუმბათიანმა არქიტექტურამ მოიპოვა. განსხვავებული არქიტექტურული ტრადიციების რეგიონებში ბაზილიკის თავისებური სახესხვაობები შემუშავდა. ამ პროცესში ადრექრისტიანულ ხანაში გამოიკვეთა ბაზილიკების ორი წრე – დასავლეთის, ძირითადად, ევროპული ნაწილის, და აღმოსავლეთის, რომელსაც მიეკუთვნება საქართველოს ძეგლები.

დასავლურ წრეს წარმოადგენს ადრექრისტიანული რომის, რავენის, კონსტანტინოპოლის, საბერძნეთის ბაზილიკები. მათ უახლოვდება ასევე ბულგარეთის ბაზილიკები [ჩანევა-დეჩევსკა, 1968:203-265; 1984:614-623]. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული სამნავიანი ბაზილიკების გარდა დადასტურებულია ხუთნავიანი ძეგლებიც (მაგ.: თესალონიკის წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესია, კორინთოს აიგოსტენა, ნიკოპოლის ბაზილიკა, კვიპროსის ეპიფანია). დასავლური წრის ბაზილიკებს რიგი საერთო მახასიათებლები აქვს. მათ დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე ძლიერ წაგრძელებული გეგმარება და საყრდენების მრავალრიცხოვნება ახასიათებს. ფართოდაა გავრცელებული შვერილაფსიდიანი ძეგლები. გეგმის სწორკუთხედში ჩასაზული აფსიდები იშვიათად გვხვდება (მაგ.:აფენტელის ბაზილიკა კუნძულ ლესბოსზე). არის ძეგლები, როგორც სამნაწილიანი საკურთხევლით, ასევე პასტოფორიების გარეშე. ბაზილიკებში შუა ნავი ზომით საგრძნობ-

ლად სჭარბობს გვერდითებს. ნავების გამმიჯნავ საყრდენებად ძირითადად გამოიყენება კოლონა, უფრო ნაკლებად ბურჯი (მაგ.: ეპირის პარამიტა). საყრდენების დაკავშირება თალის ან არქიტრავის საშუალებით ხორციელდება. ნავებს ძირითადად ხის კარკასოვანი გადახურვა აქვს, რაც ფართობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. გარე მასებში შუა ნავს დამოუკიდებელი ორფერდა, ხოლო გვერდითებს ცალფერდა სახურავი აქვს. ამდენად იქმნება ე.წ. ბაზილიკური ჭრილი. უმეტეს ბაზილიკებს აქვს ნართექსი, ხოლო ზოგიერთ ძეგლში (მაგ.: ფტიოტიის თებეს ბაზილიკა) დასავლეთით ატრიუმიცაა. რიგ ბაზილიკებში, განსაკუთრებით საბერძნეთში (მაგ.: ბაზილიკა მდ. ილისუსთან ათენის მახლობლად, დოდონას და პარამიტას ბაზილიკები ეპირში), არის ტრანსეპტი. დასავლური წრის ბაზილიკების ინტერიერში ხალვათი სივრცეა შექმნილი, რომელიც მრავალრიცხოვანი სარკმელების საშუალებით კარგად არის განათებული. მეტი ინტენსივობით შუა ნავის კედლებში გაჭრილი სარკმელების საშუალებით ცენტრალური ნაწილი ნათდება. ბაზილიკების ინტერიერში გამოიყენება მოზაიკა, რელიეფი, მარმარილოს ინკრუსტაცია და მორთულობის სხვა საშუალებები. ყოველივე ეს შიდა სივრცის მდიდრულად მორთვის სურვილს წარმოაჩენს და განაპირობებს ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებას. საპირისპიროდ, ექსტერიერი შედარებით სადაა. უმეტესად ქვისა და აგურის შერეული წყობით ნაგები ძეგლების ფასადების იერსახეს სამშენებლო მასალის სპეციფიკა განსაზღვრავს.

დასავლური წრის ბაზილიკები ძირითადად ძველი ბერძნული და რომაული ცივილიზაციის არეალში მოქცეულ ტერიტორიაზეა აგებული, რაც ადრექრისტიანულ ხანაში ანტიკური ტრადიციების გავლენას განაპირობებს. ეს ნათლად იგრძნობა არა მხოლოდ სამშენებლო ტექნიკასა და ნაგებობათა საერთო ხასიათში, არამედ ისეთი არქიტექტურული მოტივე-

ბისა და ფორმების გამოყენებაში, როგორცაა ატრიუმი, კოლონა, არქიტრაჟი და მორთულობის ცალკეული ელემენტები.

დასავლური წრის ბაზილიკებში მეტ-ნაკლებად ერთიანი არქიტექტურული სახის ჩამოყალიბება საერთო ანტიკური საფუძვლის არსებობამ განაპირობა. მათგან განსხვავებით აღმოსავლეთ ქვეყნებში ძველი ხუროთმოძღვრული ტრადიციების თვითმყოფადობამ და მრავალგვარობამ აღმოსავლური წრის ბაზილიკებში სხვადასხვა ვარიანტების თუ სახესხვაობების შექმნა გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლური წრის არსებით მახასიათებელს სწორედ ეს მრავალფეროვნება წარმოადგენს.

აღმოსავლური წრის ბაზილიკები უფრო მომცრო ზომისაა, თუმცა იგება ცალკეული მასშტაბური ნაგებობები (მაგ.:ოთხი ბაზილიკის ერთ კომპოზიციაში გაერთიანების ნიმუში - სირიის კალათ-სემანის ტაძარი). გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, მაგრამ ძლიერ წაგრძელებული გეგმარების ძეგლები ნაკლებად გვხვდება. შესაბამისია საყრდენების რაოდენობაც. ძირითადად გამოიყენება ბურჯი, იშვიათად კლასიკურ კაპიტელიანი კოლონა. საყრდენები ერთმანეთს თაღების საშუალებით უკავშირდება. ბაზილიკებს აქვს როგორც გეგმის სწორკუთხედში ჩახაზული, ასევე შვერილი აფსიდა. ამას გარდა გვხვდება სწორკუთხა საკურთხევლის მქონე ძეგლებიც (მაგ.: დარ-ქითა სირიაში). არის ძეგლები პასტოფორიუმებით და მათ გარეშე. შუა ნავი, როგორც წესი ზომით სჭარბობს გვერდითებს, მაგრამ მათ შორის შეფარდება ისეთი დიდი არაა, როგორც ადრექრისტიანული რომის და რავენის ბაზილიკებში. გვხვდება ნავების გადახურვის რამდენიმე ხერხი: კამაროვანი, ხის კარკასოვანი და ქვის ფილებიანი ბრტყელი გადახურვა, რომელიც გვერდით ნავებში გამოიყენება. ექსტერიერში ბაზილიკებს ოთხფერდა სახურავი აქვს, მაგრამ არსებობს ორკალთა სახურავიანი ნაგებობებიც. გავრცელებულია როგორც ნარტექსიანი, ასევე უნარტექსო

ბაზილიკები. ტრანსეპტი არ გამოიყენება, მაგრამ ამ მოტივის თავისებური გადაწყვეტაა შემუშავებული ეგვიპტურ ბაზილიკებში. ატრიუმიანი ბაზილიკები იშვიათია (მაგ.:პერგე მცირე აზიაში, შექ-სლემანის და სუვეიდის ბაზილიკები სირიაში). გვხვდება როგორც მრავალსარკმლიანი, კარგად განათებული, ასევე სუსტად განათებული ძეგლები. აღმოსავლური წრის ბაზილიკებს შიდა სივრცის ერთიანობა, ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის მეტი სისადავე ახასიათებს, რასაც უპირველესად საშენ მასალად ქვის გამოყენება, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი სპეციფიკა განაპირობებს. ცალკეულ ძეგლებში გვხვდება ინტერიერის მორთულობის ისეთი საშუალებები, როგორიცაა რელიეფი, მოზაიკა, მარმარილოს ინკრუსტაცია. თლილი ქვით ნაგებ ძეგლებში ფასადების მხატვრულ გამომსახველობას კედლის წყობის ხასიათი და, ზოგიერთ შემთხვევაში, ღიადების დეკორაციული მორთულობის ელემენტები განსაზღვრავს.

აღმოსავლეთის ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის თავისებური სახესხვაობები და არქიტექტურული მოტივები, რომელთა განხილვა უფრო სრულად წარმოაჩინს ამ წრის ბაზილიკების მრავალფეროვნებას. გ.მილე [მილე, 1916:16-17] მცირეაზიურ ტიპად მოიხსენიებს ორკალთა გადახურვის მქონე ბაზილიკებს, რომლებიც გ.ჩუბინაშვილს [ჩუბინაშვილი, 1940:138] ბაზილიკის უძველეს ნაირსახეობად მიაჩნია. ასეთი ძეგლები გავრცელებულია სირიაში, მცირე აზიაში, სომხეთში და, შესაძლოა, იყო საქართველოშიც. აღსანიშნავია, რომ ო.შუაზი [შუაზი, 1937:54] ამ სახესხვაობას კოპტურ ძეგლებშიც მიუთითებს და დასაშვებად მიაჩნია საერთო აზიური პროტოტიპის არსებობა. ამ ნაგებობებში ორკალთა გადახურვის ქვეშ მოქცეული სამი ნაგი ინტერიერის თავისებურ გადაწყვეტას იძლევა. შუა და გვერდით ნაგებს შორის სიმაღლეში განსხვავება მცირეა და არ არსებობს ცენტრალური სივრცის შუა

ნავში გაჭრილი სარკმლებით განათების შესაძლებლობა. არქიტექტურული ფორმების პროპორციული თანაფარდობის და განათების ამგვარი გადაწყვეტა ტრადიციული სამნავიანი ბაზილიკისაგან განსხვავებულ ინტერიერს ქმნის. ასევე განსხვავდება ექტერიერიც, რომელიც არ შეესატყვისება ე.წ. ბაზილიკურ ჭრილს.

ექსტერიერში დაუნაწევრებელი კედლების მასივი და თავისებური გეგმარება ახასიათებს ეგვიპტის ძეგლებს [ბოკი,1901; ზარნეცკი,1975:42]. განსაკუთრებით საინტერესოა საკუროთხევლის გეგმაში სამყურა ფორმით გადაწყვეტა, რაც ზოგი მკვლევარის აზრით ტრანსეპტის შემოქმედებითი გადაშუშავების შედეგად წარმოიშვა [ზარნეცკი,1975:42].

თავისებურ სახესხვაობას წარმოადგენს ე.წ. ლატიტუდინალური ტაძარი, რომელიც სირიასა და მესოპოტამიაში გვხვდება. ამ ნაგებობებში (თაფქა, ქანავათი) ინტერიერი ჩრდილო-სამხრეთით მიმართული განივი კედლებით არის დაყოფილი, რომლებშიც სამ-სამი განიერი თალაა გაჭრილი. არსობრივად ეს ძეგლები ნამდვილ ბაზილიკებს არ წარმოადგენს, მაგრამ მასთან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს. [ბრუნოვი,1935:467; გოუ:1961:16-17; იაკობსონი, 1983:77-78].

სირიაში შემუშავდა ბაზილიკის დასავლეთი ფასადის თავისებური კომპოზიცია (თურმანინი, ქალბ-ლუზე). ამ ძეგლებში ფასადის ორივე მხარეს აღმართულ სამსართულიან კოშკებს შორის თალებით გახსნილი ექსონარტექსი გაწონასწორებულ, არქიტექტურულად დახვეწილ გადაწყვეტას ქმნის. ამგვარი მოტივი, როგორც ჩანს სირიის ხუროთმოძღვრების გავლენით სომხეთში, ერერუიკის ბაზილიკაშიც გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება [კონდაკოვი, 1904:28] სირიიდან ორკოშკიანი არქიტექტურული კომპოზიციის მოგვიანებით დასავლეთ ევროპის ხუროთმოძღვრებაში გავრცელების შესახებ, კერძოდ, რომანულ და გუთურ ტაძრებში.

საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური სა-
ხესხვაობა, სადაც ნაგები ერთმანეთისაგან გამიჯნულია არა
საყრდენების, არამედ კედლების საშუალებით. ამ ტიპს
გ. ჩუბინაშვილმა სამეკლესიანი ბაზილიკა უწოდა.

* * *

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკები, რომლებიც აღმო-
სავლურ წრეს მიეკუთვნება, ბუნებრივია მეტ მსგავსებას ამ
წრის ძეგლებთან ამჟღავნებს. საკითხის უკეთ წარმოჩენის
მიზნით მიმოვიხილავთ საქართველოს ძეგლების სირიისა და
სომხეთის ბაზილიკებთან შედარებითი დახასიათების ძირითად
ასპექტებს.

ქართულ-სირიულ კავშირ-ურთიერთობას ხანგრძლივი და
მრავალმხრივი ისტორია აქვს. გაქრისტიანებამ კიდევ უფრო
გაზარდა მათ შორის ურთიერთობების შესაძლებლობები. 451
წლის ქალკედონის საეკლესიო კრების შემდეგ ორივე ქვეყა-
ნა, თავდაპირველად მონოფიზიტური ორიენტაციის იყო. მოგ-
ვიანებით, სირიაში VI საუკუნეში და ქართლში VI-VII საუ-
კუნეების მიჯნაზე, დიოფიზიტობამ გაიმარჯვა. ქართულ-სი-
რიული ურთიერთობების კვალი სხვადასხვა სფეროში ჩანს,
რასაც ყველაზე მეტად, ალბათ, უშუალო კონტაქტების არსე-
ბობა განაპირობებდა. როგორც კ.კეკელიძე აღნიშნავს ”ქართ-
ლიდან იმთავითვე მიდიოდნენ ჩვენები სირია-პალესტინაში,
სადაც ბევრი მათგანი სამუდამოდ რჩებოდა და მოღვაწეობას
იწყებდა” [კეკელიძე, 1955:42]. ამგვარი ურთიერთობის მაგა-
ლითია ცამეტ ასურელ მამათა მოღვაწეობა [ბაქრაძე,
1889:182; ჯავახიშვილი, 1960:349-374; აბულაძე, 1955:222;
მენაბდე, 1962:179]. ისინი, როგორც კ.კეკელიძემ დაასაბუთა,
VI საუკუნეში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ სირიაში და
შემდგომ სამშობლოში დაბრუნდნენ. საყურადღებოა თეოდორე

კვრელის ცნობა იმის შესახებ, რომ სვიმონ მესვეტეს (გარდ.459წ.) მუდმივი კავშირი ჰქონდა ქართველებთან [კეკელიძე,1956]. აღსანიშნავია პეტრე მაიუმელის პიროვნება, რომელსაც უკავშირდება ქართული მონასტერის დაარსება პალესტინაში.

VII საუკუნეში, კერძოდ 661 წელს, არაბებმა დაიპყრეს დამასკო და გაბატონდნენ მთელ სირიაში. შესაბამისად შეწყდა ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. შესაძლოა ამან განაპირობა სირიაში გუმბათიან ტაძრებთან შედარებით ბაზილიკათა მრავალრიცხოვნება, რადგან აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში გუმბათიანმა სუროთმოდვრებამ ფართო გავრცელება VI საუკუნიდან მოიპოვა.

სამწავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის საქართველო-სირიის ნიმუშების შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ დროთა ვითარებაში ძეგლებმა სხვადასხვა ხასიათის დაზიანება და გადაკეთება განიცადა. ამასთან, სირიულ ბაზილიკებში ბევრ შემთხვევაში გადაკეთება მოხდა ახალი რელიგიის, მაჰმადიანობის მოთხოვნების შესაბამისად, რამაც ძეგლებს ძლიერ უცვალა სახე.

საგულისხმოა, რომ სირიაში დადასტურებულია დურა-ევროპოსის უძველესი ეკლესია [ოვედია, 1970:185]. წინაქრისტიანული ხანის ნაგებობებში გამოიყოფა ოთხი ტიპი (შაკას, ბოსრას, სანამენის, კანავატის სამი საერო და ერთი საკულტო დანიშნულების ნაგებობა), რომლებმაც ადრექრისტიანული ტაძრების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა [ბათლერი,1929:14]. ამ ძეგლების არსებობის ფაქტი ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების საწყის ეტაპზე საქართველოსა და სირიაში განსხვავებულ სიტუაციას აფიქსირებს. თუ საქართველოში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი შემოტანილი იყო მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ, სირიაში უკვე არსებობდა მსგავსი სტრუქტურის ნაგებობების მშენებლობის ტრადიცია. შესაბამისად, სირიის ქრისტიანული

ხუროთმოძღვრების წინაშე იმთავითვე იდგა არა ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსის გაგების და შეთვისების, არამედ უკვე ნაცნობი არქიტექტურული სტრუქტურის შემოქმედებითი გადაქმედების პრობლემა, რამაც, უთუოდ, განაპირობა მრავალფეროვანი ვარიანტების არსებობა.

სირიაში, ისევე როგორც საქართველოში ძირითად საშენ მასალას ქვა წარმოადგეს. სირიის ძეგლებისათვის დამახასიათებელია კარგად გათლილი ქვის კვადრების წყობა, რომელიც წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების წყობის შემდგომი განვითარების ეტაპს წარმოადგენს [ზარნეცკი,1975:42]. ჩრდილოეთ სირიაში გამოიყენება თეთრი კირქვა, სამხრეთში – ბაზალტი, ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ბაზალტი და აგური.

ბაზილიკები სირიაში დასავლეთის წრის ძეგლებთან შედარებით მოკლეა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მკაფიოდ გამოკვეთილი სიგრძივი ღერძი აქვს. ეს წესი ორი-სამი წყვილი საყრდენის მქონე ნაგებობებშიც არ ირღვევა. ამის მაგალითია რუსაფას წმ.სერგის სახელობის და რუვეას ბაზილიკები. ამ მხრივ გამონაკლესია ე.წ. ლატიტუდინალური ტაძრების ჯგუფი, რომლებიც გეგმით კვედრატს უახლოვდება (თაფქა, ქანავათი), თუმცა ამ ტიპის ძეგლებში ზოგი (მაგ.:შაკა, ნამარა) მაინც ინარჩუნებს წავრძელებულ გეგმარებას. სირიაში გავრცელებულია ბაზილიკები, რომლებშიც მრავალრიცხოვანი საყრდენები გამოიყენება – ილ-ბახარი (17 წყვილი), ბრადის კათედრალური ტაძარი (8 წყვილი), მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არის ძეგლები ორი-სამი წყვილი საყრდენით.

სირიულ ძეგლებში გვხვდება გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი (მაგ.: ქირბითილ-ქათიბი, შექ-სლემანის წმ.მარია-მის სახელობის, ზებედის აღმოსავლეთი ეკლესია, რუვეია), ასევე შვერილი აფსიდა (მაგ.:ქალბ-ლუზე, ღერ-იჯ ჯივანი). სამი შვერილი აფსიდის მქონე ტაძრის ხუთი მაგალითია და-

დასტურებული [ოვედია,1970:215]. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა სწორკუთხა საკურთხევლის მქონე ბაზილიკები (დარ-ქითა, ქირბითილი, ქარბით თეზენი და ჩრდილოეთ სირიის სხვა ძეგლები). ეს ძეგლები VI საუკუნით თარიღდება [ბათლერი,1929]. სირიაში არის სწორკუთხასაკურთხევლიანი ადრეული ცალნავიანი ტაძრებიც, როგორცაა უმ იჯ-ჯიმალის აღმოსავლეთი ეკლესია, მცირე ტაძარი ააზი შაკას მახლობლად და სხვ.

სამხრეთ სირიის ბაზილიკებში საკურთხევლის გვერდით სათავსები არ გამოიყოფა, ხოლო ჩრდილოეთ სირიაში სამნაწილიანი საკურთხეველი ფართოდ არის გავრცელებული [ჩუბინაშვილი,1940:131]. პასტოფორიუმები უმეტესად წავრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. ისინი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ერთი კარით გვერდით ნავს და მეორე ვიწრო კარით საკურთხეველს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ სირიაში პასტოფორიუმებს ზოგჯერ სამხრეთი მხრიდან სანათლავი უერთდება. სხვა შემთხვევაში ეს სათავსი ტაძრიდან გამოყოფილია. სანათლავი ძირითადად კვადრატული, იშვიათად წრიული (დარ-ქითა) ფორმისაა. სარკმლები მალაა განთავსებული. გადახურვა ხის ძელებით ხორციელდება (ქეჯბედი, ბლედი, ბაბისქა, ქასრ იბისუ).

სირიულ ბაზილიკებში შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია. უმეტეს შემთხვევაში აბსოლიტური ზომებით საქართველოს ნიმუშებს აღემატება, რასაც ნაგებობათა მასშტაბი და გადახურვის თავისებურება განაპირობებს. საქართველოს ძეგლებში კამაროვანი გადახურვა გამოიყენება. სირიაში ხის კარკასოვანი გადახურვის სისტემაა გავრცელებული, რომლის განხორციელება შედარებით მარტივია და დიდი ფართობის გადახურვის შესაძლებლობას იძლევა. სირიული ბაზილიკის ინტერიერში ერთგვარი კონტრასტი იქმნება სარკმლებით განათებულ, ხის მასალაში შესრულებულ ზედა ნა-

წილსა და ქვის კვადრებით ნაგებ მონუმენტურ კედლებს შორის, რაც თავისებურ მხატვრულ ეფექტს ქმნის.

სირიულ ბაზილიკებში გამოიყენება გეგმაში კვადრატული, სწორკუთხა, ჯვრული, რვაწახნაგა, T-ს ფორმის საყრდენები, რომელთაც ერთგვარად დამჯდარი პროპორციები ახასიათებს. ამას გარდა გვხვდება აკანთის ფოთლიანი კაპიტელებით შემკული კოლონები, რომლებსაც წინაქრისტიანული ხელოვნების გავლენა ეტყობა [დალთონი, 1911:53; მორეი, 1942:102 -103]. ცალკეულ ძეგლებში ბურჯისა და კოლონის ერთდროულად გამოყენების მაგალითებიც არის დადასტურებული [ბათლერი, 1929:197].

სირიულ ბაზილიკებში ინტერიერის მორთვის უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი საშუალებები გვხვდება ვიდრე საქართველოს ძეგლებში. ამ მხრივ გამოირჩევა ჩრდილოეთ სირიის ბაზილიკები. ცალკეულ ძეგლების ინტერიერში გამოიყენება ორნამენტული გაფორმება სვეტისთავების, სატრიუმფო და გრძივი თალების შესამკობად, მარმარილო –კედლების მოსაპირკეთებლად, მოზაიკა – იატაკზე. ყოველივე ეს შიდა სივრცეს მდიდრულ, საზეიმო ხასიათს ანიჭებს და შესაბამის მხატვრულ ეფექტს ქმნის.

სირიული ბაზილიკების მასშტაბები, ინტერიერში სხვადასხვა მორთულობის არსებობა მრავალრიცხოვანი სარკმელების გამოყენებას განაპირობებს, რომლებიც შუა და გვერდითი ნაგების კედლებშია გაჭრილი. ყველაზე უკეთ ცენტრალური ნავია განათებული. გვხვდება სარკმლების სამ და ოთხ რიგად განლაგების მაგალითები [ბათლერი, 1929:197]. დიდი ზომის ღიობებს შორის მცირე მანძილია დატოვებული. აფსიდაში სამზე ნაკლები სარკმელი იშვიათია. სარკმელი ძირითადად სწორკუთხა და თაღოვანი მოხაზულობისაა. გამოიყენება აგრეთვე ორ ან სამ მალიანი და წრიული სარკმელი. ღიადების ფორმის მრავალფეროვნება, მათი სხვადასხვაგვარი განლაგება თავისებურ გადაწყვეტას ქმნის როგორც ინტერიერ-

ში, ასევე ექსტერიერში. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ძეგლებში სარკმლების განაწილება თანხვდება თაღების რიგს, რაც მომდევნო ხანის ბაზილიკებში ხშირად უგულებელყოფილია ბათლერი,1929:197].

შესასვლელი სირიულ ძეგლებში უმეტესად სამი მხრიდან არის. მთავარი დასავლეთი შესასვლელია. გავრცელებულია კარის მასიური პორტალით შემკობის წესი (მაგ.:თურმანინი, ქალბ-ლუზე). ფასადებზე შესასვლელები და სარკმლები საპირეებით არის აქცენტირებული.

სირიაში ბაზილიკები გვხვდება როგორც ნართექსით, ასევე მის გარეშე. უნართექსო ძეგლებში გაღერების მოტივია გავრცელებული (სერჯილა, სირირ-კაპელა სერჯბლენის მახლობლად, დარ-სიმანი, დარ-ქითა), რომელიც, უთუოდ, უკავშირდება აღმოსავლური საცხოვრებელი სახლის ღია გაღერებით გაფორმების სისტემას [ჩუბინაშვილი, 1940:131-132]. გაღერვა გვხვდება საქართველოშიც. თუმცა საქართველოს ბაზილიკებში კამაროვანი, ხოლო სირიის ძეგლებში ბრტყელი გადახურვა გამოიყენება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სირიულ ბაზილიკებში კოშკების არსებობის შესახებ (ლუბენი, კალბ-ლუზე, ქერათინი, თურმანინი, ილ-ანდერინი, რუვეჰა). დასავლეთის ფასადი ექსონარტექსით და ორი კოშკით ქმნის ისეთ დახვეწილ არქიტექტურულ კომპოზიციას, რომელიც სხვადასხვა ვარიანტის, მრავალფეროვანი ხუროთმოძღვრული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. სირიაში ერთკოშკიანი ბაზილიკებიც არის დადასტურებული (ქირბითილ-ქათიბი, თაფქა). ამ ძეგლებში კოშკი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დგას და, ამდენად, განსხვავებულ კომპოზიციურ გადაწყვეტას ქმნის. ბაზილიკათა კოშკების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება მათი მხოლოდ მნატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობის [შუაზი,1957:63] ან თავდაცვითი დანიშნულებით გამოყენების (კონდაკოვი,1904:28] შესახებ.

სირიული ბაზილიკების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ბაზილიკების მონაცემებთან შეჯერება რიგი საკითხების წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

სამწავიანი ბაზილიკა ფართოდ არის გავრცელებული სირიაში, ასევე საქართველოში. ქრონოლოგოურად სირიული ბაზილიკები IV-VII საუკუნეებს განეკუთვნება, რაც ისტორიულმა პირობებმა, კერძოდ, VII საუკუნიდან მაჰმადიანობის გავრცელებამ განაპირობა. საქართველოში ბაზილიკების მშენებლობა V-XI საუკუნეებში მიმდინარეობს და ერთეული ძეგლები მოგვიანო ხანაშიც იგება.

სირიის და საქართველოს ბაზილიკები აღმოსავლურ წრეს განეკუთვნება, მაგრამ ცალკეული სირიული ძეგლები ქართულისაგან განსხვავებით (გამონაკლისია დასავლეთ საქართველოს რიგი ბაზილიკები) მეტ მსგავსებას ამჟღავნებს დასავლურ ბაზილიკებთან, რაც გამოიხატება ძლიერ წაგრძელებული გეგმარების, მაშტაბური ნაგებობების, ხის კარკასოვანი გადახურვის და ინტერიერში მრავალფეროვანი მორთულობის გამოყენებაში.

საქართველოს ბაზილიკებთან შედარებით სირიული ძეგლები არქიტექტურული ფორმების, კომპოზიციური გადაწყვეტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ისინი ყოველთვის ინარჩუნებენ დასავლეთ-აღმოსავლეთ სიგრძივ ღერძს, მაშინ როდესაც საქართველოს ბაზილიკებში გეგმის კვადრატს მიახლოების ტენდენცია აღინიშნება.

სირიულ ბაზილიკებში ნახევარწრიულის გარდა დადასტურებულია სწორკუთხა საკურთხეველი. გავრცელებულია როგორც შვერილი, ასევე გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდები. საქართველოში ბაზილიკის საკურთხეველს ყოველთვის აფსიდალური ფორმა აქვს. ის უმეტესად გეგმის სწორკუთხედშია მოქცეული. ორივე ქვეყნის ადრეულ ბაზილიკებში პასყოფორიუმები არ გვხვდება. სირიაში ისინი V საუკუნიდან, საქართველოში VI საუკუნიდან დაკანონდა.

ორივე ქვეყნის ბაზილიკებში შუა ნავი სიმაღლითა და სიგანით სჭარბობს გვერდითებს. საქართველოს ბაზილიკებში სამივე ნავი კამარებით, სირიაში ხის კონსტრუქციებით არის გადახურული. ამასთან, გვერდით ნავებში ხშირად ქვის ფილებით შესრულებული ბრტყელი გადახურვა გამოიყენება. შესაბამისად ქართულ ძეგლებში ინტერიერის ხასიათს არქიტექტურული ფორმების ერთიანობა, ხოლო სირიულ ბაზილიკებში ხის და ქვის მასალაში შესრულებული ნაწილების კონტრასტი განსაზღვრავს.

საქართველოს ბაზილიკებში 1-5 წყვილი საყრდენია, ხოლო სირიაში ამგვარი ძეგლების გარდა არის მრავალსაყრდენიანი ბაზილიკები. ორივე ქვეყნის ბაზილიკებში სხვადასხვა ფორმის საყრდენები გამოიყენება. სირიაში გავრცელებულია კოლონებიც.

სირიულ ბაზილიკებში მთავარი შესასვლელი ამ არქიტექტურული ტიპისათვის ტრადიციული დასავლეთი მხრიდან არის. საქართველოს ძეგლებში დასავლეთის გარდა ხშირ შემთხვევაში პრიორიტეტი სამხრეთ შესასვლელს ენიჭება. სირიული ძეგლები დიდი ზომის სარკმელების კარგად განაწილებული სისტემის საშუალებით ნათდება. საქართველოს ბაზილიკებში სარკმელების რაოდენობა ნაკლებია. სირიასა და საქართველოში თაღოვანი და სწორკუთხა ფორმის ღიადები გამოიყენება. სირიაში გავრცელებულია ორ ან სამ მაღიანი და წრიული სარკმელებიც. ორივე ქვეყნის ძეგლებში გვხვდება ლუნეტები.

სირიაში ფართოდ გავრცელებული ნართექსი საქართველოს ძეგლებში გამონაკლისის სახით გვხვდება. სირიის უნართექსო ბაზილიკებს უმეტესად გალერეა აქვს. საქართველოში გალერეა და გარშემოსავლელი რამდენიმე ბაზილიკაშია.

სირიული ძეგლები როგორც ინტერიერის, ასევე ექსტერიერის მორთულობის საშუალებების მრავალფეროვნებით გა-

მოიჩვენა. საქართველოს ძეგლები ფორმათა მეტი სისადავით, შიდა სივრცის ერთიანობით ხასიათდება.

ამრიგად, საქართველოს და სირიის ძეგლების შედარებისას ნათლად ვლინდება მათი თვითმყოფადობა, თუმცა გარკვეული მსგავსება აშკარად იჩენს თავს, რაზეც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიუთითა ნ. კონდაკოვმა [კონდაკოვი, 1876:54]. ეს გარემოება გეოგრაფიული სიახლოვის, ერთიან ქრისტიანულ სამყაროში კულტურული კავშირების არსებობის გარდა მასალის და რიგი სამშენებლო-კონსტრუქციული ხერხების ერთგვაროვნებით არის განპირობებული. ორი ქვეყნის ბაზილიკებს შორის განმასხვავებელ ნიშნებს შორის უმთავრესია ის, რომ სირიის ძეგლები მეტი მასშტაბურობით და მრავალგვარობით ხასიათდება, ხოლო საქართველოს ბაზილიკებში არქიტექტურული ტიპის სტრუქტურა ნაკლებად ცვალებადი, მდგრადია და იმთავითვე იკვეთება შიდა სივრცის ცენტრულობის, მთლიანობისაკენ სწრაფვის ტენდენცია.

* * *

საქართველოსა და სომხეთის გეოპოლიტიკური პირობების მსგავსებამ, მრავალსაუკუნოვანმა კულტურულ-ეკონომიკურმა კავშირმა, ქრისტიანობის თანადროულმა გავრცელებამ ერთიანი პირობები შექმნა ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის. ეს ყველაზე უკეთ მსგავსი არქიტექტურული ტიპების გავრცელებაში გამოვლინდა. თუმცა ძლიერი ეროვნული თვითმყოფადი საწყისების არსებობამ განსხვავებული ვარიანტების, ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის პრიორიტეტული განვითარება და არქიტექტურულ-მხატვრული გააზრების თავისებურებები განაპირობა. ამდენად, ადგილობრივი ტრადიციების შემოქმედებითი გადამუშავების საფუძველზე საქართველოსა და

სომხეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებამ განვითარების დამოუკიდებელი გზა განვლო.

ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოსა და სომხეთში არქიტექტორთა წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. ისევე, როგორც ადრექრისტიანული ხანის სხვა ქვეყნებში გავრცელება ჰპოვა ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა. ბაზილიკები სომხეთში მხოლოდ IV-VI საუკუნეებში იგება, რითაც გარკვეულწილად აიხსნება მათი მცირერიცხოვნება. ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპს სომხეთში XVII-XVIII საუკუნეებში უბრუნდებიან (სიუნიკი, აირარატი, ატრაპატაკანი და სხვ.), რასაც სომეხი მკვლევარი მ. ასრატიანი [ასრატიანი, 1985] მძიმე ისტორიული ვითარების გამო არქიტექტურაში ორსაუკუნოვანი შესვენების შემდეგ მარტივი ფორმების მოძიებით ხსნის.

სომხეთის უმეტესი ბაზილიკები ძლიერ დაზიანებული და გადაკეთებულია. სომხეთის არქიტექტურის მკვლევარები [ტოკარსკი, 1946:52; იაკობსონი, 1983:117-120] მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი სომხური ბაზილიკა (თეკორი, ერერუიკი, კასახი) V-VI საუკუნეებშივე საგრძნობლად გადაკეთდა და ამ ნაგებობების არქიტექტურული სახის ჩამოყალიბება სხვადასხვა ნაწილის (პასტოფორიუმების, გალერეების) მიშენების გზით ეტაპობრივად განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ საბოლოო გადაკეთების შედეგად თეკორის ბაზილიკას გუმბათი დააშენეს. დვინის და ეჩმიადინის ბაზილიკების ადგილზე გუმბათინი ტაძრები აიგო [მნაცაკანიანი, 1978:80-82]. თავდაპირველი გეგმარება უკეთ ეგვარდის და აშტარაქის ბაზილიკებმა შეინარჩუნა. ამდენად, სომხურ ბაზილიკებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია შემორჩენილი მასალის სიმცირე და ზოგიერთი მონაცემის შესახებ მხოლოდ ჰიპოტეტიური ხასიათის მოსაზრების არსებობა.

სომხური ბაზილიკები კარგად გათლილი ქვის კვადრებით არის ნაგები. ძირითადად სხვადასხვა ფერის ტუფი გა-

მოიყენება (ხალპახჩიანი, 1960:195). დიდი ზომით და ძლიერ წაგრძელებული გეგმარებით გამოირჩევა ღვინის ბაზილიკა, რომლის სიგრძე 52 მეტრი იყო. დანარჩენი ძეგლები შედარებით მოკლეა (მაგ.: ერმიადინი – 39მ, ერერუიქი – 36მ, ეგვარდი 32მ, კასახი -27მ, აშტარაქი – 24,5მ).

სომხეთის ბაზილიკებში შუა ნავის სიგანე გვერდითებს დაახლოებით სამჯერ აღემატება. ნავების გამმიჯნავი საყრდენები ძირითადად T-ს ფორმისაა. ჯვრული საყრდენების ნაშთები ღვინის ბაზილიკაშია დადასტურებული. უმეტეს ბაზილიკებში გადახურვა არ არის შემორჩენილი. მკვლევართა აზრით გამოყენებული იყო როგორც კამაროვანი, ასევე ხის კარკასოვანი გადახურვა [სტრიგოვსკი, 1918:144; ტოკარსკი, 1946:52]. ხის მასალით გადახურული იყო მხოლოდ შუა ნავი. ამ შემთხვევაში ექსტერიერში შუა ნავს დამოუკიდებელი ორფერდა, ხოლო გვერდითებს ცალფერდა სახურავი ჰქონდა. ამგვარად ამ ძეგლებში (ერერუიქი, თეკორი), ისევე როგორც კამაროვანი გადახურვის მქონე ციცერნაკავანქში ბაზილიკისთვის დამახასიათებელი სილუეტი იქმნებოდა. კასახის, ახცის, ეგვარდის, აშტარაკის ბაზილიკებში, სავარაუდოდ, სამივე ნავი ორქანობიანი სახურავის ქვეშ იყო მოქცეული, რაც გარე მასების სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტას განაპირობებდა.

სომხურ ბაზილიკებში საკურთხევლის აფსიდას ნაღისებური მოხაზულობა აქვს. გამონაკლისია თეკორის არასრული ნახევარწრის ფორმის აფსიდა, რომელმაც ასეთი მოხაზულობა თავდაპირველი სწორკუთხა ფორმის გადაკეთების შემდეგ მიიღო [ტოკარსკი, 1946:52]. სომხურ ძეგლებში აფსიდის წინ ბემა არ არის. გამონაკლისია ეგვარდის ბაზილიკა. უმეტეს ძეგლებში შვერილი აფსიდაა. გვხვდება შვერილის ხუთწახნაგა (ერმიადინი, კასახი, ეგვარდი) და სამწახნაგა (თექორი, ღვინი) ფორმა. გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდა ერერუიქის და აშტარაკის ბაზილიკებშია.

სომხური ბაზილიკების უმრავლესობას პასტოფორიუმები აქვს. თეკორში და ერერუიკში ისინი გადაკეთების დროს გამოიყო, ხოლო კასახში ასიმეტრიული ფორმის სათავსი მხოლოდ ჩრდილოეთი მხრიდან მიაშენეს. პასტოფორიუმები ძირითადად ჩრდილო-სამხრეთით წაგრძელებული სწორკუთხა ფორმისაა და აღმოსავლეთით აფსიდა არ გააჩნია.

ცუდი დაცულობის გამო ღიობების თავდაპირველი ფორმის, რაოდენობის და მათი განლაგების გარკვევა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. შემორჩენილი სარკმლები დიდი ზომისაა, თაღოვანი მოხაზულობა და პარალელური გვერდები აქვს. დასავლეთ კედელზე გვხვდება ორ (ამტარაქი, ციცერკავანქი) და სამმალიანი (ერერუიქი) სარკმლის მოტივი. საკურთხევლის აფსიდაში ყოველთვის ერთი სარკმელია გაჭრილი. კარი ძირითადად სწორკუთხა ფორმისაა. შესასვლელი უფრო ხშირად სამივე მხრიდანაა (თექორი, ერერუიქი, დვინი, ეგვარდი). ამასთან, გრძივ კედლებში ორ-ორი, ხოლო ეგვარდში სამი კარია გაჭრილი. ორი მხრით შესასვლელის მქონე ძეგლებში კარი დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან არის. მხოლოდ ერთი, სამხრეთი კარი აქვს ამტარაკის ბაზილიკას.

სომხეთის ბაზილიკებს ნართექსი არ აქვს. სამი მხრიდან გალერეები მიაშენეს თექორის, ერერუიქის და დვინის ბაზილიკებს. აღსანიშნავია, რომ ერერუიქში გრძივი და დასავლეთი გალერეების გადაკვეთაზე კოშკებია აღმართული, რაც სირიული არქიტექტურის უდაო გავლენას მოწმობს.

სომხეთის ბაზილიკების მხატვრული სახის გამომსახველობას თლილი ქვის წყობის ხასიათი აპირობებს. მორთულობის მხრივ ინტერიერში კაპიტელები, ხოლო ექსტერიერში ღიობების გადაწყვეტა იქცევა ყურადღებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პორტალების მხატვრული გაფორმება. ფორმისა და კომპოზიციის გააზრებაში ნათლად იგრძნობა სირიული გავლენა [იაკობსონი, 1976:192-206].

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სომხეთის და საქართველოს ბაზილიკების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენისას გასათვალისწინებელია ძეგლების ქრონოლოგიური და რაოდენობრივი სხვაობის არსებობა, რაც ამ არქიტექტურული ტიპის გავრცელების განსხვავებულ ინტენსივობას აფიქსირებს. სომხეთში ბაზილიკები აღრეშუასაუკუნეების ხანაში იგება, ხოლო საქართველოში, ძირითადად, XI საუკუნემდე. შესაბამისად, საქართველოში ამ ტიპის ძეგლების რიცხვი რამდენჯერმე სჭარბობს, რაც სომხეთთან შედარებით სამნავიანი ბაზილიკის უფრო ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს.

ორივე ქვეყნის ბაზილიკები დაახლოებით ერთნაირი ზომისაა და ძლიერ წაგრძელებული გეგმარება არ ახასიათებს. შესაბამისად საყრდენების რაოდენობა მცირეა (გამონაკლისია დვინი). შუა და გვერდითი ნავების პროპორციული დამოკიდებულების საკითხიც მსგავსად არის გადაწყვეტილი. ნართექსი ამ ქვეყნების ძეგლებში არ არის გავრცელებული.

სომხეთისა და საქართველოს (VII საუკუნემდე) ბაზილიკებში დიდი ზომის, თაღოვანი, პარალელურგვერდებიანი სარკმელებია. მრავალრიცხოვანი ღიობები არ არის დამახასიათებელი. ორივე ქვეყნის ბაზილიკების საკურთხევლის აფსიდაში ერთი, დიდი ზომის სარკმელია გაჭრილი (გამონაკლისია საქართველოს სამი ძეგლი).

საქართველოს და სომხეთის ბაზილიკების მხატვრულ სახეს ძირითადად კონსტრუქციული ელემენტების პლასტიკური გამომსახველობა და დახვეწილი პროპორციები განსაზღვრავს. ამგვარ ფონზე განაწილებული დეკორი მეტ მხატვრულ დატვირთვას იძენს. ძეგლებში, სადაც რელიეფებით შემკული სვეტისთავებია, ისინი ძირითადად აფსიდისპირა პილასტრებზე, თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული. სვეტისთავეები ამკობს ასევე გალერეებს, სადაც განათების მხრივ რელიეფური მორთულობის აღქმის უკეთესი პირობებია.

ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის საქართველოს და სომხეთის ძეგლების აღნიშნული მსგავსების მიუხედავად ნათლად განიჩნევა მთელი რიგი განსხვავებული ნიშნები.

სომხეთში საშენი მასალა არის ტუფი, ხოლო საქართველოში სხვადასხვა ჯიშის ქვა. ეს გარემოება საქართველოს ბაზილიკებში კონსტრუქციული და მხატვრული ამოცანების მრავალგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.

სომხეთში გავრცელებულია შვერილაფსიდიანი ბაზილიკები, ხოლო საქართველოში ძეგლების უმრავლესობას გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდა აქვს. თუ გავითვალისწინებთ სომხურ ძეგლებში ორკალთა გადახურვის არსებობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას, ნათელი გახდება ამ ძეგლებისა და საქართველოს ბაზილიკების ექსტერიერის განსხვავება. სხვაობას უფრო თვალსაჩინოს ხდის რელიეფებით შემკული მასიური პორტალები და კოშკები, რაც სომხეთის ხუროთმოძღვრებაზე სირიული არქიტექტურის უფრო ძლიერ გავლენაზე მიუთითებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სომხეთის ძეგლები მრავალსაფეხურიან სტილობატზეა აღმართული, ხოლო საქართველოს ბაზილიკებში ორ-სამ საფეხურიანი ცოკოლი გვხვდება.

საქართველოს ძეგლებში სომხეთის ბაზილიკებთან შედარებით მრავალგვარი ფორმის საყრდენი გამოიყენება. სომხეთის ბაზილიკებისათვის უბემო აფსიდებია დამახასიათებელი, საქართველოში უმეტეს ძეგლებში ბემაა. სომხეთში პასტოფორიუმებს ჩრდილო-სამხრეთით წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს. საქართველოში ისინი ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთით მიმართული სწორკუთხედის ფორმისაა. ამასთან, სომხეთში პასტოფორიუმებს აფსიდები არ გააჩნია, ხოლო საქართველოში როგორც უაფსიდო, ასევე აფსიდიანი სათავსებია გავრცელებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სომხეთის ძეგლების ცუდი დაცულობის გამო ფაქტობრივი მონაცემების არარსე-

ბობის პირობებში გადახურვის და შიდა სივრცის გადაწყვეტის შესახებ გამოთქმული ვარაუდები საქართველოს ბაზილიკებისაგან განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს.

ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის ბაზილიკებს შორის ნაგებობათა მასშტაბის თუ ცალკეული არქიტექტურული ფორმების მსგავსება აღინიშნება. მიუხედავად ამისა ამ ქვეყნებში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის განსხვავებული ნიმუშები იქმნება, რასაც ხუროთმოძღვრული ტრადიციების და არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანების გადაწყვეტის თავისებური გაგება განაპირობებს. ამასთან სომხური ძეგლები უფრო მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს სირიულ ხუროთმოძღვრებასთან, ხოლო საქართველოს ბაზილიკები მეტ თვითმყოფადობას ავლენს.

* * *

საქართველოს ბაზილიკებში გამოიყოფა დასავლეთ საქართველოს რიგი ძეგლები, რომლებშიც ე.წ. opus mixtum წყობის, კლასიკური კაპიტელების და მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენება ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მეტყველებს. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში გამოიყოფა ძეგლების ჯგუფი, რომელიც დასავლური წრის ძეგლებთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს.

ამრიგად, საქართველოს ბაზილიკები სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის აღმოსავლურ წრეს მიეკუთვნება. გამონაკლისია დასავლეთ საქართველოს ძეგლების ჯგუფი, რომლებშიც ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა იგრძნობა. საქართველოს ბაზილიკების აღმოსავლური წრის ძეგლებთან სიანლოვეს განაპირობებს გეოგრაფიული მდებარეობა, კულტურული კავშირ-ურთიერთობების ინტენსივობა და ზოგიერთი არქიტექტურულ-კონსტრუქციული პრინციპის ერ-

თიანობა. ამასთან, საქართველოს ძეგლები რიგი ნიშნებით განსხვავდება აღმოსავლური წრის ქვეყნების, კერძოდ, სირიისა და სომხეთის ნიმუშებისაგან. სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის საქართველოში ჩამოყალიბებული სახესხვაობა აერთიანებს როგორც ბაზილიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (სამნაწილიანობა, საყრდენების სისტემა, არქიტექტურულ ფორმათა რიტმული მონაცვლეობა), ასევე ამ არქიტექტურული ტიპისათვის უცხო ტენდენციებს (გრძივი ღერძის დამოკლება, ცენტრულობისაკენ სწრაფვა) და თვითმყოფადობით ხასიათდება.

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპებთან ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ ხუროთმოძღვრებაში

საქართველოს ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში განვითარდა ორი თემა, უგუმბათო და გუმბათიანი არქიტექტურა. პირველს მიეკუთვნება სამნავიანი ბაზილიკა, სამეკლესიანი ბაზილიკა, ორნავიანი ეკლესია და ერთნავიანი ანუ დარბაზული ეკლესია. გუმბათიანი არქიტექტურის ძირითადი ტიპებია – თავისუფალი ჯვრის ტიპი, ტეტრაკონქი, ტრიკონქი, ჩახაზული ჯვრის ტიპი, გუმბათიანი დარბაზის ტიპი, მრავალაფსიდიანი ტიპი. ამავ დროს, უმეტესად ე.წ. გარდამავალ ხანაში, იგება ტიპოლოგიური თვალსაზრისით ორიგინალური გადაწყვეტით გამორჩეული ძეგლები.

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპს მეტ-ნაკლები კავშირი ზემოთ ჩამოთვლილი ტიპების მხოლოდ გარკვეულ ნაწილთან ექებნება. შესაბამისად, თანმიმდევრულად განვიხილავთ ამ ტიპებს, მათ მახასიათებელს და სამნავიან ბაზილიკასთან მიმართების პრობლემას. სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის სხვა ტიპებთან თანაარსებობის საკითხის განხილვა უფრო ნათლად გამოავლენს მის დამახასიათებელ ნიშნებს, უკეთ წარმოაჩენს ადგილსა და მნიშვნელობას საქართველოს ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

სამეკლესიანი ბაზილიკა. უგუმბათო ნაგებობებში სამნავიან ბაზილიკასთან ყველაზე ახლოს მდგომ არქიტექტურულ ტიპს სამეკლესიანი ბაზილიკა წარმოადგენს. საქართველოში შემუშავებული ეს ორიგინალურ ტიპი პირველად გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა და სამეკლესიანი ბაზილიკა უწოდა [ჩუბინაშვილი, 1970:104-108]. ამ ტიპის ნაგებობა გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ ინტერიერი სრული-

ად განსხვავებული აქვს. ნაგები ერთმანეთისგან გამიჯნულია არა საყრდენების, არამედ კედლების საშუალებით და სამი იზოლირებული ნაწილია გამოყოფილი. ამგვარი გადაწყვეტის, შესაბამისად, სამეკლესიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის წარმოშობას გ.ჩუბინაშვილი ლიტურგიკულ აუცილებლობას უკავშირებს [ჩუბინაშვილი, 1959:141,156].

სამეკლესიანი ბაზილიკები ძირითადად VI-X საუკუნეებშია აგებული. ისინი შენდება, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. ბევრი ძეგლია შემორჩენილი კახეთში. სამეკლესიანი ბაზილიკები უმეტესად მასშტაბურობით გამოირჩევა, რაც გეგმარების სპეციფიკით არის განპირობებული [ჩუბინაშვილი, 1959:142-43]. ამასთან, შუა, ცენტრალური ეკლესია (ნავი) სივანითა და სიმაღლით ყოველთვის სჭარბობს გვერდითებს.

სამეკლესიანი ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა არსებობის მანძილზე ძირეული ცვლილებები განიცადა. გამოიყოფა სამი ძირითადი ეტაპი: 1. VI საუკუნის ძეგლები; 2. VI-VII საუკუნეების ძეგლები; 3. VIII-IX-X საუკუნეების ძეგლები. ცალკეული სამეკლესიანი ბაზილიკები გვხვდება XIII-XIV საუკუნეებშიც (მაგ.: კუმისის ტაძარი, სოფ. ბედიანის ეკლესია მდინარე ხრამის ხეობაში), რაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ.მეფისაშვილი [მეფისაშვილი, 1977:12], ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ერთგვარ რეტროსპექტიულ მოვლენად უნდა აღვიქვათ.

პირველი ეტაპის ძეგლებში გამოირჩევა სამეკლესიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდის ისეთი ძეგლები, როგორცაა ქვემო-ბოლნისი და ვანათი. ამ ძეგლებში ნათლად არის გამოვლენილი სამი თანაბარი სივრცის დამოუკიდებელი ნაწილის ისეთი თანაფარდობა, რაც ტერმინ “სამეკლესიან ბაზილიკას” შეესაბამება. თითოეული ეკლესია (ნავი) აღმოსავლეთ მხარეს აფსიდიტ ბოლოვდება. ამასთან, სამხრეთი ეკლესია (ნავი) თაღებითაა

გახსნილი და ტაძარში შესასვლელი მხოლოდ ამ მხრიდან არის. ქვემო-ბოლნისში და ვანათში, ისევე როგორც კარდანახის საბაწმინდაში, პასტოფორიუმები არ არის. შემდგომში სამეკლესიან ბაზილიკებში ჯერ ჩრდილოეთი სათავსი (რუისპირი, ველისციხე, წმინდა შიოს სახელობის ტაძარი საბუეში, სამკარიანი ვაზისუბანთან), ხოლო მოგვიანებით სამხრეთი სათავსიც (კონდამიანი, ქასური გიორგი საგურამოსთან, წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარი იყალთოში, წმინდა ევსტატეს სახელობის ტაძარი ბოლნის-ხევში) გამოიყო. პასტოფორიუმები კარის საშუალებით უმეტესად არა გვერდით, არამედ ცენტრალურ ეკლესიას (ნავს) უკავშირდება. ამდენად ისინი მხოლოდ ცენტრალური ეკლესიის (ნავის) საკურთხევლთან კავშირში გაიზარება. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ სათავსში სარკმელი უმეტესად არ არის გაჭრილი, რაც სამეკლესიანი ბაზილიკის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩათვალოს.

პასტოფორიუმების გამოყოფამ ძირეული ცვლილებები შეიტანა სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმაში. თუ ადრეულ ძეგლებში სამი ეკლესია (ნავი) სივრცეში ტოლი იყო, სათავსების არსებობამ გვერდითი ეკლესიები (ნავეები) საგრძნობლად დაამოკლა (რუისპირი, კონდამიანი, წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარი იყალთოში, ქასური გიორგი საგურამოსთან, წმინდა ევსტატეს სახელობის ტაძარი ბოლნის-ხევში). ნაგებობის ასეთმა გეგმამ შემდგომში ლოგიკური განვითარება კპოვა და გვერდითი ეკლესიები (ნავეები) დასავლეთი ნავის საშუალებით ერთმანეთს შეუერთდა (წმინდა შიოს სახელობის ეკლესია საბუეში, ველისციხე, სამკარიანი ვაზისუბანთან). ამგვარად ჩამოყალიბდა გარშემოსავლელის მოტივი, რომლის მხატვრული გამომსახველობა უფრო სრულად მეორე ეტაპის ძეგლებში გამოვლინდა.

საგულისხმოა, რომ სამეკლესიან ბაზილიკებში დასავლეთი ნავი პირველად კარდანახის საბაწმინდას ბაზილიკაში

გვხვდება, მაგრამ აქ მხოლოდ პატრონიკეს ქვეშ არსებული პირველი სართულის სივრცედ აღიქმება. როგორც გ.ჩუბინაშვილი [ჩუბინაშვილი, 1959:164] აღნიშნავს, კარდანახის ბაზილიკაში არ არის დანახული და გააზრებული ის შესაძლებლობები, რაც დასავლეთის დერეფანს გარშემოსასვლელად გადააქცევს.

ამგვარად, სამეკლესიანი ბაზილიკების მშენებლობის პირველ ეტაპზევე გამოვლინდა ამ არქიტექტურული ტიპის გეგმარების საერთო პრინციპები. შემუშავდა ისეთი მოტივები, როგორიცაა გარშემოსავლელი, ორ-სამ თაღედიანი შესასვლელი, უსარკმლო სამხრეთი პასტოფორიუმი.

მეორე ეტაპის სამეკლესიანი ბაზილიკები (ნეკრესი, ზეგანი, ამიდასტური ვაჩნაძიანთან, ნათლისმცემელი საბუეში, ვაჩნაძიანის ყველაწმინდას მონასტრის ბაზილიკა) მაღალმხატვრული ძეგლებია. ამ ნაგებობებში წინა პერიოდში შემუშავებული არქიტექტურული ფორმების შემდგომი განვითარება და სრულყოფა მოხდა. შედეგად, კომპოზიციურად დახვეწილი და არქიტექტურულად კარგად გააზრებული სტრუქტურა ჩამოყალიბდა. ნათლად გამოიკვეთა მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილები. ამ ძეგლებში უგულებელყოფილია ადრეული სამეკლესიანი ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი მეტ-ნაკლებად თანაბარი მნიშვნელობის სამ ნაწილად (ეკლესიად) დანაწევრების პრინციპი, რაც ასუსტებდა ნაგებობის არქიტექტურულ მთლიანობას, თუმცა თავისთავად სამეკლესიანი ბაზილიკის წარმომშობ ფაქტორს წარმოადგენდა. მეორე ეტაპის ძეგლებში იკვეთება შუა ეკლესიის (ნავის) მნიშვნელობა. ის გამორჩეულია როგორც ზომებით, ასევე მდებარეობით. მას უკავშირდება ბაზილიკის ყველა ნაწილი – ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი ნაგები, პასტოფორიუმები. გვერდითი ეკლესიები (ნაგები) ფაქტიურად მთავარ, შუა ეკლესიას (ნავს) დაქვემდებარებული გარშემოსავლელის ფუნქციას ასრულებს.

მესამე ეტაპი სამეკლესიონი ბაზილიკების მშენებლობის ინტენსივობით ხასიათდება. შესაბამისად იზრდება მათი გავრცელების არეალი. გრძელდება ბაზილიკების მშენებლობა კახეთში (ჭერემის კათედრალი, ლელიანი, წმინდა გიორგი საფარისა წინანდალში [ჩუბინაშვილი, 1959:188-193]) და ქართლში (უფლისციხე [თაყაიშვილი, 1924 :64], ზემო ბოშური [მეფისაშვილი, 1977:12], ერედვი [მეფისაშვილი, 1955:101-136], ბერის საყდარი [მეფისაშვილი, 1971:91-110]. იგება ბაზილიკები შიდა ქართლის მთიან მხარე ისტორიულ კუდაროში (ნადარბაზევი, კასაგინა, კვაისის-ჯვარი [მეფისაშვილი 1972:141-161], თიანეთში (ცხვარიჭამია [მეფისაშვილი, 1983:5-13]), ბორჯომის ხეობაში (ნემცი, ფოთოლეტი, ჩითახევი, ლიკანი, გუჯრისხევი, მიწის საყდარი, ტაძრისი, სანარია [მეფისაშვილი, 1963: 232-249; ხოშტარია, 1983:141-157; ხოშტარია, 1985:70-82; ხოშტარია, 1986:135-155; ხოშტარია, 1987]). სამეკლესიონი ბაზილიკები შენდება დასავლეთ საქართველოშიც (ამბარა, აბა-ატა, გაგრა, მიუსერა, ქიაჩაბა [რჩეულიშვილი, 1978]).

მესამე ეტაპის სამეკლესიონი ბაზილიკები ცალკეულ შემთხვევაში შთამბეჭდავ მასშტაბს აღწევს. ამასთან, კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა სამმხრივი გარშემოსავლელის მოტივი და ცენტრალურმა ეკლესიამ (ნავმა), როგორც შიდა სივრცის მორგანიზებელმა ერთეულმა, მეტი მნიშვნელობა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ამ ხანის ძეგლებში შუა ეკლესიის (ნავის) კედლებზე პილასტრები გამოიყენება, რაც შიდა სივრცის რიტმულ დანაწევრებას განაპირობებს (ნემცი, ერედვი, ბერის საყდარი, ტაძრისი). თაღები შიდა კედლებზე აღრეულ ძეგლებშიც გვხვდება (რუისპირის წმინდა თევდორე), მაგრამ აქ განსხვავებული კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მესამე ეტაპის ძეგლებში ნათლად იგრძნობა ფუნქციონალური საკითხების გადაჭრის მცდელობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში განსხვა-

ვებულად გაიაზრება და ნაგებობათა გეგმარების თუ სივრცობრივი გადაწყვეტის მრავალგვარობას განაპირობებს. სტილისტური თვალსაზრისით ამ პერიოდში კლასიკურ წონასწორობას ფერწერული ეფექტების ძიება ცვლის [მეფისაშვილი, 1977:4].

საქართველოს ხუროთმოძღვრების ამ თავისებური არქიტექტურული ტიპის, სამეკლესიანი ბაზილიკის, ფორმირების საკითხი, უდაოდ, იწვევს დიდ ინტერესს. როგორც აღვნიშნეთ, გ. ჩუბინაშვილმა მისი წარმომოხა ლიტურგიკულ აუცილებლობას დაუკავშირა. კერძოდ, დღის განმავლობაში სამჯერ წირვის ჩატარებისთვის საჭირო პირობად სამი საკურთხევლის, შესაბამისად, “სამი ეკლესიის” არსებობა მიიჩნია. ამ მოთხოვნის უნივერსალური ხასიათის გამო, უთუოდ ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი განხორციელება მხოლოდ ერთი არქიტექტურულ ტიპის ძეგლებში მომხდარიყო. საქართველოში სამეკლესიანი ბაზილიკის არსებობას ზოგი მკვლევარი [ზ. ალექსიძე, 1968: 262-26; ამავე აზრს ეთანხმება ნ.სილაგაძე, 2001:144-156] VI- VII საუკუნეების ისტორიულ ვითარების გათვალისწინებით სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა (დიოფიზიტების, მონოფიზიტების და, შესაძლოა, ნესტორიანელების) სავარაუდოდ ერთ ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარებით ხსნის. გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც [მაგ.: ბაღმტუბნერი, 1984:77-81], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საკითხი საბოლოოდ დადგენილი არ არის.

სამეკლესიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით, უთუოდ, საინტერესოა პირველ თავში განხილულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ქრისტიანული ტაძრის მოწყობის შესახებ ეკლესიის მოთხოვნების გააზრება [ჯაბუა, 2003:280-285]. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს კათაკმეველთა და განკიცხულთათვის ცალკე სათავეების გამოყოფის მოთხოვნა. აღნიშნული დოკუ-

მენტების მიხედვით მლოცველთა დარბაზის მიმართ ეს სადგომები იმგვარად უნდა იყოს განლაგებული, რომ ამ კატეგორიის პირებს, რომლებსაც არ აქვთ საღვთო ლიტურგიაში მონაწილეობის უფლება, ღვთისმსახურების მოსმენის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ადრეული სამეკლესიანი ბაზილიკები ამ მოთხოვნის კარნახით აიგო. ეკლესიის მლოცველთა დარბაზის გვერდით განთავსდა ორი სადგომი, რომლებიც მისგან კედლით გაიმიჯნა. ფაქტია, რომ არქიტექტორის ამოცანა იზოლირებული სადგომების შექმნა იყო, რაც, თავისთავად, ეკლესიაში მყოფთა გამიჯვნის სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. საგულისხმოა, რომ სუფთა სახით ამგვარი სამნაწილიანი სტრუქტურა ერთეული გამონაკლისის გარდა მხოლოდ საწყისს პერიოდში გვხვდება, ხოლო VI საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრების შემდგომ, როდესაც, ალბათ, უფრო ნაკლები იყო ზრდასრულ ახალმონათლულთა რიცხვი და ეკლესიებში სანათლავისთვის ცალკე სათავსის გამოყოფაც თითქმის აღარ გვხვდება, სამეკლესიანი ბაზილიკებმაც სახე იცვალა და გვერდითმა სადგომებმა გარშემოსავლელის ფორმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ საკითხის ამგვარ გაგებას ეხმიანება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებაც [კაპანაძე, 2002:43-56], სადაც მამაკაცების, ქალების და ყრმათა შორის დიფერენცირების მოთხოვნაა წარმოჩენილი.

სამეკლესიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის სტრუქტურაში მლოცველთა დარბაზს რომ მხოლოდ ცენტრალური ეკლესია (ნავი) წარმოადგენს, ტიპის ევოლუციაც ნათელყოფს. ამ პროცესში ცენტრალური ეკლესია (ნავი) ნათლად გამოკვეთილ სახეს იღებს და ნაგებობის სხვა ნაწილებს იქვემდებარებს. განსაკუთრებით საყურადღებოა პასტოფორიუმების ცენტრალურ დარბაზთან დაკავშირება. ამგვარად სამეკლესიანი ბაზილიკებში ისეთი ჰარმონიული ურთიერთშე-

თანხმება ყალიბდება, რაც მეორე ეტაპის არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეულ ძეგლებს ახასიათებს. არქიტექტურულ სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოფა მთავარი – ცენტრალური სივრცე, მლოცველთა ღარბაზი საკურთხეველის აფსიდით და მას დაქვემდებარებული ნაწილები – პასტოფორიუმები, გარშემოსავლელი.

სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების მონაცემების ურთიერთმეჯვერებისას ირკვევა, რომ მათი მშენებლობის ქრონოლოგიური საზღვრები ძირითადად ემთხვევა. XI საუკუნის შემდგომ მხოლოდ ერთეული ძეგლებია დადასტურებული. მათი გავრცელების არეალიც დაახლოებით ერთნაირია. ორივე ტიპი დასავლეთთან შედარებით უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელი გრძივი ღერძის დამოკლების ტენდენცია სამეკლესიანი ბაზილიკებშიც აღინიშნება. ამ უკანასკნელში არქიტექტურული ტიპის სპეციფიკიდან გამომდინარე ინტერიერში თითოეული ეკლესიის (ნავის) სიგრძივი მიმართულება ყოველთვის საგრძნობია, თუმცა ცენტრალური სივრცის წარმოჩენას გარშემოსავლელის მოტივეს გაჩენის შემდეგ თვით გეგმარების ლოგიკა განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ორივე ტიპის არსებითი ნიშანი არის სამნაწილიანობა. ამასთან ცენტრალური სივრცე ზომითა და არქიტექტურული გადაწყვეტით უმნიშვნელოვანესია. ორივე ტიპის ბაზილიკებში გამოიყენება კამაროვანი გადახურვა. გავრცელებულია შესასვლელის სამი მხრიდან მოწყობის წესი. პრიორიტეტი სამხრეთ შესასვლელს ენიჭება. ინტერიერის მორთვის მხრივ ამ ძეგლებს, განსაკუთრებით სამეკლესიანი ბაზილიკებს, სისადავე ახასიათებს. ექსტერიერში სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკები მსგავსია. ორივე შემთხვევაში გამოიყენება ოთხფერდა გადახურვა და უფრო მეტად გავრცელებულია გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდა.

სამნავიან და სამეკლესიან ბაზილიკებს შორის პრინციპული განსხვავება შიდა სივრცის გადაწყვეტაში ვლინდება. სამნავიან ბაზილიკაში საყრდენებით დანაწევრებული ინტერიერი ერთიანია, ხოლო სამეკლესიანი ბაზილიკა კედლებით იზოლირებულ ნაწილებად იყოფა. აქედან გამომდინარე სამნავიან ბაზილიკაში ინტერიერის განათების უკეთესი შესაძლებლობა იქმნება. სამეკლესიანი ბაზილიკა ეტაპობრივი განვითარების პროცესში გეგმარების მრავალგვარ გადაწყვეტას იძლევა, რაც სტრუქტურის არსებით ცვლილებას განაპირობებს. მაშინ, როდესაც სამნავიანი ბაზილიკა ინარჩუნებს სტრუქტურის ძირითად მახასიათებელს. სამნავიან და სამეკლესიან ბაზილიკებში განსხვავებულია ასევე პასტოფორიუმების ფორმა. თუ სამეკლესიან ბაზილიკაში ძირითადად უაფსიდო პასტოფორიუმებია, სამნავიან ბაზილიკებში უფრო მეტად გავრცელებული აფსიდიანი სათავსებია.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეკლესიან ბაზილიკამ ფორმირებისა და განვითარების პროცესში სამნავიანი ბაზილიკის გარკვეული გავლენა განიცადა. სამნავიან ბაზილიკაში არსებული ზოგიერთი არქიტექტურული მოტივი (გარშემოსავლელი, ინტერიერის რიტმული დანაწევრება) სამეკლესიან ბაზილიკაში შემოქმედებითად იქნა დამუშავებული და მისი არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი გახდა. თავის მხრივ სამეკლესიან ბაზილიკაში გამოყენებული არქიტექტურული ფორმები (ორ-სამ მალისანი შესასვლელი) სამნავიან ბაზილიკებშიც გავრცელდა.

ამრიგად, სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკები შიდა სივრცის სრულიად განსხვავებული გადაწყვეტის მიუხედავად მჭიდრო ურთიერთკავშირს ამჟღავნებს.

ორნავიანი ეკლესია. შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა უგუმბათო არქიტექტურის კიდევ ერთი ტიპი – ორნავიანი ეკლესია. დღემდე შემორჩენილი და სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული

ლია დაახლოებით ორი ათეული ძეგლი [ელიზბარაშვილი, 1983; ელიზბარაშვილი, 1986; ელიზბარაშვილი, 1993; ელიზბარაშვილი, 1994; გაფრინდაშვილი, ჩუბინაშვილი, 1969:28-33; საყვარელიძე, 1972:25-30; გომელაური, 1982; გაბაშვილი, 1985; მიქელაძე, 1963; წერეთელი, 1990].

ორნავიანი ეკლესიების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია. ისინი შემორჩენილია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (შალაური, ნალიანთკარი, ბაიხო, ბზიანა, ქოჩალო, ახმეტის ღვთაება, ქვემო წერაქვი), ასევე სამხრეთ (ღართა, ქილდა, ზედა ვარძია) და დასავლეთ საქართველოში (ტაბაკინი, მღვიმევი, ვანის წმინდა გიორგი, ბზიანა). მათი მშენებლობის ქრონოლოგიური საზღვრები რამდენიმე საუკუნეს მოიცავს. უადრესი ძეგლები (შალაური, ქოჩალო, ბალიანთკარი, ბაიხო) VI-VII საუკუნეებს, ხოლო გვიანი (ქვემო წერაქვი, მღვიმევი) XIII საუკუნეს განეკუთვნება.

ორნავიან ეკლესიების არქიტექტურული ტიპის არსებით მახასიათებელს შიდა სივრცის საყრდენის მეშვეობით ორ არათანაბარ ერთეულად დაყოფის წესი წარმოადგენს. გეგმარების და შიდა სივრცის დანაწილების მიხედვით ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს. პირველია ორნაწილიანი სტრუქტურის მქონე ძეგლები, სადაც ნაგებობაში საყრდენებით გამიჯნული ორი ნავია. მთავარი ნავი შედარებით დიდი ზომისაა, ხოლო მომცრო გვერდით ნავი შეიძლება იყოს როგორც ჩრდილოეთ (შალაური, ბალიანთკარი, ბზიანა, ქილდა, ვანის წმინდა გიორგი, მღვიმევი), ასევე სამხრეთ მხარეს (ობოლეთი, დანკალი, ვანის ბზიანი). მეორე ჯგუფის ძეგლები სამნაწილიანი სტრუქტურისაა. მთავარი და გვერდითი ნავის გარდა სამხრეთით ნაგებობის მთელ სიგრძეზე სტოა (ტაბაკინი, ახმეტა, ქოჩალო, ზედა ვარძია) ან იზოლირებული ნავია (ბაიხო).

ორნავიანი ეკლესიები მომცრო ზომის, გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდის მქონე ნაგებობებია. შვერილი

აფსიდა მხოლოდ მღვთმევეშა. პირველი ჯგუფის ძეგლები წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა, ხოლო მეორე ჯგუფის – გეგმაში კვადრატს უახლოვდება.

ორნავიან ეკლესიებში მთავარი და გვერდითი ნავი ერთმანეთისაგად მხოლოდ ერთი საყრდენით გამოიყოფა. გამონაკლისია ზედა ვარძია, სადაც ორი საყრდენია გამოყენებული. მთავარი ნავი ზომით ყოველთვის სჭარბობს გვერდითას, რომელიც შიდა სივრცის ორგანიზაციაში დაქვემდებარებულ როლს თამაშობს. სარკმლების განლაგება, შესაბამისად ინტერიერის განათების ხასიათი, მთავარი ნავის მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება. ნავებს კამაროვანი გადახურვა აქვს. პირველი ჯგუფის რამდენიმე ძეგლსა და მეორე ჯგუფის ძეგლებში გამბრჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა; სხვა შემთხვევაში კონსოლებზეა დაფუძნებული. პილასტრის გამოყენება ანაწევრებს კედლის სიბრტყეს, თავისებურ გამომსახველობას ანიჭებს და შიდა სივრცის არქიტექტურული სახის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება. ამ მხრივ საყურადღებოა ახმეტის ღვთაებას ეკლესია, სადაც მთავარი ნავის კედლებზე დეკორაციული თაღებია გამოყენებული. საერთოდ, ორნავიანი ეკლესიების ინტერიერი სისადავით გამოიჩევა (გამონაკლისია ღვთაი, ზედა ვარძია).

ორნავიან ეკლესიებში გეგმარების სპეციფიკა ერთი პასტოფორიუმის მოწყობის შესაძლებლობას იძლევა. უმეტეს შემთხვევაში სათავსი საკურთხევლის ჩრდილოეთ მხარეს არის (შალაური, ბალიანთკარი, ბზიანა, ბაიხო, ახმეტა, ქოჩალო, ზედა ვარძია, მღვიმევი), იშვიათად სამხრეთით (ღართა). რიგ ძეგლებში სათავსი საერთოდ არ არის. პასტოფორიუმი უმეტესად სწორკუთხა გეგმისაა. აფსიდა აქვს ტაბაკინის, ღართას და მღვიმევის სათავსებს. შესასვლელი ძირითადად გვერდითი ნავიდან არის (შალაური, ბაიხო, ქოჩალო, ახმეტა), ზოგჯერ კარი საკურთხევლის წინამდებარე სივრცეში იხსნება (ბზიანა, ღართა). ტაბაკინსა და მღვიმეში კი ჩრდი-

ლოეთი სათავესი დაკავშირებულია როგორც საკუთხეველ-თან, ასევე გვერდით ნავთან.

ორნავიან ეკლესიაში ტაძარში შესასვლელი მოთავსებულია სამხრეთ და დასავლეთ, იშვიათად ჩრდილოეთ მხარეს (ტაბაკინი, ბზიანა). პრიორიტეტი სამხრეთ შესასვლელს ენიჭება. საყურადღებოა, რომ მეორე ჯგუფის ძეგლებში სამხრეთ სტოაში ორ ან სამთაღიანი შესასვლელია.

ექსტერიერში თითოეულ ნავს დამოუკიდებელი გადახურვა აქვს. პირველი ჯგუფის ძეგლებში სამფერდა, ხოლო მეორე ჯგუფის ძეგლებში ოთხფერდა გადახურვა გამოიყენება. გამო-ნაკლისია ორფერდა სახურავი ზედა ვარძიაში, სადაც ასეთი გადაწყვეტა სამალავების არსებობამ განაპირობა.

სამნავიან ბაზილიკებთან ორნავიანი ეკლესიების შედარე-ბისას განირჩევა რიგი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

სამნავიანი ბაზილიკების და ორნავიანი ეკლესიების მშე-ნებლობა დაახლოებით თანადროულად მიმდინარეობდა. ორივე ტიპის ძეგლებისათვის დამახასიათებელია სწორკუთხა გეგმა. უფრო მეტად გავრცელებულია გეგმაში ჩაწერილი აფსიდები. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც უმეტესი შვერილათსიდიანი სამნავიანი ბაზილიკა, ასევე შვერილი აფსიდის მქონე ორ-ნავიანი ეკლესიაც (მღვიმევი) დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. ორნავიანი ეკლესიების მეორე ჯგუფის ძეგლები ნა-გებობის კონფიგურაციის მხრივ თანადროულ სამნავიან ბაზი-ლიკებთან მსგავსებას ამჟღავნებს. ისინი კვადრატს მიახლივე-ბული გეგმისაა. არსებითია, აგრეთვე, მათი სამნაწილიანობის გათვალისწინება. საგულისხნოა, რომ შიდა სივრცის ნაგებად დაყოფა ორივე ტიპის ძეგლებში საყრდენების საშუალებით ხორციელდება. ამასთან გამოიყოფა მთავარი და დაქვემდებარებული სივრცეები. როგორც სამნავიანი ბაზილიკის, ასევე ორნავიანი ეკლესიის არქიტექტურული სტრუქტურის ფარგ-ლებში აღინიშნება ნავთა ურთიერთმიმართების დროისმიერი ცვლილებები. ორივე ტიპის ძეგლებში გამოიყენება პილასტ-

რი. ინტერიერი სადაა. უმეტეს ნაგებობებში პრიორიტეტი სამხრეთ შესასვლელს ენიჭება.

სამნავიანი ბაზილიკები და ორნავიანი ეკლესიები სრულიად განსხვავებული არქიტექტონიკის ნაგებობებია. პირველ შემთხვევაში გეგმა და სივრცული გადაწყვეტა არქიტექტურული ფორმების გაწონასწორების და ჰარმონიულობის პრინციპზეა აგებული. ნაგებობაში არსებული მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების ურთიერთმიმართება ერთიანი სივრცის შექმნას ემსახურება. საპირისპიროდ, ორნავიან ეკლესიაში ასიმეტრიულობის პრინციპია გადამწყვეტი, რაც კარგად იკითხება როგორც გეგმის (ერთი გვერდითი ნავი, ერთი პასტოფორიუმი), ასევე სივრცობივ-მოცულობით გადაწყვეტაში. გვერდითი ნავი ამ ძეგლებში დამატებით სივრცედ აღიქმება.

აღსანიშნავია, რომ ორნავიან ეკლესიებს გარკვეული საერთო ნიშნები სამეკლესიან ბაზილიკასთან ეძებნება. ორნავიან ეკლესიებში ფართოდ არის გავრცელებული ორ-სამ თაღიანი შესასვლელი, რომელიც სამეკლესიანი ბაზილიკებისათვის არის დამახასიათებელი. ისევე, როგორც ბევრ სამეკლესიან ბაზილიკაში, ორნავიან ეკლესიებშიც მხოლოდ ჩრდილოეთი სათავსია გამოყოფილი. პასტოფორიუმის საკურთხეველთან კარით დაკავშირების წესი ორივე ტიპის ძეგლებში გვხვდება. სამეკლესიან ბაზილიკებსა და ორნავიან ეკლესიებში პასტოფორიუმი უმეტესად უაფსიდაა.

ამრიგად, ნაგებობის არქიტექტონიკის მხრივ ორნავიანი ეკლესიები და სამნავიანი ბაზილიკები ძალზე განსხვავებულია, მაგრამ ამავე დროს მათ შორის რიგ საკითხებში მსგავსება აღინიშნება და უმთავრესი ნაგებობის საყრდენის საშუალებით გამიჯვნის წესია.

ერთნავიანი ანუ დარბაზული ეკლესია. უგუმბათო არქიტექტურის ყველაზე მარტივი ტიპი, ერთნავიანი ანუ დარბაზული ეკლესია, შუასაუკუნეების საქართველოს ხუროთ-

მოდერების ისტორიის ყველა ეტაპზე შენდება [ჩუბინაშვილი, 1970:173-177, 279-288; შპერლინგი, 1948:11-122; შპერლინგი, 1955:139-168; ნ.ჩუბინაშვილი, 1976; ნ.ჩუბინაშვილი, 1987:57-74; ნ.ჩუბინაშვილი, შპერლინგი, 1948:47-54; ნ.ჩუბინაშვილი, 1988; ანდლულაძე, 1969:44-52; ბერიძე, 1942:41-48, 77-132; თაყაიშვილი, 1960; რჩეულიშვილი, 1948, 27-38; რჩეულიშვილი, 1963:167-182; ცინცაძე, 1963:57-106; დოლიძე, 1987, 26-56; ვაჩეიშვილი, 1997; მირიჯანაშვილი, 1999 და სხვ.].

გეგმისა და არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის სიმარტივემ ერთნავეანი ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპის ფართო გავრცელება განაპირობა. საქართველოში დარბაზული ეკლესიები ყველაზე მრავალრიცხოვანია. მათი გავრცელების არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ისინი შენდება როგორც ბარში, ასევე მთიან რეგიონებში. მაგალითად, სვანეთში დარბაზული ეკლესია საეკლესიო ნაგებობის ერთადერთი ტიპია [დოლიძე, 1987:31]. შემორჩენილ დარბაზულ ნაგებობებში განირჩევა როგორც ცალკეული მაღალმხატვრული ნიმუშები, ასევე რიგითი ნაგებობები.

დარბაზული ეკლესია გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნაგებობაა. არქიტექტურულ სტრუქტურას აყალიბებს საკუთხეველის აფსიდა და დარბაზი მლოცველთათვის. პასტოფორიუმები უმეტეს შემთხვევაში არ არის. გეგმარების თვალსაზრისით მრავალგვარ გადაწყვეტას დამატებითი ნაწილების არსებობა განაპირობებს. ძირითადად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი: 1. მარტივი ტიპის დარბაზული ეკლესია დამატებითი სადგომების გარეშე. 2. დარბაზული ეკლესია სამხრეთი სტოით. 3. დარბაზული ეკლესია სამხრეთი და დასავლეთი სტოებით. 4. დარბაზული ეკლესია სამხრეთი გარშემოსავლელით. 5. დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი სათავსით და სამხრეთი სტოით.

დარბაზულ ეკლესიებში, უმეტესად, გეგმის სწორკუთხედში ჩახაზული საკურთხევლის აფსიდაა. შვერილი აფსიდები ნაკლებად გვხვდება და უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოს ძეგლებშია. ვინაიდან პასტოფორიუმები, ძირითადად, არ არის, გავრცელებულია საკურთხევლის აფსიდაში ღრმა ნიშების მოწყობის წესი (მაგ.: საორბისი, ხცისი, მაღალაანთეკლესია, გუდარეხი, სავანე, დაბა და სხვ.). გამოიყენება კამაროვანი გადახურვა. ექსტერიერში ორფერდა სახურავია. დამატებითი სათავსების არსებობის შემთხვევაში, მათ დამოუკიდებელი სახურავი აქვს.

დარბაზული ეკლესიის ინტერიერის გადაწყვეტისას არსებითია ის, რომ მლოცველთა დარბაზი დაუნაწევრებელ, ერთიან სივრცეს ქმნის, რომელიც ზოგიერთ ძეგლში შთამბეჭდავ მასშტაბს აღწევს (მაგ.: მაღალაანთეკლესია, ხცისი). IX-X საუკუნეებიდან ფართოდ გამოიყენება გამბრჯენი თაღების პილესტრებზე დაყრდნობის წესი. აღსანიშნავია, რომ პილასტრები ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად მასიურია, რომ მათ შორის ე.წ. უბეები წარმოიქმნება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მხოლოდ კედლის სიბრტყის დანაწევრებას, არამედ ინტერიერის თავისებურ სივრცობრივ-მოცულობით ორგანიზაციას (ხცისი, გუდარეხი).

დარბაზული ეკლესიების სიმრავლის, ძეგლების ძალზე განსხვავებული არქიტექტურული ღირებულების გამო ცალკეული არქიტექტურული ფორმების და ტენდენციების წარმოჩენა, ცხადია, სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი მომენტის გამოყოფა. ასე მაგალითად, დარბაზულ ეკლესიებში შესასვლელი ძირითადად ერთი ან ორი მხრიდან ეწყობა. ამასთან პრიორიტეტი სამხრეთის შესასვლელს ენიჭება. ამ მხარეს სტოას ზოგჯერ ორ-სამ თაღიანი შესასვლელი აქვს (მაგ.: ოლთისი, ტამალა, სარო). დარბაზულ ეკლესიებში სარკმლების რიცხვი, უმეტესად, მცირეა, მაგრამ ისინი დაუნაწევრე-

ბელ სივრცეს ანათებს, რაც შემოსული სინათლის ინტენსივობის მაქსიმალური გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. ამის მიუხედავად, ცალკეულ ძეგლებში სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ინტერიერი საკმაოდ კარგად ან ძალზე სუსტად ნათდება. დარბაზული ეკლესიების ინტერიერს ძირითადად სისადავე ახასიათებს, მაგრამ რიგ შემთხვევებში დეკორაციული მორთულობა გამოიყენება.

სამნავიანი ბაზილიკისა და დარბაზული ეკლესიის ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისას უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ორივე უგუშბათო არქიტექტურის ტიპს წარმოადგენს და ერთმანეთს ამ ნიშნით ენათესავება. არქიტექტურული ტიპის კონცეპტუალური გაგების თვალსაზრისით ორივე ტიპის ძეგლებში ყველა არქიტექტურული ფორმა საკუთხეგლის აფსიდასთან მიმართებაში აღიქმება და გარკვეულწილად მას ექვემდებარება. შიდა სივრცის გადაწყვეტისას ერთიანობის პრინციპია მთავარი. თუმცა მისი მიღწევა განსხვავებულად, დარბაზულ ეკლესიაში მარტივი, ხოლო სამნავიან ბაზილიკაში უფრო რთული კომპოზიციური გადაწყვეტით ხორციელდება.

გეგმის სწორკუთხედში ჩახაზული აფსიდის უფრო მეტად გავრცელება, კამაროვანი გადახურვა, სამხრეთის შესასვლელის პრიორიტეტული მნიშვნელობა ის ნიშნებია, რომელიც ორივე ტიპს ახასიათებს. ამასთან დარბაზული ეკლესიების ინტერიერში პილასტრების გამოყენება თავისი მხატვრული გადაწყვეთით სამნავიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელ შიდა სივრცის რიტმული დანაწევრების წესს ენათესევა.

ამრიგად, სამნავიანი ბაზილიკა და დარბაზული ეკლესია, როგორც უგუშბათო არქიტექტურის ტიპები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს, მაგრამ მათ შორის არსებითაა განსხვავება, რაც ვლინდება როგორც შიდა სივრცის, ასევე ექსტერიერის გადაწყვეტაში.

გურჯაანის ყველაწმინდა. გარდამავალი ხანა საქართველოს ხუროთმოძღვრების ისტორიაში შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე პერიოდია. ამ ეპოქაში ბევრი ისეთი ძეგლი აიგო, რომლებშიც გეგმარების და სივრცობრივ-მოცულობითი პრობლემები თავისებურად გადაწყდა. ზოგიერთ შემთხვევაში ორიგინალური არქიტექტურული კომპოზიცია მხოლოდ ერთ ნაგებობაში განხორციელდა და შემდგომ აღარ განმეორებულა. ამგვარი ძეგლების რიგს განეკუთვნება გურჯაანის ყველაწმინდა [ჩუბინაშვილი, 1956:273-286], რომელიც სამნავიან ბაზილიკასთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს.

გურჯაანის ყველაწმინდას გეგმა ბაზილიკის მსგავსად დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. შიდა სივრცე საყრდენების საშუალებით სამ ნავად არის გაყოფილი, რაც ექსტერიერშიც ნათლად აისახება. ორკალთა სახურავიანი შუა და ცალფერდა გვერდითი ნაგებობის გადახურვა ტრადიციულ ბაზილიკურ ჭრილს ქმნის. საყურადღებოა, რომ შიდა სივრცის საყრდენებით ნაგებად დაყოფა და ე.წ. ბაზილიკური ჭრილი სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს. გურჯაანის ყველაწმინდას ხუროთმოძღვარი ამ ტრადიციულ სქემას შუა ნავზე ორი გუმბათის აღმართვით სრულიად ახლებურ კომპოზიციად გარდაქმნის. საგულისხმოა, რომ გუმბათიანი არქიტექტურიდან ის ასევე ყველაზე სახასიათო არქიტექტურულ ელემენტს, გუმბათს, ირჩევს და თამამად უთავსებს ბაზილიკის სტრუქტურას. ის ფაქტი, რომ გურჯაანში არა ერთი, არამედ ორი გუმბათია გამოყენებული, ბაზილიკისათვის დამახასიათებელი თანაფარდობის დაცვას ემსახურება. მხოლოდ ერთი გუმბათის აგება სრულიად განსხვავებულ სივრცობრივ გადაწყვეტას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში მისი როლი არქიტექტურული ნაგებობის მთლიან სტრუქტურაში, უთუოდ, უფრო გამოიკვეთებოდა, რაც გუმბათის ზომის გაზრდას, ინტერიერში ცალკეული ნაწილე-

ბის ურთიერთდაქვემდებარების არსებული სქემის შეცვლას და ექსტერიერში მკვეთრ აქცენტირებას გამოიწვევდა. ყოველივე ზემოთქმულის საპირისპიროდ, გურჯაანის ყველაწმინდაში არსებული სტრუქტურის საფუძვლად ბაზილიკისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური და პროპორციული გადაწყვეტა დარჩა. ამავე დროს გაჩნდა ახალი ელემენტი – გუმბათი. თუმცა გურჯაანის ყველაწმინდაში მას არ აქვს შიდა სივრცის მორგანიზებელი ის ფუნქცია, რომელიც საქართველოს გუმბათიან ტაძრებში აქვს მინიჭებული.

გურჯაანის ყველაწმინდას სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპთან შედარებისას ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხები. ქრონოლოგიურად გურჯაანის ყველაწმინდას აგების თარიღი, VIII საუკუნე, ემთხვევა საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის პერიოდს. ამასთან, გურჯაანის ყველაწმინდა მდებარეობს კახეთში, იმ რეგიონში, სადაც სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების ყველაზე დიდი რაოდენობაა დადასტურებული. გურჯაანის ყველაწმინდას ცალკეული არქიტექტურული ფორმები და მათი შეფარდების მონაცემები (ექსტერიერში 21მ X 11,2მ; შეფარდება 1,8; ინტერიერში 15,2მ X 8,8მ; შეფარდება 1,7; სამი წყვილი T-ს ფორმის საყრდენი; თალის და საყრდენის ზომის შეფარდება 1,8; შუა და გვერდითი ნაგებობის სიგანის შეფარდება 2,4) უახლოვდება სამნავიანი ბაზილიკების მონაცემებს. ღიობების ფორმა და მათი განლაგების სქემა ასევე სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია. გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი ნაღისებური საკურთხევლის აფსიდა, გადახურვის კამაროვანი სისტემა, ოთხფერდა სახურავი, შესასვლელის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს მოწყობა, ასევე დამახასიათებელია სამნავიანი ბაზილიკისათვის. გურჯაანის ყველაწმინდაში გამოყენებული მარტივი სახის იმპოსტი ფართოდაა გავრცელებული სამნავიან ბაზილიკებში. სამნავიანი ბაზილიკის მსგავსად გურჯაანის ყველაწმინდას ინტერიერს სისადავე ახასიათებს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სისადავე იმ სახით, როგორც ეს გურჯაანის ყველაწმინდაშია, საერთოდ კახეთის არქიტექტურისათვის არის დამახასიათებელი.

გურჯაანის ყველაწმინდას სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისაგან ძირითადი განმასხვავებელი ორი გუმბათის არსებობაა, რაც, თავისთავად, ამ ძეგლის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს. ამას გარდა გურჯაანის ყველაწმინდას ინტერიერი მეტი სირთულით და შემაღლებელი ნაწილების სიმრავლით (ძირითადი, სამ ნავად დაყოფილი სივრცე, პასტოფორიუმები, მათ ზემოთ მეორე სართულის სათავსები, მეორე სართულის ჩრდილოეთი და სამხრეთი ეკვდრები, მათი შემაერთებელი პატრონიკე, ნართექსი პირველ სართულზე) გამოირჩევა, ვიდრე ნებისმიერი სამნავიანი ბაზილიკა. გვერდითი ნაგებობის ორსართულიანობა საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება (სეფიეთი, აკურა).

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის ყველაწმინდას ინტერიერში სამეკლესიანი ბაზილიკის კომპოზიციური სქემის ნიშნებიც ვლინდება. ტაძრის მეორე სართულის გადაწყვეტა სამეკლესიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელი სივრცის იზოლირებულ ნაწილებად დაყოფის პრინციპზეა აგებული. გვერდითი ნაგებობის მეორე სართული კედლებითაა გამიჯნული შუა ნავისაგან. შესაძლოა, სამხრეთ კედელში ოთხი დიდი ზომის ღიადიც სამეკლესიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელი თაღებიანი შესასვლელის მოტივის გარკვეული გავლენითაა გადაწყვეტილი.

ამგვარად, გურჯაანის ყველაწმინდა თავისი გეგმარებითა და სივრცობრივი გადაწყვეტით რთულ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს. ამ ძეგლში კომბინირებულია სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების, გუმბათიანი არქიტექტურის ცალკეული ელემენტები და კომპოზიციური სქემები; მაგრამ მისი არქიტექტურული სტრუქტურის ჩამოყალიბების

უმთავრეს საფუძველს სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი წარმოადგენს.

გუმბათიანი არქიტექტურა. საქართველოს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს თემას გუმბათიანი არქიტექტურა წარმოადგენს. გუმბათი ამ ნაგებობების აზრობრივი და კომპოზიციური ცენტრია. არქიტექტურული სტრუქტურის ყველა კომპონენტის ორგანიზება გუმბათქვეშა სივრცის გარშემო ხდება, რაც უმეტეს შემთხვევაში ნაგებობის ცენტრულობას განაპირობებს. თუ სამნავიან ბაზილიკაში, ისევე როგორც უგუმბათო არქიტექტურის სხვა ტიპებში, საკულტო და არქიტექტურული მნიშვნელობით მხოლოდ საკურთხეველი გამოირჩეოდა, აქ სიმბოლური, გეგმარების და მოცულობით-სივრცობრივი თვალსაზრისით მეორე მნიშვნელოვანი აქცენტია გუმბათის სახით.

საქართველოს გარდა გუმბათიანი არქიტექტურა ბიზანტიის და საერთოდ, მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ხუროთმოძღვრების წამყვანი თემა VI ს-დან ხდება. გუმბათიანი არქიტექტურის პრიორიტეტული მნიშვნელობა, უთუოდ, განპირობებული იყო ქრისტიანული ეკლესიის მიერ საეკლესიო ნაგებობის ბაზილიკების მშენებლობის ხანისაგან განსხვავებული გააზრებით, რაზეც VII-VIII საუკუნეებში მაქსიმე აღმსარებლის (ლოუ, 1995; კეკელიძე, 1961:14-54; ავერინცევი 1989:36-59) და გერმანე კონსტანტინოპოლელის (მანგო, 1972:141-143) ინტერპრეტაცია მეტყველებს. მათ მიხედვით ეკლესია, ღვთის სახლი, განასახიერებს ზეციურ საუფლოს, კოსმოსს. მაქსიმე აღმსარებელთან ასევე ხილულ სამყაროს და თვით ადამიანს, რომელიც საკრალური მნიშვნელობით მიკროკოსმოსს წარმოადგენს. ტაძრის გუმბათი ზეცას განასახიერებს და ზეციური საუფლოს სიმბოლოა (იხ. პირველი თავი).

ჯვარი დაელო გეგმარების და სივრცული გადაწყვეტის საფუძველად საქართველოს გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ძირითად არქიტექტურულ ტიპებს - ტეტრაკონქს (მაგ.: მანგლისი-Vს, ძველი გავაზი-VIს, ნინოწმინდა-VIIს, მცხეთის ჯვარი-VI-VIIსს-ის მიჯნა) და თავისუფალი ჯვრის ტიპს (მაგ.: ერალანთ საყდარი -V-VI სს, იდლეითის ნათლისმცემელი-VIს, შიომღვიმე-VIს, სამწევრისი-VIIს.), შემდგომში ჩახაზული ჯვრის ტიპს (წრომი-VIIIს.) და ტრიკონქს (მაგ.: დორთქილისა-VIII-IX სს, ისი-VIII-IX სს, ოშკი-Xს, ბაგრატი-XIს, ალავერდი-XIს.). ამ ტიპის ტაძრებში ჯვრის მკლავებით შექმნილ ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატზე გუმბათია ამოყვანილი. საეკლესიო ნაგებობის გეგმასა და სივრცეში ჯვრის, კვადრატისა და წრის თანაზიარობა, უთუოდ, გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ჯვარი, ქრისტეს მსხვერპლშეწირვის და აღდგომის სიმბოლო, ნაგებობის გეგმისა და სივრცული გადაწყვეტის საფუძველია. ცენტრში კვადრატი, ოთხი გვერდით - ოთხივე მხარეს, შესაბამისად მიწას და ამქვეყნიურ ყოფიერებას გამოსახავს. მის თავზე ნაგებობის დამავირგვინებელი გუმბათის ფუძით შექმნილი წრე, მარადიულობის, უსასრულობის და ზეციური სამყაროს სიმბოლოა. ამგვარად, გუმბათიანი ეკლესიის საკრალურ სივრცეში ნიშანთა სისტემის მეშვეობით გაცხადებულია ეკლესიის არსობრივი მიზანი წარმართოს მორწმუნენი უფლის სწავლითა და მოძღვრებით ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რათა ჰპოვონ მათ ჭეშმარიტი გზა უფლისა და საუკუნო ცხოვრებისა. ნიშანდობლივია, რომ გუმბათიანი არქიტექტურის ამ კონცეფციას შეესატყვისება მოგვიანებით შემუშავებული ტაძრის მონასტვის სქემაში გუმბათის ფუძესთან, კვადრატიდან წრეზე გადასვლის ზღვარზე, აფრებში, ქვეყნის ოთხივე მხარეს ქრისტეანული მოძღვრების გამავრცელებელი ოთხი მახარებლების გამოსახვის წესი.

საქართველოს ხუროთმოძღვრებაში გუმბათიანი არქიტექტურის განვითარებას არქიტექტურულ-სამშენებლო თვალსაზრისით საკუთარი კანონები განსაზღვრავს. ამდენად ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპთან შედარება პირობით ხასიათს ატარებს. სამნავიანი ბაზილიკის და გუმბათიანი არქიტექტურის ურთიერთმიმართების საკითხის კვლევა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საქართველოს ხუროთმოძღვრებაში მათი საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობა ურთიერთგავლენის შესაძლებლობას ქმნის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზილიკა საქართველოში შემოტანილი არქიტექტურული ტიპია, ხოლო გუმბათიანი არქიტექტურა, განსხვავებით გრძივი კომპოზიციისაგან, ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გადაშეშვების შედეგად განვითარდა. ამიტომ ხუროთმოძღვრული და სამშენებლო თავისებურებები მთელი სისრულით სწორედ გუმბათიან არქიტექტურაში გამოვლინდა. საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა გუმბათიანი არქიტექტურის გარკვეული გავლენა განიცადა, რამაც ბაზილიკის სახის შეცვლა და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოვლენა განაპირობა. გრძივი ღერძის დამოკლება, გეგმის კვადრატს მიახლოება, სამხრეთი შესასვლელის პრიორიტეტი, ის ძირითადი ნიშნებია, რომლებიც საქართველოს სამნავიანი ბაზილიკისათვის გახდა დამახასიათებელი, თუმცა ზოგადად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისათვის უცხოა. გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდა მესამე ეტაპის ბაზილიკებში, რაც ძირითადად აფსიდის წინა არეალის ხაზგასმაში გამოიხატა.

თავის მხრივ ქრიატიანული ხუროთმოძღვრების ადრეულ ეტაპზე საქართველოში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შემოტანამ ქართული ხუროთმოძღვრება აზიარა მოცულობით-სივრცითი და გეგმის კომპოზიციური გადაწყვეტის მწყობრ

სისტემას. შეთვისებულ და გააზრებულ იქნა მკაფიო არქიტექტურული კონცეფციის მქონე არქიტექტურულ სტრუქტურა, რომელსაც სამნაწილიანობა, შიდა სივრცის საყრდენებით დანაწევრება, მთავარისა და დაქვემდებარებულის ჰარმონიული ერთიანობა, არქიტექტურული ფორმების რიტმული მონაცვლეობა ახასიათებს. ამან ქართული ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის ზრდა და, გარკვეულწილად, ტიპოლოგიური მრავალფეროვნება განაპირობა. უდავოა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების შექმნა როგორცაა წრომი, სამშვილდის სიონი, ლიხნე, მოქვი, სვეტიცხოველი (ჩახაზული ჯვრის ტიპი), კუმურდო (მრავალაფსიდიანი), ბაგრატი, ალავერდი (ტრიკონქი), სამთავისი, სამთავრო (ჩახაზული ჯვრის ტიპის ე.წ. ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები) გუმბათიანი არქიტექტურის განვითარების კანონზომიერებებმა განსაზღვრა; თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი არქიტექტურული კომპოზიციების შემუშავებას, უთუოდ, ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის დამახასიათებელი ნიშნების შეთვისებამ შეუწყო ხელი. განსაკუთრებით ყურადსაღებია გუმბათიან ნაგებობებში დასავლეთი მკლავის იმგვარი გადაწყვეტის მაგალითები (მაგ.: ოშკი, კუმურდო), სადაც წაგრძელებული სწორკუთხა გეგმარების სივრცე საყრდენების საშუალებით სამ გრძივ ერთეულად არის დაყოფილი.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა საქართველოს და სომხეთის ხუროთმოძღვრების შედარება. საქართველოში, სადაც ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობა რამდენიმე საუკუნეს (V-XI სს) მოიცავს, ფართოდ არის გავრცელებული თავისუფლად მდგომ საყრდენებიანი სხვადასხვა არქიტექტურული ტიპი. მათგან ჩახაზული ჯვრის ტიპის ე.წ. ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები XI საუკუნიდან ქართული ხუროთმოძღვრების მთავარ ტიპს წარმოადგენს. რაც შეეხება სომხეთს, აქ ბაზილიკების რიცხვი მცირეა და ისინი მხო-

ლოდ VII ს-მდე შენდება. შესაბამისად, სომხეთის ხუროთ-
 მოძღვრებაში ბაზილიკისათვის დამახასიათებელი რივი ნიშნე-
 ბის შეთვისება-გადამუშავება ნაკლებად განხორციელდა. გარკ-
 ვეულწილად ამით შეიძლება აიხსნას სომხეთის საკულტო
 არქიტექტურაში საყრდენებიანი ძეგლების სიმცირე და გუმბა-
 თის საყრდენად კედლის შვერილების ფართოდ გავრცელება,
 რაც გვხვდება როგორც წრიულ კომპოზიციებში (მაგ.: ანი-
 სის მაცხოვრისა და მწყემსების ტაძრები), ასევე სწორკუთხა
 გეგმარების გუმბათიანი დარბაზის ტიპის ძეგლებში (პტლნი,
 არუჭი, შირავაკანი, სანანი, აჰპატი, გოშავანქი, ქეჩარისი და
 სხვ.). ნიშანდობლივია ისიც, რომ გუმბათიანი დარბაზი ანუ
 კუპელჰალე სომხეთის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მთავარ
 და ფართოდ გავრცელებულ არქიტექტურულ ტიპს წარმოად-
 გენს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ერთი საკითხის შესახებ, რომე-
 ლიც საქართველოს ხუროთმოძღვრებაში ძეგლების სიგრძე-
 სიგანის თანაფარდობას ეხება. VI ს-ის შემდგომ საქართვე-
 ლოს ბაზილიკებში სიგრძე-სიგანის შეფარდება ექსტერიერში
 ძირითადად 1,5 ან ნაკლებია, ხოლო ინტერიერში (საკურ-
 თხველის აფსიდამდე) 0,8-დან 1,2-მდე. საყურადღებოა, რომ
 იგივე პროპორციული თანაფარდობა ახასიათებს ცენტრა-
 ლურ-გუმბათოვან ტაძრებს (სამთავისი – 1,47, ინტერიერში
 1,1; სამთავრო – 1,5, ინტერიერში – 1,1; იკორთა 1,3, ინტე-
 რიერში – 1; ქვათახევი – 1,6, ინტერიერში 1; საფარა -1,25,
 ინტერიერში -0,9). ამ მონაცემთა შეჯერება ნათელყოფს,
 რომ როგორც ბაზილიკის, ასევე გუმბათიანი არქიტექტურის
 ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტიპის ძეგლებში მსგავ-
 სი პროპორციული გადაწყვეტაა, რაც, თავისთავად, ნაგებო-
 ბის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია
 ისიც, რომ ამგვარი გადაწყვეტა ბაზილიკებსა და ცენტრა-
 ლურ-გუმბათოვან ტაძრებში ხანგრძლივი დროის განმავლობა-
 ში შენარჩუნდა. საფიქრებელია, რომ ასეთი პროპორციული

თანაფარდობა შეესატყვისებოდა ქართული არქიტექტურის რაობის განმსაზღვრელ მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოში ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპსა და გუმბათიან არქიტექტურას შორის გარკვეული კავშირი არსებობს, რაც ურთიერთგავლენებისა და საერთო მახასიათებლების ჩამოყალიბებაში გამოვლინდა.

* * *

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ქართული ხუროთმოძღვრების ტიპებთან მიმართების საკითხის კვლევისას უფრო ნათლად იკვეთება ამ ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სამნაწილიანობა, საყრდენების გამოყენების წესი, შიდა სივრცის ერთიანობა, არქიტექტურული მასების სიმეტრიულობისა და გაწონასწორების პრინციპით განაწილება, არქიტექტურულ ფორმათა რიტმული მონაცვლეობა, მთავარის და დაქვემდებარებულის ჰარმონიული ურთიერთკავშირი.

შედარებითი ანალიზი ნათელყოფს, რომ საქართველოში უგუმბათო არქიტექტურული ტიპების (დარბაზულის გარდა) მშენებლობის ქრონოლოგიური საზღვრები ემთხვევა და მოიცავს V-XI საუკუნეებს. შემდგომ ხანაში ისინი იშვიათად იგება.

როგორც სამნავიანი, ასევე სამეკლესიანი ბაზილიკები დასავლეთთან შედარებით უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

სამნავიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშანი – სამნაწილიანობა, ახასიათებს ასევე სამეკლესიანი ბაზილიკას და ორნავიანი ეკლესიების მეორე ჯგუფის ძეგლებს. ამგვარი სქემა გამოიყენება რიგი გუმბათიანი ნაგებობების დასავლეთ მკლავის გადაწყვეტისას.

სამწავიანი ბაზილიკის გარდა საყრდენები გამოიყენება ორნავიან ეკლესიაში და გუმბათიანი არქიტექტურის რიგ ტიპებში.

ისევე, როგორც სამწავიანი ბაზილიკას, შიდა სივრცის ერთიანობა ახასიათებს დარბაზულ ეკლესიას, თუმცა ის მეტი სიმარტივით გამოირჩევა.

სამწავიანი ბაზილიკისათვის ნიშანდობლივი ინტერიერის რიტმული დანაწევრება ახასიათებს ზოგიერთ სამეკლესიო და დარბაზულ ნაგებობას, რომელშიც პილასტრებია გამოყენებული; ასევე საყრდენების მქონე რიგ გუმბათიან ნაგებობას.

სამწავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი გამორჩეული ძეგლის შექმნის საფუძველს, როგორც გურჯაანის ყველაწმინდას ორგუმბათიანი ეკლესიაა.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ზოგიერთი ისეთი ნიშანი თუ ტენდენცია, რომელიც საერთოდ ქართული ხუროთმოძღვრებისათვის არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ძირითადად, ცენტრულობა ახასიათებს, სიგრძივი ღერძის განსაკუთრებული ხასგასმა ნაკლებად ხდება. უწინარესად გუმბათიანი არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ეს თვისება, სამწავიან ბაზილიკებშიც იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ იგივე პროცესი გარკვეულწილად უგუმბათო არქიტექტურის სხვა ტიპებშიც აღინიშნება. სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის ნაგებობების შიდა სივრცის გადაწყვეტაში ვლინდება ერთიანი, შეკრული არქიტექტურული კომპოზიციის შექმნის სურვილი, როდესაც ინტერიერში სიგრძისა და სიგანის ზომები ერთმანეთს უახლოვდება. ამასთან, ტაძრების ინტერიერი, ძირითადად, სისადავით და ლაკონურობით ხასიათდება. ტაძარში შესასვლელი, უმეტესად, სამხრეთი და დასვლეთი მხრიდან არის გაჭრილი. სამხრეთი შესასვლელის პრიორიტეტულობის შემთხვევაში შიდა სივრცის აღქმისას ცენტრუ-

ლობის შეგრძნება უფრო საგრძნობი ხდება. როგორც უგუშობათო, ასევე გუშობათიან არქიტექტურაში გავრცელებულია გეგმის სწორკუთხედში ჩახაზული საკუროთხევლის აფსიდა. შვერილი აფსიდა, უძეტესად, დასავლეთ საქართველოს ან ადრეული ხანის ძეგლებში გვხვდება.

ქართულ არქიტექტურაში ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტისას ზომიერების პრინციპია დაცული. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების თუ ცალკეული პრიორიტეტების არსებობა არ გამორიცხავს ზოგიერთი მახასიათებლის განსაზღვრულ დროით-რეგიონალურ ფარგლებში გავრცელებას.

საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრება არქიტექტურულ ტიპთა სიმრავლით რთულ, მრავალფეროვან, დამოუკიდებელ სისტემად წარმოგვიდგება, რომელიც სხვა სისტემებთან (სხვა ქვეყნების ხუროთმოძღვრებასთან) ურთიერთმიმართებაში არსებობს და განვითარების ზოგად კანონზომიერებებს ემორჩილება [მოისეევი, 1991:3-28]. არქიტექტურული ტიპების ფორმირების და არსებობის ინტენსივობით XII საუკუნემდე პერიოდი გამოირჩევა. სისტემის ორგანიზაციის კანონზომიერებიდან გამომდინარე ეს პერიოდი სისტემაში შემავალი სტრუქტურების (არქიტექტურული ტიპების) სტაბილურობის ხარისხის სიმცირით ხასიათდება, რაც თვით სისტემის განვითარების დაჩქარებას განაპირობებს. XI საუკუნის შემდგომ, ამ დროს არსებული სტრუქტურების (არქიტექტურული ტიპების) სტაბილურობის ხარისხი მაღალია ანუ მათი სახეცვლა აღარ ხდება, რაც მთლიანად სისტემის განვითარების პროცესის შენელებას განაპირობებს. ამ კონტექსტში ქართულ ხუროთმოძღვრებაში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გავრცელება, რომელიც საწყის ეტაპზე სისტემის შემადგენელ სტრუქტურად იქცა, მისი ფორმირების პროცესის დაჩქარების ერთ-ერთ ფაქტორად წარმოგვიდგება.

ამრიგად, შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. საქართველოში მას უკავშირდება ცალკეული არქიტექტურული ტიპისა და ნაგებობის, ზოგიერთი ხუროთმოძღვრული მოტივის თუ კომპოზიციური გადაწყვეტის ჩამოყალიბება. ამავდროულად, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციების ზეგავლენით ცვლილებას განიცდის და ქრისტიანული ბაზილიკის თავისებურ არქიტექტურულ სახეს ქმნის.

დასკვნა

ქრისტიანული სუროთმოდვრების ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპის, სამნავიანი ბაზილიკის, ადრეული შუა საუკუნეების ხანიდან საქართველოში გავრცელება ქრისტიანულ სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრაციის დამადასტურებელ მოვლენას წარმოადგენს, რასაც, უდაოდ, დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა ენიჭება. ქრისტიანული რელიგიის მიერ სუროთმოდვრებაში ბაზილიკის დაკანონებას ფაქტობრივი მონაცემების გარდა IV-V საუკუნეების წერილობითი წყაროები (“წესნი მოციქულთანი”, Testamentum Domini, კესარიის ეპისკოპოს ევსების 317 წლით დათარიღებული ტირის ეპისკოპოს პავლინისადმი მიძღვნილი პანეგერიკი) ადასტურებს. ადრექრისტიანულ სამყაროში გავრცელებული ეს არქიტექტურული ტიპი ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციებისა და საქართველოს შუა საუკუნეების სუროთმოდვრებაში მიმდინარე პროცესების ზეგავლენით გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამდენად, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის საქართველოში გავრცელების ეტაპობრივი სქემის დადგენა, მისი არქიტექტურული მახასიათებლების თავისებურებებისა და ქართული სუროთმოდვრების სხვა ტიპებთან ურთიერთმიმართების განსაზღვრა, თავად საქართველოს ქრისტიანული სუროთმოდვრების რიგი დამახასიათებელი ნიშნებისა თუ არსებული ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სუროთმოდვრებაში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის, როგორც ერთი კონკრეტული არქიტექტურული სტრუქტურის, სტატიისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვისა და ანალიზის მეთოდით შესწავლა ამ არქიტექტურული ტიპის გავრცელებისა და არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის თავისებურებების სისტემურ

კვლევას ემსახურება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ რიგი ძეგლების დაცულობის დონე, შეკეთების ან გადაკეთების შედეგად სახეცვლა, არ იძლევა ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. ამდენად, საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის ქრონოლოგიური და ტერიტორიული ფარგლები, დროით-რეგიონალური გავრცელების ინტენსივობა, საკვლევი სტრუქტურის რაობის განმსაზღვრელი ნიშნები, შემადგენელი ნაწილები და მათი ფორმისეული სახეცვლილებები, ძირითადად, ორმოცდაორი სამნავიანი ბაზილიკის მონაცემთა ბაზაზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე განხორციელდა.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ნაგებობების მშენებლობის ქრონოლოგიური საზღვრები V-XI საუკუნის დასაწყისით შემოიფარგლება. XIII-XVII საუკუნეებში მხოლოდ ერთეული ძეგლებია აგებული. ბაზილიკების აქტიური მშენებლობის პერიოდი V-VI საუკუნეებია. ამავე ხანას მიეკუთვნება ბაზილიკები დასავლეთ საქართველოში, სადაც VII საუკუნიდან ეს არქიტექტურული ტიპი ორიოდ გამონაკლისის გარდა (XI საუკუნის კვირიკეწმინდა და XVI-XVII საუკუნეების ილემი) აღარ გვხვდება. თავდაპირველად ბაზილიკების მშენებლობა საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში მიმდინარეობს, ხოლო VIII საუკუნიდან მთიან მხარესაც მოიცავს.

ბაზილიკების ძირითად საშენ მასალად გამოიყენება როგორც კარგად გათლილი, ასევე უხეშად დამუშავებული ქვა, რიყის ქვა და აგური. გვხვდება ერთი სახის ან შერეული მასალით ნაგები ძეგლები. კედლის სისქე 0,75 მეტრიდან 1,30 მეტრამდეა. ადრეულ ძეგლებში კედლები უფრო განიერია, ხოლო დროთა განმავლობაში ნაგებობების კედლის სისქის შემცირება აღინიშნება.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძეგლები გვემაში სწორკუთხა ფორმისაა და ძლიერ

წავრძელებული გეგმარება არ ახასიათებს. პირიქით, გეგმის კვადრატს მიახლოვების ტენდენცია იჩენს თავს. უფრო მეტად გავრცელებულია ისეთი პროპორციული თანაფარდობა, როდესაც სივრძე დაახლოებით 1,5-ჯერ მეტია სივანეზე, ხოლო სიმაღლე (შემორჩენილი მონაცემების მიხედვით) სივრძეს უტოლდება და ოდნავ აჭარბებს სივანეს. ასეთი პროპორციები ერთიანი, შეკრული შიდა სივრცის შექმნას უწყობს ხელს.

შუა და გვერდითი ნავების ურთიერთდამოკიდებულებაში მკაფიოდ იკვეთება ცენტრალური ნავის მნიშვნელობა, რომელიც ყოველთვის მაღალი და განიერია გვერდითებზე. ამასთან, ნავების პროპორციები და მათი ურთიერთმიმართება არქიტექტურული ფორმების გაწონასწორებული, ჰარმონიული შესაბამისობის და ზომიერების პრინციპს ეფუძნება. ნავების პროპორციულ თანაფარდობაში დროისმიერი ცვლილებები აღინიშნება. ყველაზე გავრცელებულია გვერდით ნავებზე ორჯერ განიერი შუა ნავის მქონე ბაზილიკები. ასეთი თანაფარდობა უმეტესად V-VI საუკუნეების ძეგლებს ახასიათებს. შემდგომ პერიოდში შეფარდება იზრდება, რაც შუა ნავის მნიშვნელობის ხაზგასმას და ინტერიერში ცენტრულობის პრინციპის დამკვიდრებას ემსახურება. ნავები კამარებითაა გადახურული. სხვა ხერხი დადასტურებული არ არის. თუმცა დასავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებში სავარაუდოა ხის კარკასოვანი გადახურვის არსებობა. გამოიყენება ნახევარწრიული, ელიფსური და შეისრული ფორმის კამარები. როგორც წესი, ისინი ნავის სივრძეზეა მიმართული. გამონაკლისია ორი ძეგლი (ვერე და აკურას ჩრდილოეთი ნავი), სადაც გვერდით ნავებში კამარები შუა ნავის მიმართ პერპენდიკულარულადაა განლაგებული.

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძეგლებში 1-5 წყვილი საყრდენი გამოიყენება. ყველაზე გავრცელებულია ორი წყვილი საყრდენის მქონე ბაზილიკები. სამი,

ოთხი და ხუთი წყვილი V-VI საუკუნეების, ასევე X საუკუნის სამ ძეგლში გვხვდება. ერთი წყვილი საყრდენი სხვადასხვა დროის ექვს ბაზილიკაშია. მხოლოდ ერთი საყრდენი აქვს მატანის და აკურას გამსხვავებული კომპოზიციური გადაწყვეტის მქონე ბაზილიკებს. გამოიყენება ექვსი სახის საყრდენი: გეგმაში კვადრატული, ჯვრული, T-ს ფორმის, სწორკუთხა და წრიული. უფრო გავრცელებულია პირველი სამი სახე. საყრდენს ზოგიერთ შემთხვევაში სვეტისთავი ამკობს და უმეტესად ბაზის გარეშეა. დადასტურებულია გეგმაში კვადრატული, ჯვრული და წრიული ბაზები.

თაღები ნალისებური, ნახევარწრიული და შეისრული ფორმისაა. ნალისებური თაღები ძირითადად V-VI საუკუნეების, ხოლო შეისრული X საუკუნის ძეგლებში გვხვდება. ყველაზე გავრცელებულია ნახევარწრიული ფორმა. თაღისა და საყრდენის ზომები და მათი პროპორციული ურთიერთმომართება ძირითადად ზომიერებით ხასიათდება.

საკურთხევლის აფსიდა ნალისებური და ნახევარწრიული მოხაზულობისაა. დეტალური განხილვისას ამ ორი ფორმის რამდენიმე სახესხვაობა (ნალისებური, წაგრძელებული ნალის ფორმის, ნახევარწრიული, წაგრძელებული ნახევარწრის და პარალელურგვერდებიანი ნახევარწრის ფორმის) განირჩევა. VII საუკუნიდან უმეტეს ბაზილიკებში აფსიდის წინ ბემაა. საკურთხევლის იატაკი საერთო დონიდან ერთი, ორი, იშვიათად სამი საფეხურით არის ამალღებული. ზოგიერთ შემთხვევაში აფსიდას სასულიერო პირთა ჩამოსაჯდომი ქვის რიგი შემოჰყვება. თხუთმეტ ძეგლში ქვის ტრაპეზია დადასტურებული, რომელიც კედელთან ან აფსიდის ცენტრში დგას. აფსიდის კედლებში მოთავსებული ნიშების რიცხვი უმეტესად ლუწია და ისინი სიმეტრიულადაა განლაგებული.

პასტოფორიუმები V-VI საუკუნეების უმრავლეს ბაზილიკებში არ არის. ჩრდილოეთი სათავის გამოყოფის უადრესი მაგალითია V საუკუნის მატანის ბაზილიკა. ორივე სათავ-

სია V საუკუნის არემის ბაზილიკაშიც. VI საუკუნიდან საკურთხეველის გვერდითი სათავსები თიანეთის სიონის, რევაზაშენის და კვირიკეწმინდას გარდა ყველა ძეგლს აქვს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამხავიან ბაზილიკებში პასტოფორიუმების მოწყობა V საუკუნიდან დაიწყო, ხოლო VI საუკუნიდან დაკანონებულ წესად იქცა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო აქტიურად იყო ჩართული ადრექრისტიანული სამყაროს ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესებში და ახალ მოთხოვნებს თანადროულად პასუხობდა.

გვერდის მიხედვით განირჩევა პასტოფორიუმების ექვსი სახესხვაობა. გვხვდება სათავსები აფსიდით და მის გარეშე. ყველაზე გავრცელებულია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა. თითოეულ ძეგლში ორივე სათავსი, უმეტესად, ერთნაირი ფორმისაა. სათავსებში შესასვლელი ყოველთვის გვერდითი ნავის მხრიდან არის გაჭრილი. რიგ ძეგლებში ჩრდილოეთის სათავსს საკურთხეველთან დამაკავშირებელი მეორე კარიც აქვს, რაც სამკვეთლოს რიტუალურ-ფუნქციონალური დანიშნულებით არის განპირობებული. IX ს-დან გვხვდება პასტოფორიუმების მეორე სართულზე სათავს-სამალავის მოწყობის მაგალითები.

სამხავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძეგლებში ყველაზე გავრცელებულია შესასვლელის სამი მხრიდან მოწყობის წესი. ორი მხრიდან შესასვლელის მქონე ძეგლების რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ ყველა პერიოდში გვხვდება. ერთი მხრიდან შესასვლელი რვა ბაზილიკას აქვს. პრიორიტეტული მნიშვნელობა დასავლეთ და სამხრეთ შესასვლელს ენიჭება. ამასთან, დროთა ვითარებაში მეტ მნიშვნელობას სამხრეთი შესასვლელი იძენს, რაც ინტერიერში ცენტრულობის პრინციპის წარმოჩენას ემსახურება და ეწინააღმდეგება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ტრადიციული სქემის ძირითად კონცეფციას. უფრო მეტად გავრცელებულია ინტე-

რიერის მხარეს თაღოვანი და გარედან სწორკუთხა კარი. გვხვდება, ასევე, ორივე მხრიდან სწორკუთხა და თაღოვანი კარი. VI საუკუნის რამდენიმე ძეგლში ლუნეტიანი კარია, რაც სიროული ხუროთმოძღვრების გავლენაზე მეტყველებს.

მრავალრიცხოვანი სარკმლები ქართული სამნავიანი ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი. მათი რაოდენობა სამიდან(მატანი) ოცდაოცდაექვსამდეა(ურბნისი). გამონაკლისია X საუკუნის ოთხთაეკლესია (68 სარკმელი) და პარხალი (52 სარკმელი). საკურთხევლის აფსიდას სხვებთან შედარებით დიდი ზომის სარკმელი ანათებს, რაც მისი მნიშვნელობის მიმანიშნებელია. აფსიდაში სამი სარკმელია განთიადში, სანაგირეში, ბოდბესა და იტრიაში. ბაზილიკებში სარკმლები ძირითადად თაღოვანი მოხაზულობისაა. სწორკუთხა ფორმა ნაკლებად, ხოლო წრიული იშვიათად გამოიყენება. ადრეულ პერიოდში გვხვდება დიდი ზომის, პარალელურგვერდობიანი, ნალისებური მოხაზულობის სარკმლები.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკის ინტერიერს სისადავე ახასიათებს. დეკორაციული მორთულობის ელემენტები ნაკლებად გვხვდება. ძირითად მხატვრულ-დეკორაციულ აქცენტს სვეტისთავი, იმპოსტი და ბაზა ქმნის. სვეტისთავები რიგ ბაზილიკებშია დადასტურებული. ამათგან დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ძეგლში კლასიკური კაპიტელი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებში რელიეფური მორთულობით შემკული სვეტისთავები გამოიყენება. ისინი ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამდენად, ერთი გამოკვეთილი მხატვრული სახე არ იკვეთება. დროთა ვითარებაში სვეტისთავების მხატვრულ გადაწყვეტაში ფორმისა და მორთულობის გამარტივების ტენდენცია აღინიშნება. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით სავარაუდოა, რომ დასავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებში ინტერიერის მორთულობის უფრო მრავალფეროვანი საშუალებები იყო გამოყენებული, რაც ბიზანტიის არქიტექტურის გავლენაზე მიუთითებს.

ინტერიერი, ძირითადად, ხალვათი, ერთიანი სივრცის შექმნის, ვერტიკალური ფორმების ხაზგასმის, მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების ურთიერთშეთანხმების პრინციპზეა აგებული. მას სისადავე და ლაკონურობა ახასიათებს. შიდა სივრცის მხატვრულ სახეს, უმთავრესად, არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტების პლასტიკური გამომსახველობა და მათი რიტმული განაწილების წესი განსაზღვრავს.

ინტერიერის და ექსტერიერის აგების პრინციპი ერთიან არქიტექტურულ კონცეფციას ემორჩილება, რაც ვლინდება როგორც ფორმათა შესატყვისობაში, ასევე მათი ხასიათის, მხატვრული სახის მთლიანობაში. შემორჩენილი ნიმუშების მიხედვით ინტერიერის სამ ნავად დაყოფას გარე მასებში ოთხფერდა გადახურვა შეესაბამება. საკურთხევლის აფსიდა ძირითადად გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი. შვერილი აფსიდა დასავლეთ საქართველოს ძეგლებს ახასიათებს და აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ რამდენიმე ბაზილიკაშია დადასტურებული. ღია გალერეა და გარშემოსავლელი ერთეულ ძეგლებშია, რომლებიც არქიტექტურულად ნაგებობასთან ორგანულ კავშირში გაიაზრება. კარიბჭე VIII-IX სს-დან გვხვდება. ზოგიერთ ძეგლში კარიბჭე ადრეულ ბაზილიკებზეც იქნა მიშენებული. ბაზილიკების ექსტერიერი, ისევე, როგორც ინტერიერი სისადავით ხასიათდება. გვხვდება მარტივი რელიეფური მოტივებით შემკული სარკმლის და შესასვლელის საპირეები. დეკორაციული თაღები გამოიყენება ოთხთაეკლესიასა და პარხალში. აღსანიშნავია, რომ ქართული არქიტექტურის ე.წ. ცხოველხატული სტილის ძეგლებში გავრცელებული ფასადების შემკობის ეს წესი პირველად ოშკთან ერთად სწორედ ოთხთაეკლესიისა და პარხალში იყო გამოყენებული.

საქართველოს სამნავიან ბაზილიკებში აღინიშნება კონკრეტული ძეგლებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებუ-

რებები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ლოკალურ ხასიათს ატარებს. თავად სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი სამეკლესიანი ბაზილიკისაგან განსხვავებით, სტრუქტურულ ცვლილებებს ნაკლებად განიცდის, თუმცა პროპორციული თანაფარდობის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციას ამჟღავნებს.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძეგლების მასშტაბი, პროპორციები, შიდა სივრცის ორგანიზაციის, გარე მასების განაწილების და მორთულობის გადაწყვეტა ზომიერების პრინციპს ეფუძნება, რაც, საერთოდ, ქართული ხუროთმოძღვრების არსებით მახასიათებელს წარმოადგენს.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის სამი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა:

პირველი ეტაპი (V-VII საუკუნეები) არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეულ ძეგლებს აერთიანებს და ქართული ხუროთმოძღვრების ადრეშუასაუკუნეების პერიოდს ესადაგება. V-VI საუკუნეები ბაზილიკების აქტიური მშენებლობის ხანაა და ტერიტორიულად მოიცავს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს. პირველ ეტაპს განეკუთვნება საწყისი პერიოდის ძეგლები ძველი შუამთა და მატანი, რომლებიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება; ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის არქიტექტურული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები; დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები; ქრონოლოგიურად ამ ეტაპს მიეკუთვნება სპეციფიკური ნიშან-თვისებებით გამორჩეული უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ბაზილიკა; ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნის VII საუკუნის რკონის ბაზილიკა

მეორე ეტაპი VIII, IX და IX-X საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებს აერთიანებს და თანხვდება ქართული არქიტექტურის ე.წ. გარდამავალ ხანას. ეს ბაზილიკები ხასიათდება ცენტრულობისაკენ სწრაფვის მკვეთრად გამოხატული

ტენდენციით, რაც არქიტექტურული ტიპის მახასიათებლებს ეწინააღმდეგება. ამ პერიოდში ბაზილიკები აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონშიც იგება.

მესამე ეტაპი X და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებით არის წარმოდგენილი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ოთხათაეკლესია და პარხალი. ამ ეტაპის რიგ ძეგლებს ახასიათებს ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისთვის დამახასიათებელი სიგრძივი ღერძის გამოკვეთა და, იმავდროულად, გუმბათიანი არქიტექტურის გარკვეული გავლენა.

XI-ის შემდგომ საქართველოში ცალკეული ბაზილიკები იგება, რომლებიც ერთიან ეტაპს აღარ ქმნიან.

ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გავრცელებისა და ფორმირების პროცესში ქართული ბაზილიკები მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით ემიჯნება ქრისტიანული დასავლეთის ბაზილიკებს და აღმოსავლეთის წრეს მიეკუთვნება. ამ მხრივ გამონაკლისია დასავლეთ საქართველოს ძეგლთა ჯგუფი, რომლებშიც ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა იგრძნობა. საქართველოს ბაზილიკების აღმოსავლური წრის, განსაკუთრებით სომხეთისა და სირიის, ძეგლებთან გარკვეულ მსგავსებას ტერიტორიული სიახლოვე, კულტურული კავშირ-ერთობების ინტენსივობა და ზოგიერთი არქიტექტურულ-კონსტრუქციული პრინციპის ერთიანობა განაპირობებს. თუმცა ამ ქვეყნების ძეგლებთან საქართველოს ბაზილიკების შედარება წარმოაჩენს საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძეგლების თავისებურებას, რაც, უდაოდ, ადგილობრივი ტრადიციების ზეგავლენის შედეგია.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის მანძილზე სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდება წინააღმდეგობა ქართულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებსა და ტიპის მოთხოვნებს შორის, რაც მისი არქიტექტურული სახის ფორმირებას განსაზღვრავს. ბაზილიკა ქარ-


თულ ნიადაგზე კარგავს რა ტიპის ზოგიერთ ნიშანს (ძლიერ წაგრძელებული გეგმა, არქიტექტურულ ფორმათა მრავალჯერადი განმეორება, დასავლეთი შესასვლელის პრიორიტეტი), ცენტრული კომპოზიციის რიგ თვისებებს იძენს. ყოველივე ეს ნათელყოფს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ტენდენციების სიძლიერეს, რაც ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მაგალითზე უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება.

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა გარკვეული ტრანსფორმირების მიუხედავად არსებობის ყველა ეტაპზე შეინარჩუნა ტიპის არსებითი მახასიათებლები, რომლებიც ქართულმა ხუროთმოძღვრებამ შეითვისა და გადაამუშავა. საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ადრექრისტიანულ ხანაში გავრცელებამ ქართულ ხუროთმოძღვრებაში შემოიტანა მწყობრი და ლაკონური სამნაწილიანი, სვეტებიანი სტრუქტურა; სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტის ნათელი და ლოგიკური სქემა; მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების ჰარმონიული ერთიანობის შექმნის, რიტმული მონაცვლეობის პრინციპზე აგებული არქიტექტურულ ფორმათა თანაფარდობის მთელი კომპლექსი. ამან გარკვეული გავლენა იქონია საქართველოს ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესებზე, ზოგიერთი არქიტექტურული ტიპის (მაგ.:სამეკლესიოანი ბაზილიკის) თუ ცალკეული ნაგებობის (მაგ.:გურჯაანის ყველაწმინდას ორგუმბათიანი ტაძრის) მხატვრულ-არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაზე. ამდენად, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი, როგორც საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ერთიანი სისტემის შემადგენელი სტრუქტურა, ამ სისტემის განვითარების პროცესის ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად იქცა.

ამრიგად, საქართველოში ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების ზეგავლენით შეიქმნა სამნავიანი ბაზილიკის


არქიტექტურული ტიპის თავისებური სახე. მის ადგილს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში განსაზღვრავს მთელი რიგი ნიმუშების მაღალმხატვრული ღირებულება და ის როლი, რაც სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა შეასრულა ქართული ხუროთმოძღვრების და არქიტექტურულ ტიპთა ფორმირების პროცესში.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკები



1. ბიჭვინტა, V ს Bichvinta, V ს.


1. ი. ციციშვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, ტ. II, თბილისი, 1977, გვ. 83-101.
2. П. Закарая, Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
3. Л. Мацулевич, Открытие мозаичного пола в древнем Питиунте, Вестник древней истории, №4, 1956.
4. Л. Рчеулишвили, Некоторые аспекты грузинской архитектуры черноморского побережья, Средневековое искусство, Русь-Грузия, Москва, 1978, с. 21-28.



2. ბოლნისის სიონი, 478-493წწ.


Bolnisi Sioni, 478-493

1. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974, გვ. 23-25, 88-90.
2. რ. გვერდწითელი, ბოლნისი (ანგარიში ძეგლის გახსნის სამუშაოების შესახებ), ჟურ. ძეგლის მეგობარი, №15, თბილისი, 1969.
3. პ. ზაქარაია, ბოლნისები და წულრულაშენი, თბილისი, 1953.
4. ლ.მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიკის მოამბე, №3, თბილისი, 1938, გვ.311-382.
5. Р.Гвердцители, Некоторые характерные черты грузинских базилик V-VI вв в свете новых данных, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
6. Г.Чубинашвили, Известия ГАИМК-а, 9, Тбилиси, 1940.




**3. მატანის ცხრაკარა, V ს.
Matanis Tschakhara, Vc.**

1. ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 1974, გვ. 22
2. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936, გვ.29-30.
3. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, с. 48-55.




4. ნოქალაქევი, V ს-ის შუა წლები Nokalakevi, mid. Vc.

1. თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბილისი, 1987, გვ. 90-125.
2. პ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბილისი, 1981, გვ. 103-105.
3. П. Закарая, Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.




**5. სეფიეთი, V ს-ის II ნახ.
Sepieti, II half of V c.**

1. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, II, ტფილისი, 1914, გვ. 33-37.
2. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ.89-91.
3. პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, სუროთმოდვრება, თბილისი, 1991, გვ. 198.
4. В. Леквинадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, Вестник музея Грузии, XXII-В, 1961с.137-167.
5. П. Закарая, Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.




**6. ციხისძირი, V ს.
Tsikhisdziri, Vc.**

1. ა. ინაიშვილი, პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბილისი, გვ. 91-107.
2. П. Закарая, Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
3. В. Леквинадзе, О постройках Юстиниана в западной Грузии, Византийский временник, 34, Москва, 1973, с.169-186.




7. ძველი შუამთა, V ს-ის შუა წლები
Old Shuamta, mid. Vc.

1. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974, გვ. 109-110.
2. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936, გვ.28-31.
3. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, с. 45-48.
4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, თბილისი 2007,გვ.148-149



**8. ნასტაკისი, V -VI სს.
Nastakisi, V-VI cc.**


1. აღ. ბოზოჩაძე, ნასტაკისის ველზე გათხრილი ადრექრისტიანული ხანის ეკლესია, ჟურ. ძეგლის მეგობარი, №69, თბილისი, 1983, გვ. 42-48.
2. А. Бохоцадзе, Н. Мирианашвили, Итоги работ Настакиской экспедиции, Полевые археологические исследования в 1981г, Тбилиси, 1984, с.53-59.



9. ზაშბი, V -VI სს.

Khashmi, V-VI cc.


1. Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлиς, 1875, с.128.
2. Пл. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тифлиς, 1846, с. 19.
3. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, с. 55-65.
4. А. Хаханов, Экспедиция по Кавказу в 1892, 1893, 1895гг., Материалы по археологии Кавказа, VII, Москва, 1898, с.38.



10. ანჩისხატი, VI ს-ის დასაწყისი
Anchiskhati, early VI c.


1. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974, გვ. 93
2. რ. გვერდწითელი, ანჩისხატის რესტავრაცია, ჟურ. ძეგლის მეგობარი, 7, თბილისი, 1966, გვ. 37-42.
3. რ. გვერდწითელი, ანჩისხატის ბაზილიკის აღმოსავლეთი სარკმლის დეკორი, ჟურ. ძეგლის მეგობარი, 76, თბილისი, 1987, გვ. 6-8.
4. რ. გვერდწითელი, ანჩისხატის ბაზილიკის სამშენებლო წარწერა, ჟურ. მნათობი, 1, თბილისი, 1987, გვ. 143-145.
5. რ. გვერდწითელი, “წმ. მარიამის” ეკლესია თბილისში ანჩისხატი, თბ. 2001.

6. პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ისტორიული მიმოხილვა, ტფილისი, 1902.
7. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია,




11. ალაჰადე, VI ს Alahadze, VI c.

1. ა. აფაქიძე, ზ. აგრბა, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-71 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, თბილისი, 1977, გვ.9-38.
2. З. Агрба, Раскопки раннесредневековой базилики в селе Алахадзы, Мацне, №3, Тбилиси, 1972, с. 149-160.



12. ახშანი, VI ს-ის II ნახ.
Akhshani, II half of VI c.


1. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, с. 86-90



13. გაბთიადი, VI ს-ის II ნახ.
Gantiadi, II half of VI c.


1. И.Е. Адзинба, Архитектурные памятники Абхазии, Сухуми, 1958, с.9.
2. А.Н. Дьячков- Тарасов, Гагры и их окрестности, Записки Кавказского отдела РГО, XXIV, 1-3, Тифлиси, 1904, с.41.
3. П. Закарая, Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
4. В.А. Леквинадзе, Гантиатская базилика, Советская археология, №3, Москва, 1970, с.162-174.
